# ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის

# სტრუქტურული ერთეულების 2017 წლის ანგარიში

# სარჩევი

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ანგარიში ........ 2
ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის ანგარიში........ 8
განვითარების სამსახური ........ 11
საგარეო ურთიერთობების სამსახური........ 29
სამეცნიერო კვლევების კოორდინაციის სამსახური........ 39
იურიდიული სამსახური ანგარიში ........ 42
შესყიდვების სამსახურის ანგარიში........ 46
საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახური........ 49
მატერიალური რესურსების სამსახური........ 59
გამომცემლობა........ 69
ბიბლიოთეკა........ 74
საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ანგარიში........ 113
სტუდენტური დეპარტამენტი ........ 131
საუნივერსიტეტო ბაზებისა და დამხმარე ობიექტების მართვის სამსახური........ 154
უნივერსიტეტის თეატრი........ 165
დაცვისა და უსაფრთხოების სამსახური ........ 172
კანცელარია........ 173
ბიუჯეტირებისა და ფინანსური ანალიზის სამსახური ........178

## ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ანგარიში

2017 წლის მანძილზე ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური მუშაობდა შემდეგი ძირითადი მიმართულებებით:

- ავტორიზაციის პილოტირება;
- ახალი პროგრამების აკრედიტაცია;
- პროექტი INTEGRITY
- სტუდენტების რეესტრის ბაზის მართვა;
- დიპლომები და კვალიფიკაციები;
- კვლევები;
- საერთაშორისო ბაზები და რეცენზიები.

აღნიშნული მიმართულებებით ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა შეასრულა შემდეგი სამუშაოები:

***ავტორიზაციის პილოტირება***

2017 წლის ნოემბრადმე ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ახორციელებდა უნივერსიტეტში ავტორიზაციის ახალი სტანდარტების პილოტირების პროცესის ორგანიზებასა და კოორდინირებას უნივერსიტეტის მასშტაბით. ამ პერიოდში სხვადასხვა სამსახურთან, ფაკულტეტებთან და სკოლებთან თანამშრომლობით შეიქმნა და განახლდა მარეგულირებელი დოკუმენტები. აღსანიშნავია, რომ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა ჩამოაყალიბა შიდა ხარისხის კონცეფცია, შეიმუშავა შეფასების ინსტრუმენტები და მეთოდოლოგია. ასევე, ადამიანური რესურსების სამსახურთან, ფაკულტეტებთან და სკოლებთან თანამშრომლობით ჩამოყალიბდა აკადემიური პერსონალის საქმიანობის შეფასების წესი და კონტინგენტის განსაზღვრის წესი. სამსახურმა მიიღო აქტიური მონაწილეობა უნივერსიტეტის სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესში. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა წარადგინა ავტორიზაციის თვითშეფასების ანგარიში და შესაბამისი დოკუმენტები განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში. სამსახურის კოორდინირებით შეიქმნა ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტის დღის წესრიგი და ამავე წლის 15-17 ნოემბერს უნივერსიტეტში განხორციელდა მათი ვიზიტი. ექსპერტების პანელის შემადგენლობაში შედიოდნენ საერთაშორისო და ადგილობრივი ექსპერტები, პანელს თავჯდომარეობას უწევდა სჟიბოლტ ნურდა. ვიზიტის დროს ექსპერტებმა ჩაატარეს ინტერვიუ უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, აკადემიურ პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და პარტნიორებთან. პილოტირების შედეგად უნივერსიტეტმა მიიღო დადებითი შეფასება ექსპერტების მხრიდან.

***ახალი პროგრამების აკრედიტაცია***

2017 წლის განმავლობაში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ჩართული იყო მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტთან და საზუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და საინჟინრო ფაკულტეტთან ერთად ახალი პროგრამების შემუშავების და აკრედიტაციისთვის მომზადების პროცესში. ამ წლის განმავლობაში სამსახურმა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს წარუდგინა შემდეგი პროგრამები:

- CEERES (MA, ინგლისურენოვანი);
- Applied Genetics (MA, ინგლისურენოვანი);
- კომპიუტერული ინჟინერია (BA, ქართულენოვანი და ინგლისურენოვანი);

- სისხლის სამართალი (MA);

- უჯრედული ნეირომეცნიერება (PhD);
- ციფრული ჰუმანიტარია (PhD).

აღსანიშნავია, რომ ციფრული ჰუმანიტარიის სადოქტორო პროგრამის შემუშავების მიზნებისთვის, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტთან თანამშრომლობით განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში შეიტანა განაცხადი ციფრული ჰუმანიტარიის კვალიფიკაციის დამატების მიზნით. შესაბამისი პროცედურების გავლის შემდეგ, აღნიშნული კვალიფიკაცია დამატებულ იქნა ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს დოკუმენტში.

ამ ეტაპისთვის:

- განხორციელდა ექსპერტთა ვიზიტი პროგრამაზე CEERES (MA, ინგლისურენოვანი) საერთაშორისო ექსპერტის თვჯდომარეობით. მიღებულია პროგრამაზე დადებითი დასკვნა;
- განხორციელდა ვიზიტი პროგრამაზე Applied Genetics (MA, ინგლისურენოვანი). პროგრამა დადებითად შეფასდა ექსპერტების მიერ;
- პროგრამას კომპიუტერული ინჟინერია (BA) მიენიჭა აკრედიტაცია;
- პროგრამაზე Computer Engineering (BA) განხორციელდა ვიზი საერთაშორისო ექსპერტის თავჯომარეობით. დასკვნის პროექტში აღნიშნულია, რომ პროგრამა ნაწილობრივ აკმაყოფილებს სტანდარტს.
- პროგრამას სისხლის სამართალი (MA) მიენიჭა აკრედიტაცია;
- პროგრამაზე უჯრედული ნეირომეცნიერება (PhD) განცორციელდა ვიზიტი და მიღებულია დადებითი დასკვნა;
- პროგრამაზე ციფრული ჰუმანიტარია (PhD) განხორციელდა ვიზიტი და პროგრამა დადებითად შეფასდა ექსპერტების მიერ.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა საზუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და საინჟინრო ფაკულტეტს დახმარება გაუწია მედიცინის ერთსაფეხურიანი პროგრამის შემუშავების პროცესში. პროგრამის აკრედიტაციაზე შესაბამისი განაცხადი იქნა წარდგენილი განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში ამა წლის შემოდგომაზე.

ასევე აღსანიშნავია, რომ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ჩართული იყო სადოქტორო საფეხურზე Cotutelle-ის მარეგულირებელი დოკუმენტების შემუშავების პროცესში. აღნიშნული ფორმატი ითვალისწინებს სადოქტორო პროგრამების ფარგლებში ორმაგი ხარისხის მინიჭებას.

2017 წლის მაისში განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში გაიგზავნა ყველა მიმდინარე (2011, 2012, 2013, 2014, 2015, 2016 წლებში აკრედიტებული) პროგრამის თვითშეფასების ანგარიში.

პროექტი
INTEGRITY
პლაგიატის პრევენციის და დეტექციის მიმართულებით შეძენილი გამოცდილების გამოყენებით ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური მუშაობდა პროექტის INTEGRITY შინაარსობრივ ნაწილზე. შესაბამისი პროექტის განაცხადი შეტანილ იქნა ERASMUS + დაფინანსებაზე განვითარების სამსახურთან, აკადემიური წერის ცენტრთან და ბიბლიოთეკასთან თანამრომლობით. პროექტმა მიიღო ორწლიანი დაფინანსება.

## *სტუდენტების რეესტრის ბაზის მართვა*

2017 წლის განმავლობაში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური პასუხისმგებელი იყო უნივერსიტეტის სტუდენტთა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ერთიანი სტუდენტური რეესტრის მონაცემთა ბაზის მართვაზე. კერძოდ, სამსახური მონიტორინგს უწევდა შესაბამის ფაკულტეტებს სტუდენტების მონაცემების შეყვანის, ცვლილებების ასახვის და კორექტირების საკითხებს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის და შიდასაუნივერისტეტო ვადების დაცვით. ბაზის მონიტორინგის შედეგები აისახება შესაბამისი გრანტების ჩარიცხვის სისწორესა და სტუდენტებისთვის შესაბამისი სერვისის ხელმისაწვდომობაზე.

შემუშავებულ იქნა “ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრის წარმოების წესი”.

## *დიპლომები და კვალიფიკაციები*

2017 წელს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა იურიდიულ სამსახურსა და მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტთან თანამშრომლობით შეიმუშავა და განათლების ხარისხის ეროვნულ ცენტრთან შესათანხმებლად მოამზადა მასწავლებლის მომზადების სერტიფიკატის ფორმა, ასევე, დასამტკიცებლად მოამზადა მასწავლებლის მომზადების სერტიფიკატების გაცემის მიზნით შესავსები ინფორმაციული ბარათის ფორმა. იურიდიულ სამსახურთან თანამშრომლობით, მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოიყვანა მასწავლებლის მომზადების სერტიფიკატისა და სერტიფიკატის დანართის გაცემასთან დაკავშირებული რეგულაციები; წლის განმავლობაში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური რეგულარულად ახდენდა გასული წლების

კურსდამთავრებულთა დიპლომებისა და დიპლომის დუბლიკატების გაცემისათვის აუცილებელი ინფორმაციის მოძიებასა და შემოწმებას; თავისი კომპეტენციის ფარგლებში ამოწმებდა კურსდამთავრებულთა სახელზე დიპლომების გაცემის მიზნით ფაკულტეტების/სკოლების მიერ წარდგენილ მონაცემებს; ამასთან, სამსახური უწევდა კონსულტაციებს შესაბამისი საინფორმაციო ფორმებისა და დიპლომის დანართების შევსების თაობაზე.

*კვლევები*

2012-2013 სასწავლო წლიდან ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა აამოქმედა სწავლის, სწავლების და კვლევის ციკლური სისტემა, რაც გულისხმობს ყველა საფეხურზე სტანდარტული ინსტრუმენტებით გარკვეული პერიოდულობით სტუდენტთა გამოკითხვას არგუსის ელექტრონული სისტემის საშუალებით. შეფასების ეს მოდელი იძლევა როგორც სასწავლო პროცესის ციკლური შეფასების და წლების მიხედვით ამ შედეგების შედარების, ასევე საუნივერსიტეტო რესურსებისა და საჭიროებების შესწავლის საშუალებას. კვლევის დასრულების შემდეგ შედეგები განიხილება ფაკულტეტის ადმინისტრაციასთან და იგეგმება ცვლილებები. ის ანგარიშები, რომლებიც ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე იტვირთება მოიცავს, როგორც შედეგების მოკლე მიმოხილვას, ისე ინფორმაციას ფაკულტეტის მიერ დაგეგმილი ინტერვენციების შესახებ.

2014-2015 წლებში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური მუშაობდა არგუსის ელექტრონულ სისტემაში კვლევითი მოდულის დახვეწაზე. განხორციელებულმა ცვლილებებმა შესაძლებელი გახადა სემესტრის ბოლოს ყველა საფეხურის, ყველა კურსის შეფასების განხორციელება და ნიშნების განაწილებები ხელმისაწვდომია თითოეული ლექტორისათვის და ფაკულტეტების ხარისხის სამსახურის წარმომადგენლებისათვის.

ჯამურად 2017 წლის განმავლობაში ცამეტი კომპლექსური კვლევა განხორციელდა. კვლევების ნაწილი იყო ციკლური (კურსების და პროგრამების შეფასება), ნაწილი კი - სასწავლო წლის მანძილზე წარმოქმნილი საჭიროებებიდან გამომდინარე "Ad hock" დაიგეგემა. მიმდინარე სტატუსი აქვს ექვს კვლევას, რომლების დიზანიც შემუშავდა და დაიწყო 2017 წლის შემოდგომის სემესტრში.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური სასწავლო და კვლევითი პროცესის შეფასების რაოდენობრივი მეთოდების გარდა თვისებრივ მეთოდებსაც იყენებს (ფოკუს-ჯგუფი, ინტერვიუ, კონტენტ-ანალიზი). რაოდენობრივ კვლევებში პასუხების მაჩვენებელი მინიმალურ ნიშნულზე (30%) ბევრად მაღალია, რაც უზრუნველყოფს მიღებული შედეგების სანდოობას.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კვლევითი მიმართულების ერთ-ერთ მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენს სტუდენტების ჩართვა კვლევით საქმიანობაში.

კერძოდ, ილიას სახელმწიფო უნივერისტეტის ბაკლავრიატის და მაგისტრატურის სტუდენტები მონაწილეობენ სატელეფონო გამოკითხვებში, ფოკუს-ჯგუფების მოდერაციაში და მონაცემების შეყვანა - დამუშავებაში.
ასევე აღსანიშნავია, რომ ხარისხის შეფასების კვლევების როგორც დიზაინის შეუშავებაში ასევე განხორციელებასა და რეკომენდაციების შემუშავებაში ჩართული არიან როგორც აქტიური სტატუსის მქონე სტუდნეტები, (განათლების ადმინისტრირება MA) ასევე კურსდამთავრებულები (სოციოლოგია MA).

<u>განხორცილებული კვლევები და აქტივობები:</u>
- 2014 წლის საბაკალავრო საფეხურის კურსდამთავრებულთა გამოკითხვა;
- 2014 წლის სამაგისტრო საფეხურის კურსდამთავრებულთა გამოკითხვა;
- 2015 წლის საბაკალავრო საფეხურის კურსდამთავრებულთა გამოკითხვა;
- 2015 წლის სამაგისტრო საფეხურის კურსდამთავრებულთა გამოკითხვა;
- 2016 წლის საბაკალავრო საფეხურის კურსდამთავრებულთა გამოკითხვა;
- 2016 წლის სამაგისტრო საფეხურის კურსდამთავრებულთა გამოკითხვა;
- ინგლისური ენის კურსის 2017 წლის გაზაფხულის სემესტრის ანალიზი - შერეული მეთოდოლოგიური დიზაინით;
- აქტიური სტატუსის მქონე სტუდნეტების დასაქმების კვლევა (საფეხურებისა და პროგრამების მიხედვით);
- პირველკურსელთა კვლევა - სერვისების შეფასება;
- სამართლის სკოლის კურსების შეფასება - "Ad hock"
- 2017 წლის ეროვნული გამოცდების შედეგების ანალიზი (BA);
- 2017 წლის ეროვნული გამოცდების შედეგების ანალიზი (MA);
- მოგზაურობის მენეჯმენტის კურსის კომპლექსური შეფასება - "Ad hock";
- დასაქმების ფორუმის მონაწილე დამსაქმებლებისა და სტუდენტების გამოკითხვის დიზაინი და ფორმები;

მიმდინარე

- ლექტორებისა და პორფესორების მიერ ილიაუნის სერვისების შეფასება - ნაწილი I - მიმდინარე;
- ლექტორებისა და პორფესორების მიერ ილიაუნის სერვისების შეფასება - ნაწილი I I - მიმდინარე;

- სადოქტორო საფეხურის შეფასება -

მიმდინარე;

- "ფინანსური მენეჯმენტის" კურსის კომპლექსური შეფასება "Ad hock"- მიმდინარე;
- საბაკალავრო საფეხურზე ინგლისური ენის კურსის კომპლექსური შეფასება - მიმდინარე;
- ქართულის როგორც მეორე ენის სწავლების პროგრამის კომპლესური ანალიზი - მიმდინარე.

*საერთაშორისო ბაზები და რეცენზიები*

2017 წლის განმავლობაში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური დახმარებას უწევდა სადოქტორო საფეხურის სტუდენტებს პუბლიკაციების გამოქვეყნების მიზნით საერთაშორისო რეფერირებადი და იმპაქტ ფაქტორის მქონე ჟურნალების მოძიებაში.

ასევე, სამსახური ამზადებდა დასკვნებს დოქტორანტების მიერ გამოქვეყნებული სტატიების შესაბამისობაზე ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სადოქტორო პროგრამების მოთხოვნებთან, ჟურნალების საერთაშორისო რეფერირებისა და მათი იმპაქტ ფაქტორის გათვალისწინებით. აგრეთვე უზრუნველყოფდა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობაში დასაბეჭდად წარმოდგენილი მონოგრაფიებისა და სახელმძღვანელოების საერთაშორისო რეცენზირებას.

2017 წლის განმავლობაში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ გამოვლინდა უნივერსიტეტის ახალგაზრდა მეცნიერთათვის დაწესებული პასკალის პრემიის 2 ლაურეანტი.

განახლდა და გაიგზავნა უნივერსიტეტის 2016 წლის მონაცემები აკადემიური პერსონალის, საერთაშორისო პარტნიორებისა და დამსაქმებლების შესახებ QS უნივერსიტეტების რანჟირებაში მონაწილეობის მოთხოვნების შესაბამისად.

# ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის ანგარიში

2017 წელს რამდენჯერმე შეიცვალა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ორგანიზაციული სტრუქტურა, დამტკიცდა ადმინისტრაციული-დამხმარე პერსონალის და აკადემიური პერსონალისსაშტატო განრიგები. აღნიშნულ ცვლილებებთან დაკავშირებული იყო საკადრო გადაადგილებების განხორციელება. ამასთან, წლის განმავლობაში შეიცვალა, დაიხვეწა და ახლაც მიმდინარეობს თანამშრომელთა თანამდებობრივი ინსტრუქციების განახლების პროცესი, იურიდიულ სამსახურთან თანამშრომლობით შეიცვალა შრომითი ხელშეკრულების ფორმა და შინაარსი, რომელიც უფრო დაწვრილებით და ფართოდ აცნობს დაქირავებულს საკუთარ და უნივერსიტეტის უფლებებსა და მოვალეობებს. შეიცვალა თანამშრომელთა საქმიანობასთან დაკავშირებული რამდენიმე წესი და რეგულაცია.

2017 წლის განმავლობაში გრძელდება უნივერსიტეტის ადამიანური რესურსების მართვის პროცესის პროგრამული უზრუნველყოფა. გაანალიზდა საკადრო საქმისწარმოებასთან დაკავშირებული ბიზნეს-პროცესები, რის შედეგადაც ამჟამად მიმდინარეობს უნივერსიტეტში 1C პროგრამული პლატფორმის დანერგვა ადამიანური რესურსებისა და ხელფასების მართვის მიმართულებით.

ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის საქმიანობის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს თანამშრომელთა ჯანმრთელობის დაზღვევით სარგებლობის პროცესის მართვა. 2017 წლის განმავლობაში, უნივერსიტეტში ოპერირებდა სადაზღვევო კომპანია, რომლისთვისაც ადამიანური რესურსების მართვის სამსახური უზრუნველყოფდა დაზღვეულ თანამშრომელთა ბაზების ყოველთვიური დინამიკის მიწოდებას და ასევე სადაზღვევო შემთხვევების ადმინისტრირებას;

2017 წლის იანვარში, როგორც კი გამოვლენილ იქნა ტენდერში გამარჯვებული სადაზღვევო კომპანია, ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის მიერ მაქსიმალურად მცირე დროში მოხდა თანამშრომელთათვის დაზღვევის პირობების გაცნობა და შესაძლო, სხვადასხვა ფასიანი სადაზღვევო ბარათების შეთავაზება.

ასევე ორგანიზებულ იქნა თანამშრომლების განცხადებების მიღება, სადაც ისინი აღნიშნავდნენ სასურველი დაზღვევის ბარათის და დაზღვევის ტიპის (ინდივიდუალური, საოჯახო) შესახებ ინფორმაციას. შედეგად, უნივერსიტეტმა დააზღვია 1600-მდე თანამშრომელი და თანამშრომლის ოჯახის წევრი.

ადამიანური რესურსების მართვის სამსახური ყოველთვიურად აწარმოებდა ცვლილებების შეტანას დაზღვეულთა შემადგენლობაში და ამ დინამიკას შესაბამისი

ბაზების სახით აწვდიდა როგორც სადაზღვევო კომპანიას, ასევე უნივერსიტეტის ბუღალტერიას. ამასთან, ადამიანური რესურსების მართვის სამსახური ასრულებდა უნივერსიტეტის მხრიდან სადაზღვევო კომპანიასთან კომუნიკატორის ფუნქციას.

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური მიმართულებების- აკადემიური პროგრამების მუდმივი განვითარების პროცესის გამო, 2017 წლის განმავლობაში რამდენჯერმე შეიცვალა აკადემიური პერსონალის საშტატო განრიგი. გამოცხადდა დაახლოვებით 90 კონკურსი აკადემიურ თანამდებობებზე, აღნიშნულ პროცესს სრულად აორგანიზებს ადამიანური რესურსების მართვის სამსახური; ამასთან, 2017 წელს უზრუნველყოფილ იქნა როგორც აკადემიური, ასევე მასწავლებელთა პერსონალის (სულ დაახლოებით 1000) მონაცემთა განახლება, პროფესორ- მასწავლებელთა აკადემიური საქმიანობის, სამეცნიერო მიღწევების და პუბლიკაციების შესახებ ინფორმაციის მოძიება.ამასთან, აკადემიური პერსონალის რაოდენობა გაიზარდა 40 მდე საშტატო ერთეულით.

2017 წლის განმავლობაში მუდმივად ხდებოდა ამა თუ იმ სტრუქტურული ერთეულის მიერ შესრულებული სამუშაოების მონიტორინგი და ადაცდომების შემთხვევაში, ადამიანური რესურსების მართვის სამსახურში ჩატარებული დისციპლინური საქმისწარმოების საფუძველზე, ხორციელდებოდა დისციპლინური პასუხისმგებლობის სხვადასხვა ზომის შეფარდება თანამშრომლებისათვის, უნივერსიტეტის შინაგანაწესის შესაბამისად. გამოცხადდა და ჩატარდა კონკურსები სხვადასხვა სამსახურები დამხმარე პერსონალის ვაკანტურ თანამდებობებზე, ამასთან, მუდმივად ხორციელდება უნივერსიტეტის სტუდენტების შერჩევა უნივერსიტეტის სხვადასხვა სტრუქტურულ ერთეულში სტაჟირების გავლის მიზნით.

პოზიციის თავისებურების მიხედვით, ადამიანური რესურსების მართვის სამსახური ან თვითონ ადგენდა კონკურსის პირობებს, საკვალიფიკაციო მოთხოვნებსა და შეფასების მეთოდებს დადგენას, ან უზრუნველყოფდა შესაბამისი კომისიების შექმნას და მონაწილეობდა კონკურსის ორგანიზებაში. კონკურსების შედეგად შერჩეულ იქნა შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტები.

ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის საქმიანობის მნიშვნელოვანი ნაწილია თანამშრომელთა ბაზების წარმოება. 2017 წლის განმავლობაში ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის საქმიანობის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენდა ***uni.eqe.ge***-ს ბაზის წარმოება და მუდმივი განახლება.
განახლდა სხვადასხვა აკადემიური, სამეცნიერო და ადმინისტრაციული პერსონალის შესახებ დაცული პერსონალური ინფორმაცია, მათი კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, გამოქვეყნებული შრომების სია.

ასევე, ადამიანური რესურსების მართვის სამსახური უზრუნველყოფდა უნივერსიტეტის

თანამშრომლების, მიმდინარე კონკურსებისა და ვაკანსიების, ორგანიზაციული სტრუქტურისა და სხვა მსგავსი სფეროების შესახებ ინფორმაციის ვებ-გვერდზე განთავსებას.

2017 წელს ჩატარდა თანამშრომელთა კმაყოფილების კვლევა, რომლის მიზანია თანამშრომელთა კმაყოფილების დონის ან მათი უკმაყოფილების იდენტიფიცირება სამუშაო გარემოსა და პირობების , სამუშაოს შინაარსის, ხელფასის, მოტივატორებისა და ა.შ. მიმართ.

2017 წელს ჩაეშვადა წლის ბოლოს განხორციელდა პირველი შეფასება ადმინისტრაციული-დამხმარე პერსონალის მიერ შესრულებული სამუშაოს შეფასების სისტემის მიხედვით. თითოეული სამსახურის ბიზნეს-პროცესების, თანამდებობრივი ინსტრუქციებისა და დებულებების გაანალიზისშედეგად, განისაზღვრა ის უმნიშვნელოვანესი ფუნქციები და ინდიკატორები, რომლის მიხედვითაც შეფასდა თითოეული თანამშრომელი თითოეულ სამსახურში.

ამასთან, განისაზღვრა და მომავალი წლიდან დაინერგება ყველა ტიპის პერსონალის- (აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული პერსონალი) შესრულებული სამუშაოს შეფასების სისტემები. პროცესების დანერგვას წინ უსწრებდა შეფასების მოდელზე მუშაობა, შეხვედრების ორგანიზება შესაფასებელი პერსონალის მაქსიმალური ჩართულობის მიზნით.

ამასთან, ადამიანური რესურსების მართვის სამსახური ჩართული იყო უნივერსიტეტის სტრატეგიული გეგმის განახლების პროცესში და ყოველწლიური სამოქმედო გეგმის განსაზღვრის პროცესში. ასევე, ადამიანური რესურსების მართვის სამსახური აქტიურად იყო ჩართული უნივერსიტეტის ავტორიზაციის საპილოტე რეჟიმში გავლის პროცესში, რაც გულისხმობდა არსებული ბიზნეს- პროცესების განახლება-გაუმჯობესებას და რიგ შემთხვევაში ახლის დანერგვას. გარდა.

ყველა ზემოთ აღნიშნული საქმიანობისა, ადამიანური რესურსების მართვის სამსახურს წლის განმავლობაში შესასრულებლად დაეწერა დაახლოებით ***5000*** წერილი და 2370 ცნობა, რომელთა შესრულებაც უზრუნველყოფილ იქნა შეფერხებების გარეშე, მომზადდა 3500 -მდე საკადრო შინაარსის ბრძანება და გაფორმდა დაახლოებით 5700 ხელშეკრულება**.**

# განვითარების სამსახური

გრანტების მიმართულება

ადგილობრივი გრანტები

[redacted]

2017 გამოცხადდა საგრანტო კონკურსი, რომელიც ემსახურება მასწავლებელთა უნარების განვითარებას სხვადსხვა რეგიონებში. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საგრანტო განაცხადმა მოიპოვა დაფინანსება დასავლეთ საქართველოს რეგიონში. 2017 წლის ივლისის მონაცემებით, საქართველოს მცირეკონტიგენტიან სკოლებში მასწავლებლების საერთო რაოდენობის 80% პრაქტიკოსი მასწავლებელია. ამასთანავე, არაერთი კვლევით დასტურდება, რომ მცირე კონტიგენტიდან სკოლებში მოსწავლეთა შედეგები არის დაბალი. აღნიშნული პროექტი მიზნად ისახავს:

- სამიზნე ჯგუფებში მოსწავლეზე და შედეგზე ორიენტირებული საგაკვეთილო პროცესის დაგეგმვის, წარმართვისა და შეფასების უნარების განვითარება;
- სამიზნე ჯგუფებში ობიექტური თვითშეფასებისა და კოლეგების ურთიერთშეფასების უნარების განვითარება;
- საკუთარი საქმიანობის კრიტიკული შეფასებისა და კოლეგების უკუკავშირის საფუძველზე პროფესიული განვითარების რელევანტური ღონისძიებების დაგეგმვის უნარების განვითარება;
- სამიზნე სკოლების შიგნით და სკოლებს შორის პროფესიული თანამშრომლობის გაძლიერების ხელშეწყობა.

პროექტის პირდაპირი ბენეფიციარები არიან სამეგრელო - ზემო სვანეთის, იმერეთისა და გურიის მცირეკონტიგენტიანი სკოლების მინიმუმ 1100 პრაქტიკოსი მასწავლებელი.

თითოეულ რეგიონში პროპორციულად პრაქტიკოსი მასწავლებლების რაოდენობისა და ადგილობრივი ტრენერების რაოდენობის გათვალისწინებით, პროექტში ჩაერთვება სამეგრელო- ზემო სვანეთიდან -400 ბენეფიციარი, იმერეთიდან - 400 ბენეფიციარი, გურიიდან -300 ბენეფიციარი.

აღნიშნული რეგიონების შერჩევა განპირობებულია შემდეგი გარემოებებით:

1. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტს აღნიშნულ რეგიონების სკოლებთან გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი, რაც გულისხმობს ერთმანეთის მიერ ორგანიზებული აქტივობებში როგორც შინაარსობრივ, ასევე ტექნიკურ მხარდაჭერას. უნივერსიტეტსა და აღნიშნულ სკოლებს უკვე აქვთ ეფექტიანი თანამშრომლობის გამოცდილება, რაც ამ პროექტში მათი ნაყოფიერი თანამშრომლობის წინაპირობად შეიძლება განვიხილოთ.
2. აღნიშნულ რეგიონებში მუშაობენ ტრენერები, რომლებსაც აქვთ გამოცდილება პროექტით გათვალისწინებული ორივე მოდულის ჩატარების.

გრანტის მთლიანი მოცულობა შეადგენს 147430 ლარს, პროექტის ხანგრძლივობაა 2 თვე.

პროექტი წარმატებით დასრულდა, რომლის ფარგლებში გადამზადდა დაახლოებით 2000

მასწავლებელი.

*გრანტი საშუამავლო ღონისძიებებსა და მოსამზადებელ შეხვედრებში მონაწილეობისათვის*

შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდმა გაავრცელა ინფორმაცია ევროკავშირის კვლევისა და ინოვაციის ჩარჩო პროგრამა "Horizon 2020"-ის ფარგლებში დაფინანსებული პროექტის, EaP Plus -ის საგრანტო შესახებ. კონკურსის ფარგლებში, გამარჯვებულმა მონაწილეებმა შეძლეს მონაწილეობა მიეღოთ საშუამავლო ღონისძიებებსა (ე.წ. brokerage events) და Horizon 2020-ის კონკურსებში წარსადგენ საპროექტო განაცხადების მოსამზადებელ შეხვედრებში.

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ობსერვატორიის თანამშრომლებს, განვითარების სამსახურმა, მაია თოდუასა და ნინო ყოჩიაშვილს, გაუწიეს ტექნიკური დახმარება, მათ მიიღეს აღნიშნული გრანტი და 21-23 ნოემბერს გაემგზავრნენ იტალიაში, ქალაქ რომში.

საერთაშორისო გრანტები

2017 წლის განმავლობაში უნივერსიტეტში ხორციელდებოდა 55 საერთაშორისო გრანტი. 37 გრანტი არის წინა წლებში მიღებული გრანტების გაგრძელება, ხოლო 18 გრანტის რეგისტრაცია მოხდა 2017 წელს. განსაკუთრებით აღსანიშნავია ერასმუს+ის 2017 წელს მიღებული გრანტი Academic Integrity for Quality Teaching and Learning in Higher Education Institutions in Georgia (INTEGRITY), რომელიც აერთიანებს 18 უმაღლეს სასწავლებელსა და ორგანიზაციას და რომლის კოორდინატორიც არის ილიას უნივერსიტეტი. ამ პროექტის საერთო ბიუჯეტი შეადგენს 856,834 ევროს, ხოლო ილაის უნივერსიტეტისთვის ამ საერთო

თაქნხიდან გამოყოფილია 335,650 ევრო.

*ინსტიტუციური განვითარების პროექტები Erasmus+ CBHE საგრანტო პროგრამა*

2017 წლის 20 ოქტომბერს - სამიზნე ჯგუფებს დაეგზავნათ დეტალური ინფორმაცია გამოცხადებული საგრანტო კონკურსის და მისი პირობების შესახებ.

2017 წლის 21 ოქტომბერს - სამიზნე ჯგუფებში დაიგზავნა ინფორმაცია ახალი საგრანტო კონკურსის და საინფორმაციო დღის ორგანიზების შესახებ დაინტერესებულ პირთათვის ზოგადად, რომელსაც ორგანიზება გაუწია Erasmus+-ის ეროვნულმა ოფისმა.

2017 წლის 25 ოქტომბერს- ინსტიტუციური განვითარების საგრანტო კონკურსისადმი მიძღვნილ ტრენინგში მონაწილეობა მიიღეს როგორც განვითარების სამსახურის წარმომადგენლებმა, ასევე
უნივერსიტეტიდან სხვა დაინტერესებულმა პირებმა. ტრეინინგი ჩაატარეს ერასმუსის ეროვნული ოფისის წარმომადგენლებმა.

2017 წლის 20 ნოემბერს - განვითარების სამსახურიდან უნივერსიტეტის დეკანებს დაეგზავნათ დეტალური ინფორმაცია გამოცხადებული საგრანტო კონკურსის და მისი პირობების შესახებ.

2017 წლის 24 ნოემბერს -შედგა ინდივიდუალური შეხვედრები, რათა პოტენციური საგრანტო იდეების შესახებ მომხდარიყო ინფორმაციის აკუმულირება.

2017 წლის 5 დეკემბერს - ინსტიტუციური განვითარების საგრანტო კონკურსისადმი მიძღვნილ ტრენინგში ჩატარდა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში. რომელსაც დაესწრნენ უნივერსიტეტის პროფესორ მასწავლებლები და დაინტერესებული პირები.

კავშირები საერთაშორისო პარტნიორებთან

ინსტიტუციური განვითარების პროექტებზე გამოცხადებული საკონკურსო პერიოდის განმავლობაში განვითარების სამსახურმა განახორციელა შემდეგი სახის აქტივობები:

- ზოგადი წერილის მომზადება ინსტიტუციური განვითარების საგრანტო პროგრამის ფარგლებში უნივერსიტეტის ევროპელი და რეგიონული პარტნიორებისადმი. აღნიშნული წერილი ხაზს უსვამს უნივერსიტეტის მზადყოფნას მონაწილეობა მიიღოს ინსტიტუცური განვითარების პროექტებში.

- უნივერსიტეტის საპროექტო იდეების გადაგზავნა ევროპელ უნივერსიტეტებთან და
- პოტენციური პარტნიორების მოძიება.
- ევროპელი და რეგიონული უნივერსიტეტებიდან მიღებული საპროექტო იდეების განხილვა, დამუშავება და შეთანხმება უნივერსიტეტის ხელმძღვანელობასთან.

საპროექტო განაცხადები ინსტიტუციური განვითარების Erasmus+ CBHE საგრანტო პროგრამის ფარგლებში

ა. ილიას უნივერსიტეტიდან წარდგენილი საპროექტო იდეები

2017 წლის თებერვალში ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მონაწილეობით წარდგენილ იქნა

17 საპროექტო განაცხადი (აქედან 2 საპროექტო განაცხადი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის კოორდინირებით- მთავარია განმცხადებლის სტატუსით). აღნიშნული პროექტებიდან საქართველოს მასშტაბით დაფინანსდა მხოლოდ 5 პროექტი, რომლიდანაც 3 პროექტში მონაწილეობს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, როგორც გრანტის მიმღები ორგანიზაცია (1 პროექტი), ასევე პარტნიორი უნივერსიტეტის სტატუსით (2 პროექტი). ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მონაწილეობით დაფინანსებული პროექტებია:

- ✓ Academic Integrity for Quality Teaching and Learning in Higher Education Institutions in Georgia (INTEGRITY) - პროექტის კოორდინატორი - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი; პროექტის კოროდინატორი ილიას სახელწიფო უნივერსიტეტიდან - ქეთევან დარახველიძე.
- ✓ Promoting Innovative Teaching & Learning to Enhance Student Learning Experience in Eastern Partnership Countries" (PRINTeL) - პროექტის კოორდინატორია ერევნის სახელმწიფო უნივერსიტეტი; პროექტის კოროდინატორი ილიას სახელწიფო უნივერსიტეტიდან - მარიანა ზურდული.

- ✓ ASSEssment Tools for new learning environments in higher education institutions (ASSET)] პროექტის კოორდინატორია იორდანიის კოლეჯი; პროექტის კოროდინატორი ილიას სახელწიფო უნივერსიტეტიდან - სოფიკო ლობჟანიძე.

აღსანიშნავია, რომ 2017 წელს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი ერთადერთი გრანტის მიმღები კოორდინატორი ქართული უნივერსიტეტია, რომელიც ოთხ ევროპულ სასწავლებელთან (როეჰემპტონის უნივერსიტეტი (University of Reohampton, ინგლისი), უფსალას უნივერსიტეტი (University of Uppsala, შვედეთი), ვენის უნივერსიტეტი (University of Vienna, ავსტრია), დუბლინის უნივერსიტეტი (Dublin City University, ირლანდია), თორმეტ ქართულ სასწავლებელთან, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების

სამინისტროსა და განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრთან თანამშრომლობით განახორციელებს სტრუქტურული ღონისძიების ეროვნულ პროექტს ''Academic Integrity for Quality Teaching and Learning in Higher Education Institutions in Georgia (INTEGRITY)'' პლაგიატის პრევენციაზე მხარდამჭერი ინსტიტუციური ღონისძიებების გზით.

2017 წლის კონკურსის შედეგების ჩათვლით, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი განახორციელებს Erasmus+ CBHE (ინსტიტუციური თანამშრომლობის) თორმეტ პროექტს.

ინსტიტუციური განვითარების კონკურსზე წარსადგენად განვითარების სამსახურმა დაამუშავა შემდეგი საპროექტო იდეები, სადაც ჩართული იყო როგორც პარტნიორი უნივერსიტეტი:

- New Master Program for Development Studies (New4D)
- Supporting Scientific Academic Excellence through English as a Medium of Instruction (SMART)
- Business Innovation Growth (BIG)
- Supporting human rights of persons with psychosocial and intellectual disabilities through innovative educational tools (CONNECT)
- Developing Public Policy and Public Administration reform curricula in Georgia, Ukraine and Kyrgyzstan (DEPREGUK)
- Enhancing Research and Innovation Capacities for Smooth Transformation of Higher Education in Armenia, Georgia and Ukraine (ENHANCE)
- Integrated cross-Discipline Remote Access life-long e-learning (INDIRA)
- International Synergies in Innovation and Entrepreneurship Georgia Thailand (INITIATE GT )
- Knowledge, Engagement and Social Responsibility (KESR)
- Learning Analytics. Expert skills in teaching practice (LEA)
- Library Network Support Services: modernising libraries in Georgia and Jordan through library staff development and reforming libraries (LNSS)
- UNIVERSITY MEETS BUSINESS IN CAUCASUS (UNIBUS)
- Integrating European Education Dimension in Teachers' Pre-service and In-service Trainings (EduTeach)
- Clustering the Regional Black Sea Studies Actors and strengthening Black Sea Cluster (CLUSTER)

აღნიშნული პროექტები 2017 წლის კონკურსში არ დაფინანსდა. განვითარების სამსახური გეგმავს საპროექტო წინადადებების გადახედვას პარტნიორებთან ერთად 2018 წლის საგრანტო კონკურსში დონორთან წარდგენის მიზნით.

2017 წელს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტმა პირველად შეიტანა განაცხადი ინსტიტუციური განვითარების პროექტი Erasmus+ CBHE Youth Project – ში.

ასევე ერთი განაცხადი შევიდა ჟან მონეს პროგრამაზე. თემის დასახელება იყო : "Debating for European Intergration". განვითარების სამსახურმა დახმარება გაუწია ბიუჯეტის შედგენასა და აპლიკაციის ტექნიკურ გამართვაში. განაცხადი წარადგინა თინათინ ცერცვაძემ. აღნიშნული პროექტი არ დაფინანსდა.

ბ. ევროპელი უნივერსიტეტებისგან მიღებული საპროექტო
იდეები

ევროპელი უნივერსიტეტებიდან ჯერ-ჯერობით შემოვიდა რამდენიმე შემოთავაზება ილიას უნივერსიტეტის როგორც კონსორციუმის წევრი ორგანიზაციის ჩართვასთან დაკავშირებით, კერძოდ შემდეგ პროექტებში:

- Enhancement of Research Capacity in GEO HEI
- Enhancing Research and Innovation Capacities for Smooth Transformation of Higher Education in Armenia, Georgia and Ukraine (ENHANCE)
- Next Steps Georgia
- A European research school for problem-based learning using landscapes as laboratories towards functional green infrastructure (Twin4GI)
- Integrating European Education Dimension in Teachers' Pre-service and In-service Trainings (EduTeach)
- Library Capacity enhancement for Developing Innovative Content and Making User- friendly university Services more accessible (LIGAMUS)
- Capacity Building for Institutional Development (CBID)

თითოეული შემოთავაზების შემთხვევაში განვითარების სამსახური უკავშირდება შესაბამისი ფაკულტეტის დეკანებს ან რელევანტურ სტრუქტურულ ერთეულს და მათთან განიხილავს შემოთავაზებულ პროექტებში მონაწილეობის პერსპექტივებს და რელევანტურობას. ზემოთ ჩამოთვლილი პროექტები ამჟამად განხილვის პროცესშია და შეთანხმებულია უნივერსიტეტის ხელმძღვანელობასთან შემდგომი მოსამზადებელი სამუშაოებისთვის.

გ. Erasmus+
Trainings

მიმდინარე წლის 7-10 ნოემბერს განვითარების სამსახურის, საერთაშორისო პროექტების მენეჯერი, მ.სალუქვაძე მიწვეული იყო უკრაინაში, კიევში ERASMUS+ უკრაინის ეროვნული ოფისის მიერ, მან მონაწილეობა მიიღო ERASMUS+NATIONAL WEEK-ში და ჩაუტარა პრეზენტაცია/ტრენინგი უკრაინის უმაღლესი სასწავლებლების თანამშრომლებს ERASMUS+ ფინანსური მენეჯმენტის საკითხებზე.

დ. კონსორციუმის წევრების სამუშაო შეხვედრები

მიმდინარე წელს, ილიას სახელწიფო უნივერსიტეტმა, ინსტიტუციური განვითარების პროგრამის Erasmus+-ის და Horizon 2020-ის ფარგლებში დაფინანსებული 9 პროექტის (League, eDrone, ASSET, DARE, INTEGRITY, EANET, EUCA-INVEST, PESTUGE, NUCLEUS) სამუშაო შეხვედრა, კონფერენცია და ტრენინგი გამართა და უმასპინძლა პროექტების კონსორციუმის წევრებს. საერთო ჯამში განვითარების სამსახურმა უმასპინძლა 300-ზე მეტ უცხოელ სტუმარს.

ჰორიზონტი 2020 ( Horizon 2020)

საინფორმაციო შეხვედრები პროფესორებთან

2013 წლის დეკემბრის თვეში გამოცხადდა ევროპული კვლევისა და ტექნოლოგიური განვითარების ახალი შვიდწლიანი პროგრამა Horizon 2020, რომელმაც ჩაანაცვლა მეშვიდე ჩარჩო პროგრამა. ამასთან დაკავშირებით განვითარების სამსახურმა პროფესორებთან ჩაატარა რამდენიმე საინფორმაციო შეხვედრა, სადაც პროფესორები გაეცნენ პროგრამაში მონაწილეობის პირობებს. 2017 წელს (ივლისი - სექტემბერი) დაიგეგმა და შედგა შეხვედრები იმ სამეცნიერო ჯგუფებთან და პროფესორებთან, რომელთაც გამოთქვეს პროგრამაში მონაწილეობის სურვილი. განვითარების სამსახური მიზნობრივად აგზავნიდა ინფორმაციას საგრანტო კონკურსების შესახებ სხვადასხვა მიმართულებით და აკავშირებდა ქართველ პროფესურას უცხოელ პარტნიორებთან ერთობლივი განაცხადების მომზადების მიზნით. სამსახური განაგრძობს ინდივიდუალურ და ჯგუფურ კონსულტაციებს საპროექტო განაცხადების მომზადებასთან დაკავშირებით ამ დროისთვის ჰორიზონტი 2020-ის სხვადასხვა სქემაში ილიას უნივერსიტეტის მონაწილეობით მომზადდა წარსადგენად შემდეგი პროექტები:

- ✓ Historiography, theory and methods in history, including the analysis of digital data - ეკა ჭყოიძე
- ✓ European Training Network for Multidisciplinary Research on Influence of Space Weather Conditions on Human Biomedical Processes - ივანე აბიათარი
- ✓ A European research school for problem-based learning using landscapes as laboratories towards functional green infrastructure (Twin4GI) - ლარს დოსლერი
- ✓ Schülerlabors in Europe - SLinEU - მარიკა კაპანაძე

***APPEAR (Austrian Partnership Programme in Higher Education and Research for Development)***

ავსტრიის განვითარების თანამშრომლობის (ADC) პროგრამის ფარგლებში გამოცხადებული კონკურსის შესახებ განვითარების სამსახური აქტიურად ავრცელებდა ინფორმაციას უნივერსიტეტის პროფესორ მასწავლებლებს შორის. დამატებით, განვითარების სამსახური:

- კონსულტაციას უწევდა პროექტში მონაწილეობით დაინტერესებულ პირებს საგრანტო კონკურსების რეგულაციების შესახებ
- ეხმარებოდა უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებს ავსტრიელი პარტნიორების მოძიებასა და კონსორციუმის შექმნაში
- კომუნიკაციას აწარმოებდა დონორ ორგანიზაციასთან

მიმდინარე წლის აპრილიდან განვითარების სამსახური აქტიურად მონაწილეობდა საპროექტო განაცხადის მომზადებაში, უწევდა კონსულტაციებს ბიუჯეტის შედგენასთან დაკავშირებით. აღნიშნული კონკურსის ფარგლებში, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის კოორდინირებით შევიდა საპროექტო განაცხადი - Strengthening the Research and Teaching Capacities of the Law School of Ilia State University in Supporting the Development of Private Sector. პროექტი წარადგინა პროფესორმა დავით მაისურაძემ.

### *Friends of Academic Research in Georgia (FaRiG)*

ორგანიზაცია "Friends of Academic Research in Georgia (FaRiG)" ყოველწლიურად საშუალებას აძლევს ქართველ მეცნიერებს, მიიღონ გრანტი ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სფეროში და ეხმარება მათ საკუთარი კვლევების საზღვარგარეთ გამოქვეყნებაში. FaRiG გასცემს კვლევებისათვის საჭირო გრანტს და პრიზს საუკეთესო ესესთვის. განვითარების სამსახური აქტიურად ავრცელებს ინფორმაციას აღნიშნულ გრანტთან დაკავშირებით და უწევს დაინტერესებულ პირებს გარკვეულ კონსულტაციებს.

### *University Research and Entrepreneurial Skills Program*

განვითარების სამსახურმა 2017 წლის აპრილში წარადგინა საგრანტო განაცხადი ამერიკის საელჩოს მიერ გამოცხადებულ კონკურში, როგორც აპლიკანტი ორგანიზაცია. აღნიშნული პროექტი უკავშირდება მეწარმეობის განვითარებას (University Research and Entrepreneurial Skills Program).

პროგრამა მიზნად ისახავს ქართულ აკადემიას, მთავრობასა და კერძო სექტორს შორის კავშირების დამყარებასა და გაძლიერებას. პროექტი განხორციელდება ყველა ფაკულტეტთან და ტექნოლოგიების კომერციალიზაციის ოფისთან ერთად(TCO). პროექტის მიზანია ხელი შეუწყოს კომერციალიზაციის იდეებისა და კვლევის

ხელშეწყობას ქართველ მეცნიერებს, პროფესორებსა, მკვლევრებსა და სტუდენტებს შორის.

პროექტის პარტნიორები არიან: საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო (GITA), SDSU, SDSU-Georgia, TBC Startuper, Startup Grind by Google.

აღნიშნული პროექტი დაფინანსდა, მისი საერთო ბიუჯეტი შეადგენს 299.712 ამერიკულ დოლარს , პროგრამის ხელმძღვანელია დავით ჩეჩელაშვილი.

***აშშ-ის საელჩოს დემოკრატიის კომისიის მცირე გრანტების პროგრამა***

აშშ-ის საელჩომ საქართველოში გამოაცხადა 2018 წლის დემოკრატიის კომისიის მცირე გრანტების საკონკურსო პროგრამა. საგრანტო პროექტის ბიუჯეტი წარმოადგენს 50,000 აშშ დოლარს. საგრანტო განაცხადი მხარს უჭერს შემდეგ ინციატივებს:

- სამოქალაქო ჩართულობა
- ანგარიშვალდებული და პასუხისმგებლიანი მმართველობა
- ეკონომიკური ზრდა
- დამოუკიდებელი მედიის განვითარება უფრო ინფორმირებული და ჩართული სამოქალაქო საზოგადოებისთვის
- კანონის უზენაესობა

აღნიშნული კონკურსით დაინტერესებულია რამდენიმე პროფესორი, რომელთაც განვითარების სამსახური უწევს გარკვეულ კონსულტაციებსა და ტექნიკურ დახმარებას, საპროექტო განაცხადები მზადება წარსადგენად.

***„ფოლცვაგენის“ ფონდის და შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ერთობლივ საგრანტო კონკურსი: სტრუქტურული სადოქტორო პროგრამები***

განვითარების სამსახურისა და გიოტინგენის უნივერსიტეტის უშუალო მონაწილეობით, 2016 წელს, მომზადდა ე.წ. preparatory საგრანტო განაცხადი ფოლკსვაგენის ფონდში წარსადგენად. საპროექტო განაცხადი დაფინანსდა. საგრანტო პროექტი მიზნად ისახავდა სტრუქტურული სადოქტორო პროგრამების დაფუძნებას ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაზაზე. მოამზადა საპროექტო განაცხადის შინაარსობრივი, საბიუჯეტო და ტექნიკური

2017 წელს მომზადდა ახალი საგრანტო სრული განაცხადი გოტინგენის

უნივერსიტეტთან თანამშრომლობით „ფოლცვაგენის“ ფონდის და შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ერთობლივ საგრანტო კონკურსში სრული დაფინანსების მოსაპოვებლად. საბოლოოდ
„ფოლცვაგენის“ ფონდისგან და შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდისგან ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტმა მიიღო სრული დაფინანსება განახორციელოს ერთობლივი სტრუქტურული პროგრამები მომდევნო 4 წლის განმავლობაში. პროექტის სრული დაფინანსება ორივე ფონდისგან მოპოვებული შეადგენს 1.078.000 ევროს.

პროექტის ფარგლებში დაფუძნდა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის კარლ ფრიდრიხ ლემან- ჰაუპტის საერთაშორისო სადოქტორო სკოლა - ილიაუნის ‘საერთაშორისო სადოქტორო სკოლა’, რომელიც სხვადასხვა აკადემიურ მიმართულებებზე დოქტორანტებს შესთავაზებს საერთაშორისო სადოქტოროსტრუქტურული განათლებას. სტრუქტურირებული სადოქტორო პროგრამების კონკურსზე წარდგენილი პროექტის ფარგლებში განვითარების სამსახურმა ორგანიზება გაუწია
უნივერსიტეტში აპლიკანტთა წინასწარ შესარჩევ ეტაპს. ამ ეტაპზე მიმდინარეობს ტექნიკური საკითხების მოგვარება და აპლიკანტები ემზადებიან უცხოელ ხელმძღვანელებთან გაიარონ გასაუბრება.

ასევე აღნიშნულ საგრანტო კონკურსში მომზადდა საგრანტო განაცხადი მიუნსტერის უნივერსიტეტში, რომელიც არ დაფინანსდა.

საერთაშორისო გრანტები და შემოსავლები (დარეგისტრირებული ან/და დაფინანსებული):

2017 წელს მოვიპოვეთ 20 ახალი გრანტი, რომლის საერთო ბიუჯეტი დაახლოებით შეადგენს
7,718,465.44 ლარს. აქედან 12.08 % იყო ინსტიტუციური განვითარებისა და სერვისების გაუმჯობესებასთან დაკავშირებული გრანტები, 3.27% - კვლევითი გრანტები, 83.72% - კურიკულუმისა და აკადემიური განვითარების გრანტები, 0.93% - სხვადასხვა ხასიათის გრანტები

სტატისტიკა:

| % | | GEL |
|---|---|---|
| 12.08 | ინსტიტუციური განვითარება/ სერვისების გაუმჯობესება | 932,693.54 |
| 3.27 | კვლევითი | 252,127.20 |
| 83.72 | კურიკულუმი/აკადემიური განვითარება | 6,462,033.20 |
| 0.93 | სხვა | 71,611.50 |
| 100 | | 7,718,465.44 |

დანართის სახით გიგზავნით დეტალურ ინფორმაციას 2017 წელს დარეგიტრირებული და დაფინანსებული გრანტების შესახებ.

სხვა აქტივობები

მიმდინარე კონკურსები

ილიას უნივერსიტეტის განვითარების სამსახური მთელი წლის მანძილზე აგზავნის ინფორმაციას სხვადასხვა მიმდინარე საგრანტო და კვლევით კონკურსებთან დაკავშირებით. საერთო ჯამში განვითარების სამსახურმა დააგზავნა ინფორმაცია 20-ზე მეტ გამოცხადებული საგრანტო კონკურსის შესახებ რელევანტურ სამიზნე ჯგუფებში. ასევე განვითარების სამსახური აგზავნის სხვადასხვა სახის ღონისძიებებზე ინფორმაციას (საერთაშორისო კონფერენციები, მცირე სამოგზაურო გრანტები, ვებინარები), რომლებიც დაეხმარება უნივერსიტეტის პროფესურას იპოვოს პოტენციური პარტნიორი საგრანტო განაცხადებისა თუ კვლევებისთვის.

დეტალური ინფორმაცია იხილეთ თანდართულ დოკუმენტში.

მიმდინარე საერთაშორისო გრანტების ფინანსური და ადმინისტრაციული მონიტორინგი

მთელი წლის მანძილზე განვითარების სამსახური ჩართულია ევროკომისიის მიერ დაფინანსებული პროგრამების (ტემპუსი, ევროკომისიის მიერ დაფინანსებული პროგრამების (ტემპუსი, Erasmus+ CBHE, Horizon 2020, Jean Monnet და ა.შ.) და სხვა დონორების მიერ დაფინანსებული მიმდინარე პროექტების ფინანსურ და ადმინისტრაციულ მონიტორინგში, არეგისტრირებს საერთაშორისო გრანტებს, აწარმოებს კომუნიკაციას დონორებთან, ადგენს ფინანსურ და ნარატიულ ანგარიშს დონორის მოთხოვნების შესაბამისად.

მეცნიერების პოპულარიზაციის პროექტები

სამეცნიერო პიკნიკი

2017 წლის 30 სექტემბერს, ვაკის პარკში, თბილისის მერიის მხარდაჭერით გაიმართა ილიაუნის მეექვსე სამეცნიერო პიკნიკი, სადაც წარმოდგენილი 36 კარავი დაეთმო უნივერსიტეტებს, არასამთავრობო ორგანიზაციებს, კერძო სასწავლო დაწესებულებებს, სკოლებს, მათ შორის, საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან. წარმოდგენილი ორგანიზაციები საინტერესო ექსპერიმენტებს ჩაატარეს და წარმოადგინეს ინტერაქციული

გამოფენებინ.

ღონისძიების ფარგლებში გაიმართა სამეცნიერო პიკნიკისთვის სპეციალურად დადგმული სპექტაკლი „ყვავილების ალქიმია“. კარვებში სტუმრებს შესთავაზეს სხვადასხვა თემატიკის შემეცნებითი და გასართობი პროგრამები; სცენა დაეთმო „ექსპერიმენტორიუმს“, რომელიც სახალისო და სანახაობრივ შოუპროგრამას წარმოადგენდა. თბილისის ზოოპარკმა კვლავ უმასპინძლებს ღონისძიების მონაწილეთ. მოეწყო სამეცნიერო კაფე, სადაც ილიაუნის მეცნიერები წაიკითხეს ლექციებს საინტერესო თემებზე. პირველკურსელების მიღების ცერემონია – Welcome Party 2017 გაგრძელდა სტუდენტების დაჯილდოებით. პიკნიკის დასასრულს გაიმართა MokuMoku-სა და ჯგუფ „არას“ კონცერტი.

ილიაუნის სამეცნიერო პიკნიკი არის საქართველოში ერთ-ერთი პირველი ღონისძიება, რომელიც ღია ცის ქვეშ მეცნიერების პოპულარიზაციის მიზნით ყოველწლიურად იმართება. ღონისძიება უპირველესად განკუთვნილია სკოლის ასაკის მოზარდებისთვის, თუმცა საინტერესოა ნებისმიერი ასაკის ადამიანებისთვისაც. პიკნიკის მთავარი ამოცანაა სახალისო ფორმით წარმოაჩინოს თანამედროვე მეცნიერების მიღწევები, განსაკუთრებით – საბუნებისმეტყველო დისციპლინებში. წელს ილიაუნის სამეცნიერო ფესტივალი განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ ორგანიზებული მეცნიერებისა და ინოვაციების თბილისის ფესტივალის ფარგლებში ჩატარდა.

ილიაუნის სამეცენირო პიკნიკზე მონაწილეობა მიიღო ილიაუნის სამოცდაათამდე მოხალისე სტუდენტმა.

ფაბლაბ ილიაუნი

იდეიდან პირველ $-მდე

ფაბლაბ ილიაუნის ორგანიზებით ჩატარდა ღონისძიება იდეიდან პირველ $-მდე, რომლის მიზანიც იყო იდეის მქონე ახალგაზრდებს ფაბლაბის დახმარებით შეექმნათ სხვადასხვა სახის ბიზნეს პროდუქტები.

- მონაწილე 40 ადამიანი
- შეიქმნა 10 ბიზნეს კომპანია
- წარმატებული კომპანია 2

ღონისძიების ფარგლებში შექმნილი ბიზნესები

- კოდალა https://goo.gl/6drNai
- GaliWoods https://goo.gl/12VNVd

- ლამპიონი https://goo.gl/VKvhVE
- Shop4you https://goo.gl/Qb6exB

მეიქათონი- ჭკვიანი რობოტები

ფაბლაბ ილიაუნის ორგანიზებით ჩატარდა მეიქათონი ჭკვიანი რობოტების შექმნაზე, რომელიც 78 საათის განმავლობაში მიმდინარეობდა და მისი მიზანი იყო ყოველდღიურ ცხოვრებაში არსებული პრობლემების გადაჭრაზე ორიენტირებული ჭკვიანი რობოტების შექმნა.

- მონაწილე 60 ადამიანი
- შეიქმნა 15 ჭკვიანი რობოტი
- https://goo.gl/E1qKyY

სტარტაპები სტარტაპებისთვის

ფაბლაბ ილიაუნის ორგანიზებით მოეწყო გამოფენა გაყიდვა, რომლის მიზანიც იყო არსებული სტარტაპების პოპულარიზება და ახალი იდეების ხელშეწყობა. ფაბლაბში არსებულმა
სტარტაპებმა სურვილი გამოთქვეს თავიანთი გაყიდული პროდუქციიდან მიღებული შემოსავლის ინვესტირება მოეხდინათ ახალგაზრდა მოტივირებულ და იდეების მქონე ახალგაზრდებში.

- https://goo/gl/gnY
  Dfu

3D მოდელირების ტრეინინგი

ტექნოლოგიების განვითარებამ გაამარტივა იდეების და გამოგონებების პროტოტიპირების პროცესი. სწორედ ამიტომ, ფაბლაბ ილიაუნი რეგულარულად ატარებს 3D მოდელირების
ტრეინინგს წლის განმავლობაში 3-ჯერ. ტრეინინგის მიზანია ადამიანებს მისცეს ახალი ცოდნა და გამოცდილება, რომელიც მათ შემდგომში როგორც იდეის პროტოტიპირებაში და პროდუქტის დიზაინის შექმნაში დაეხმარება, ასევე მისცემს მათ კარიერული განვითარების საშუალებას.

- მონაწილე 45 ადამიანი
- https://goo.gl/UHZup5

2D დიზაინის ტრეინინგი

ფაბლაბ ილიაუნის ორგანიზებით წლის განმავლობაში 5-ჯერ ჩატარდა 2D დიზაინის ტრეინინგი, რისი მიზანიც იყო დაინტერესებული პირებისთვის მიგვეცა ცოდნა 2D დიზაინის შესახებ, რათა მათ მარტივად შეძლებოდათ თავიანთი იდეების გრაფიკულად გადმოცემა. ტრეინინგის შემდეგ მონაწილეების 80% იწყებს კონკრეტული პროდუქტების შექმნას.

- მონაწილე 75 ადამიანი
- https://goo.gl/NmkhyJ

მეიქათონი იდეიდან პირველ ბიზნესამდე

გლობალური მეწარმეობის კვირეულის ფარგლებში ფაბლაბ ილიაუნის და ილიაუნის ბიზნეს სკოლის ორგანიზებით ჩატარდა მეიქათონი იდეიდან პირველ ბიზნესამდე. ღონისძიების ფარგლებში ბიზნეს სკოლის პირველ და მეორე კურსელ სტუდენტებს მიეცათ საშუალება ემუშავათ ინოვაციურ და კრეატიულ იდეებზე და რაც მთავარია დაეწყოთ პირველი ბიზნესი და სწავლის პროცესში მიღებული ცოდნა პრაქტიკაში გამოეცადათ. დღეისათვის, მიმდინარეობს აღნიშნულ გუნდებთან ინტენსიური მუშაობა.

- მონაწილე 60 ადამიანი
- შეიქმნა 10 ბიზნესი
- https://goo.gl/QRQzJk

სტატისტიკა

ფაბლაბ ილიაუნიში 2017 წლის განმავლობაში მოხდა 100-ზე მეტი სტარტაპის ფორმირება და ხელშეწყობა. აქედან, 80% იყო დაბალ ტექნოლოგიური სტარტაპი, ხოლო 20% მაღალ ტექნოლოგიური.

Mood



მუდი შედარებით ახალი სტარტაპია, რომელიც როგორც საქართველოში ასევე მის

ფარგლებს გარეთაც არის წარმოდგენილი. 5 თვეა რაც აღნიშნული სტარტაპი შეიქმნა და უკვე ისეთ პლატფორმაზეა წარმოდგენილი, როგორც არის Etsy.com .

- https://goo.gl/Hanbx7

Handy



Handy პირველი ხის საათების მწარმოებელი სტარტაპ კომპანიაა საქართველოში. ამჟამად კომპანიას აქვს საკუთარი საწარმო, ხოლო პროდუქტის რეალიზებას ახდენენ, როგორც საქართველოში, ასევე ჩვენს მეზობელ ქვეყნებში.

- https://goo.gl/dxHpcN

ეკო-დეკო



ეკო-დეკო ფაბლაბ იდეიდან პირველ დოლარამდე პროექტის ფარგლებში შექმნილი სტარტაპია. ეკო-დეკო ხის ნატურალურ და ეკოლოგიურად სუფთა საბავშვო პროდუქტს სთავაზობს ქართველ მომხმარებელს.

- https://goo.gl/RaCZ5q

Looper

ლუპერი არის ტექნოლოგიური პროდუქტი- აპარატი, რომელსაც შეუძლია გადაიღოს გიფები და ქუბები. აღნიშნული სტარტაპის მიზანია სხვადასხვა ღონისძიება უფრო მეტად დასამახსოვრებელი გახადოს.

- https://goo.gl/dVU7FM

Seedbury

Seedbury არის პორტაბელური ჰიდროფონიკული სათბური, რომლის დახმარებითაც თქვენ შეგიძლიათ მოიყვანოთ თქვენთვის სასურველი ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტი.

- https://goo.gl/pt6JL2

პრეაქსელერატორი Zoomout Pre-Accelerator

ილიაუნის პრეაქსელერატორის გუნდებმა მიიღეს ტექნო პარკის მიერ ორგანიზებულ დემო დღეზე მონაწილეობა, სადაც გამარჯვებული Rahab Glove გახდა და მიიღო 5,000 ლარიანი დაფინანსება. დამატებითი ინფორმაციის სანახავად ეწვიეთ: https://goo.gl/XwtBtZ

ილიაუნის თეატრში შეხვედრა გაიმართა Google-ის პროგრამულ ინჟინერთან ადამ დინგლთან, რომელმაც ისაუბრა პროექტზე Google for Entrepreneurs შესახებ. დამატებითი ინფორმაციის სანახავად ეწვიეთ: https://goo.gl/B3Mjub

Startup Wolves Summit-ზე 1500 აპლიკაციიდან აარჩიეს საუკეთესო 350 სტარტაპი, სადაც ორი პრე- აქსელერატორის გუნდი მოხვდა PAPU-ს და Rehab Glove. აღნიშნულ სამიტზე ჩართული იყო 30 ქვეყანაზე მეტი. დამატებითი ინფორმაციის სანახავად ეწვიეთ: https://goo.gl/jnZzfA

ევრაზია მობაილ ჩელენჯის ტოპ 10 - ბარსელონაში ჩატარდა ევრაზია მობაილ ჩელენჯი, სადაც მონაწილეობას 2900 სტარტაპიდან შერჩეული 30 სტარტაპი იღებდა. აღნიშნულ ღონისძიებაში Rehab Glove ტოპ 10 სტარტაპში შევიდა. დამატებითი ინფორმაციის სანახავად ეწვიეთ: https://goo.gl/uRFQvK

ზუმაუტის ორგანზიებით 2017 წელს ჩატარდა Weekend Accelerator: https://goo.gl/BoKT9U

პრე-აქსელერატორის გუნდებს შეხვდა ომერ ჰიზოროღლუ, რომელიც Diffusion Capital Partners-ის გენერალური პარტნიორია. აღნიშნულ ღონისძიებაზე ზუმაუტში არსებულმა სტარტაპებმა წარადგინეს თავიანთი სტარტაპ იდეები ინვესტორთან. დამატებითი ინფორმაციის სანახავად ეწვიეთ: https://goo.gl/PkPV6h

Microsoft Regional Imagine Cup-ის პროგრამის ფარგლებში საქართველოში ჩატარდა კონკურსი, სადაც პრე-აქსელერატორ Zoomout-დან 4 გუნდი იღებდა მონაწილეობას. Imagine Cup-ის გამარჯვებული გახდა Rehab Glove.
დამატებითი ინფორმაციისთვის ეწვიეთ ბმულს:
https://goo.gl/TXRgZ1

Rehab Glove სიდ ფორუმის გამარჯვებული გახდა და ის გაემგზავრა უკრაინაში უკრაინელ ინვესტორებთან შესახვედრად. დამატებითი ინფორმაციისთვის ეწვიეთ ბმულს: https://goo.gl/pgB7yV

abitour- ბიზნეს იდეების სასტიპენდიო ღონისძიება, რომელიც ილიაუნის ბიზნეს სკოლის ორგანიზებით ჩატარდა. აღნიშნულ ღონისძიებაში პრე-აქსელერატორის მენტორებმა გუნდებს ჩაუტარეს ტრეინინგები: კრეატიულ აზროვნებაზე, ბიზნეს მოდელის ფორმირებაზე, ფასეულობათა განაცხადზე. დამატებითი ინფორმაციისთვის ეწვიეთ ბმულს: https://goo.gl/htVCC3

სტარტაპ ქეისის მიზანია მეწარმეობით დაინტერესებულ პირებს მისცეს ცოდნა, თუ რა პრობლემები ხვდება სტარტაპებს განვითარების თითოეულ ეტაპზე. ღონისძიების ფარგლებში მოწვეული იყო ქართული სტარტაპები, რომლებსაც თავიანთი პროდუქტები უკვე აქვთ ბაზარზე წარმოდგენილი. დამატებითი ინფორმაციისთვის ეწვიეთ ბმულს: https://goo.gl/1M7py6

Rehab Glove Seedstar Winner

Rehab Glove სიდ სტარის გამარჯვებული გახდა და ის გაემგზავრება შვეიცარიაში ინვესტორებთან შესახვედრად. დამატებითი ინფორმაციისთვის ეწვიეთ ბმულს:
https://goo.gl/h5tgfz

Hackathon ციფრული ტურიზმი

გლობალური მეწარმეობის კვირეულის ფარგლებში ჩატარდა ჰაკათონი თემაზე- ,,ციფრული ტურიზმი“. ჰაკათონის მიზანია ქვეყანაში შეიქმნას ტურიზმის მიმართულებით ციფრული პროდუქტები, რომლებიც ხელს შეუწყობს ტურიზმის განვითარებას.

შეხვედრა ქალ მეწარმეებთან

გლობალური მეწარმეობის კვირეულის ფარგლებში ჩატარდა ქალ მეწარმეებთან შეხვედრა, სადაც მოწვეულები იყვნენ ქართველი მეწარმე ქალები: ბაია აბულაძე, ნინო ზამბახიძე, ნინო სხირტლაძე, ტუსა ღარიბაშვილი, ელენე ბერიძე, მეგი ტლაშაძე.
მოწვეულმა სპიკერებმა ისაუბრეს მეწარმეობის მნიშვნელობაზე და არსებულ გამოწვევებზე. დამატებითი ინფორმაციისთვის ეწვიეთ ბმულს:
https://goo.gl/CrGmRw

შეხვედრა სტარტაპებთან

Cnick, Wifisher, VRex, Holo

გლობალური მეწარმეობის კვირეულის ფარგლებში ჩატარდა შეხვედრა ქართულ სტარტაპებთან, სადაც საქართველოში არსებული წარმატებული სტარტაპები იყვნენ წარმოდგენილნი. აღნიშნულმა სტარტაპებმა ისაუბრეს სტარტაპის განვიტარების სხვადასხვა ეტაპებზე.

დამატებითი ინფორმაციისთვის ეწვიეთ ბმულს: https://goo.gl/CrGmRw

ბიზნეს იდეების კონკურსი

გლობალური მეწარმეობის კვირეულის ფარგლებში ბიზნესის სკოლის საბაკალავრო საფეხურის სტუდენტებისთვის ჩატარდა ბიზნეს იდეების კონკურსი. გამოვლინდა 8 გამარჯვებული სტარტაპი, რომლებიც 2018 წლის გაზაფხულში სრული დაფინანსებით გაემგზავრებიან ჩეხეთსა და პორტუგალიაში, სადაც გაივლიან 1 კვირიან ინტენსიურ ტრეინინგს, რომელიც მათ სტარტაპ იდეის დახვეწაში დაეხმარებათ.

დამატებითი ინფორმაციისთვის ეწვიეთ ბმულს: https://goo.gl/1EXfw4

# საგარეო ურთიერთობების სამსახური

1. გაცვლითი პროგრამები

ერაზმუს +

ერაზმუს + გაცვლით პროგრამაში ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი 2015 წლიდან არის ჩართული. ევროკომისიის მიერ დაფინანსებული გაცვლითი პროგრამა (Erasmus + Key Action 107), გულისხმობს ინდივიდუალურ მობილობებს პარტნიორ უნივერსიტეტებს შორის. Erasmus + მობილობის პროგრამის ფარგლებში ხორციელდება როგორც სტუდენტთა, ისე პერსონალის მობილობა.

a. პარტნიორი უნივერსიტეტები

2017 წელს ერაზმუს + მობილობის პროექტების კონკურსის შედეგად დაფინანსდა გაცვლის შესაძლებლობა ევროპის 23 ქვეყნის 47 უნივერსიტეტთან. ამას გარდა, გრძელდება თანამშრომლობა წინა წლებში დაფინანსებული პროექტების ფარგლებში დამატებით 10 უნივერსიტეტთან.

2017-2018 სასწავლო წლიდან ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი ორმხრივ გაცვლებს განახორციელებს შემდეგ ევროპულ უნივერსიტეტებთან:

| | | |
|---|---|---|
| 1 | Austria | Fachhochschule Burgenland |
| 2 | Austria | Universität Salzburg |
| 3 | Austria | Alpen-Adria University of Klagenfurt |
| 4 | Belgium | Université catholique de Louvain |
| 5 | Croatia | Baltazar Zaprešić University of Applied Sciences |
| 6 | Denmark | University College UCC |
| 7 | Estonia | Tallinn University |
| 8 | Finland | University of Turku |
| 9 | Finland | University of Tampere |

| | | |
|---|---|---|
| 10 | France | Université Paris-Est Créteil UPEC |
| 11 | France | Sciences Po, or Paris Institute of Political Studies |
| 12 | France | Université Paris Diderot - Paris 7 |
| 13 | Germany | University of Tübingen |
| 14 | Germany | University of Goettingen |
| 15 | Germany | Jena University |
| 16 | Germany | TU Braunschweig |
| 17 | Germany | Humboldt University of Berlin |
| 18 | Germany | University of Siegen |
| 19 | Greece | Aristotle University of Thessaloniki |
| 20 | Hungary | Kodolanyi Janos University of Applied Sciences |
| 21 | Hungary | Central European University |
| 22 | Ireland | Dublin City University |
| 23 | Ireland | Mary Immaculate College (MIC) |
| 24 | Ireland | University of Limerick |
| 25 | Italy | University of Tuscia |
| 26 | Lithuania | Vytautas Magnus University |
| 27 | Lithuania | Kaunas University of Technology |
| 28 | Lithuania | Vilnius University of Applied Sciences |
| 29 | Lithuania | Vilnius College of Technology and Design |
| 30 | Lithuania | LCC International University |
| 31 | Litva | Mykolas Romeris University |
| 32 | Malta | University of Malta |
| 33 | Netherlands | Groningen University |
| 34 | Netherlands | Saxion University of Applied Sciences |
| 35 | Netherlands | Amsterdam University of Applied Sciences |
| 36 | Poland | Nicolaus Copernicus University |
| 37 | Poland | Warsaw University of Life Sciences |
| 38 | Poland | Warsaw School of Economics |
| 39 | Poland | Zielona Góra University, Faculty of Physics and Astronomy |
| 40 | Poland | SWPS University of Social Sciences and Humanities |
| 41 | Poland | University of Silesia in Katowice |
| 42 | Portugal | Instituto Superior Técnico |
| 43 | Portugal | University of Aveiro |
| 44 | Romania | Alexandru Ioan Cuza University of Iasi |
| 45 | Romania | Babes-Bolyai University |
| 46 | Spain | Valladolid University |
| 47 | Spain | Universitat de Girona |
| 48 | Spain | Universidad de Cádiz |
| 49 | Spain | University of Castilla La Mancha |
| 50 | Spain | Polytechnic University of Valencia |

| | | |
|---|---|---|
| 51 | Spain | Universitat Autónoma de Barcelona |
| 52 | Sweden | Uppsala University |
| 53 | Sweden | Linnaeus University |
| 54 | Turkey | Cumhuriyet University |
| 55 | UK | Cardiff University School of Medicine |
| 56 | UK | Middlesex University |
| 57 | UK | University of Glasgow |

b. სტატისტიკა

2015 წელს დაფინანსებული გაცვლების განხორციელება დაიწყო 2015-2016 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრიდან. 2017 წელს სულ განხორციელდა 228 მობილობა, ამათგან 97 არის სამივე საფეხურის სტუდენტი, ხოლო 131 - აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალი.

| OUTGOING | Spring Semester 2015/2016 | Autumn Semester 2016/2017 | Spring Semester 2016/2017 | Autumn Semester 2017/2018 | Total |
|---|---|---|---|---|---|
| Bachelor | 17 | 28 | 17 | 21 | **83** |
| Master | 10 | 21 | 21 | 36 | **88** |
| Doctorate | 3 | 5 | 1 | 1 | **10** |
| Academic Staff | 9 | 18 | 32 | 45 | **104** |
| Administrative Staff | 6 | 12 | 20 | 34 | **72** |
| **Total** | **45** | **84** | **91** | **137** | **357** |
| **Total Students** | **30** | **54** | **39** | **58** | **181** |
| **Total Staff** | **15** | **30** | **52** | **79** | **176** |

2017 წელს სულ ვუმასპინძლეთ 44 საერთაშორისო სტუდენტს და პერსონალს, ამათგან 15 არის სამივე საფეხურის სტუდენტი, ხოლო 29 - აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალი.

| INCOMING | Spring Semester 2015/2016 | Autumn Semester 2016/2017 | Spring Semester 2016/2017 | Autumn Semester 2017/2018 | Total |
|---|---|---|---|---|---|
| Bachelor | | 1 | 1 | | **2** |
| Master | 1 | | 5 | 5 | **11** |
| Doctorate | | | 3 | 1 | **4** |
| Academic Staff | | 4 | 11 | 9 | **24** |
| Administrative Staff | 2 | 1 | 7 | 2 | **12** |
| **Total** | **3** | **6** | **27** | **17** | **53** |
| **Total Students** | **1** | **1** | **9** | **6** | **17** |
| **Total Staff** | **2** | **5** | **18** | **11** | **36** |

c. რეგულარული აქტივობები

ერაზმუს + გაცვლითი პროგრამის ადმინისტრირებისთვის განხორციელებული აქტივობები:

- საკონკურსო პაკეტის მომზადება და კონკურსის გამოცხადება - დეტალური ინფორმაცია კონკურსის პირობების, შემოთავაზებული მობილობის ტიპებისა და ვადების შესახებ პერიოდულად ქვეყნდება უნივერსიტეტის ვებგვერდზე და ვრცელდება ილიაუნის ელექტრონული ფოსტისა და არგუსის საშუალებით;
- შერჩევის პროცედურის ორგანიზება - აპლიკანტების განაცხადების მიღება, შეფასება და ინტერვიუების ორგანიზება, კანდიდატების ნომინირება პარტნიორი უნივერსიტეტის მიერ საბოლოო შერჩევისთვის
- ერაზმუს + მობილობების განხორციელების მიზნით სტუდენტთა და პერსონალის შესარჩევი კონკურსები გაიმართა ეტაპობრივად, შემოდგომისა და გაზაფხულის სემესტრებში. 2017 წლის გაზაფხულზე დაგეგმილი მობილობებისთვის კონკურსი ჩატარდა 2016 წლის შემოდგომის სემესტრში, 2017 წლის შემოდგომის სემესტრში დაგეგმილი მობილობებისთვის - 2017 წლის გაზაფხულზე. ამჟამად სრულდება შერჩევა 2018 წლის გაზაფხულზე დაგეგმილი მობილობებისთვის. 2018 წლის გაზაფხულზე განხორციელდება შერჩევა 2018 წლის შემოდგომის სემესტრისთვის;
- რეგულარული საინფორმაციო შეხვედრები (12 შეხვედრა 2017 წელს) პოტენციური აპლიკანტებისთვის (ყველა აკადემიური საფეხურის სტუდენტები, თანამშრომლები), რიგ შემთხვევებში ევროპელი პარტნიორების მონაწილეობით
- პოტენციური აპლიკანტების კონსულტირება პირადი შეხვდრების, ელექტრონული და სატელეფონო კომუნიკაციის მეშვეობით
- ყველა აპლიკანტი სტუდენტის სასწავლო ხელშეკრულების შეთანხმება შესაბამის ფაკულტეტთან და დეკანის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტის მომზადება
- ევროპელი სტუდენტებისა და აკადემიური/ადმინისტრაციული პერსონალის მობილობის ორგანიზება-ხელშეწყობა - ინდივიდუალური კონსულტაციები; სასწავლო ხელშეკრულებების მომზადება; ჩარიცხვის პროცედურების წარმართვა; განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრთან თანამშრომლობა;

უცხოელი პერსონალისათვის შესაბამისი მასპინძლის მოძიება და აქტივობების დაგეგმვა

- სტუდენტების ინფორმირება უნივერსიტეტში დადგენილი გაცვლითი სტუდენტის ადმინისტრირების წესის შესახებ
- ფაკულტეტების ინფორმირება შერჩეული სტუდენტების შესახებ, რათა არ შეფერხდეს მათთვის სტატუსის ცვლილების პროცედურები
- შერჩეული სტუდენტებისთვის გამგზავრების წინა საორიენტაციო შეხვედრის ორგანიზება
- საერთაშორისო სტუდენტებისთვის საორიენტაციო შეხვედრის ორგანიზება
- დოკუმენტის „გაცვლითი პროგრამის ადმინისტრირების წესები და პროცედურები“ მომზადება
- ონლაინ სააპლიკაციო ფორმის მომზადება სტუდენტებისთვის და პერსონალისთვის
- საერთაშორისო პარტნიორების მოძიება და მათთან თანამშრომლობის გაფორმება
- პარტნიორ უნივერსიტეტებთან კომუნიკაცია, ანგარიშების მომზადება

d. გამგზავრების წინა საორიენტაციო შეხვედრა

2017 წელს ჩატარდა 2 საორიენტაციო შეხვედრა შერჩეული აპლიკანტებისთვის - 7 თებერვალს და 14 ივლისს. შეხვედრები მიზნად ისახავდა გამარჯვებული სტიპენდიანტებისთვის სხვადასხვა სახის გამოცდილებისა და პრაქტიკული რჩევების გაზიარებას. ორივე შეხვედრას ესწრებოდნენ Erasmus+ საქართველოს ეროვნული ოფისის წარმომადგენლები, ილიაუნის საერთაშორისო კლუბის წევრები და პროგრამის Erasmus Mundus კურსდამთავრებულები,

რომლებმაც გამარჯვებულ აპლიკანტებს გაუზიარეს ინფორმაცია სხვადასხვა ქვეყნისა და უნივერსიტეტის შესახებ.

e. საორიენტაციო შეხვედრა საერთაშორისო სტუდენტებთან

2017 წელს ჩატარდა 2 საორიენტაციო შეხვედრა საერთაშორისო სტუდენტებისთვის - 15 მარტს და 2 ოქტომბერს. შეხვედრის ფარგლებში ჩატარდა რამდენიმე პრეზენტაცია უნივერსიტეტისა და საუნივერსიტეტო სივრცეში სტუდენტებისთვის არსებული სხვადასხვა რესურსების შესახებ. შეხვედრის ფარგლებში მოხდა სტუდენტების ინფორმირება ქვეყნის, ქართული კულტურისა და სხვადასხვა ყოველდღიური პრაქტიკული საკითხების შესახებ.

შეხვედრის შემდეგ, მოეწყო ექსკურსია უნივერსიტეტში და ძველი თბილისის

ტერიტორიაზე. სტუდენტების გაცვლა სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტთან

2017 წლის შემოდგომის სემესტრში განხორციელდა სტუდენტთა გაცვლა ილიაუნისა და სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ამერიკის კამპუსს შორის. 1 ქართველი სტუდენტი გაემგზავრა აშშ-ში. განახლებული შეთანხმების თანახმად, სტუდენტისთვის გამოყოფილია ერთჯერადი სტიპენდია 2500 დოლარის ოდენობით.

*HUMERIA შემაჯამებელი კონფერენცია*

2017 წლის 1 ივნისს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტმა უმასპინძლა ერაზმუს მუნდუსის პროექტის HUMERIA შემაჯამებელ კონფერენციას. კონფერენციის მიზანი იყო პროექტის ფარგლებში განხორციელებული აქტივობების შეფასება და შეჯამება, ისევე როგორც პარტნიორებს შორის სამომავლო თანამშრომლომლობის შესაძლებლობების ინიცირება. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი პროექტში ჩართული იყო თანაკოორდინატორის სტატუსით.

*2. უცხოელ სტუდენტთა მოზიდვის აქტივობები*

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში საერთაშორისო სტუდენტების რაოდენობის გაზრდის მიზნით დაიგეგმა და განხორციელდა შემდეგი აქტივობები:

1. 2017 წლის იანვრიდან აგვისტომდე, შემოდგომის სემესტრისთვის სამსახურმა მოიზიდა 11 სტუდენტი ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებზე. გარდა ამისა, ჩაირიცხა 10 სტუდენტი, რომლებმაც სავიზო პროცედურების გამო, ვერ შეძლეს შემოდგომის სემესტრზე დასწრება.
2. 2017 წლის აგვისტოდან დეკემბრამდე სამსახურმა მიიღო 17 აპლიკანტის აპლიკაცია, აქედან 7 აპლიკანტის ჩარიცხვა დასრულების პროცესშია, დამატებით 2 აპლიკანტს დაწყებული აქვს სავიზო პროცედურები.
3. 2017 წლის აპრილში, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საგარეო ურთიერთობების სამსახური წარმოდგენილი იყო პროგამების მარკეტინგის მიზნით დუბაის საერთაშორისო საგანმანათლებლო გამოფენაზე განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროექტ Study in Georgia-ს ფარგლებში. გამოფენის ფარგლებში სულ Study in Georgia-ს ბაზაში დარეგისტრირდა 414 სტუდენტობის მსურველი. ილიას სახ. უნივერსიტეტის მიერ შეთავაზებული პროგრამებისთვის რელევანტური სტუდენტების რაოდენობა ბიზნესის მიმართულებით იყო 88. ამავე გამოფენაზე მოხდა კომპიუტერული ინჟინერიის პროგრამით დაინტერესების გაზომვა, რომელიც სასარგებლო და საჭირო ინფორმაცია იყო პროგრამის აკრედიტაციის პროცესში (გთხ. იხილოთ დანართი 1: Dubai Education Fair – report)
4. 2017 წლის იანვრიდან 2017 წლის დეკემბრამდე, უნივერსიტეტის ბიზნესის

ადმინისტრირების საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამები განთავსებული იყო Keystone Academic Solutions საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების პლათფორმებზე. პროგრამების შესახებ ინფორმაცია გამოითხოვა 701 აპლიკანტმა (გთხ. იხილოთ დანართი 1: Keystone academic solutions – report 2). აღნიშნულ აპლიკანტებთან მიმდინარეობს პირდაპირი კომუნიკაცია ელ. ფოსტისა, სკაიპისა და ტელეფონის მეშვეობით. რეპორტის მიხედვით გასათვალისწინებელია აპლიკანტების მიერ მითითებული ჩარიცხვის პერიოდის გაზომვა (0-6 თვემდე, 6-12 თვემდე და ა.შ).

5. 2017 წლის ივნისიდან - აგვისტომდე, უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო და სამაგისტრო, კომპიუტერული ინჟინერიისა და Pathway-ს პროგრამები განთავსებული იყო Study Portals -ის პლათფორმებზე. (გთხ. იხილოთ დანართი 2: Study Portals – report 3).
6. 2017 ნოემბრიდან, უნივერსიტეტმა გაახლა Study Portals -ის პლათფორმებზე პროგრამები: ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამა. ასევე განთავსდა კომპიუტერული ინჟინერიისა და მედიცინის პროგრამები დაინტერესებული აპლიკანტების დინამიკის შესამოწმებლად (გთხ. იხილოთ დანართი 3: Study Portals – report 4).
7. 2017 წელს, საგარეო ურთიერთობების სამსახურმა სტუდენტების მიღების პროცედურები ბიუროკრატიულად გაამარტივა. დახვეწა აპლიკაციის პროცესი, კერძოდ კი დაიწყო აპლიკაციების მიღება ონლაინ რეჟიმში.
8. საერთაშორისო სტუდენტებისთვის პროგრამაზე ჩარიცხვის ხელმისაწვდომობის მიზნით, სამსახურმა შეიმუშავა ინგლისურენოვანი ტესტის ონლაინ ვერსია ბიზნესის სკოლასთან თანამშრომლობით, რამაც ხელი შეუწყო იმ სტუდენტების პროგრამებზე ჩარიცხვას, რომლებსაც არ ქონდათ შესაბამისი სერტიფიკატი, თუმცა ქონდათ ინგლისური ენის ცოდნა.
9. მიმდინარე წელს მოხდა საერთაშორისო სტუდენტების ვებ-გვერდის დახვეწა და სარეკლამო მასალების შემუშავება.
10. ფეისბუქით მოხდა პროგრამების რეკლამირება მიზნობრივ ქვეყნებში (გთხ. იხ. დანართი 5: FB რეკლამა - რეპორტი)
11. 2017 წელს სამსახურმა კომპიუტერული ინჟინერიისა და გენეტიკის აკრედიტაციის პროცესში, დახმარება გაუწია სამუშაო ჯგუფს ბაზრის შესწავლისა და პროგრამის ამოქმედების საჭიროების დასტურების მიმართულებით.
12. სამსახური სამსახური აქტიურად ჩართულია მედიცინის საგანმანათლებლო პროგრამის მომზადების პროცესში.

3. ერთობლივი პროგრამების განვითარება

ერთობლივი პროგრამა ბიზნესის ფაკულტეტზე ბურგენლანდის გამოყენებითი მეცნიერებების უნივერსიტეტთან

2017 წელს დასრულდა მოლაპარაკება ბურგენლანდის გამოყენებითი მეცნიერებების უნივერსიტეტთან (ავსტრია) ორმაგი დიპლომის გაცემასთან დაკავშირებით. 2017-2018 სასწავლო წლიდან ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ინგლისურენოვანი ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებს საშუალება ეძლევათ, დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესრულების შემთხვევაში, 1 სემესტრი გაატარონ ბურგენლანდის გამოყენებითი მეცნიერებების უნივერსიტეტში (ავსტრია) და სწავლის დასრულების შემდეგ მიიღონ დიპლომი და კვალიფიკაცია ორივე უნივერსიტეტისგან. თანამშრომლობის ფარგლებში სტუდენტები მიიღებენ ორმაგ კვალიფიკაციას და შესაბამისად, ორ დიპლომს:

- “Master of Business Administration” - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტისგან
- "Master of Arts in International Business” - ბურგენლანდის გამოყენებითი მეცნიერებების უნივერსიტეტისგან

*ერთობლივი პროგრამა ატმოსფერული ფიზიკის მიმართულებით*

2017 წელს ხელი მოეწერა შეთანხმებას ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტს, კლერმონის უნივერსიტეტს (საფრანგეთი), მაინცის უნივერსიტეტს (გერმანია) და ვაიომინგის უნივერსიტეტს (აშშ) შორის ერთობლივი სამაგისტრო პროგრამის დაგეგმვა-განხორციელებასთან დაკავშირებით. შესაბამისი ფაკულტეტი მუშაობს ატმოსფერული ფიზიკის ინგლისურენოვანი პროგრამის აკრედიტაციის საკითხზე, რის შემდეგაც შევძლებთ პროგრამაზე სტუდენტების მიღებას.

ერთობლივი სამაგისტრო პროგრამა აღმოსავლეთ ევროპის, რუსეთისა და კავკასიის კვლევებში (CEERES)

2017 წელს დაფინანსდა ერაზმუს + ერთობლივი სამაგისტრო პროგრამა აღმოსავლეთ ევროპის, რუსეთისა და კავკასიის კვლევებში (CEERES).

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი პირველი ქართული უნივერსიტეტია, რომელმაც Erasmus+ პროგრამის ფარგლებში სრული პარტნიორის სტატუსი და ხარისხის მინიჭების უფლება მოიპოვა. ილიაუნის აკადემიურ ხარისხთან ერთად პროგრამის სტუდენტები მიიღებენ გლაზგოს უნივერსიტეტის (დიდი ბრიტანეთი) და ტარტუს უნივერსიტეტის (ესტონეთი) დიპლომებს.

ევროპის პოლიტიკა და საზოგადოება: ვაცლავ ჰაველის სახელობის ერთობლივი სამაგისტრო პროგრამა – European Politics and Society: Vaclav Havel Joint Master Programme

2017 წელს ასევე დაფინანსდა ერაზმუს + ერთობლივი სამაგისტრო პროგრამა, რომლის ფარგლებშიც ილიაუნი ასოცირებული პარტნიორია. პროგრამის კოორდინატორია ჩარლზის უნივერსიტეტი (ჩეხეთი), ხოლო სრული პარტნიორები არიან: ლაიდენის

უნივერსიტეტი (ჰოლანდია), იაგელონიის უნივერსიტეტი (პოლონეთი) და პომპეუ ფაბრას უნივერსიტეტი (ესპანეთი).

*ერთობლივი სადოქტორო პროგრამები გიოტინგენის უნივერსიტეტთან*

მიმდინარეობს მუშაობა გიოტინგენის უნივერსიტეტთან სადოქტორო დონეზე თანამშრომლობის ხელშეწყობისა და ინდივიდუალური კოტუტელების მომზადების კუთხით. ფოლკსვაგენის ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში შერჩეული დოქტორანტებისთვის მზადდება ჩარჩო ხელშეკრულება და ინდივიდუალური შეთანხმებები ერთობლივ სუპერვიზიასა და ორმაგი დიპლომის მინიჭებასთან დაკავშირებით.

4. 2017 წელს გაფორმებული თანამშრომლობის ხელშეკრულებები

1. ბრემენის უნივერსიტეტი, გერმანია
2. პოლონეთის მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკის ინსტიტუტი, პოლონეთი
3. ტოკიოს მეტროპოლიტენ უნივერსიტეტი, იაპონია
4. კაზიმირას სიმონავიჩიუსის უნივერსიტეტი, ლიტვა
5. პეკინის ტექნოლოგიური ინსტიტუტი, ჩინეთი
6. CEPS-ბიზნესის სასწავლო ცენტრი, ბოსნია და ჰერცეგოვინა
7. აზიისა და პასიფიკის უნივერსიტეტი, ფილიპინები
8. ვურცბურგის უნივერსიტეტი, გერმანია
9. LCC საერთაშორისო უნივერსიტეტი, ლიტვა
10. ციტაუ გორლიცის გამოყენებითი მეცნიერებების უნივერსიტეტი, გერმანია
11. იაგელონიის უნივერსიტეტი, პოლონეთი
12. ჩეხეთის სიცოცხლის შემსწავლელ მეცნიერებათა უნივერსიტეტი, ჩეხეთი
13. ბოხუმის უნივერსიტეტი, გერმანია
14. წეროს დაცვის გერმანული საზოგადოება, გერმანია
15. სორბონის უნივერსიტეტი, საფრანგეთი
16. ჰანკუკის უცხო ენათა უნივერსიტეტი, კორეა
17. ერევნის უნივერსიტეტი, სომხეთი
18. დიდროს უნივერსიტეტი, საფრანგეთი
19. ბლუფილდის შტატის კოლეჯი, აშშ
20. სპარსეთის ყურის უნივერსიტეტი, ირანი
21. გდანსკის მუსიკის აკადემია, პოლონეთი
22. პოლ ვალერის უნივერსიტეტი - მონპელიე 3, საფრანგეთი
23. კლაგენფურტის უნივერსიტეტი, ავსტრია
24. მერსერის უნივერსიტეტი, აშშ
25. CCNET - Conservation Coaches Network Europe, გერმანია

5. საერთაშორისო პროექტები

1. ტემპუსის პროექტი - PICASA

2017 წელს დასრულდა ტემპუსის პროექტი PICASA, რომლის ფარგლებში მომზადდა უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის სტრატეგიული განვითარების დოკუმენტის სამუშაო ვერსია. ამასთანავე, პროექტის ფარგლებში განხორციელდა ორი სამაგისტრო პროგრამის ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობის აქტივობები, რაც მოიცავს პროგრამების პოტენციალის შეფასებას, საჭირო დოკუმენტაციისა და რეკომენდაციების შემუშავებას და ა.შ. პროექტის ფარგლებში შემუშავდა ინტერნაციონალიზაციის სტრატეგიის შემუშავების გზამკვლევი, რომელიც მიმდინარე წელს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ ითარგმნა ქართულ ენაზე. 2017 წლის აპრილში ჩატარდა პროექტის საბოლოო სამუშაო შეხვედრა კიევში და შემდგომ მომზადდა პროექტის საბოლოო ანგარიში.

2. ერაზმუს + ინსტიტუციური განვითარების პროექტი - PAWER

2017 წლიდან საგარეო ურთიერთობების სამსახური ჩართულია ერაზმუს + ინსტიტუციური განვითარების პროექტში PAWER. პროექტის მიზანია, ხელი შეუწყოს ინტერრეგიონალურ თანამშრომლობას საგანმანათლებლო სისტემაში ერთობლივი მიდგომების დანერგვისა და განვითარების საშუალებით. გარდა ამისა, პროექტი უზრუნველყოფს 4 სხვადასხვა რეგიონის, 8 ქვეყნის 23 პარტნიორი უნივერსიტის მოდერნიზაციასა და ინტერნაციონალიზაციას. პროექტის კონკრეტულ მიზნებს წარმოადგენს: კრედიტების სისტემის შესწავლა პარტნიორ ქვეყნებში, 111 სტაფის შესაძლებლობების გაუმჯობესებას აკადემიური კურსების დაგეგმვის, მიწოდების და შეფასების მიმართულებით ევროკავშირის ქვეყნებში 1 კვირიანი ტრენინგების ჩატარების საშუალებით, კრედიტების მინიჭების, სწავლის შედეგებისა და კომპონენტების ერთობლივი მეთოდოლოგიის შემუშავება-შედარებას ქვეყნების გამოცდილების მიხედვით, კრედიტების აღიარებისა და შეფასების გადატანის მიდგომების განვითარება-დაკვირვებას ევროპულ უნივერსიტეტებთან ორმხრივი ხელშეკრულებების გაფორმების საფუძველზე, კრედიტ მობილობის პროგრამისა და ინტერ-ინსტიტუციური თანამშრომლობის პროექტების განხორციელებით. გარდა ამისა, შესაბამისი დისემინაციის სტრატეგიებისა და ტექნიკების შემუშავებას და მიღებას. პროექტის კოორდინატორია ლ'აკვილას უნივერსიტეტი (იტალია). პროექტის ფარგლებში 2017 წლის ჩატარდა ტრენინგები საერთაშორისო მობილობაში ჩართული თანამშრომლებისთვის, რომლებშიც მონაწილეობა მიიღო სამსახურის ყველა თანამშრომელმა.

# სამეცნიერო კვლევების კოორდინაციის სამსახური

2017 წლის ანგარიში

აღნიშნული სამსახური ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში შეიქმნა 2017 წლის იანვარს და წლის განმავლობაში განახორციელა შემდეგი აქტივობები:

- სამეცნიერო კვლევების კოორდინაციის სამსახურის ორგანიზებით 2017 წლის 11 დეკემბრიდან 18 დეკემბრის ჩათვლით ჩატარდა უნივერსიტეტის სამეცნიერო კვირეული, სადაც სამეცნიერო კვლევით პროექტებს წარადგენენ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მკვლევრები. სულ 23 სამეცნიერო- კვლევითი პროექტის პრეზენტაცია გაიმართა. ჩატარებული ლექციების ვიდეო ჩანაწერი განთავსა უნივერსიტეტის ვებ გვერდზე.
- სამსახურის თანამშრომლების მიერ მოხდა ასტროფიზიკული ობსერვატორიის ვებ-გვერდის განახლება (http://observatory.iliauni.edu.ge/en/) და დაიგეგმა სხვა უნივერსიტეტის სამეცნიერო კვლევითი ერთეულებისთვის ვებ-გვერდის შექმნა. ამჯამამდ მიმდინარეობს ბოტანიკის ინსტიტუტის ჰერბარიუმის მასალების შესაბამისი სტანდარტით დამუშავება.
- დაწყებულია უნივერსიტეტის სამეცნიერო კვლევითი პორტფოლიოზე მუშაობა და საერთაშორისო სამეცნიერო ბაზებში უნივერსიტეტის პროფილის განახლება.
- შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი (ფონდის მიერ გამოცხადებულ კონკურსებზე წარსადგენი პროექტების ტექნიკური შემოწმება)
  - ✓2017 წლის შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ გამოცხადებულ ფუნდამენტური კვლევების კონკურსზე ილიას უნივერსიტეტის სახელით დარეგისტრიდა 58 პროექტი, საიდან 10 პროექტი მოიხსნა ტექნიკური ხარვეზის მიზეზით. უნივერსიტეტის სახელით დაფინანსება მოიპოვა 15 პროექტმა (წარმატების მაჩვენებელი 30%);
  - ✓2017 წლის ფონდის მიერ გამოცხადებულ ახალგაზრდა მეცნიერთა კვლევითი გრანტების კონკურსზე ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სახელით დარეგისტრიდა 10 პროექტი, ტექნიკური ხარვეზის მიზეზით მოიხსნა 1 პროექტი, ხოლო დაფინანსება მოიპოვა 5 პროექტმა (წარმატების მაჩვენებელი 50%);
  - ✓2017 წელს შოთა რუსთაველის ეროვნული ფონდის საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებების საგრანტო კონკურსზე უნივერსიტეტის სახელით დარეგისტრირდა 9 პროექტი და დაფინანსება მოიპოვა უნივერსიტეტის 5 პროექტმა;
  - ✓საქართველოში და საზღვარგარეთ არსებული ქართული მატერიალური და სულიერი მემკვიდრეობის სამეცნიერო კვლევისათვის გრანტის კონკურსზე დაფინანსება მოიპოვა ერთმა პროექტმა;
  - ✓შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის კონკურსის – „წლის საუკეთესო მეცნიერი და

მეცნიერთა ჯგუფი“ -ჯილდოს 3 ნომინაციაში უნივერსიტეტის აკადემიურმა პერსონალმა გაიმარჯვა:

- ქართველოლოგიის დარგში მოღვაწე 2017 წლის საუკეთესო უცხოელი მეცნიერის სტატუსი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ ტიმოთი ბლაუველტს
- საქართველოს შემსწავლელ მეცნიერებებში მოღვაწე 2017 წლის საუკეთესო მეცნიერის სტატუსი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ თამარ მახარობლიძეს
- 2017 წლის საუკეთესო სამეცნიერო-კვლევით ჯგუფად დასახელდნენ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მკვლევრები და პროფესორები: თემურ ზაქარაშვილი, ვასილ კუხიანიძე და დავით ქურიძე.


2017 წელი შ. რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტები
100
80
60
40
20
0
86
58
10
15
14
8
1
4
23
8
1
5
4
6
2
1
6
3
დაფინანსებული პროექტების რაოდენობა
დარეგისტრირებული ილიაუნი
ტექნიკური ხარვეზის გამო მოიხსნა
დაფინანსდა ულიაუნი


2017 წელი შ. რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტები
100
80
60
40
20
0
86
58
10
15
14
8
1
4
23
8
1
5
4
6
2
1
6
3
დაფინანსებული პროექტების რაოდენობა
დარეგისტრირებული ილიაუნი
ტექნიკური ხარვეზის გამო მოიხსნა
დაფინანსდა ულიაუნი

# იურიდიული სამსახური ანგარიში

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულმა სამსახურმა 2017 წელს უნივერსიტეტის სასწავლო და აკადემიური პროცესების განვითარებისათვის განახორციელა სხვადასხვა სახის აქტივობა, რომელიც დაკავშირებულია უნივერსიტეტის სამართლებრივი მხარდაჭერის პროცესებთან, როგორც საგანმანათლებლო საქმიანობასთან ასევე სამეცნიერო კვლევითი მიმართულებასთან, უნივერსიტეტის დამხმარე სტრუქტურული ერთეულების მიერ შესრულებული სამუშაოს სამართლებრივ მხარდაჭერასა და დოკუმენტების ვიზირებასთან, ძირითადი საგანმანათლებლ ერთეულების მიერ ინიცირებული სამუშაოების მხარდაჭერასა და ვიზირებასთან, უნივერსიტეტის მმართველი ორგანოებისა და მათი სამდივნოების მიერ ინიცირებული საკითხების სამართლებრივ ჩარჩოებში მოქცევასა და საქმისწარმოებასთან, უნივერსიტეტის წარმომადგენლობასთან სხვადასხვა ადმინისტრაციულ ორგანოებში და ასევე ის აქტივობები, რომელთა საქმისწარმოების შედეგად გამოიცემა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები, მზადდება ხელშეკრულებები, საპასუხო წერილები და სხვა, უნივერსიტეტის პოზიციების დაცვა სასამართლოსა თუ ადმინისტრაციულ ორგანოებში.

2017 წლის განმავლობაში უნივერსიტეტის იურიდიული სამსახურში უნივერსიტეტის მმართველი ორგანოების, ადმინისტრაციული და დამხმარე სტრუქტურული ერთეულების, ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ შესასრულებლად შემოსულია სულ 5189 დავალება.

2017 წლის განმავლობაში მომზადებულ იქნა უნივერსიტეტის სტუდენტთა სტატუსთან დაკავშირებული 2749 ბრძანება სტატუსის შეჩერების, აღდგენის, აკადემიური შვებულებისა და ჩარიცხვის, გაცვლით პროგრამაში მონაწილეობის, სახელის და გვარის ცვლილების შესახებ.

2017 წელს იურიდულმა სამსახურმა ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულებთან კოორდინაციით უზრუნველყო გაზაფხულის სემესტრისა და შემოდგომის სემესტრის შიდა მობილობის პროცესის გამართვა, კონსულტაციები გადმომსვლელ სტუდენტებთან, შესაბამისი ბრძანებებითა და კონსულტაციებით, ასევე გაზაფხულის სემესტრისა და შემოდგომის სემესტრში ერთი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესის შესაბამისად გარე მობილობის პროცესის კოორდინაცია, შესაბამისი ბრძანებებითა და კონსულტაციებით. გარე მობილობაში მონაწილე პირთა კონსულტაცია და წერილობითი პასუხების მომზადება.

2017 წლის მთლიანი საბაკალავრო, სამაგისტრო, სადოქტორო, მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის მიღების გამოცხადების, ჩარიცხვასთან დაკავშირებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების მომზადება, შესაბამის საკანონმდებლო და

შიდასაუნივერსიტეტო წესებთან შესაბამისობითა და გასაფორმებელი ხელშეკრულებებით. ასევე უნივერსიტეტში ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების ჩარიცხვის შესახებ შესაბამისი დოკუმენტების ადმინისტრირება (ხელეშკრულებების მომზადება და ინდივიდუალურ სამართლებრივი აქტის მომზადება).

სასწავლო პროცესთან დაკავშირებული საკითხები, ასევე მოიცავდა ისეთი სამართლებრივი აქტების გამოცემას, რომელიც ზოგადი ხასიათისაა და ეხება სხვადასხვა წარმოებასთან, პროცედურაასთან დაკავშირებულ თემებს, ამ საფუძვლებით 2017 წელს იურიდიული სამსახურის მიერ მომზადა 156 ბრძანება.

2017 წელს უნივერსიტეტს კურსდამთავრებულთათვის მოხდა კვალიფიკაციის დამადასტურებელი დიპლომების გაცემის შესახებ ბრძანებების გამოცემა ოთხივე ფაკულტეტის/სკოლის. ასევე კურსდამთავარებულთა მხრიდან მოთხოვნის საფუძველზე მოხდა დიპლომის განმეორებით(დუბლიკატის) გაცემა, ასევე მომართვის საფუძველზე დაიწყო საქმისწარმოება ისეთი დიპლომების გაცემის მიზნით რომელის სამართალმემკვიდრეს წარმოადგენს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი (სულხან საბა ორბელიანის პედგოგიური უნივერსიტეტი, ილია ჭავჭავაძის სახელობის უცხო ენათა უნივერსიტეტი, სპორტის აკადემია, გურამიშვილის პედაგიური კლეჯი). იურიდიულმა სამსახურმა უზრუნველყო შესაბამისი განმცხადებლების საარქივო მონაცემებზე დაყრდნობით, დიპლომის გაცემის მიზანშეწონილობის, დიპლომის ფორმისა და დიპლომში ასახული ინფორმაციის შედარება საარქივო მონაცემებთან და შეცდომის გასწორების მიზნით, შესაბამისი ინსტრუქციით ფაკულტეტებზე/სკოლებში გადაგზავნა, ინფორმაციული ბარათის მომზადების ან/და შეცდომის გასწორების მიზნით, რთულ შემთხვევებში პროცესში ჩართულ იქნა განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო და განათლების ხარისხსი განვითრებების ეროვნული ცენტრი ოფიცალური მიმოწერისა და შეხვედრების სახით . შესაბამისად მთელი წლის განმავლობაში სულ მომზადდა 162 ბრძანება დიპლომის კურსდამთვარებულთათვის პირველადი გაცემის, განმეორებით, დიპლომის დუბლიკატის გაცემის შესახებ.

2017 წელს უნივერსიტეტის იურიდიულმა სამსახურმა სხვადასხვა საქმისწარმოებასთან დაკავშირებით მოამზადა 579 სამსახურებივი ბარათი, 88 მინდობილობა.

2017 წელს იურიდიულმა სამსახურმა მოახდინა მიღებული სხვადასხვა სტუქტურული ერთეულებიდან შემოსულია ბრძანებების სამართლებრივი ანალიზი და ვიზირება სულ : 3014 დოკუმენტი

2017 წელს ჩვენი სამსახურის მიერ მომზადდა 250 სხვადასხვა შინაარსის წერილი, რომელიც ეხებოდა როგორც სასწავლო, ქონებრივ, სამეცნიერი შინარსის მიმოწერას სახელმწიფო სტრუექტურებთან, სხვადსხვა ფიზიკურ, იურიდიულ პირებთან

2016 წელს ჩატარდა 14 აკადემიური საბჭოს და 5 წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომა. რომელსაც სამდივნო დახმარებას უწევდა იურიდიული სამსახური, იურიდიულმა სამსახურმა უზრუნველყო საკითხთა სამართლებრივი დამუშავება, სხდომების მომზადება, სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილებების დაინტერესებულ პირთათვის გაცნობა ან/და შესაბამისი რეაგირებისათვის სხვადასხვა შიდა სამსახურებისათვის თუ ადმინისტრაციული ორგანოებისათვის გაცნობა.

2017 წელს მომზადაა იურიდიული სამსახურის მიერ უშუალოდ 216 მომსახურებისა და საგრანტო ხელშკრულებების ფარგლებში დამატებით გასაფრომებელი ხელშეკრულება, რომლიდანაც უნივერსიტეტმა მიიღო შემოსავალი, მოხდა შრომითი ხელშეკრულებების განახლება, სტუდენტთა ხელშკურლებების განახლება.

2017 წელს მოთხოვნილ იქნა 36-განაცხადით საჯარო ინფორმაცია შესაბამისად მოძიებულ იქნა, შეჯერდა და დაკმაყოფილდა ინფორმაციის მიწოდება;

2017 წელს იურიდიული სამსახური კონსულტაციას უწევდა უნივერსიტეტის დამხმარე სტრუქტურულ ერთეულებს, ძირითად საგანმანათლებლო ერთეულებ, სამეცნიერო კვლევით ერთეულებს, სტუდენტებს, აკადემიურ და სამეცნიერო პერსონალს, ასევე უნივერსიტეტთან დაკავშირებულ მოქალაქეებს მომართვის საფუძველზე. ასევე წარმოადგენდა უნივერსიტეტის მაკონტროლებლებთან, ზემდგომ და სხვა ადმინისტრაციულ ორგანოებთან ურთიერთობაში.

2017 წელს მიმდინარეობდა 17 სასამართლო საქმე სასამართლოში, აქედან 3 დასრულდა უნივერსიტეტის სასარგებლოდ, 1 უნივერსიტეტისათვის არადამაკამაყოფილებელი შედეგით, რაც საჩივრდება უზენაეს სასამართლოში, ხოლო

სააპელაციო სასამართლოში მიმდინარეობს 1 დავა, თბილისის საქალაქო საქალაქოში მიმდინარეობს 12 სასამართლო დავა:

იურიდიული სამსახური ჩართული იყო ასევე საინვენტარიზაციო კომისიის მუშაობაში, ამასთან დაკავშირებით მოამზადა ბრძანებების პროექტები და გაეწია სამართლებრივი კონსულტაცია შესაბამის სამსახურებს.

იურიდიულმა სამსახურმა 2017 წელს სამართლებრივად უზრუნველყო უნივერსიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების გაყიდვასთან დაკავშირებით რიგი პროცედურების დაგეგმვა, კერძოდ მოხდა ელექტრონული აქუციონის ჩატარება და მაკონტროლებლებთან შეთანხმებით გაიყიდა თბილისში შავთელის შესახვევ N3 მდებარე უნივერსიტეტის საკუთრებაში არსებული ქონება, ქონების რეალიზაციიდან შემოსული თანხა მოხმარდება ჩოლოყაშვილის 3-5-ში მდებარე ტერიტორიაზე მშენებარე კორპუსს, რომელიც სანდიეგოს უნივერსიტეტთან თანამშრომლობით ხორციელდება.

2017 წელს იურიდიული სამსახურის მიერ მომზადდა სამართლებრივი პროცედურები უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე დეკანის არჩევნებისა, საფაკულტეტო არჩევნების შეახებ, რაც წარმატებით ჩატარდა.

2017 წელს აღიძრა, გაგრძელდა და დასრულებულდა სტუდენტთა მხრიდან სტუდენტთა ეთიკის კოდექსის დარღვევის გამო 19 დისციპლინური წარმოება. იურიდიულმა სამსახურმა მოახდინა დისციპლინური კომისიის სხდომების ადმინისტრირება. საქმის სირთულეებიდან გამომდინარე, ზოგიერთ საქმეზე საჭირო გახდა უნივერსიტეტის წარმომადგენელის წარგზავნა შინაგან საქმეთა სამინისტროში, სადაც მიმდინარეობს საგამოძიებო პროცესები.

2017 მომზადდა სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების ცვლილებები, წესდება გადაიგზავნა სამინისტროში და მიმდინარეობს სამინისტროს მიერ წესდების დამტკიცების პროცედურები;

2017 წელს იურიდიულმა სამსახურმა ყველა სხვა სტრუქტურული ერთეულის ჩართულობითა და მონაწლეობით (აკადემიური პერსონალი, სტუდენტები, მკვლევრები, ფაკულტეტები/სკოლები, კვლევითი ერთეულები, ადმინისტრაციული და დამხმარე სტრუქტურული ერთეულები) მოამზადა და განაახლა უმაღლესი საგანმანათლებო დაწესებულების ავტორიზაციის ახალი სტანდარტის შესაბამისად რიგი დოკუმენტები, და მონაწილობას იღებდა ავტორიზაციის საპილოტე პროცესში, რომელც წარმატებით დასრულდა.

## შესყიდვების სამსახურის ანგარიში

მიმდინარე წელს შესყიდვებში შემოსულია 2653 - ზე მეტი მოთხოვნა. აღნიშნული მოთხოვნების საფუძველზე ჩვენი მხრიდან ჩატარდა შესყიდვისათვის საჭირო შემდეგი პროცედურები:

2017 წელს, ჩვენ მიერ გამოცხადდა – 270 (ორას სამოცდაათი) ტენდერი, სადედანაც: 100 (ასი) არის ელექტრონული ტენდერი, 167 (ას სამოცდაშვიდი) არის გამარტივებული ელექტრონული ტენდერი, ხოლო 3 (სამი) არის შესყიდვის ელექტრონული პროცედურა.

178 (ას სამოცდათვრამეტი) ტენდერზე მინიჭებულია სტატუსი – „ხელშეკრულება დადებულია“;

1 (ერთი) ტენდერზე მინიჭებულია სტატუსი – „წინადადების მიღება დასრულებულია“;

1 (ერთი) ტენდერზე მინიჭებულია სტატუსი – „შერჩევა/შეფასება“;

4 (ოთხი) ტენდერზე მინიჭებულია სტატუსი – „წინადადების მიღება დაწყებულია“;

15 (თხუთმეტი) ტენდერზე მინიჭებულია სტატუსი – „გამოცხადებულია“;

22 (ოცდაორი) ტენდერზე მინიჭებულია სტატუსი – „დასრულებულია უარყოფითი შედეგით“;

36 (ოცდათექვსმეტი) ტენდერზე მინიჭებულია სტატუსი – „არ შედგა“;

8 (რვა) ტენდერზე მინიჭებულია სტატუსი – „შეწყვეტილია“;

4 (ოთხი) ტენდერზე მინიჭებულია სტატუსი – „მიმდინარეობს ხელშეკრულების მომზადება“;

1 (ერთი) ტენდერზე მინიჭებულია სტატუსი – „გამარჯვებული გამოვლენილია“.

ასევე განსაკუთრებით გვინდა ავღნიშნოთ, რომ შესყიდვების სამსახურმა განახორციელა ძალიან მნიშვნელოვანი შესყიდვა და მასთან დაკავშირებული პროცესების ადმინისტრირება, რომელიც მიმართულია უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებისკენ:

ა) ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტსა და სანდიეგოს უნივერსიტეტს შორის გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში ახალი აკადემიური შენობის მშენებლობის სამუშაოების ჩატარების მიზნით გამოცხადებულ ელექტრონულ ტენდერში გაიმარჯვა **შპს „ერკერმა“,** რომელთანაც 2017 წლის 02 აგვისტოს გაფორმდა სახელმწიფო შესყიდვის №08/001 ხელშეკრუ-ლება, ღირებულებით – **2 847 680,00** (ორი მილიონ რვაას ორმოცდაშვიდი ათას ექვსას ოთხმოცი) ლარი. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ აღნიშნულ ტენდერში უნივერსიტეტმა მიიღო 900 000,00 (ცხრაასი ათასი) ლარის ეკონომია.

ზ) ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტსა და სანდიეგოს უნივერსიტეტს შორის გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში ახალი აკადემიური შენობის მშენებლობის სამუშაოებზე ზედამხედველობის მომსახურების შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ ელექტრონულ ტენდერში გაიმარჯვა **შპს „ტრიჯიტიმ“,** რომელთანაც 2017 წლის 04 ივლისს გაფორმდა სახელმწიფო შესყიდვის №07/009 ხელშეკრულება, ღირებულებით – **174 000,00** (ას სამოცდათოთხმეტი ათასი) ლარი.

2017 წლის მანძილზე უნივერსიტეტში გამართული ღონისძიებებისთვის შესყიდვების სამსახურმა განახორციელა რამოდენიმე ასეული შესყიდვა, რამაც ხელი შეუწყო შეუფერხებლად და მაღალ დონეზე ჩატარებულიყო ყველა ღონისძიება.

გამარტივებული შესყიდვის გზით დაიდო – 1700 (ათას შვიდასი) ხელშეკრულება, რომელიც წინა წელთან შედარებით 2%-ით მეტია, რაც ასევე გამოწვეულია უნივერსიტეტის მიერ მიღებული შიდა და საერთაშორისო გრანტების რაოდენობის გაზრდით.

ელექტრონული ტენდერის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერის, გამარტივებული შესყიდვისა და კონსოლიდირებული შესყიდვის შედეგად ხელშეკრულებები დადებულია სხვადასხვა დაფინანსებიდან, კერძოდ:

2017 წლის ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლების ფარგლებში დადებული ხელშეკრულებების ჯამური თანხა შეადგენს – **6,665,929.94** (ექვსი მილიონ ექვსას სამოცდახუთი ათას ცხრაას ოცდაცხრა ლარი და 94 თეთრი) ლარს.

2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული ასიგნებების ფარგლებში (მათ შორის სსიპ – საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გამოყოფილი დაფინანსება) დადებული ხელშეკრულებების ჯამური თანხა შეადგენს – **906,675.00** (ცხრაას ექვსი ათას ექვსას სამოცდატხუთმეტი) ლარს.

შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდიდან მიღებული გრანტების ფარგლებში დადებული ხელშეკრულებების ჯამური თანხა შეადგენს – **473,877.00** (ოთხას სამოცდაცამეტი ათას რვაას სამოცდაჩვიდმეტი) ლარს.

სხვა საერთაშორისო ფონდებიდან გაცემული გრანტების ფარგლებში დადებული ხელშეკრულებების ჯამური თანხა შეადგენს – **383,208.11** (სამას ოთხმოცდასამი ათას ორას რვა ლარი და 11 თეთრი) ლარს.

მნიშვნელოვანია ორიოდე სიტყვით მოგახსენოთ 2018 წლის სახელმწიფო შესყიდვების დაგეგმვასთან დაკავშირებით. მომდევნო წლის შესყიდვის გეგმის შედგენის დროს

გათვალისწინებული იქნა მსგავსი შესყიდვების განხორციელების წინა წლების გამოცდილება, ასევე ყველა ადმინისტრაციული სტრუქტურული ერთეულისგან წარმოდგენილი იქნა სავარაუდო შესყიდვების ჩამონათვალი, რომელიც გვეხმარება დაგეგმვაში. გეგმის შედგენის დროს არარეზიდენტი იურიდიული პირებისგან საქონლისა თუ მომსახურების შეძენისას გათვალისწინებული იქნა ეროვნული ვალუტის გაცვლის კურსი აშშ დოლარსა და ევროსთან მიმართებაში: 1 აშშ დოლარი=**3,00** ლარი და 1 ევრო=**3,50** ლარი. ასევე 2018 წლის შესყიდვების დაგეგმვაში, რიგ პოზიციემზე გამოვიყენეთ კონსოლიდირებული ტენდერის ფასების სტატისტიკური მონაცემები.

ჩვენ მიერ მოწოდებული ინფორმაცია არის მოკლე მონახაზი იმისა თუ რა სახის შესყიდვები (მონეტარული ზღვრების მითითებით) განვახორციელეთ 2017 წლის პერიოდში.

დასასრულს გვინდა ავღნიშნოთ, რომ მიმდინარე წელს შესყიდვების სამსახურის თითოეულმა თანამშრომელმა, ვფიქრობთ წარმატებით გაართვა თავი მასზედ დაკისრებულ მოვალეობებს და იმედს გამოვთქვავთ უფრო მეტად წარმატებული იქნება ახალი 2018 წელი უნივერსიტეტისთვის და მისი ერთ-ერთი ადმინისტრაციული სტრუქტურული ერთეულისთვის.

## საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახური

სერვერული ინფრასტრუქტურა

წლის განმავლობაში მიმდინარეობდა სერვერული ინფრასტრუქტურის პროგრამული განახლება, რის შედეგადაც სერვერების ვირტუალური სივრცე განახლდა VMWare vSphere 6.5 ვერსიამდე. გეგმიური ტექნიკური და პროგრამული განახლება ჩაუტარდა ილიაუნის სასერვეროში არსებულ ფიზიკურ სერვერებს.

წლის განმავლობაში ხორციელდებოდა კრიტიკული სერვისების და აპლიკაციების მუდმივი მონიტორინგი და სარეზერვო ასლების კოპირება.

SQL სერვერის სრულად რეინსტალაცია, მასზე Codex მონაცემთა ბაზის განთავსება და ტექნიკური კუთხით ადმინისტრირება.

Kaspersky - ანტივირუსის სერვერის აწყობა, განახლება და მართვა.

PRTG - სერვერების მოიტორინგის პროგრამული განახლება კონფიურაცია, ადმინისტრირება.

Veeam One - სერვერების მონიტორინგის ინსტალაცია.

DHCP სერვერების აწყობა და შემდგომ მისი ადმინისტრირება.

ADAudit - სერვერის ინსტალაცია/კონფიგურცია.

Syslog სერვერის ინსტალაცია, მისი ტექნიკური და პროგრამული ადმინისტრირება.

Oris-Terminal - სერვერის განახლება, კონფიგურაცია. WSUS - სევერის განახლება კონფიგურაცია გამართვა. File - სერვერის ინსტალაცია/კონფიგურაცია.

Veeam Backup - სერვერის ინსტალაცია.

SRD - სერვერის ინსტალაცია კონფიგურაცია გამართვა.

Windows სერვერული ინფრასტრუქტურის განახლება windows server 2016

ვერსიამდე.

abc.iliauni.edu.ge-ზე Moodle-ის ინსტალაცია და კონფიგურაცია. moodle.iliauni.edu.ge -ის რეგულარული განახლება და ტექნიკური კუთხით ადმინისტრირება.

ezproxy.iliauni.edu.ge-ის ტექნიკური კუთხით ადმინისტრირება.

hosting.iliauni.edu.ge-ის (სატესტო სერვერი უნივერსიტეტის ახალი ვებსაიტების დეველოპმენტის პროცესისთვის) ადმინისტრირება და რეგულარული განახლება.

ილიაუნის პიარ განყოფილების ვიდეო მასალების რეგულარული სარეზერვო კოპირებისუზრუნველყოფა Google-ის ღრუბლოვან საცავში.

ილიაუნის მთავარი საიტებისა და სხვა საიტების ჰოსტინგის მიგრაცია ახალ სერვერზე.

ქსელური ინფრასტრუქტურა

წლის განმავლობაში მუდმივად მიმდინარეობდა ქსელური აპარატურის განახლება, ინსტალაცია. ასევე ქსელური მოწყობილობების და მასთან დაკავშირებული სერვისების ოპტიმიზაცია და მონიტორინგი.

unifi-controller- iliauni - WiFi ქსელების მართვის სისტემის კონტროლერის ადმინისტრირება და მუდმივი განახლება.

HP-ის სვიჩებზე და WiFi კონტროლერებზე მოხდა პროგრამული განახლება. ილიაუნის კორპუსის ქსელური ინფრასტქტურით აღჭურვა. S კორპუსი მთლიანად დაიფარა WiFi დაშვების წერტილებით.

Iliauni Fablab და Gamelab ლაბორატორიებისათვის შეიქმნა დამოუკიდებელი ქსელი და ასევე დამოუკიდებელი WiFi ქსელი.

ილიაუნის კოპრუსებში არსებული კრიტიკული მოწყობილობებისთვის შეიქმნა ცალკე არსებული Backup სისტემა, სადაც ავტომატურ რეჟიმში 24 საათში ერთხელ ინახება კონფიგურაციის ფაილების ასლები.

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ქსელში გატარდა მნიშვნელოვანი ღონისძიებები IT უსაფრთხოების მხრივ: სხვადასხვა სამსახურების ქსელები გაიმიჯნა ერთმანეთისგან და მოხდა მათი ოპტიმიზაცია. დაინერგა დაშვების პოლიტიკა, ილიაუნის თანამშრომლებისთვის, სტუმრებისთვის და ლექტორებისათვის.

უნივერსიტეტის პოლიტიკიდან გამომდინარე, მოხდა VOIP სერვერის თავიდან აწყობა და ოპტიმიზაცია, სერვერისთვის გამოიყო ცალკე სივრცე, სადაც ინახება სარეზერვო ასლები.

FortiGate Forewall-ის კონფურაცია და ინსტალაცია, შემდგომ მისი ადმინისტრირება და მუდმივი განახლება.

PRTG და Syslog მონიტორინგის სერვერების ინსტალაცია, რისი მეშვეობითაც მიმდინარეობს ქსელში ქრსებული კრიტიკული აპარატურის მუდმივი მონიტორინგი, ასევე Alert სისტემის ინტეგრაცია ადმინისტრატორების ტელეფონებზე და მათ პირად მეილებზე.

*მომხმარებელთა მხარდაჭერის განყოფილება:*

2017 წელს განახლდა სალექციო აუდიტორიების ინფრასტრუქტურა — მოხდა სალქეციო აუდიტორიების კომპიუტერული და სხვა ტექნიკით აღჭურვა/გადახალისება;

დაემატა ახალი 41 კომპიუტერიანი სასწავლო აუდიტორია E117.

*ვებ-დიზაინისდაპროგრამირებისგანყოფილება:*

2017 წელს განხორციელდა ილიას უნივერსიტეტის ვებ-საიტების განახლება და ასევე ახალი საიტების შექმნა, კერძოდ:

ojs.iliauni.edu.ge — განახლება
ojs.iliauni.edu.ge/index.php/eish — გამოქვეყნდა ჟუნრალის 2 ნომერი
ojs.iliauni.edu.ge/index.php/history — გამოქვეყნდა ჟუნრალის 1 ნომერი
ojs.iliauni.edu.ge/index.php/health — გამოქვეყნდა ჟუნრალის 1 ნომერი kadmos.iliauni.edu.ge — განახლება
eprints.iliauni.edu.ge — სრული განახლება

library.iliauni.edu.ge — საიტის მეორე ვერსია, სრულიად განახლებული
cepp.iliauni.edu.ge — განახლება
earthterminology.iliauni.edu.ge — განახლება
eventregistration.iliauni.edu.ge — განახლება
gameofrobots.iliauni.edu.ge — განახლება
hotels.iliauni.edu.ge — განახლება
legalclinic.iliauni.edu.ge — განახლება profiles-georgia.iliauni.edu.ge — განახლება
robotics.ce.iliauni.edu.ge — განახლება
software.ce.iliauni.edu.ge — განახლება
studentresearch.iliauni.edu.ge — განახლება
videocv.iliauni.edu.ge — განახლება zoomout.ge — განახლება

ახალი საიტები:

abc.iliauni.edu.ge
cellsecretion2017.iliauni.edu.ge
colloque5codfreurcor.iliauni.edu.ge
gew.iliauni.edu.ge
research-instruments.iliauni.edu.ge salis.iliauni.edu.ge
solar-conference.iliauni.edu.ge weare.iliauni.edu.ge

**არგუსი**

არგუსის სტუდენტის გვერდი გადაიწერა ახალ სისტემაზე (codeigneter შეიცვალა Laravel-ით);

სისტემა გახდა მობილურზე მაქსიმალურად მორგებული;

სისტემური ხარვეზები მინიმუმამდე იქნა დაყვანილი;

მოხდა სერვერული რესურსების ოპტიმალური გამოყენება multi layer ქეშირებებით (Varnish, Redis);

დაემატა გარე სერვისების ინტეგრაციის შესაძლებლობა: Sentry, SQS, Intercom, Segment;

ელ-ფოსტის დაგზავნისთვის გამოიყენება ამაზონის გარე სერვისი Simple Email Service.

შესაძლებელი გახდა სისტემის სრულყოფილი მონიტორინგი;

არჩევის რეჟიმის გამართული ფუნქციონირების მიზნით შესრულდა სექტემბრის თვის მოსამზადებელი სამუშაოები.

***არგუსის უსაფრთხოება***

შესაძლებელი გახდა სტუდენტებისთვის უსაფრთხოების მექანიზმის დამატება მათი სურვილის მიხედვით ამ სერვისის ჩართვა/გამორთვის შესაძლებლობით;

„არგუსში" უსაფრთხოების მექანიზმის გააქტიურების შემთხვევაში სტუდენტების ავტორიზაცია შესაძლებელი გახდა SMS ავტორიზაციის შემდეგ;

„არგუსში" უსაფრთხოების მექანიზმის გააქტიურების შემთხვევაში უცნობი IP მისამართიდან ავტორიზაციის გავლისას მეილზე იგზავნება შეტყობინება.

***ლოგირება***

ყველა მოქმედების დეტალური ლოგირება Elasticsearch სერვერზე

უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ქმედებების შესახებ ჩანაწერების უზრუნველსაყოფად, გამოყენებული იქნა ლოგირება და მონიტორინგი;

სისტემაში მოხდა ლოგირების სისტემის გაუმჯობესება; ადმინისტრატორის და ოპერატორის ლოგების კონტროლის მექანიზმი: მოხდა სისტემის ადმინისტრატორის და სისტემის ოპერატორის ნებიმიერი სახის მოქმედებათა ლოგირება.

მთავარ ადმინისტრატორს შესაძლებლობა მიეცა შესაბამისი ინფორმაციის დათვალიერების და ამოღების.
შესაძლებელი გახდა უწყისის ყოველი შენახვის შემდეგ ისტორიის ამოღება, სადაც

შესაძლებელი გახდა ცვლილების ავტორის, თარიღის, ცვლილებათა ისტორის, IP მისამართისნახვა.

ლოგების საშუალებით მთავარ ადმინისტრატორს შეუძლია სტუდენტზე საგნის დამატების, ჯგუფის რედაქტირების, წაშლის ავტორის ნახვის საშუალება. ფილტრაცია ხდება სტუდენტის და მოქმედების შემსრულებლის მიხედვით.

ლოგების საშუალებით მთავარ ადმინისტრატორს შეუძლია სასწავლო კურსის დამატების, რედაქტირების, ჯგუფის რედაქტირების, წინაპირობის დამატების ავტორის ნახვის საშუალება. ფილტრაცია ხდება მოქმედების შემსრულებლის ან სასწავლო კურსის ძებნის მიხედვით.

ლოგების ნებისმიერი სახის ფილტრაცია ხდება სემესტრების მიხედვით, დაწყება/დამთავრების ვადების მითითების საშუალებით.

ფილტრაცია ხდება საძიებო მონაცემების ზუსტი დამთხვევის მიხედვით და არა შემავალი მონაცემების მიხედვით.

სემესტრული მონაცემების ზრდის შემთხვევაში ფილტრაციის შესაძლებლობა Time out-ის გარეშე.

ლოგირების ჩანაწერების დაცვა: ლოგირების მოწყობილობები და ლოგირების ჩანაწერები არის დაცული ცვლილებისგან და არაავტორიზებული წვდომისგან. ჩანაწერები არქივდება სემეტრულად. ლოგების ჩაწერას ახორციელებს მხოლოდ სისტემა და რედაქტირების უფლება არ აქვს არც ერთი ტიპის მომხმარებელს.

წვდომის კონტროლი: ლოგების მონიტორინგი შესაძლებელი გახდა მთავარი ადმინისტრატორისათვის

საუნივერსიტეტო პროცედურების სრულყოფილი ფუნქციონირებისათვის შესასრულებელი სამუშაოების ნუსხა

- სტუდენტის პროფილზე დიპლომის ასლის ველის რედაქტირება;
- სასწავლო კურსის და სტუდენტი გვერდზე სასწავლო კურსის დამატებისას კრედიტების ველში 0.0 ფორმატის რედაქტირება ფორმატში 0.00;
- რეგისტრაციის ბაზის სარეგისტრაციო ფორმაზე არსებული ბეჭდვითი ვერსიის ტექსტის რედაქტირება:

„ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში თქვენს მიერ წარმოდგენილი განაცხადი "პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, შესაძლოა შეიცავდეს პერსონალურ მონაცემებს, მათ შორის განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემებსაც. გაცნობებთ, რომ თქვენი პერსონალური მონაცემები უნივერსიტეტის მხრიდან დამუშავდება

თქვენთან სახელშეკრულებო, მათ შორის სასწავლო ურთიერთობის დამყარების შესახებ გადაწყვეტილების მიღების მიზნებისათვის. რა დროსაც შესაძლოა შესაბამისი სამართლებრივი საფუძვლის არსებობის პირობებში მოხდეს მათი ნაწილის გასაჯაროება ან მესამე პირებისთვის გადაცემა. თქვენს მიერ გამოგზავნილი განაცხადი შესაძლოა არ იქნას დაკმაყოფილებული. იმ შემთხვევაში თუ ეთანხმებით ზემოთ აღნიშნულს, გთხოვთ შეავსოთ თქვენი განაცხადი."

- რეგისტრაციის ბაზის სარეგისტრაციო ფორმის ბეჭდვით ვერსიაში მიმართულების ველის რედაქტირება, კერძოდ პროგრამების აღწერის სტრუქტურიდან შეიცვალა მიმართულების ველი name="direction", ნაცვლად name="name";
- რეგისტრაციის ბაზის სარეგისტრაციო ფორმის არსებულ ბეჭდვით ვერსიაში მობილობით გადმოსული სტუდენტის შემთხვევაში ტექსტი დაგენერირდა მითითებული ფორმით:

„გთხოვთ მომცეთ უფლება, გავაგრძელო სწავლა თქვენი უნივერსიტეტის შემდეგ საბაკალავრო პროგრამაზე:"

- რეგისტრაციის ბაზის სარეგისტრაციო ფორმის არსებულ ბეჭდვით ვერსიაში მობილობით გადმოსული სტუდენტის შემთხვევაში მოიხსნა ველი ელ. ფოსტის მისამართი;
- ადმინისტრატორის გვერდზე უწყისის რედაქტირებისას მოიხსნა პირობა შემდეგი ტექსტით: "შუალედური კრიტერიუმების ჯამური მინიმუმი აღემატება მითითებულ შუალედურ მინიმუმს"
- სტუდენტის პროფილის სტატისტიკის რედაქტირება: დიპლომის ასლი ატვირთულია თუ არა, დიპლომის ნომერი და დიპლომის თარიღი. ველის მნიშვნელობები გადმოვიდა სტუდენტის პროფილიდან.
- სტუდენთა პროფილის სტატისტიკის რედაქტირება, რომელშიც გამოჩნდა ჯეოსელის აპლიკაციაში გაერთიანებული სტუდენტის მონაცემები.

დიპლომის დანართის 2.1. პუნქტში ინგლისურ ვერსიაში გასწორდა კვალიფიკაციის დასახელების გამოტანა ორიგინალ ენაზე იმ სტუდენტების შემთხვევაში, რომელთაც არ აქვთ ადმინისტრატორის მიერ არჩეული ძირითადი სპეციალობა და დაიფიქსირეს თავად;

სამუშაო პროცესში წარმოქმნილი არასწორი ლოგიკის აღმოჩენა/გასწორება

- არჩევის რეჟიმში სტუდენტის გვერდზე ორი ერთნაირი კურსის არჩევის ბაგის გასწორება;
- პედაგოგის გვერდზე რეზიუმეს გენერაციისას ქალაქების ველში სწორი მნიშვნელობის გენერირება;
- სტუდენტის გვერდზე კვლევის სწრაფად გაშვების შესაძლებლობის, ოპტიმიზაცია;
- რეგისტრაციის ბაზაში დოქტორანტის პროფილის გახსნისას ფაკულტეტის და პროგრამის გამოტანის ბაგის გასწორება;

დატვირთვის გაზომვის პროცედურების და სცენარების დაწერა (ახალი არგუსი). jMeter, ab და სხვა ტექნოლოგიების გამოყენება.

ჯგუფების სტრუქტურის გადაკეთება არჩევის რეჟიმისთვის (ძველი არგუსი ადმინის მხარე და ახალი არგუსი სტუდენტის მხარე)
კეშის პრეგენერაციის ოპტიმიზაცია (ახალი არგუსი);

გამზადდა სტატისტიკა პედაგოგის მიერ წაკითხული საათების რაოდენობის მიხედვით;

სტუდენტის პროფილზე სემესტრების რაოდენობა გაიზარდა 20-ის ჩათვლით;

სტატისტიკაში "ფაკულტეტების მიხედვით" სემესტრების რაოდენობა გაიზარდა 20-ის ჩათვლით;

სტატისტიკაში "პროგრამების მიხედვით" სემესტრების რაოდენობა გაიზარდა 20-ის ჩათვლით;

ბილინგის API-ში სტუდენტების ძებნის გაუმჯობესება;

სტატისტიკაში "ცხრილები" დაემატა ჯგუფის ქვოტის ველი;

პედაგოგის გვერდზე უწყისში, ექსელის რეპორტში და ამოსაბეჭდ ვერსიაში მოიხსნა სტუდენტის პირადი ნომერი;

სტატისტიკაში "პროფილი" უნივერსიტეტის დასახელება, დიპლომის გაცემის თარიღი, დიპლომის ნომერის ველი გასწორდა ორპროფილიანი სტუდენტების შემთხვევაში;

გასწორდა კვლევების რეპორტი პედაგოგის და სტუდენტის პირადი მონაცემების განსხვავების მიზნით;

სტუდენტის და ადმინისტრატორის გვერდზე სასწავლო ბარათში, ძირითადი პროგრამის გასწვრივ გამოვიდა პროგრამის სრული დასახელება, ნაცვლად მოკლე დასახელებისა, იმავე ველში ახალ ხაზზე დაიწერა მიმართულება: პროგრამის მიმართულება (თუ პროგრამას მიმართულება არ აქვს ეს უკანასკნელი არ გამოდის) იგივე დამატებითი სპეციალობის შემთხვევაში;

ველი ძირითადი სპეციალობა შეიცვალა შესაბამისი საფეხურით: საბაკალავრო პროგრამა (ძირითადი); საბაკალავრო პროგრამა (დამატებითი); სამაგისტრო პროგრამა; სადოქტორო პროგრამა; უმაღლესი პროფესიული პროგრამა; პროფესიული პროგრამა; ქართულ ენაში მომზადების პროგრამა; სასერტიფიკატო პროგრამა;

სტუდენტის და ადმინისტრატორის გვერდზე ცნობაში, ძირითადი პროგრამის გასწვრივ გამოვიდა პროგრამის სრული დასახელება, ნაცვლად მოკლე დასახელებისა, იქვე დაიწერა მიმართულება: პროგრამის მიმართულება. თუ პროგრამას მიმართულება არ აქვს ეს უკანასკნელი არ გამოდის, იგივე დამატებითი პროგრამის შემთხვევაში.

2017 წლის გაზაფხულის სემესტრში სისტემაში აისახა 154 გარე მობილობით გადმოსული სტუდენტების დასკვნები აღიარებული კრედიტების სახით.

ფაკულტეტების მიხედვით სისტემაში აისახა მობილობით გადმოსული სტუდენტების აღიარებული სასწავლო კურსები:

ბიზნესის სკოლა: 63 სტუდენტი

მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტი: 48 სტუდენტი სამართლის
სკოლა: 26 სტუდენტი
საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და საინჟინრო ფაკულტეტი: 17 სტუდენტი

აღიარებული სასწავლო კურსების არგუსის სისტემაში შესაყვანად გაკეთდა ანალიზი აღიარებული სასწავლო კურსებიდან, რომელიც არ იყო სისტემაში რეგისტრირებული და გაიგზავნა თითოეულ ფაკულტეტზე მათი ინგლისურენოვანი ვარიანტის თარგმნისათვის. თარგმნილი დოკუმენტი აისახა სისტემაში, ასევე მოხდა მათი კოდირება არგუსის სისტემასთან შესაბამისობაში:

ბიზნესის სკოლა: 92 სასწავლო კურსი

მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტი: 133 სასწავლო კურსი სამართლის
სკოლა: 23 სასწავლო კურსი
საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და საინჟინრო ფაკულტეტი: 71 სასწავლო კურსი

ასევე მოხდა აღიარებული სასწავლო კურსების სისტემაში დალაგება: ზოგადი მოდული, ძირითადი სპეციალობა, დამატებითი სპეციალობა/თავისუფალი კომპონენტი.

2017 წლის შემოდგომის სემესტრში სისტემაში აისახა 213 გარე მობილობით გადმოსული სტუდენტების დასკვნები აღიარებული კრედიტების სახით.

ფაკულტეტების მიხედვით სისტემაში აისახა მობილობით გადმოსული სტუდენტების აღიარებული სასწავლო კურსები:

ბიზნესის სკოლა: 82 სტუდენტი

მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტი: 71 სტუდენტი სამართლის
სკოლა: 34 სტუდენტი
საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და საინჟინრო ფაკულტეტი: 25 სტუდენტი

აღიარებული სასწავლო კურსების არგუსის სისტემაში შესაყვანად გაკეთდა ანალიზი აღიარებული სასწავლო კურსებიდან, რომელიც არ იყო სისტემაში რეგისტრირებული და გაიგზავნა თითოეულ ფაკულტეტზე მათი ინგლისურენოვანი ვარიანტის თარგმნისათვის. თარგმნილი დოკუმენტი აისახა სისტემაში, ასევე მოხდა მათი კოდირება არგუსის სისტემასთან შესაბამისობაში:

ბიზნესის სკოლა: 90 სასწავლო კურსი

მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტი: 57 სასწავლო კურსი სამართლის
სკოლა: 38 სასწავლო კურსი
საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და საინჟინრო ფაკულტეტი: 110 სასწავლო კურსი

მოხდა აღიარებული სასწავლო კურსების სისტემაში დალაგება: ზოგადი მოდული, ძირითადი სპეციალობა, დამატებითი სპეციალობა/თავისუფალი კომპონენტი.

სემესტრის დასაწყისში სისტემაში განახლდა 1000-მდე სასწავლო კურსის სილაბუსი. ასევე ყოველ სემესტრში, არჩევის რეჟიმის ჩართვამდე ხდება სისტემის მუდმივი მონიტორინგი სილაბუსის გარეშე არსებული სასწავლო კურსების შესახებ, რათა სასწრაფოდ მიეწოდოს ფაკულტეტებს შესაბამისი ინფორმაცია, მათი სისტემაში დროულად განთავსებისათვის.

წლის განმავლობაში სისტემიდან გაკეთდა 3017-მდე სტუდენტის სასწავლო ბარათის ამოღება, ფაკულტეტების და პროგრამებს მიხედვით დალაგებული, რომელიც გადაეცა ფაკულტეტებს კვალიფიკაციის მისანიჭებლად. ხოლო კვალიფიკაციის მინიჭების შემდეგ არსებული დოკუმენტი, რომელიც ერთვის ფაკულტეტის ოქმებს დანართის სახით, ბრუნდება არგუსის ჯგუფში და ხდება შესაბამისობის გადამოწმება დალაგებული კრედიტებისა არგუსის სისტემასთან. კერძოდ, შემოწმდა შესაბამისობა ზოგადი მოდული, ძირითადი სპეციალობა, დამატებითი სპეციალობა. გადამოწმების შემდეგ შესაძლებელი ხდება დიპლომის დანართების ბეჭდვა ავტონომიურ რეჟიმში.

2017 წლის შემოდგომის სემესტრში სულ გადამოწმდა კურსდამთავრებულთა სტუდენტის სასწავლო ბარათი და მოხდა გადამოწმებული დოკუმენტის არქივირება. დაარქივებული ფაილები ატვირთულია google drive-ში.

დასრულდა მიმდინარე ისტორიამდე კურსთამთავრებულ სტუდენტთა დიპლომის გაცემის შესახებ ბრძანების ნომრის და თარიღის ასახვა, ასევე კვალიფიკაციის ინგლისურენოვანი ვარიანტის ასახვა, სამაგისტრო და სადოქტორო შრომების დასახელების ქართული და ინგლისური ვარიანტის ასახვა, მიდმიანრეოზს დიპლომის ნომრის და დიპლომის ასლის ასახვა.

სისტემაში ასახულია 2017 წლის კურდამთავრებულთა სადოქტორო და სამაგისტრო ნაშრომების დასახელებები ქართულ და ინგლისურ ენებზე.

არგუსის სისტემას დაემატა სან დიეგოს უნივერსიტეტის სტუდენტები, მოხდა მათი პროგრამების და სასწავლო კურსების დამატება, ასევე არგუსის სისტემასთან შესაბამისობაში მოხდა მათი კოდირება.

ყოველი სემესტრის დასრულების შემდეგ კეთდება სასწავლო კურსების უწყისების ელექტრონული ვერსიის არქივი. 2017 წლის გაზაფხულის სემესტრის შემდეგ დაარქივდა:

ბიზნესის სკოლა: 123 უწყისი

მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტი: 775 უწყისი სამართლის
სკოლა: 84 უწყისი

საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და საინჟინრო ფაკულტეტი: 241 უწყისი ინგლისური
წიგნი საქართველოში - 12 უწყისი

სემესტრის დასაწყისში ჩატარდა ახალ ჩარიცხულ სტუდენტებთან 60-მდე საინფორმაციო შეხვედრა, სადაც მოკლედ მოხდა გაცნობა არგუსის სისტემის საშუალებების შესახებ და ამავე შეხვედრაზე 5379-მდე სტუდენტს დაურიგდათ არგუსის, ელექტრონული ფოსტის და moodle-ის მომხმარებლის სახელი და პაროლები.

დაწერილია არგუსის სისტემის განვითარების შესახებ ტექნიკური დავალება, რომელიც მომავალ სასწავლო წელს რეკომენდირებულია შესრულდეს და დაინერგოს.

# მატერიალური რესურსების სამსახური

*სამეურნეო ადმინისტრირების დეპარტამენტი*

მიმდინარე წლის მანძილზე უნივერსიტეტის ტრანსპორტით უზრუნველყოფის ორგანიზებას ახორციელებს სამეურნეო ადმინისტრირების დეპარტამენტი (მ.შ. მივლინებები, უცხოეთიდან ჩამოსული სტუმრების დახვედრისა და გაცილების ორგანიზება, ექსკურსიები, საველე გასვლები, პრაქტიკები და ექსპედიციები, ასევე უნივერსიტეტის ბაზებზე საკვები პროდუქტების, სამეურნეო საქონლისა და მატერიალური მარაგების ტრანსპორტირებას). აქვე დავძენთ, რომ 2017 წლის 1 იანვრიდან დღემდე სამეურნეო ადმინისტრირების დეპარტამენტმა განახორციელა 300 (სამასი) მივლინებაზე ტრანსპორტით მომსახურება, რომელიც წინა წელთან შედარებით 12%-ით მეტია.

სამეურნეო ადმინისტრირების დეპარტამენტი ახორციელებს კონტროლს უნივერსიტეტის ბალანსზე რიცხული სატრანსპორტო საშუალებების გამართულ და უსაფრთხო ფუნქციონირებაზე. ასევე, დეპარტამენტის თანამშრომლებმა უზრუნველყვეს ღონისძიებების მაღალ დონეზე ჩატარება, კერძოდ ღონისძიებების სპეციფიკიდან გამომდინარე მოეწყო აუდიტორიები და საპრეზენტაციო სივრცე საჭირო ინვენტარით, საჭიროების შემთხვევაში ორგანიზება გაუკეთა ინვენტარის სხვადასხვა კორპუსებში ტრანსპორტირებას, ასევე აღიჭურვა აუდიტორიები შესაბამისი მოწყობილობებით.

სამეურნეო ადმინისტრირების დეპარტამენტის თანამშრომლებმა მიმდინარე წელს ეტაპობრივად განახორციელეს უნივერსიტეტის ბალანსიდან ძირითადი აქტივებისა და მატერიალური ფასეულობათა ჩამოწერა, რომელიც განსაკარგავად გადაეცა ფინანსთა სამინისტროს მომსახურეობის სააგენტოს. ამასთანავე უზრუნველყვეს განცალკევება იმ ჩამოწერილი ძირითადი აქტივების, რომლებსაც ხანგძლივი ექპლოატაციის შედეგად მიღებული ქონდათ მექანიკური დაზიანებები, დაკარგული თვისობრივი მახასიეთებლები და აღარ ექქვემდებარებოდნენ აღდგენას.

აღნიშნული უნივერსიტეტის სხვადასხვა მისამართებიდან (ილია ჭავჭავაძის გამზ. №32, ქაქუცა ჩოლოყაშვილის გამზ. №3/5, გიორგი წერეთლის გასასვლელი №1, გიორგი წერეთლის გასასვლელი №3, დიმიტრი უზნაძის №68, ბოტანიკურის №1, შალვა ნუცუბიძის №77, ზანდუკელის №1) გადატანილი იქნა შ.პ.ს. „თბილსერვის ჯგუფის“ მიერ გამოყოფილ შესაბამის პოლიგონზე.

სამეურნეო ადმინისტრირების დეპარტამენტმა, უზრუნველყო წლის განმავლობაში უნივერსიტეტის სხვადასხვა შენობა-ნაგებობებში, როგორც წყლის, ელექტროენერგიის, გაზის მომარაგების შესაბამისი წვის ხარჯთაღრიცხვის პროცესების, ასევე სტუდენტთა რაოდენობის მიხედვით დასუფთავების თანხის დარიცხვა და შესაბამისი აქტების კონტროლი.

დეპარტამენტმა უზრუნველყო უნივერსიტეტის შენობებში ჰიგიენური ნორმების დაცვის კონტროლი, დასუფთავება/დალაგება. ასევე, მთელი წლის განმავლობაში სადეზინფექციო-სადერატიზაციო სამუშაოების ჩატარება.

აღსანიშნავია, 2017 წლის საზაფხულო არდადეგების პერიოდში მატერიალური რესურსების სამშენებლო - სარემონტო დეპარტამენტმა მოახდინა უნივერსიტეტის სასწავლო კორპუსებში (აუდიტორიები და დერეფნები) მიმდინარე სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარება. აღნიშნული სამუშაოების დასაწყებად საჭირო იყო აუდიტორიების დროული დაცლა ინვენტარისაგან, ხოლო სარემონტო სამუშაოების დასრულების შემდგომ მათი აღჭურვა სათანადო ინვენტარით, რასაც სამეურნეო ადმინისტრირების დეპარტამენტის თანამშრომლები უზრუნველყოფდნენ.

სამეურნეო ადმინისტრირების თანამშრომლებმა უზრუნველყვეს უნივერსიტეტის ყველა სასწავლო კორპუსის მოწყობა სასწავლო წლის დაწყებამდე.

აქვე დავძენთ, რომ სამეურნეო ადმინისტრირების დეპარტამენტმა, 2017 წლის იანვრის თვიდან დღემდე უნივერსიტეტში განხორციელებულ ყველა ღონისძიებაში მიიღო მონაწილეობა. თვალსაჩინოების მიზნით გთავაზობთ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ განხორციელებულ ღონისძიებების ჩამონათვალს:

2017 წლის 26 მაისს — ქალაქ ფოთში განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ორგანიზებით გაიმართა დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება, რომელშიც ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტმა მიიღო მონაწილეობა. სამეურნეო ადმინისტრირების თანამშრომლების მიერ სამშენებლო - სარემონტო დეპარტამენტის თანამშრომლებთან ერთად მოხდა აღნიშნული ღონისძიების ორგანიზებისათვის საჭირო ინვენტარის ტრანსპორტირება და განთავსება ტერიტორიაზე, ხოლო ღონისძიების დასრულების შემდგომ ინვენტარის უნივერსიტეტში ტრანსპორტირება და დასაწყობება.

2017 წლის 10 ივნისს — ლისის ტბაზე ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტმა ჩაატარა უნივერსიტეტის 11 წლის იუბილისადმი მიძღვნილი ღონისძიება. სამეურნეო ადმინისტრირების დეპარტამენტის თანამშრომლებმა სამშენებლო - სარემონტო დეპარტამენტის თანამშრომლებთან ერთად უზრუნველყვეს უნივერსიტეტში აწყობილი კონსტრუქციების ტრანსპორტირება და განთავსება დანიშნულების ადგილას. ამასთან, უნივერსიტეტისათვის გამოყოფილი სივრცე მოეწყო (ელექტროენერგიით მომარაგება, ბანერების და ინვენტარის განთავსება). აღნიშნულ ღონისძიებაზე მობილიზებული იყო უნივერსიტეტის ავტოსატრანსპორტო საშუალებები, სამეურნეო ადმინისტრირების დეპარტამენტის თანამშრომლები მიკროავტობუსით და ავტობუსით გარკვეული ინტენსივობით ახორციელებდნენ სტუდენტებისა და პროფესორების ტრანსპორტირებას მეტრო დელისიდან ლისის ტბამდე. ღონისძიების დასრულების შემდგომ, მოხდა ძირითადი კონსტრუქციების უნივერსიტეტში ტრანსპორტირება და დასაწყობება.

ა/წ 16, 17 და 18 ივნისს — ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი პარტნიორის სტატუსით მონაწილეობას იღებდა ამიერკავკასიაში ყველაზე მაშტაბურ მუსიკალურ ფესტივალზე Open Air 2017-ზე, რომელიც თბილისში იპოდრომის მიმდებარე ტერიტორიაზე ჩატარდა. აღსანიშნავია ჩვენი დეპარტამენტის ჩართულობა ზემოაღნიშნული ტერიტორიის შემოსაზღვრაში. ამასთან, განახორციელდა უნივერსიტეტიდან და სხვადასხვა ლოკაციებიდან საჭირო ინვენტარის ტრანსპორტირება და განთავსება შესაბამის ადგილებზე. სამეურნეო დეპარტამენტის მიერ მოხდა უნივერსიტეტისათვის გამოყოფილი კუთხის ელექტო ენერგიით უზრუნველყოფა, ხოლო ღონისძიების დასრულების შემდგომ ილიაუნის სტენდისა და განთავსებული ინვენტარის უნივერსიტეტში ტრანსპორტირება და დასაწყობება.

ა/წ 22 ივლისს — უნივერსიტეტმა ვაკის პარკში გამართა 2017 წლის კურსდამთავრებულების გამოსაშვები ცერემონია. დეპატამენტის თანამშრომლებმა უზრუნველყვეს ვაკის პარკის ტერიტორიაზე განთავსებული კარვების ელექტრო ენერგიით და შესაბამისი ინვენტარით (ილიაუნის სტენდის მაგიდები და სკამები) აღჭურვა, რომლებშიც ღონისძიების დასრულების შემდგომ მოხდა მანტიების აღრიცხვა-დაბრუნება. ღონისძიების დასრულების შემდგომ განხორციელდა

ტერიტორიაზე განთავსებული ინვენტარის ტრანსპორტირება და უნივერსიტეტში მათი დასაწყობება.

აღსანიშნავია, სამეურნეო ადმინისტრირების დეპარტამენტის ჩართულობა 2017 წლის 30 სექტემბერს ვაკის პარკში გამართულ რიგით მეექვსე სამეცნიერო პიკნიკზე, რომლის ორგანიზატორიც იყო ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი. დეპარტამენტის თანამშრომლებმა სამშენებლო - სარემონტო დეპარტამენტის თანამშრომლებთან ერთად განახორციელეს ქალაქ თბილისის მერიიდან მოტანილი და უნივერსიტეტის მიერ ნაქირავები 36 კარვის მოწყობა შესაბამისი ინვენტარით, ილიაუნის სტენდის ტრანსპორტირება, ოცდათექვსმეტივე კარვისა და სტენდის ელექტროენერგიით მომარაგება, ღონისძიების დროს მიმდინარე საჭიროებების ოპერატიულად აღმოფხვრა. ღონისძიების დასრულების შემდგომ, იმავე დღეს ჩატანილი და გადანაწილებული ინვენტარის მოგროვება და უნივერსიტეტში ტრანსპორტირება-დასაწყობება.

2017 წლის 4 ოქტომბერს — ქალაქ სენაკში განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ორგანიზებით გაიმართა მინი სამეცნიერო ფესტივალი, რომელშიც ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტმა მიიღო მონაწილეობა. სამეურნეო ადმინისტრირების დეპარტამენტის თანამშრომლები ჩართული იყვნენ აღნიშნული ღონისძიების ორგანიზებაში, რაც გულისხმობდა ილიაუნის სტენდისა და შესაბამისი ინვენტარის ტრანსპორტირებასა და განთავსებას უნივერსიტეტისათვის გამოყოფილ კუთხეში. ღონისძიების დასრულების შემდგომ, იმავე დღეს მოხდა მირითადი რკინის კონსტრუქციების დაშლა და ტრანსპორტირება.

ა/წ 9-12 ნოემბერს — წერეთელზე ექსპო ჯორჯიას პავილიონში, გაიმართა წიგნის ფესტივალი. აღნიშნულ ღონისძიებაში მონაწილეობდა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი. მოსამზადებელი სამუშაოების დროს ასევე მონაწილეობდნენ სამეურნეო ადმინისტრირების დეპარტამენტის თანამშრომლები, რომლებსაც უწევდათ საგამოფენო სტენდის მოწყობა, გამოფენაში მონაწილე პირთა ინვენტარის ტრანსპორტირება, ხოლო დასრულების შემდგომ მათი დემონტაჟი და ტრანსპორტირება.

*სამშენებლო - სარემონტო დეპარტამენტი*

2017 წლის იანვარი:

- ი. ჭავჭავაძის N32-ში მდებარე B კორპუსის ცენტრალური საკანალიზაციო სისტემის რეაბილიტაცია.

2017 წლის თებერვლი: სამშენებლო-სარემონტო დეპარტამენტის მიერ საკუთარი ძალებით შესრულებული სამუშაოები, რომლის სახელფასო ფონდმა შეადგინა 7 167 (შვიდი ათას ას სამოცდაშვიდი) ლარი:

საგამოფენო სტენდის განახლება;

- ი.ჭავჭავაძის N32-ში მდებარე D 407 აუდიტორიის სარემონტო სამუშაოები.

**2017** წლის მარტი**:** სამშენებლო-სარემონტო დეპარტამენტის მიერ საკუთარი ძალებით შესრულებული სამუშაოები, რომლის სახელფასო ფონდმა შეადგინა 3 081, 55 (სამი ათას ოთხმოცდაერთი ლარი და 55 თეთრი) ლარი:

- წერეთლის გასასვლელ N1-ში მდებარე G კორპუსში ცენტრალური სახანძრო მილის შეცვლა;
- წერეთლის გასასვლელ N1-ში მდებარე G კორპუსის სარდაფში ჩასასვლელი კიბის უჯრედის რეაბილიტაცია;
- ქ.ჩოლოყაშვილის N3-ში მდებარე E კორპუსის საპირფარეშოში დაზიანებული ჭერის შეკეთება;
- ქ. ჩოლოყაშვილის N3/5-ში მდებარე E და F კორპუსებზე დაზიანებული სახურავის შეკეთება;
- ი. ჭავჭავაძის N32-ში მდებარე A კორპუსის 204 აუდიტორიაში ტიხრის მოწყობა და სარემონტო სამუშაოები;
- 9. ი. ჭავჭავაძის N32-ში მდებარე B კორპუსში ბიბლიოთეკის დაზიანებული კედლის შეკეთება;
- 10. ი. ჭავჭავაძის N32-ში მდებარე C კორპუსში მდებარე N122 და N117

აუდიტორიების სარემონტო სამუშაოები;

- 11. ი. ჭავჭავაძის N32-ში მდებარე ბიბლიოთეკის საცავში გისოსების მოწყობა.

**2017** წლის აპრილი**:** სამშენებლო-სარემონტო დეპარტამენტის მიერ საკუთარი ძალებით შესრულებული სამუშაოები, რომლის სახელფასო ფონდმა შეადგინა 7 412, 50 (შვიდი ათას ოთხას თორმეტი ლარი და 50 თეთრი) ლარი:

- უჯარმაში სეისმური სადგურის მოწყობა;
- აბასთუმნის ასტროფიზიკურ ობსერვატორიაში ახალი წყლის სისტემიას აწყობა;
- კაჭრეთში სეისმური სადგურის მოწყობა;
- "მშენებელი 2011"-ის მიერ აშენებული სეისმური სადგურების ინსპექტირება (მუგუდა, ლაფანყური, ზუგდიდი, მცხეთიჯვარი);
- ახალი სასწავლო კორპუსის მშენებლობისათვის საჭირო ხარჯთაღიცხვის მომზადება.

**2017** წლის მაისი**:** სამშენებლო-სარემონტო დეპარტამენტის მიერ საკუთარი ძალებით შესრულებული სამუშაოები, რომლის სახელფასო ფონდმა შეადგინა 6 240 (ექვსი ათას ორას ორმოცი) ლარი:

- აბასთუმნის ასტროფიზიკურ ობსერვატორიაში ახალი წყლის სისტემიას აწყობა;
- ქ. ფოთში საგამოფენო სტენდის აწყობა;
- S კორპუსის ცენტრალური წყლის მილის შეცვლა;
- ნუცუბიძის 77-ში გვირაბის შემოღობვის სამუშაოები;
- დედოფლისწყაროში სეისმური სადგურის მოწყობა;
- "მშენებელი 2011"-ის მიერ აშენებული სეისმური სადგურების ინსპექტირება (შატილი, ხულო).

**2017** წლის ივნისი**:** სამშენებლო-სარემონტო დეპარტამენტის მიერ საკუთარი ძალებით შესრულებული სამუშაოები, რომლის სახელფასო ფონდმა შეადგინა 3 150 (სამი ათას ასორმოცდაათი) ლარი:

- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის 11 წლის იუბილისადმი მიძღვნილი

ღონისძიებისათვის საჭირო კონსტრუქციების აწყობა;

- მუსიკალურ ფესტივალზე Open Air 2017-ზე საგამოფენო სტენდის აწყობა და უნივერსიტეტის კუთხის კეთილმოწყობა;
- მუსიკალურ ფესტივალზე Open Air 2017-ზე ტერიტორიის შემოღობვა;
- ქ. გორში სეისმური სადგურის მოწყობა;
- ქ. რუსთავში ჯიპიეს სადგურის მოწყობა.

**2017** წლის ივლისი**:** სამშენებლო-სარემონტო დეპარტამენტის მიერ საკუთარი ძალებით შესრულებული სამუშაოები, რომლის სახელფასო ფონდმა შეადგინა 11 226,38 (თერთმეტი ათას ორას ოცდაექვსი ლარი და 38 თეთრი) ლარი:

- აბასთუმნის ასტროფიზიკურ ობსერვატორიაში აზტ-14-ის ფასადის რეაბილიტაცია;
- აბასთუმნისა ასტროფიზიკურ ობსერვატორიაში ზედა ატმოსფეროების კოშკის მესამე სართულის აივნის რეაბილიტაცია;
- აბასთუმნის ასტროფიზიკურ ობსერვატორიის ტერიტორიაზე მდებარე ბინა #33-ის აივნის რეაბილიტაცია;
- S კორპუსის მერვე სართულის აუდიტორიებში ტიხრების მოწყობა და სამღებრო სამუშაოები;
- ჩოლოყაშვილის 3/5-ის სათადარიგო შემოსასვლელის მოწესრიგება;
- ჩოლოყაშვილის 3/5F კორპუსზე მიშენების დემონტაჟი და სარემონტო სამუშაოები;
- G და S კორპუსების ძალოვანი კაბელის შეცვლა.

**2017** წლის აგვისტო**:** სამშენებლო-სარემონტო დეპარტამენტის მიერ საკუთარი ძალებით შესრულებული სამუშაოები, რომლის სახელფასო ფონდმა შეადგინა 21 500 (ოცდა ერთი ათას ხუთასი) ლარი:

- E კორპუსის პირველი სართულის დერეფნის სამღებრო სამუშაოები;
- B კორპუსის პირველი და მეორე სართულის დერეფანის სამღებრო სამუშაოები;

- ჩოლოყაშვილის 3/5 E კორპუსის ცენტრალური კიბის უჯრედის და ცენტრალური შემოსასვლელის სამღებრო სამუშაოები;
- E კორპუსის #209 აუდიტორიის სამღებრო სამუშაოები;
- E კორპუსის დერეფანი და მეორე სართულის დერეფნის სამღებრო სამუშაოები;
- E კორპუსის #204, 202, 206, 205, 235 აუდიტორიების სამღებრო სამუშაოები;
- E კორპუსის #336, 309 აუდიტორიების და III და IV სართულის დერეფნების სამღებრო სამუშაოები;
- E კორპუსის #403, 410,304, 306, 316 აუდიტორიების სამღებრო სამუშაოები;
- E კორპუსის #408, 401, 405, 406 აუდიტორიების სამღებრო სამუშაოები;
- F კორპუსის ცენტრალური წყლის მილის შეცვლა.

**2017** წლის სექტემბრი**:** სამშენებლო-სარემონტო დეპარტამენტის მიერ საკუთარი ძალებით შესრულებული სამუშაოები, რომლის სახელფასო ფონდმა შეადგინა 26 176,50 (ოცდაექვსი ათას ას სამოცდათექვსმეტი ლარი და 50 თეთრი) ლარი:

- E კორპუსის მესამე სართულის ფლიგელის დერეფნის სამღებრო სამუშაოები;
- E კორპუსის პირველი სართულის ფლიგელის დერეფნის სამღებრო სამუშაოები;
- E კორპუსის მდფ-ის კარებების გადაღებვა;
- E კორპუსის #317, 335, 307, 207 ოთახების სამღებრო სამუშაოები;
- ჭავჭავაძის 32-ში A კორპუსის შემოსასვლელის და მესამე-მეოთხე სართულის დერეფანის სამღებრო სამუშაოები;
- A კორპუსის პირველი-მეორე სართულის დერეფნების სამღებრო სამუშაოები;
- F კორპუსის #111, 112, 113 ოთახების სამღებრო სამუშაოები;

- C კორპუსის მეორე-მესამე სართულის დერეფანისა და კიბის უჯრედის სამღებრო სამუშაოები;
- A მეოთხე სართულის დერეფანის სამღებრო სამუშაოები;
- D კორპუსის კიბის უჯრედების სამღებრო სამუშაოები;
- H კორპუსის ცენტალური შემოსასვლელისა და 113 ოთახის სამღებრო სამუშაოები;
- D კორპუსის სარდაფის, მესამე სართულის დერეფანისა და კიბის უჯრედის სამღებრო სამუშაოები;
- C კორპუსის #124ა ოთახის სამღებრო სამუშაოები;
- H კორპუსის #113 ოთხის სამღებრო სამუშაოები;
- D კორპუსის #DT3, DT4 აუდიტორიების სამღებრო სამუშაოები;
- E და F კორპუსის გადასასვლელი ხიდის სამღებრო სამუშაოები;
- ვაკის პარკში გამართულ რიგით მეექვსე სამეცნიერო პიკნიკსათვის მოსამზადებელი სამუშაოები;

**2017** წლის ოქტომბრი**:** სამშენებლო-სარემონტო დეპარტამენტის მიერ საკუთარი ძალებით შესრულებული სამუშაოები, რომლის სახელფასო ფონდმა შეადგინა 15 583,12 (თხუთმეტი ათას ხუთას ოთხმოცდასამი ლარი და 12 თეთრი) ლარი:

- თეატრალური სარდაფის ჩასასვლელის, აუდიტორია T 02, სარკეებიანი ოთახისა და თეატრის შემოსავლელის სამღებრო სამუშაოები;
- E კორპუსის კიბის უჯრედების დაზიანებული გრანიტის აღდგენითი სამუშაოები;
- E კორპუსის #117 აუდიტორიის სამღებრო სამუშაოები;
- E და F კორპუსის გადასასვლელი ხიდზე მეთლახის სარეაბილიტაციო სამუშაოები;
- S კორპუსის მეცხრე სართულის დერეფანის, აუდიტორია #903, #904 და
    - #905 გსამღებრო სამუშაოები;
- D კორპუსის მეხუთე სართულის აუდიტორიები #501, #502, #503, #504 და

  - #505 სამღებრო სამუშაოები;

- ქალაქ სენაკში განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ორგანიზებით გაიმართა მინი სამეცნიერო ფესტივალზე საგამოფენო სტენდის აწყობა;
- ონში სეისმური სადგურის მოწყობა;
- თბილისში სასწავლო და ადმინისტრაციული კორპუსების გათბობის სისტემის რეაბილიტაცია.

**2017** წლის ნოემბრი**:** სამშენებლო-სარემონტო დეპარტამენტის მიერ საკუთარი ძალებით შესრულებული სამუშაოები, რომლის სახელფასო ფონდმა შეადგინა 11 248 (თერთმეტი ათას ორას ორმოცდარვა) ლარი:

- აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორიის ცენტრალური საკანალიზაციო ქსელის რეაბილიტაცია;
- G კორპუსის #10 ლაბორატორიის ჭერის მოწყობა;
- E კორპუსის #104 ოთახი სამღებრო სამუშაოები;
- A კორპუსის სამედიცინო ოთახის მოწყობა ( #05 ოთახი) და სარდაფის დერეფანი სამღებრო სამუშაოები;
- სამეგრელოში სეისმური სადგურის მოწყობა;
- აცანაში სეისმური სადგურის მოწყობა.

**2017** წლის დეკემბრი**:**

- სტამბის ოთახში ამსტრონგის ჭერის მოწყობა;
- B კორპუსთან საგენერატოროს შენობის სამშენებლო სამუშაოები
  - (მიმდინარე);
- ჭავჭავაძის 32-ში გათბობის ოპერატორებისათვის და დურგლების მოსასვენებელი ოთახის მშენებლობის სამუშაოები. (მიმდინარე)
-

### საწყობის დეპარტამენტი

საწყობის დეპარტამენტმა 2017 წლის მანძილზე უნივერსიტეტში უზრუნველყო ყველა სახის მოთხოვნად საქონელზე მათ შორის: საკანცელარიო საქონლი, ქაღალდი (A4-ფორმატი), ოფისის სრულყოფილი ფუნქციონირებისათვის სხვადასხვა სამეურმეო, ელექტრო, ჰიგიენური საქონლის მარაგის შექმნა.

საწყობის დეპარტამენტმა იანვრის თვიდან დღემდე უზრუნველყო უნივერსიტეტში 2017 წელს შემოსული ყველა სახის პროდუქციისა თუ ტექნიკის მიღება და მოთხოვნილი პროდუქციის ოპერატიულად ადგილამდე მიტანა. ასევე სხვადასხვა სახის პროდუქციის მარაგების შევსებაზე დროული რეაგირება, რათა დისკონფორტი არ შექმნილიყო სხვადასხვა რიგ ღონისძიებებზე მუშაობის თვალსაზრისით.

ყოველივე ზემოაღნიშნულით, შევეცადეთ მოკლე მონახაზის სახით გადმოგვეცა, რაც მიმდინარე წლის განმავლობაში, მატერიალური რესურსების სამსახურში შემავალი სტრუქტურული ერთეულებისა და მისი თანამშრომლების სამსახურებრივ ვალდებულებას წარმოადგენდა.

# გამომცემლობა

2017 წელს, 15 დეკემბრის მდგომარეობით, გამოიცა 17 ახალი დასახელების წიგნი, განხორციელდა 6 გამოცემის რეპრინტი. სულ ჯამურმა ტირაჟმა — 8581 ცალი და თვითღირებულებამ — 30039,85 ლარი შეადგინა (დაწვრილებით იხ. დანართი №1).

2017 წელს გამომცემლობის ბეჭდვით დეპარტამენტში დამონტაჟდა ციფრული ფერადი ბეჭდვის მანქანა Konika Minolta AccurioPrint C2060L (ღირებულება — 56400 ლარი) და დაინერგა ბეჭდვა მოთხოვნის მიხედვით (Print on Demand) ტექნოლოგია, რამაც შესაძლებლობა მოგვცა ცვლადი მონაცემების პროდუქციის, მცირე საწყისი ტირაჟებით (მაგ.: წიგნის თუნდაც ერთი ეგზემპლარის) და შემდგომ, მოთხოვნის მიხედვით, ასევე მცირე ტირაჟებით განმეორებითი ბეჭდვისა.

სულ 2017 წელს, 15 დეკემბრის მდგომარეობით ბეჭდვის დეპარტამენტის მიერ შესრულებული სამუშაოების თვითღირებულებაა — 66788,16 ლარი, მათ შორის:

- 1314 ჯამური ტირაჟით დაიბეჭდა 6 დასახელების ჟურნალი/ყოველწლიური სერიული გამოცემა, თვითღირებულებით — 6100,80 ლარი;
- დაბეჭდილი ტესტების ჯამურმა რაოდენობამ შეადგინა 358 454 A4 ფურცელი, თვითღირებულებით — 13560,21 ლარი;
- დამზადდა 8980 ცალი სავიზიტო ბარათი, 3600 ცალი სერტიფიკატი, სიგელი და დიპლომი, ჯამური თვითღირებულებით — 2275,85 ლარი;
- დანარჩენი სხვადასხვა პოლიგრაფიული პროდუქციის (სტუდენტთა და სხვადასხვა საკონფერენციო-საინფორმაციო მასალა, ფლაერები, მოსაწვევები, პროგრამები, A3/A4 პოსტერები, ბლანკები, კითხვარები, რიდერები, კომერციული შეკვეთები და ა. შ.) ჯამურმა თვითღირებულებამ შეადგინა 14811,45 ლარი;

2017 წლის 15 დეკემბრის მდგომარეობით, გამომცემლობის საჭიროებისათვის ქაღალდის, სხვადასხვა პოლიგრაფიული პროდუქციისა და მასალის, ფერდაშლის, ბეჭდვის მომსახურების და სხვ. შესყიდვისთვის გაფორმდა 38 ხელშეკრულება საერთო ღირებულებით — 53837,64 ლარი.

2017 წლის 15 დეკემბრის მდგომარეობით მთარგმნელობით სამუშაოებზე 12947,04, ხოლო სარედაქციო სამუშაოებზე 11393,47 ლარი დაიხარჯა. მოვიპოვეთ 2 ახალი წიგნის თარგმნისა და გამოცემის უფლება ქვემოთ ჩამოთვლილ წიგნებზე:

- American Juries (გამომცემლობა Prometheus Books) ავტორები: Neil Vidmar and Valerie P. Hans;
- Earth: An Introduction to Physical Geology, 12th Edition (გამომცემლობა Pearson Education,Inc.)
  ავტორები: Edward J. Tarbuck and Frederick K. Lutgens and Dennis G. Tasa.

| # | დასახელება | ტირაჟი | ერთ. თვითღ. | თვითღ. | შენიშვნა |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | სერია "სტუდენტის თვალით" ISSN 2449-2876, წიგნი 1 "რევოლუციიდან სოციალურ მოძრაობამდე პროტესტის დინამიკა 21-ე საუკუნის საქართველში: ISBN 798-9941-18-266-2 | 500 | 1.85 | 925 | |
| 2 | "უეფას სახელმძღვანელო ფეხბურთის ასოციაციების მენეჯმენტის შესახებ" ISBN 978-9941-18-262-4 | 200 | 9.50 | 1900 | |
| 3 | ნ. აბაკელია, "უძველესი კოსმოლოგიური კონცეპტები და არქაული რელიგიური სიმბოლოები ქართველთა კულტურულ მახსოვრებაში" ISBN 978-9941-18-257-0 | 200 | 4.05 | 810 | |
| 4 | ნ. იმედაძე, "ბავშვის მიერ ქართულის, როგორც მშობლიური ენის, დაუფლების საიდუმლოებები. ფსიქოლინგვისტური პერსპექტივა" ISBN 978-9941-18-263-1 | 150 | 3.10 | 465 | |
| 5 | დავით მალაზონია, "ინტერკულტურული განათლება" ISBN 978-9941-18-269-3 | 150 | 5.05 | 756.75 | |
| 6 | "Konstantine Megrelidze and his Times" ISBM 978-9941-18-270-90 | 13 | 2.6 | 33.8 | |
| 7 | გიორგი ანჩაბაძე, „სამხედრო საქმე საქართველოში უძველესი ხანიდან XVIII საუკუნის ბოლომდე" ISBN 978-9941-18-268-6 | 250 | 2.8 | 700 | |
| 8 | ეთერ ღვინიაშვილი, "თბილისის ძველი მუსლიმური სასაფლაოს არაბულენოვანი | 250 | 3.06 | 765 | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | ეპიტაფიები" ISBN 978-9941-18-271-6 | | | |
| 9 | რ. გამყრელიძე „ოპტიმალური მართვის თეორიის საფუძვლები“ ISBN 978-9941-18-272-3 | 200 | 3.85 | 770 |
| 10 | ტ.ს. ელიოტის „საღვთო ტყე. ესეები პოეზიასა და კრიტიკაზე“ ISBN 978-9941-18-267-9 | 243 | 1.85 | 449.55 |
| 11 | დიმიტრი ახვლედიანი "მასალები ძვ.წ. V-I სს-ის კოლხეთის არქეოლოგიური რუკისათვის (ნამოსახლარები სამაროვნები)" ISBN 978-9941-18-277-8 | 85 | 1.35 | 114.75 |
| 12 | „ზოგადი გენეტიკა“ მეორე გამოცემა, აივენგო შათირიშვილი, ნანა დვალიშვილი, ISBN 978-9941-18-276-1 | 110 | 6.25 | 687.5 |
| 13 | შესავალი თანამედროვე აზროვნებაში, მეექვსე გამოცემა (ISBN 978-9941-18-278-5), წიგნი 1,(ISBN 978-9941-18-279-2) | 3000 | 3.4 | 10200 |
| 14 | სერიის „ფილოსოფიური ბიბლიოთეკა“ ISSN 1512-2042 მე-8 წიგნი: მიშელ დე მონტენი, „ესეები“ ISBN 978-9941-18-273-0 | 250 | 7.4 | 1850 |
| 15 | სერიის „ფილოსოფიური ბიბლიოთეკა“ ISSN 1512-2042 მე-9 წიგნი: ჟან ჟაკ რუსო, „ფილოსოფიური ტრაქტატები“ ISBN 978-9941-18-281-5 | 250 | 6.15 | 1537.5 |
| 16 | „ევგენი ხარაძე, ცხოვრება და მოღვაწეობა“ ISBN 978-9941-18-282-2 | 200 | 1.85 | 370 |
| 17 | კრებული "რელიგია და თავისუფლება" ISBN 978-9941-18-283-9 | 170 | 3.25 | 552.5 |

**რეპრინტები**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 1 | „შესავალი თანამედროვე აზროვნებაში“, მეხუთე გადამუშავებული გამოცემა (ISBN 978-9941-18-208-2) წიგნი 3. (ISBN 978-9941-18-211-2) | 1500 | 2.20 | 3300.00 |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 2 | სასწავლო-სააღმზრდელო პროგრამა თბილისის ბაგა-ბაღებისთვის (აქტივობათა წიგნი) ISBN 978-9941-18-107-8; ISBN 978-9941-18-108-5 | 300 | 6.80 | 2040.00 |
| | სასწავლო-სააღმზრდელო პროგრამა თბილისის ბაგა-ბაღებისთვის (დანართი) ISBN 978-9941-18-107-8; ISBN 978-9941-18-109-2 | 300 | 3.90 | 1170.00 |
| 3 | ზიგმუნდ ფროიდი „კულტურით უკმაყოფილება" ISBN 978-9941-18-128-3 | 110 | 1.25 | 137.50 |
| 4 | ”ბიბლია პოსტმოდერნული პერსპექტივიდან ” ISBN 978-9941-18-151-1 | 50 | 3.10 | 155.00 |
| 5 | "ცნობიერების ფილოსოფია", კრებული, ISBN 978-9941-18-132-0 | 50 | 5.45 | 272.50 |
| 6 | სერია: "ფილოსოფიური ბიბლიოთეკა", წიგნი 4 (ISSN 1512-2042) ჯილიან რ. ევანსი, „ფილოსოფია და თეოლოგია შუა საუკუნეებში" ISBN 978-9941-18-207-5 | 50 | 1.55 | 77.50 |
| სულ წიგნები | | 8581 | | 30039.85 |

**ჟურნალი/ყოველწლიური სერიული გამოცემა**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 1 | "კადმოსი" №7 2015 ISSN 1987-8788 | 200 | 10.85 | 2170.00 |
| | "კადმოსი" №8 2016 ISSN 1987-8788 | 50 | 6.60 | 330.00 |
| 2 | "ისტორიული რეკონსტრუქციები" 2016 წლის №2 ISSN 2346-8254 | 250 | 4.15 | 1037.50 |
| 3 | "EISH" 4. 2017 ISSN 1987-8753 | 100 | 9.35 | 935.00 |
| 4 | "ქართველოლოგია" 2016 წლის №4 ISSN 1512-4975 | 200 | 2.60 | 520.00 |
| | "ქართველოლოგია" 2016 წლის №5-6 ISSN 1512-4975 | 200 | 2.10 | 420.00 |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | "ქართველოლოგია" 2017 წლის №1 ISSN 1512-4975 | 50 | 1.70 | 85.00 | |
| | "ქართველოლოგია" 2017 წლის №2 ISSN 1512-4975 | 50 | 1.65 | 82.50 | |
| | "ქართველოლოგია" 2017 წლის №3 ISSN 1512-4975 | 50 | 1.35 | 67.50 | |
| | "ქართველოლოგია" 2017 წლის №4 ISSN 1512-4975 | 50 | 1.52 | 76.00 | |
| 5 | "საკონსტიტუციო სამართლის მიმოხილვა" №11 (ქართულენოვანი) | 14 | 4.45 | 62.30 | დაიბეჭდა 18-19 დეკემბერს |
| 6 | 2017 წლის ასტრონომიური კალენდარი ISSN 0134-9856 ISBN 978-9941-18-261-7 | 100 | 3.15 | 315.00 | |
| სულ ჟურნალები | | 1314 | | 6100.80 | |

**ასევე, ამჟამად იბეჭდება და/ან 2017 წელს გამოიცემა**

1 *"სავლე წერეთლის ფილოსოფიის ინსტიტუტის საბჭოთა პერიოდის საარქივო მასალები. 1946-1991. საიუბილეო გამოცემა" 2 ნაწილად, ISBN 978-9941-18-285-3; ნაწილი I — 978-9941-18-286-0; ნაწილი II — 978-9941-18-287-7*

2 *"რეპრესირებული აზრი. კონსტანტინე მეგრელიძის სოციალური თეორია", გიგა ზედანია, ISBN 978-9941-18-254-9*

3 *"წიგნებსა და ადამიანებზე. ლიტერატურული ესსეები", გრიგოლ ჯოხაძე, ISBN 978-9941-18-284-6*

4 *კრებული "ფილოსოფია და ლოგიკა", ISBN 978-9941-18-289-1*

# ბიბლიოთეკა

*მომსახურების განყოფილება*

I. ბიბლიოთეკის სერვისებზე მკითხველთა მოთხოვნა
II. ბიბლიოთეკის დარბაზები
III. ღონისძიებები
IV. პროფესიული განვითარება
V. შიდა პროექტები
VI. ცირკულაციის პროცესების ავტომატიზაცია
VII. ასლგადამღები პუნქტების ხარჯთაღრიცხვა

## I. ბიბლიოთეკის სერვისებზე მკითხველთა მოთხოვნა

2017 წლის 4 იანვრიდან 14 დეკემბრის ჩათვლით, ილია სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის სხვადასხვა სერვისზე (ელექტრონული შეკვეთა; ბიბლიოთეკათშორისი შეკვეთა; შეეკითხე ბიბლიოთეკარს და სხვ.)მონაცემთა შეგროვება მიზნად ისახავდა, მკითხველის მიერ მათზე მოთხოვნის რაოდენობის დადგენასა და აქტიურად მოთხოვნილი ლიტერატურის განსაზღვრას.

*წიგნის ელექტრონული შეკვეთა ელექტრონული*

ელექტრონული შეკვეთის სერვისზე წარმოდგენილი მონაცემი ეყრდნობა მკითხველის მიერ ელექტრონულად შევსებულ ფორმას, რომელშიც აისახება შემდეგი მონაცემები: მკითხველის სახელი და გვარი, სტატუსი ელ. ფოსტა, ტელეფონი, წიგნის ავტორი, სათაური, შეკვეთის ადგილი (დარბაზი, საიდანაც სურს მკითხველს წიგნის გატანა). აღნიშნულ პერიოდში ელექტრონულ შეკვეთაში შემოსულია **2470** მოთხოვნა.

2470 ელექტრონულად შემოსული შეკვეთიდან:

- 63 შეკვეთა მიღებულია უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალისა და თანამშრომლის მიერ.
- 2384 - სტუდენტის მიერ
- 23 - გარეშე პირის მიერ.

სერვისის შესახებ დეტალური ინფორმაცია იხ. აქ

*ბიბლიოთეკათშორისი სერვისი*

ზემოთ აღნიშნულ პერიოდში ბიბლიოთეკათშორისი სერვისის ფარგლებში შემოსულია 320 შეკვეთა, აქედან:

- 255 დასახელების ეგზემპლარი მოტანილია მკითხველისთვის
- 65 წიგნი არ აღმოჩნდა არცერთი პარტნიორი ბიბლიოთეკის კოლექციაში

სერვისის შესახებ დეტალური ინფორმაცია იხ. აქ

*შეეკითხე ბიბლიოთეკარს - librarian@iliauni.edu.ge*

“შეეკითხე ბიბლიოთეკარს“ სერვისის ფარგლებში შემოსულია 2100 შემდეგი კატეგორიის წერილი: ლიტერატურაზე მოთხოვნა, გატანილ წიგნზე ვადის გადადება სხვადასხვა საკითხები (მაგ: ბაზებთან დაკავშირებული პრობლემები, ბიბლიოთეკით სარგებლობის წესები და სხვ.)

სერვისის შესახებ დეტალური ინფორმაცია იხ. აქ

*ჯგუფური მუშაობის ოთახის დაჯავშნა*

სულხან-საბა ორბელიანის დარბაზის ჯგუფური მუშაობის ოთახი, დაიჯავშნა სტუდენტების 65 ჯგუფზე.

სერვისის შესახებ დეტალური ინფორმაცია იხ. აქ

*შეამოწმე დავალიანება*

„შეამოწმე დავალიანება“ ახალი სერვისია, რომელიც სტუდენტს საშუალებას აძლევს ეტაპობრივად მოახდინოს გატანილი წიგნების ვადების გადამოწმება. 23 ივნისიდან დღემდე მოცემული სერვისი გამოიყენა 175 სტუდენტმა.

სერვისის შესახებ დეტალური ინფორმაცია იხ. აქ

## II. ბიბლიოთეკის დარბაზები

*განახლებული სულხან-საბა ორბელიანის დარბაზი*

2017 წლის ახალი სასწავლო წლიდან მკითხველს განახლებულ სულხან-საბა ორბელიანის დარბაზი დახვდა. დარბაზის აღჭურვილობა მაქსიმალურად არის მორგებული მკითხველების საჭიროებებს და საშუალებას აძლევს მათ, იმუშაონ ინდივიდუალურად, დაჯავშნონ ჯგუფურად მუშაობის ოთახი, მიიღონ ბიბლიოთეკარის დახმარება სამეცნიერო სტატიების მოძიებაში, ადგილზე ელექტრონულად დაჯავშმნონ წიგნები და ა.შ.

## III. ღონისძიებები

*თბილისის წიგნის მე - 19 საერთაშორისო ფესტივალი*

2017 წლის 25 მაისიდან 28 მაისის ჩათვლით გამართულ წიგნის საერთაშორისო ფესტივალზე ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკამ დამთვალიერებელს 32 დასახელების წიგნი შესათავაზა. შერჩეული ლიტერატურა აქტუალური თემატიკის შემცველი იყო და შემდეგ მიმართულებებს მოიცავდა: ძალადობა ოჯახში, სკოლასა და საზოგადოებაში; ბიოკონსერვაცია და გარემოს დაცვა; ეკოლოგიური ნაგებობები და „მწვანე არქიტექტურა“.

გარდა ბეჭდური გამოცემებისა, საინფორმაციო ტექნოლოგიების საშუალებით ბიბლიოთეკამ საზოგადოებას გააცნო საკუთარი ელექტრონული რესურსები. დამთვალიერებელს საშუალება ჰქონდა, ადგილზე ენახა და პრაქტიკაში გამოეცადა ელექტრონული ბაზების, კატალოგებისა და ელექტრონული ბიბლიოთეკის მოხმარების ძირითადი ინსტრუმენტები, მოეძია მისთვის საინტერესო წიგნები და პერიოდული გამოცემები.

## IV. პროფესიული განვითარება

*მკითხველზე ორიენტირებული მიდგომები თანამედროვე ბიბლიოთეკაში*

2017 წლის საბიბლიოთეკო კვირეულის ფარგლებში, ილიას უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ორგანიზებით ჩატარდა შეხვედრა "მკითხველზე ორიენტირებული მიდგომები თანამედროვე ბიბლიოთეკაში". ღონისძიებას ესწრებოდნენ ბიბლიოთეკის წარმომადგენლები თბილისიდან და საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან. სულ 110 მსმენელი.

ღონიეძიება მოიცავდა შემდეგ თემებს:

- სამეცნიერო ბაზების მნიშვნელობა საუნივერსიტეტო ბიბლოთეკებისთვის
- საბიბლიოთეკო სერვისები და მათი პოპულარიზაცია
- საბიბლიოთეკო რესურსის გზა მისი მოპოვებიდან თარომდე
- ბიბლიოთეკარი, როგორც მკვლევარი

## V. სტუდენტების სტაჟირება ბიბლიოთეკაში

საჯარო ბიუროს სტაჟირების პროგრამის ფარგლებში ბიბლიოთეკაში 2017 წლის ნოემბრიდან დასაქმდა 2 სტუდენტი.

მომსახურების განყოფილებაში სტუდენტების მიერ შესასრულებელ ძირითად საქმიანობებს წარმოადგენს:

- საბიბლიოთეკო მომსახურების უზრუნველყოფა მკითხველის ინდივიდუალური ინფორმაციული საჭიროებებიდან გამომდინარე;
- მკითხველისთვის კეთილგანწყობილი და სამუშაო ატმოსფეროს შექმნა;
- ბიბლიოთეკის მკითხველის საინფორმაციო რესურსების მოძიებაში კონსულტირება და დახმარების გაწევა;
- მკითხველისთვის სასურველი მასალის მოძიების ალტერნატიული გზებისა და საშუალებების შეთავაზება;
- სხვა მიმდინარე პროექტებში ჩართვა

## VI. შიდა პროექტები

***ავტორეფერატების გაციფრება***

2017 წლის იანვრიდან ილიას უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა ინტენსიურად განაგრძობს ბეჭდური სახით არსებული ავტორეფერატების გაციფრებას. პროექტი ციფრულ ფორმატში მათ დაცვა-შენახვასა და სამეცნიერო-კვლევითი მიზნებით მათზე წვდომას ისახავს მიზნად. ნაშრომები მოიცავს 1960 წლიდან 2006 წლის ჩათვლით ავტორეფერატების 6892 ეგზემპლარს.

პროექტისთვის შეირჩა ის ნაშრომები, რომელიც აკმაყოფლებს შემდეგ კრიტერიუმებს:

- საქართველოში გამოცემული ავტორეფერატები
- საბჭოტა კავშირში გამოცემული ქართველი ავტორების ავტორეფერატები
- საქართველოს შესახებ გამოცემული ავტორეფერატები
- სულხან-საბა ორბელიანის სახელობის ინსტიტუტში დაცული ნაშრომები

  გაციფრების პროცესისთვის აუცილებელი ეტაპები მოიცავდა შემდეგ საკითხებს:

  1. ნაბეჭდი ავტორეფერატების სპეციალურ ცხრილში აღწერა
  2. ნაბეჭდი ავტორეფერატების დასკანერება-დამუშავება
  3. გაციფრებული ავტორეფერატების სპეციალურად შექმნილ ელ. საცავ eprintsზე (http://eprints.iliauni.edu.ge/ ) განთავსება.
  4. ელ. საცავში ატვირთული ავტორეფერატების სპეციალურ ცხრილში აღწერა.

2017 წელს მომზადდა 700 ელექტრონულად დამუშავებული ავტორეფერატი. აქედან http://eprints.iliauni.edu.ge/ - ზე ატვირთულია 393 ავტორეფერატი.

## VI. ცირკულაციის პროცესების ავტომატიზაცია

2017 წლიდან ილიას უნივერსიტეტის ბიბლიოთეკამ აქტიურად დაიწყო ცირკულაციის პროცესებისთვის ახალი საიტის მოხმარება https://library.iliauni.edu.ge/journal/circulation.php . საიტი ითვალისწინებს ბიბლიოთეკის ცირკულაციის პროცესების ავტომატიზაციასა და არგუსის მონაცემთა ბაზიდან მკითხველის შესახებ ავთენტური მონაცემის წამოღებას.

აღნიშნული პროექტის შედეგად, შესაძლებელი გახდა ბიბლიოთეკის მომხმარებელთა მიერ გატანილი და დაბრუნებული საბიბლიოთეკო ერთეულების პროგრამული დამუშავება, მკითხველის ისტორიის შენახვა, ერთიანი მონაცემთა ბაზის შექმნა და ყველა დარბაზის თანამშრომლისთვის მისი ხილვადობის უზრუნველყოფა.

წლის განმავლობაში მუდმივად მიმდინარეობდა მისი პროგრამული და შინაარსობრივი დახვეწა.

## VI. ასლგადამღები პუნქტების ხარჯთაღრიცხვა

ბიბლიოთეკში ფუქნციონირებს სამი ასლგადამღები პუნქტი, რომლებიც შემდეგ მისამართზე მდებარეობენ:

- პუნქტი 1: ჩოლოყაშვილის 3-5, E307
- პუნქტი 2: ილია ჭავჭავაძის გამზ. 32, A 207
- პუნქტი 3: ილია ჭავჭავაზის გამზ. 32. A 207

ასლგადამღები პუქნტების ხარჯთაღრიცხვაში წამოდგენილი მონაცემები აღებულია 2017 წლის იანვრიდან 2017 წლის 30 ნოემბრის ჩათვლით.

| შავ-თეთრი | |
|---|---|
| ამობეჭდილი გვერდების რაოდენობა | 970821 |
| აქედან სერვისის საჭიროებისათვის ტესტირების დროს გვერდების რაოდენობა | 3908 |
| ჯამში დაბეჭდილია | 966913 |
| ჯამში ღირებულება (ლარი) | 27073.564 |

| ფერადი | |
|---|---|
| ამობეჭდილი გვერდების რაოდენობა | 2428 |
| აქედან სერვისის საჭიროებისათვის ტესტირების დროს გვერდების რაოდენობა | 103 |
| ჯამში დაბეჭდილია | 2325 |
| ჯამში ღირებულება (ლარი) | 446.55 |

# საბიბლიოთეკო ფონდების მენეჯმენტის განყოფილება

2017 წლის განმავლობაში ბიბლიოთეკის ფონდების მენეჯმენტის განყოფილებამ რამდენიმე ძირითადი მიმართულებით იმუშავა უნივერსიტეტში სასწავლო და კვლევითი პროცესის ხელშეწყობის მიზნით. ქვემოთ მოცემულია 2017 წელს განხორცილებული ის აქტივობები, რომლებმაც ხელი შეუწყვეს ბიბლიოთეკის განვითარებას, საუნივერსიტეტო საზოგადოებას სწავლა/სწავლების პროცესის გაუმჯობესებასა და უნივერსიტეტში კვლევითი საქმიანობის გაღრმავებას.

1. **კოლექციების განვითარება**

2017 წლის განმავლობაში ბიბლიოთეკამ საინფორმაციო რესურსის გამდიდრების მიზნით სხვადასხვა ტიპის შესყიდვა განახორციელა. ბიბლიოთეკამ წიგნების არჩევისას იხელმძღვანელა უნივერსიტეტის ფაკულეტეტების ხელმძღვანელებისა და პროფესორ-მასწავლებლების წარდგინებისა და სტუდენტების მოთხოვნის საფუძველზე. სასწავლო და კვლევითი ლიტერატურის საჭიროებიდან გამომდინარე 2017 წელს შეძენილი ლიტერატურა მოიცავდა შემდეგ მიმართულებებს:

- არქიტექტურა
- ფსიქოლოგია
- ფილოსოფია
- ენათმეცნიერება
- მარკეტინგი
- ფინანსები
- სოციალური მეცნიერებები
- სამართალი
- ადამინის უფლებები
- პოლიტოლოგია
- მხატვრული ლიტერატურა

დაფინანსების წყაროს წარმოადგენდა როგორც ბიბლიოთეკის, ასევე ცალკეული ფაკულტეტის/ სკოლის, კვლევითი ინსტიტუტების/ ცენტრების ბიუჯეტი, სხვადასხვა პროექტის ფარგლებში გამოყოფილი ფულადი ადგილობრივი და საერთაშორისო გრანტები.

1.1.**გრანტი**

2017 წელს ბიბლიოთეკამ უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებისგან მიღებული 6 გრანტის ფარგლებში შეისყიდა 49 დასახელების 50 ერთეული საინფორმაციო რესურსი, რომელთა ღირებულება შეადგენს 10 256 ლარს.

**გრანტების საერთო ღირებულება შეადგენს: 10 256 ლარს.**

1.2.**სუბსიდია**

სასწავლო და კვლევითი პროცესისთვის საინფორმაციო რესურსის შესყიდვის მიზნით უნივერსიტეტის სუბსიდიის ფარგლებში 2017 წელს გამოიყო 8824 ლარის ოდენობის თანხა, რის საფუძველზეც ბიბლიოთეკამ შეიძინა 29 დასახელების 29 ერთეული წიგნი.

**სუბსიდიის საერთო ღირებულება შეადგენს: 8824 ლარს.**

1.3.**ბიუჯეტი**

უნივერსიტეტის ბიუჯეტის ფარგლებში 2017 წელს ბიბლიოთეკამ შეისყიდა 394 დასახელების 714 ერთეული 33 142.66 ლარის ღირებულების წიგნი.

**ბიუჯეტის საერთო ღირებულება შეადგენს: 33 142.66 ლარს.**

**2017 წლის განმავლობაში ბიბლიოთეკამ შეისყიდა 52 225.56 ლარის ღირებულების ნაბეჭდი წიგნები[1].**

1.4.პრესა

პროფესორ-მასწავლებლებისა და ბიბლიოთეკარების წარდგინების საფუძველზე ბიბლიოთეკამ 2017 წელს შპს „ელვა.ჯი"-სთან გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად გამოიწერა 7 დასახელების ჟურნალ-გაზეთი. პრესის შესყიდვის ანგარიშსწორება ხორციელდება ნაწილ-ნაწილ. Mიმდინარე წელს სამ ტრანშად გადაირიცხა 809.9 ლარის ოდენობის თანხა[2].

**ერთი წლის განმავლობაში პრესის ღირებულება შეადგენს დაახლოებით 1100 ლარს.**

## 2. სასწავლო კურსებისთვის რიდერების მომზადება

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლების და ფაკულტეტების მოთხოვნის შესაბამისად 2017 წლის მანძილზე დამზადდა **98 კურსის რიდერი** (ყველა მათგანი ელექტრონულია + 13 ბეჭდური). ბეჭდური ეგზემპლარები მიმართულებების მიხედვით განთავსდა სამკითხველო დარბაზებში, ხოლო ელექტრონული ვერსიები აიტვირთა ბიბლიოთეკის ვებ-სივრცეში (რიდერების ვებ-გვერდზე).

სხვადასხვა საფეხურის სასწავლო კურსებისთვის დამზადდა შემდეგი რაოდენობის რიდერი:

[1] ინფორმაცია მოიცავს მონაცემებს 2017 წლის 30 ნოემბრის ჩათვლით. მიმდინარე წლის ბოლომდე დამატებით დაგეგმილია სასწავლო და სამეცნიერო ლიტერატურის შესყიდვა, მათი მოწოდება განხორციელდება 2017 წლის ინავარ-თებერვალში.

[2] მეოთხე ტრანშის გადახდა უნდა მოხდეს 2017 წლის 30 დეკემბერს, რის გამოც აღნიშნული ინფორმაციის ასახვა ვერ მოხდა ანგარიშში.




რიდერების დასამზადებლად ჯამში გამოყენებულ იქნა 321 მასალა, რომელთაგან 152 ელექტრონული სახით (pdf, word) მოგვაწოდეს, ხოლო 169 - ბეჭდური. სასწავლო მასალებიდან ჯამში გამოვიყენეთ 24 958 გვერდი, რომელთაგან დასკანერდა და დამუშავდა 14 490, ხოლო 10 468 გვერდი იყო ელექტრონული (მათი უმრავლესობაც საჭიროებდა დამუშავებას). ბეჭდურად დამზადებული რიდერების ფურცლების რაოდენობამ შეადგინა 3050.



საერთო სტატისტიკა

| რიდერების რაოდენობა (კურსების მიხედვით) | გამოყენებული მასალის რაოდენობა | გამოყენებული გვერდების რაოდენობა (ელექტრონული, დასკანერებული, დამუშავებული) |
|---|---|---|
| 98 | 321 | 24 958 |






2015, 2016 და 2017 წლების შედარება (რიდერები, მასალები)

| | რიდერების საერთო რაოდენობა | დამუშავებული მასალის რაოდენობა | გვერდების რაოდენობა | გვერდების ტიპი | | სწავლების საფეხური | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | ელ. გვერდი | დასკანერებული გვერდი | BA | MA | PhD |
| 2015 | 167 | 507 | 43456 | 20617 | 22839 | 91 | 66 | 8 |
| 2016 | 280 | 895 | 86313 | 55051 | 27891 | 160 | 119 | 1 |
| 2017 | 98 | 321 | 24958 | 10468 | 14490 | 55 | 36 | 6 |

## 3. სილაბუსების დამუშავების სტატისტიკა

ბიბლიოთეკა აქტიურად თანამშრომლობს ფაკულტეტებთან სილაბუსებში მითითებული ლიტერატურის ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით. 2017 წლის განმავლობაში დამუშავდა სილაბუსებში არსებული შემდეგი რაოდენობის სასწავლო მასალა:

- ბიზნესის სკოლა - **76**
- საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და საინჟინრო ფაკულტეტი - **223**
- მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტი - **344**.




## 4. ბიბლიოთეკის ვებ-სივრცე და ელექტრონული მასალები

ბიბლიოთეკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრიორიტეტია სერვისების გაუმჯობესების მიზნით ვებ-სივრცეში ცნობადობის გაზრდა და ელექტრონულ მასალებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა. ბიბლიოთეკის საიტი საკმაოდ მოქნილი, დახვეწილი და მომხმარებლისთვის ადვილად

გამოსაყენებელია. ელექტრონული ბიბლიოთეკა 2017 წლის 12 დეკემბრის მდგომარეობით მოიცავს შემდეგ რესურსებს:

- ელექტრონული წიგნი - **221** ერთეული (82 მათგან ახლავს ანოტაციაც)
- ელექტრონული ჟურნალ-გაზეთები - **8** დასახელება (**222** ნომერი)
- ვიდეო მასალა - კურსის „შესავალი თანამედროვე აზროვნებაში" ფარგლებში **12** ავტორის შესახებ ვიდეო მასალა
- აუდიო მასალა - კურსის „შესავალი თანამედროვე აზროვნებაში" ფარგლებში **10** ავტორის შესახებ აუდიო მასალა.

ამათგან, ქართული მხატვრული ლიტერატურის **96** ელექტრონული წიგნი ხელმისაწვდომია **PDF, Mobi** და **ePub** ფორმატებში.

ყოველთვიურად საიტს ემატება ახლად შესყიდული წიგნების მონაცემები (ფოტო და ბიბლიოგრაფიული ჩანაწერი).

საერთო ჯამში ბიბლიოთეკის საიტზე განთავსებულია **2 161** ელ.რესურსი. მათ შორის:



2017 წლის ზაფხულიდან ბიბლიოთეკის ვებ-გვერდზე ჩართულია Google Analytics-ი, რომლის თანახმადაც 12 დეკემბრის მდგომარეობით, საიტს ჰყავდა 31 512 სტუმარი, რომელთა მიერ ნანახია 331 694 შიდა გვერდი და საიტზე ყოფნის საშუალო ხანგრძლივობა არის 02:43 წთ.

ბიბლიოთეკა სოციალური ქსელის საშუალებითაც ახდენს მკითხველთა ინფორმირებას და დახმარებას. 2017 წლის 12 დეკემბრის მონაცემებით ჩვენს ფეისბუქ-გვერდს 11 319 მოწონება აქვს და 11 227 გამომწერი ჰყავს. მათი უმეტესობა ჩვენი გვერდის აქტიური მიმდევარია.

## სამეცნიერო ელექტრონული ბაზები

**განხორციელებული შესყიდვები**

2017 წლის განმავლობაში ბიბლიოთეკა უზრუნველყოფდა წვდომას შემდეგ სამეცნიერო ელექტრონულ ბაზებზე, რომელიც მთლიანობაში ფარავს თითქმის ყველა სასწავლო მიმართულებას:

- ✓ Political Science Complete (Ebscohost)
- ✓ Humanities Source (Ebscohost)
- ✓ JSTOR
- ✓ Sage Publishing
- ✓ Taylor and Francis Journals
- ✓ Cambridge University Press Journals
- ✓ ProQuest Dissertations and Thesis
- ✓ Science Direct
- ✓ Scopus
- ✓ Web of Science (Thomson Reuters)
- ✓ Journal Citation Report (Thomson Routers)
- ✓ ProQuest Research Library
  - ✓ IMF Elibrary
  - ✓ DOAJ
  - ✓ The New England Journal of Medicine
  - ✓ BioOne
  - ✓ ElgarOnline
  - ✓ Royal Society Journals Collection
  - ✓ Hinari
  - ✓ Encyclopedia Britannica
  - ✓ Pivot TM
  - ✓ LexisNexis

აღნიშნული რესურსების შეძენისათვის ბიბლიოთეკამ 2017 წელს გააფორმა ხელშეკრულებები: ა) „საქართველოს ბიბლიოთეკების ინტეგრირებული საინფორმაციო ქსელის კონსოციუმთან“, რომელიც საერთაშორისო საბიბლიოთეკო კონსორციუმების წევრობის გამო ფლობს ბაზების ლიცენზირების უზრუნველყოფის ექსკლუზიურ უფლებას საქართველოში და სარგებლობს მნიშვნელოვანი ფასდაკლებებით. ბ) უშუალოდ სამეცნიერო ელექტრონული ბაზების მომწოდებლებთან.

**2017 წელს ბიბლიოთეკამ საერთო ჯამში შეიძინა  29 541 ლარის, 30 635 აშშ დოლარის, 15 702 ევროს და 499.20 ბრიტანული ფუნტის ღირებულების სამეცნიერო ელექტრონული ბაზები.**

2017 წლის განმავლობაში, საცდელ რეჟიმში, ჩართული იყო შემდეგი ელექტრონული ბაზები:

Taylor and Francis Journals

LexisNexis

Britannica Image Quest

Acedemic Video Online

IOP Publishing Journals

Macat iLibrary

2. ჩატარებული ტრენინგები

ბიბლიოთეკაში არსებული სამეცნიერო ელექტრონული ბაზების შესახებ საუნივერსიტეტო საზოგადოების ინფორმირებისა და აგრეთვე ამ ბაზებში მკითხველისათვის სასურველი მასალის მოძიების უნარების გამომუშავების მიზნით, წლის განმავლობაში ჩატარდა ტრენინგები სხვადასხვა სამიზნე აუდიტორიისათვის. ტრენინგის მსვლელობისას მსმენელებს საშუალება ჰქონდათ ერთი მხრივ მოესმინათ ინფორმაცია, ხოლო მეორე მხრივ პრაქტიკული სამუშაოს საშუალებით გაცნობოდნენ ელექტრონული რესურსების საძიებო ინსტრუმენტებს.

2017 წელს, გაზაფხულის და შემოდგომის სემესტრების დაწყების წინ ჩატარდა ტრენერთა ტრენინგები საბაკალავრო საფეხურის სავალდებულო საგნის „აკადემიური მუშაობის ტექნიკები " მასწავლებლებისთვის. ტრენინგში მონაწილეობის შემდეგ, ყველა მასწავლებელი ინფორმირებული იყო სამეცნიერო ბაზების შესახებ. მათ, თავის მხრივ, სალექციო კურსის ფარგლებში ბაკალავრიატის პირველი წლის სტუდენტებს  განუვითარეს სამეცნიერო ბაზებში ეფექტურად მუშაობის უნარები.

მიმდინარე წელს ბიბლიოთეკის ორგანიზებით გაიმართა  საინფორმაციო სახის ვორქშოპები:

How to use Scopus / სკოპუსის გამოყენების ძირითადი პრინციპები

Increasing Research Productivity with Using Mendeley / სამეცნიერო საქმიანობის გაუმჯობესება ელექტრონული რესურსების გამოყენებით - Mendeley -ის შემთხვევა

2017 წლის 5 მაისს, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკამ მთელი საქართველოს მასშტაბით ასზე მეტ ბიბლიოთეკარს უმასპინძლა. შეხვედრის მთავარი თემა თანამედროვე

ბიბლიოთეკაში მკითხველზე ორიენტირებული მიდგომები იყო. ილიაუნის ბიბლიოთეკის თანამშრომლებმა კოლეგებს გამოცდილება გაუზიარეს და სამომავლო თანამშრომლობისათვის კონტაქტები გააღრმავეს. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის მესვეურებმა კოლეგებს საკუთარი გამოცდილება შემდეგი მიმართულებებით გაუზიარეს: საბიბლიოთეკო სერვისები და მათი პოპულარიზაცია; ბიბლიოთეკარი, როგორც მკვლევარი; სამეცნიერო ბაზებისა და ელექტრონული რესურსების მნიშვნელობა საუნივერისტეტო ბიბლიოთეკებისათვის. ასევე, საუბარი შეეხო იმ სიახლეებს, რომლებსაც უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა ნერგავს, რათა მაქსიმალურად მკითხველზე ორიენტირებული იყოს და შექმნას იმგვარი პირობები, რომლებიც აუცილებელია მაღალი ხარისხის კვლევისა და სწავლებისათვის. საბიბლიოთეკო სფეროს განვითარებისათვის ამ მიმართულების წარმომადგენელთა მხრიდან ერთმანეთისთვის გამოცდილებების გაზიარებას და სიახლეების დანერგვას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. აღნიშნული შეხვედრა 2017 წლის საქართველოს საბიბლიოთეკო კვირეულის დასკვნითი ღონისძიების ფარგლებში გაიმართა.

3. სტატისტიკური მაჩვენებლები

ელექტრონული ბაზების შესყიდვისათვის ყოველწლიურად დამტკიცებული ბიუჯეტის მიზნობრივი გახარჯვისათვის, ბიბლიოთეკა აწარმოებს მომხმარებელთა სტატისტიკური მონაცემების მონიტორინგს. დაკვირვებაზე დაფუძნებული შესყიდვა საშუალებას იძლევა თავიდან ავირიდოთ საუნივერსიტეტო საზოგადოებისათვის ნაკლებად საჭირო და არააქტუალური ელექტრონული რესურსების შესყიდვა.

სტატისტიკური მონაცემების კონტროლისათვის ბიბლიოთეკას თითოეულ ბაზასთან შეთანხმებით შექმნილი აქვს თავისი ადმინისტრატორის გვერდი, რომლის საშუალებითაც ამოწმებს, ერთი მხრივ ბაზის სტატუსს (ჩართულია, გამორთულია თუ შეზღუდულია წვდომა), ხოლო მეორე მხრივ, მომხმარებელთა ყოველთვიურ აქტიურობას. ამის საფუძველზე შემუშავდება მომხმარებელთა წლიური სტატისტკური მონაცემები  და ხდება მათი შედარება წინა წლის მონაცემებთან (იხ. დანართი 1).

4. საერთაშორისო ურთიერთობები

ბიბლიოთეკა აქტიურად თანამშრომლობს საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციასთან, საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკასთან  და საბიბლიოთეკო კონსორციუმში შემავალ ბიბლიოთეკებთან სხვადასხვა სფეროში, მათ შორის ელექტრონული ბაზების თანადაფინანსებით შესყიდვის კუთხით, სხვადასხვა საბიბლიოთეკო ღონისძიებების ორგანიზების და დაგეგმვის მიზნით. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის წარმომადგენლები რეგულარულად მონაწილეობენ კონსორციუმის შეხვედრებში მომხსენებლებისა და მონაწილეების სტატუსით.

2017 წელს საბიბლიოთეკო ფონდების მენეჯმენტის განყოფილების უფროსი გიგა ხოსიტაშვილი და უფროსი სპეციალიტი თამარ თარალშვილი ერაზმუს პლიუსის მობილობის ფარგლებში იმყოფებოდნენ ევროპის უმაღლესი საგანამანათლებლო დაწესებულების ბიბლიოთეკებში. აღნიშნული ვიზიტების ფარგლებში მონაწილეებს შესაძლებლობა ჰქონდათ ადგილზე გაცნობოდნენ თანამედროვე ბიბლიოთეკების მართვის მოდელებს, დაემყარებინათ

ახალი კონტაქტები და ემსჯელათ საუკეთესო პრაქტიკის მშობლიურ ინსტიტუციაში დანერგვის შესაძლებლობებზე.

**დანართი #1**

**სამეცნიერო ელექტრონული ბაზების მოხმარების სტატისტიკა**[3]

[3] წარმოდგენილი მონაცემები არ მოიცავს 2017 წლის დეკემბრის მაჩვენებელს, აღნიშნული ხელმისაწვდომი გახდება მომდევნო წელში.

Science Direct გამოყენების სტატისტიკური მაჩვენებლები




Science Direct გამოყენების სტატისტიკური მაჩვენებლები 2014-2017

Scopus გამოყენების სტატისტიკური მაჩვენებლები

| Year/month | I | II | III | IV | V | VI | VII | VIII | IX | X | XI | XII | Total |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 2014 | | | | 25 | 66 | 188 | 141 | 67 | 191 | 133 | 2158 | 410 | 3379 |
| 2015 | 492 | 550 | 598 | 1140 | 938 | 662 | 714 | 353 | 445 | 1460 | 1160 | 1078 | 10 090 |

| | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 2016 | 1854 | 1303 | 986 | 2520 | 1600 | 1191 | 483 | 347 | 483 | 385 | 1692 | 1026 | 13,907 |
| 2017 | 792 | 786 | 411 | 1086 | 1025 | 1297 | 481 | 273 | 307 | 987 | 2556 | | 10001 |




Scopus გამოყენების სტატისტიკური მაჩვენებლები 2014-2017

| Year/month | I | II | III | IV | V | VI | VII | VIII | IX | X | XI | XII | Total |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 2014 | | | | 42 | 103 | 44 | 53 | 23 | 113 | 161 | 582 | 310 | 1431 |
| 2015 | 398 | 456 | 319 | 471 | 446 | 390 | 278 | 295 | 457 | 913 | 1622 | 961 | 6997 |
| 2016 | 1228 | 1517 | 1070 | 1661 | 204 | 206 | 338 | 94 | 180 | 278 | 767 | 468 | 8011 |
| 2017 | 321 | 319 | 159 | 383 | 487 | 331 | 300 | 245 | 654 | 639 | 801 | | 4639 |

Jstor გამოყენების სტატისტიკური მაჩვენებლები




Jstor  გამოყენების სტატისტიკური მაჩვენებლები 2014-2017

| Year/month | I | II | III | IV | V | VI | VII | VIII | IX | X | XI | XII | Total |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 2014 | 556 | 492 | 228 | 362 | 312 | 500 | 275 | 157 | 298 | 352 | 1400 | 728 | 5660 |
| 2015 | 726 | 1269 | 1082 | 1123 | 1021 | 725 | 913 | 50 | 30 | 236 | 289 | 509 | 7973 |
| 2016 | 714 | 611 | 469 | 1197 | 951 | 1382 | 412 | 475 | 313 | 536 | 1168 | 894 | 9077 |
| 2017 | 582 | 1013 | 435 | 1279 | 1486 | 1284 | 1155 | 893 | 188 | 473 | 1009 |  | 9797 |

EBSCO გამოყენების სტატისტიკური მაჩვენებლები




EBSCO გამოყენების სტატისტიკური მაჩვენებლები 2015-2017

| Year/month | I | II | III | IV | V | VI | VII | VIII | IX | X | XI | XII | Total |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 2015 | 605 | 906 | 914 | 1926 | 1952 | 1175 | 1495 | 775 | 454 | 2036 | 1106 | 1979 | 15323 |
| 2016 | 1526 | 635 | 560 | 3681 | 1359 | 1215 | 867 | 549 | 248 | 401 | 1862 | 1295 | 14198 |
| 2017 | 1018 | 751 | 661 | 1799 | 1251 | 885 | 560 | 977 | 581 | 726 | 1243 | | 10452 |

Clarivate Analytics  (WOS-JCR) გამოყენების სტატისტიკური მაჩვენებლები 2017[4]




Thomson Reuters (WOS) გამოყენების სტატისტიკური მაჩვენებლები 2013-2017

| Year/month | I | II | III | IV | V | VI | VII | VIII | IX | X | XI | XII | Total |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 2013 | 136 | 1148 | 205 | 74 | 310 | 138 | 320 | 67 | 83 | 70 | 128 | 203 | **2882** |
| 2014 | 144 | 103 | 237 | 385 | 376 | 207 | 113 | 36 | 42 | 59 | 126 | 81 | **1909** |
| 2015 | 95 | 196 | 221 | 231 | 275 | 409 | 167 | 186 | 151 | 275 | 420 | 344 | **2970** |

[4] 2017 წლის ნოემბერი-დეკემბრის მონაცემები ხელმისაწვდომი ქინება 2018 წლის იანვრის მეორე ნახევარში

| | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 2016 | 364 | 410 | 279 | 525 | 375 | 257 | 88 | 57 | 59 | 45 | 152 | 115 | **2726** |
| 2017 | 77 | 108 | 118 | 158 | 136 | 98 | 71 | 101 | 71 | 147 | | | 1085 |

ProQuest Research Library გამოყენების სტატისტიკაური მაჩვენებელი




ProQuest Research Library გამოყენების სტატისტიკური მაჩვენებლები 2013-2017

**ProQuest Dissertations and Thesses** გამოყენების სტატისტიკაური მაჩვენებელი




**Sage Journals** გამოყენების სტატისტიკაური მაჩვენებელი

| Year/month | I | II | III | IV | V | VI | VII | VIII | IX | X | XI | XII | Total |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 2013 | | | | | 379 | 258 | 259 | 134 | 50 | 100 | 473 | 406 | 2059 |
| 2014 | 347 | 301 | 130 | 204 | 211 | 212 | 232 | 43 | 93 | 145 | 728 | 295 | 2935 |
| 2015 | 563 | 418 | 190 | 493 | 571 | 335 | 41 | 59 | 46 | 616 | 1763 | 442 | 5537 |
| 2016 | 963 | 552 | 192 | 1057 | 627 | 809 | 70 | 100 | 99 | 345 | 1154 | 361 | 6329 |
| 2017 | 594 | 697 | 98 | 503 | 663 | 658 | 356 | 141 | 24 | 803 | | | 4537 |




**LexisNexis** გამოყენების სტატისტიკაური მაჩვენებელი



**Taylor and Francis Journals** გამოყენების სტატისტიკაური მაჩვენებელი




კატალოგიზაციისა და კლასიფიკაციის განყოფილება

წლის პირველ ნახევარში ჩატარდა ილია ჭავჭავაძის სახელობის უცხო ენებისა და კულტურის უნივერსიტეტის საბიბლიოთეკო ფონდის რეინვენტარიზაცია, რის შედეგადაც ფონდიდან გაირიცხა მორალურად და ფიზიკურად მოძველებული ერთეულები. ასევე, მოხდა ჭარბი ეგზემპლარების იდენტიფიცირება. ერთეულების გარიცხვის კრიტერიუმები შემუშავდა საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის მიერ მომზადებული შესაბამისი დოკუმენტის მიხედვით, რომელიც განსაზღვრავს ჩამოსაწერი საბიბლიოთეკო დოკუმენტების გამოვლენისა და შერჩევის კრიტერიუმებს.

საგნობრივი მიმართულების კონსულტანტების პროცესში ჩართვა

ზემოაღნიშნული პროცესი წარიმართა საგნობრივ კონსულტანტებთან ერთად და მათი რეკომენდაციების გათვალისწინებით. ბიბლიოთეკის თანამშრომელთა მიერ წიგნების გადარჩევისას მაქსიმალურად იყო გათვალისწინებული მომხმარებლის ინტერესები

და სასწავლო მიზნები. დახარისხების შემდეგ გამოიყო სამი ძირითადი კატეგორია: 1. ელექტრონულ კატალოგში შესაყვანი, 2. ფონდიდან გასარიცხი 3 გასაჩუქებელი.[5]

### საბიბლიოთეკო ერთეულების ინვენტარიზაცია

წლის განმავლობაში გრძელდებოდა კოლექციების გამდიდრება შეძენილი, ნაჩუქარი და გრანტების ფარგლებში გადმოცემული ერთეულებით. 2017 წელს ელექტრონულ საინვენტარო ჟურნალში აღირიცხა სულ 4 726 საბიბლიოთეკო ერთეული, რაც დარბაზების მიხედვით შემდეგნაირად განაწილდა:

ავსტრიული ბიბლიოთეკა – 939

აღმოსავლეთმცოდნეობის დარბაზი – 10

ბოტანიკის ინსტიტუტი – 15

ელექტრონული ბიბლიოთეკა – 255

ილიას დარბაზი – 601

ილიას საცავი – 99

ლიტერატურის ოთახი ლიგამუსში – 311

საგრანტო ფონდი – 75

ს-ს ორბელიანის დარბაზი – 2421

[5] მოცემულ სიტუაციაში გასაჩუქებელი ლიტერატურა გულისხმობს იმ საბიბლიოთეკო ერთეულებს, რომლებიც ბიბლიოთეკის ფონდში საკმარისზე მეტი რაოდენობის აღმოჩნდა და წარმოადგენდა შინაარსობრივად და ფიზიკურად კარგ გამოცემას.




*2017 წ. - ახალი საბიბლიოთეკო ერთეულების განაწილება დარბაზების მიხედვით*

**ელექტრონულ საინვენტარო ჟურნალის მიხედვით, 2017 წლის დასასრულისთვის დარბაზებში მთლიანი საბიბლიოთეკო ფონდი შემდეგი პროპორციით და რაოდენობით არის განაწილებული:**

ავსტრიული ბიბლიოთეკა – 3140

აღმოსავლეთმცოდნეობის დარბაზი – 80

ელექტრონული ბიბლიოთეკა – 1882

ილიას საცავი – 6358

ილიას დარბაზი – 12739

ლიტერატურის ოთახი ლიგამუსში – 3647

საგრანტო ფონდი – 559

ს-ს ორბელიანის დარბაზი – 31475




*ფონდების განაწილება დარბაზების მიხედვით*

**ამ დროისათვის ილიას საბიბლიოთეკო ფონდების ელექტრონულ კატალოგსა და საინვენტარო ჟურნალში ხელმისაწვდომი 59 880** საბიბლიოთეკო ერთეული, რომელიც მოიცავს 6 ფორმატის სხვადასხვა მედიებს შემდეგი პროპორციულობით:




*ფონდების განაწილება მედიების მიხედვით*

### რარიტეტული ფონდის კატალოგიზაცია

2017 წელი გამორჩეულია იმით, რომ კატალოგიზაციისა და კლასიფიკაციის განყოფილებამ დაიწყო ძველი და იშვიათი გამოცემების ონლაინ საინვენტარო ჟურნალსა და ელექტრონულ კატალოგში შეყვანა. ფონდის დამუშავების შედეგად აღმოჩენილ იქნა რამდენიმე იშვიათი და ძველი გამოცემა, რომელთა შორისაა 1691 წელს ვენეციაში გამოცემული, ტიტუს ლივიუსის „რომის ისტორია ქალაქის დაარსებიდან".



პროფესიული განვითარება

წლის განმავლობაში მუდმივად ხდებოდა MARC21 სტანდარტებისა და ჩანაწერთა აღწერისა და წვდომის წესების დანერგვის მიმართულებით მუშაობა. ამასთან, ონლაინ საინვენტარო ჟურნალს დაემატა მედიის ისეთი ახალი სახეები, როგორიცაა ბროშურები და რარიტეტები. აღნიშნული სიახლის შემოტანა განაპირობა ISBN-ის გარეშე გამოცემული მოთხვონადი ლიტერატურის სიჭარბემ და ძველი და იშვიათი გამოცემების ელექტრონული კატალოგიზაციის პროცესის დაწყებამ.

განყოფილების თანამშრომელთა დიდი ნაწილი ჩართულია ინგლისური ენის მოსამზადებელ პროგრამაში, რომელიც ითვალისწინებს მომზადებას საეთაშორისო ტესტირებებისთვის. მეცადინეობა მიმდინარეობს განყოფილების რესურსებით.

**უცხოური ბიბლიოთეკების გამოცდილება**

2017 წლის გაზაფხულზე სხვა ქვეყების ბიბლიოთეკების მუშაობის სპეციფიკის გაცნობის მიზნით კლასიფიკაციის და კატალოგიზაციის განყოფილების უფროსმა თანამშრომლებს გააცნო ლიმერიკის ტექნოლოგიების ინსტიტუტისა და ლიმერიკის უნივერსიტეტის საბიბლიოთეკო საქმინაობა, მუშაობის ძირითადი პრინციპება და ფონდების მართვის გამოცდილება.

**წიგნის სახლი “ლიგამუსი”**

წიგნის მაღაზიის ანგარიში - 2017 წელი

ფინანსური მხარე

ფინანსურმა აღრიცხვამ გვიჩვენა, რომ  2017 წლის ბრუნვა 2015 წლის მაჩვენებელს - 9073.64, ხოლო 2016 წლის მაჩვენებელს 15162.75 ლარით აღემატება. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ 2017 წლის მოგება 2015 წლის მაჩვენებელს - 4296.55, ხოლო 2016 წლის მაჩვენებელს 5219.75 ლარით აღემატება.

თვალსაჩინოებისთვის იხილეთ შემდეგი გრაფიკები.

ბრუნვა 2015 – 2016 -2017 წლებში (თვეების მიხედვით):




მოგება 2015 – 2016 – 2017 წლები (თვეების მიხედვით)




მოგება 2015 – 2016 – 2017 წლების მიხედვით:




ბოლო სამი წლის მონაცემით, ყველაზე დიდი მოგება ფიქსირდება 2017 წელს, ხოლო ყველაზე დაბალი მოგება 2016 წელს.

**შენიშვნა: აღნიშნული სტატისტიკა არ შეიცავს 2017 წლის დეკემბრის თვის მონაცემებს სრულად.**

**წიგნები**

2017 წლის განმავლობაში „ლიგამუსმა“ სულ **11137** ცალი წიგნი გაყიდა. აქედან **7877** ცალი - ილიას უნივერსიტეტის მიერ გამოცემული, **161** ცალი - შესყიდვის ხელშეკრულებით შემოტანილი ინგლისურენოვანი, ხოლო **3099** ცალი დანარჩენი გამომცემლობების მიერ შემოტანილი წიგნები არის.

5 ყველაზე გაყიდვადი წიგნის (ილიას უნივერსიტეტის გამოცემები, სამეცნიერო ლიტერატურა, მხატვრული ლიტერატურა) სტატისტიკა შემდეგ ცხრილშია ასახული:

ილიაუნის გამოცემები (5 ყველაზე გაყიდვადი წიგნი)




სამეცნიერო ლიტერატურა (5 ყველაზე გაყიდვადი წიგნი)




მხატვრული ლიტერატურა (5 ყველაზე გაყიდვადი წიგნი)




შესყიდვის ხელშეკრულებით შემოტანილი წიგნების რეალიზაცია და მოგება 2017 წელს შეადგენს 3492.55 ლარს (ღირებულება: 2875.01), ხოლო მოგება 617.54 ლარია. 2015 – 2017 წლების ნავაჭრი და მოგება ასახულია ქვემოთმდებარე გრაფიკში:




**წიგნის ფესტივალი**

2017 წელს წიგნის სახლმა „ლიგამუსმა“ მიიღო მონაწილეობა შემდეგ გამოფენებსა და ფესტივალებზე:

წიგნის 19-ე საერთაშორისო ფესტივალი (25 - 28 მაისი 2017)

თბილისის წიგნის დღეები (9 - 12 ნოემბერი 2017 წელი)

ბოლო სამი წლის ფესტივალებზე ნავაჭრი და მოგება ასე გამოიყურება:




**შენიშვნა: აღნიშნული სტატისტიკა არ შეიცავს დეკემბრის თვის მონაცემებს სრულად**

წლევანდელი წელი შარშანდელთან შედარებით წარუმატებელი აღმოჩნდა. თუ შარშან 7900.30 ლარის წიგნები გაიყიდა (1446 ცალი), წელს გაყიდული წიგნების თანხამ სულ 5890.80 ლარი შეადგინა (1132 ცალი). აღნიშნული სხვაობის მიზეზი შესაძლებელია იყოს ის ფაქტი, რომ წელს ფესტივალებზე გვქონდა 70%-მდე ფასდაკლება, რაც იმას გულისხმობს, რომ წიგნების უმრავლესობა თვითღირებულებაზე დაბალ ფასად გაიყიდა. ასევე, გასათვალისწინებელი ისიც, რომ მყიდველთა ბაზარი წლიდან წლამდე მნიშვნელოვნად არ იცვლება, შესაბამისად, იმისთვის რომ გაიზარდოს გაყიდვები, საჭიროა შემდეგ ფესტივალებზე რაოდენობრივად მეტი ახალი წიგნით წარვსდგეთ.

2017 წელს ფესტივალებზე ყველაზე გაყიდვადი 5 წიგნი იყო:




**ლიგამუსის ბავშვების ოთახი**

უკვე შვიდ წელზე მეტია, რაც წიგნის სახლში „ლიგამუსი" ბავშვებისთვის ფუნქციონირებს ზღაპრის დღე, რომლის ფარგლებშიც ორი საათის განმავლობაში ვცდილობთ წიგნების კითხვით, ლიტერატურული და შემეცნებითი აქტივობებით განვავითაროთ ბავშვებში კითხვის, წვრილი მოტორიკის, სწავლისადმი მიდგომის, მეტყველებისა და სოციალურ-ემოციური უნარები.

2017 წელს სულ გაიმართა 27 შეხვედრა, რომლის ფარგლებში საინტერესო აქტივობების გარდა, წავიკითხეთ 15 მწერლის ნაწარმოებები, როგორც ქართველი, ისე უცხოელი ავტორების, ვუყურეთ 3 ანიმაციურ ფილმს და გამოვიყენეთ 1 თავისუფალი დღე, სადაც ბავშვების სურვილის მიხედვით დაიგეგმა „ზღაპრის დღე".

წიგნის კითხვის გარდა, ბავშვებმა თემატური აქტივობებით გაიუმჯობესეს ხატვის, ღებვის, ძერწვისა და თიხასთან მუშაობის უნარები. აგრეთვე, შეხვედრების განმავლობაში, აქტიურად ვიყენებდით როლური თამაშების მეთოდს ბილინგვური სახელმძღვანელოდან - „ვსწავლობთ თამაშით".

„ზღაპრის დღე" ტარდება ყოველ შაბათს 13:00-დან 15:00 საათამდე, 6-12 წლის ასაკის ბავშვებისთვის. „ზღაპრის დღეზე" დასწრება უფასოა.

# საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ანგარიში

- ღონისძიებები (აპრილი - დეკემბერი, 2014)

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური ორგანიზებას უწევს ან/და ემსახურება სხვადასხვა ტიპის ღონისძიებებს 2017 წლის იანვარი-დეკემბერი ჯამში 326 ღონისძიება .

- იანვრის თვეში ჩატარდა: 11 ღონისძიება
- თებერვლის თვეში ჩატარდა: 17 ღონისძიება
- მარტის თვეში ჩატარდა: 15 ღონისძიება
- აპრილის თვეში ჩატარდა: 35 ღონისძიება
- მაისის თვეში ჩატარდა: 53 ღონისძიება
- ივნისის თვეში ჩატარდა: 48 ღონისძიება
- ივლისის თვეში ჩატარდა: 10 ღონისძიება
- აგვისტოს თვეში ჩატარდა:1 ღონისძიება
- სექტემბრის თვეში ჩატარდა: 16 ღონისძიება
- ოქტომბრის თვეში ჩატარდა: 51 ღონისძიება
- ნოემბრის თვეში ჩატარდა: 44 ღონისძიება
- დეკემბრის თვეში ჩატარდა: 25 ღონისძიება

- ღონისძიებების ორგანიზებისთვის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური:

- წერს ნიუსს და ათავსებს ვებ-გვერდზე
- ამზადებს ვებ-ბანერის დიზაინს
- ათავსებს ინფორმაციას სოციალურ ქსელში
- ჯავშნის აუდიტორიას და აწესრიგებს მას
- ორგანიზებას უწევს ფურშეტს (მოთხოვნის ან/და საჭიროების შემთხვევაში)
- აკეთებს ღონისძიების ფოტო და ვიდეო გადაღებას (მოთხოვნის ან/და საჭიროების შემთხვევაში)
- ამონტაჟებს ვიდეოს და ათავსებს სოციალურ ქსელში
- ამუშავებს ფოტოებს და ათავსება სოციალურ ქსელში
- ავრცელებს ინფორმაციას მეილ ლისტში , აგზავნის შეხსენებას
- ავრცელებს ინფორმაციას საჭიროების შემთხვევაში მედიაში
- დიდი ღონისძიებების შემთხვევაში - დეკორაციის მოფიქრება და გაკეთება
- ღონისძიებებისთვის ბრენდირებული ატრიბუტიკის დიზაინების (კალმები, ბლოკნოტები, მაისურები, ბანერები, სამკერდეები, ჩანთები, კალენდრები, ბლოკნოტები, რვეულები და ა.შ.) შექმნა და მათი სატენდეროდ მომზადება

- სერტიფიკატების დიზაინი, ტექსტი, ბეჭდვა

- განსაკუთრებული მნიშვნელობის ღონისძიებები:

- დიპლომების გადაცემის ცერემონია (ბაკალავრები, მაგისტრები) ;
- სამეცნიერო პიკნიკი 2017;
- მინი სამეცნიერო პიკნიკი სენაკში;
- გაფართოებული ვიზუალიზაციის და ვირტუალური რეალობის ლაბორატორიის გახსნა;
- წლის შემაჯამებელი დასაქმების ფორუმი (2 ივნისი);
- ილიაუნის 11 წლისაა (ილიაუნის დაბადების დღე ლისზე);
- ილიაუნი ლიტერატურული კონკურსი 2016;
- დასაქმების კვირეული 2017;
- გლობალური მეწარმეობის კვირეული;
- საპატიო დოქტორის წოდების მინიჭება - 6
- უნარების და ქართულში მომზადების პროგრამა აბიტურიენტებისთვის;
- უნარების გამოცდისთვის მომზადების პროგრამა მაგისტრებისთვის;

ღონისძიებების სრული ჩამონათვალისთვის იხილეთ დანართი 1.

- ვიდეო-გადაღებები (იანვარი -დეკემბერი 2017 )

- დასაქმების კვირეული ილიაუნიში - 13 ვიდეო
- ლიტერატურული კლუბი - 19 ვიდეო
- სხვადასხვა საჯარო ლექციები და ღონისძიებები - 57 ვიდეო
- Lectura Dantis - 5 ვიდეო
- იტალიური კულტურის ცენტრი - 4 ვიდეო
- საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია 21-საუკუნის გამოწვევები - 10 ვიდეო
- საერთაშორისო კონფერენცია ჩვენი იდუმალი მზე - 5 ვიდეო
- მუსიკის ცენტრის ღონისძიებები - 8 ვიდეო
- ილიაუნის ფორბსის კლუბი - 7 ვიდეო
- სოციალური და კულტურის კვლევების ინსტიტუტი - 4 ვიდეო
- ილიაუნის დებატების კლუბი - 11 ვიდეო

- ფრანკოფონიის დღეები ილიაუნიში - 3 ვიდეო
- ბავშვის განვითარების ინსტიტუტი - 2 ვიდეო
- ლიბერალიზმის სასწავლო ცენტრის ვიდეოები ( არ ატვირთულა ) - 14 ვიდეო
- ილიას წელი - 1 ვიდეო
- ილიაუნის ტეატრი - 6 ვიდეო
- საიმიჯო კლიპი - 6 ვიდეო
- არქივში შენახული შავი მასალები - 28 ვიდეო

იხილეთ ვიდეოებისთვის დანართი #2.

➢ ფოტო-გადაღებები

- 1.იანვარი - 21 ფოტოგადაღება
- 2.თებერვალი - 37 ფოტოგადაღება
- 3.მარტი - 40 ფოტოგადაღება
- 4.აპრილი - 28 ფოტოგადაღება
- 5.მაისი - 52 ფოტოგადაღება
- 6.ივნისი - 33 ფოტოგადაღება
- 7.ივლისი - 31 ფოტოგადაღება
- 8.აგვისტო - 4 ფოტოგადაღება
- 9.სექტემბერი - 36 ფოტოგადაღება
- 10.ოქტომბერი - 67 ფოტოგადაღება
- 11.ნოემბერი - 76 ფოტო გადაღება
- 12.დეკემბერი - 41 ფოტო გადაღება

- ჯამში 2017 წლის იანვრიდან - 15 დეკემბერის ჩათვლით გადაღებულია 466 ფოტო ღონისძიება

სოციალური მედია

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებ-გვერდი: https://iliauni.edu.ge/

Google analytics-ის მონაცემებით 2017 წლის იანვრიდან ოქტომბრამდე ვებგვერდის ვიზიტორების რიცხვი კიდევ უფრო გაიზარდა



ჯამში ამ პერიოდის მანძილზე:

მომხმარებლების რაოდენობა შეადგენს 504,038

გვერდის ნახვა: 4,330,813

გაიზარდა **ილიაუნის facebook** გვერდის მომწონებლების რაოდენობაც და ამჟამად შეადგენს: 104,646 ფეისბუქ მომხმარებელს



ბოლო თვეების მანძილზე საგრძნობლად გაიზარდა გვერდის ნახვის მონაცემებიც.



ილიაუნის ინსტაგრამის გვერდიც საკმაოდ აქტიურია. ამჟამად

გვერდი ითვლის 3,124 followers

ყველაზე პოპულარული პოსტების ნახვების რაოდენობა




**ილიაუნის იუთუბ არხი**

არხის გამომწერების რაოდენობა - 3,487

ვიდეოების რაოდენობა - 1547

ბოლო ერთი წლის მანძილზე გაზრდილია ვიდეოების ნახვის საშუალო ხანგრძლივობა და შეადგენს 16.15 წთს (7.84%ით წინა წელთან შედარებით)



ილიაუნის აკადემიური პერსონალის ვებგვერდი http://faculty.iliauni.edu.ge/

**საჯარო ლექციების ჩამონათვალი**

**2017 წელი**

აქტიურად მიმდინარეობს მუშაობა ილიაუნის აკადემიური პერსონალის ვებგვერდის შევსებასა და დახვეწაზე. ამჟამად ვებგვერდზე განთავსებულია ილიაუნის 282 პროფესორის მონაცემები.

**ონლაინ ილიაუნი**

ბოლო ერთი წლის მანძილზე ილიაუნის ონლაინ პორტალს( http://online.iliauni.edu.ge/) დაემატა ახალი კურსები და ინტერვიუები. ასევე თუთორიალები, რომლებიც საკმაოდ დიდი პოპულარობით სარგებლობს. (იხ. ნახვების რაოდენობა)



**უნა ბოტი http://unabot.cybergala.me/Home/Chat**

2017 წლის 22 ივნისიდან ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტს რობოტი თანამშრომელი ჰყავს – უნა. უნა ილიაუნის ჩეტბოთია. მისი მიზანია, ახლოს გაიცნოს ყველა, ვინც დაინტერესებულია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტით, ისწავლოს მათგან, დააკვალიანოს და უნივერსიტეტს დაეხმაროს, რომ ხშირად დასმულ ყველა შეკითხვას მოკლე დროში გასცეს პასუხი.

2017 წლის 14 ნოემბრის მონაცემებით უნა ბოტს პასუხი აქვს გაცემული **98580** მესიჯზე

დამზადდა ილიაუნის სასტუმროების ვებგვერდი, რომელიც სულ მალე გაეშვება:

დანართი 2.

ფოტო - ვიდეო გადაღებები

იანვარი -2017 დან ოქტომბერი 2017 ჩათვლით

**იანვარი**

1. *ლიბერალიზმის სასწავლო ცენტრი - ირაკლი ყიფიანის საჯარო ლექცია*
https://www.youtube.com/watch?v=O1fGRZc4PwE&index=4&list=PLwf-P4nOg0yz7_kyhckZCyODKApt9kVom
2. *მზექალა შანიძის საიუბილეო საღამო*
https://www.youtube.com/watch?v=8cW3UPMEwuw&t=2239s
3. *საქართველოში იტალიის ელჩის ვიზიტი იტალიის კულტურის ცენტრი*
https://www.youtube.com/watch?v=O-5nzjub9gQ
4. *პროფესორ მათიას თეოდორ ფოგტის საჯარო ლექცია*
https://www.youtube.com/watch?v=trgeJBycJ3c
5. *ლიბერალიზმის სასწავლო ცენტრი - დავით კახაბერის საჯარო ლექცია*
https://www.youtube.com/watch?v=apQ1Ytmxktc
6. *ილიაუნის - რა ? სად ? როდის ? შემოდგომის ფინალი*
https://www.youtube.com/watch?v=_JhHbEuVHA0
7. *ილიაუნიში Vr Lab გახსნა*
https://www.youtube.com/edit?o=U&video_id=_86gAGRjlZk
https://www.youtube.com/edit?o=U&video_id=-OsP-Xo3WQ8
https://www.youtube.com/edit?o=U&video_id=zbx1bkW59qk
8. *ლევან გიგინეიშვილის საჯარო ლექცია*
https://www.youtube.com/edit?o=U&video_id=MOYdEZczEDk

**თებერვალი**

9. *ილიას წელი პანელური დისკუსია თემაზე ,,ილიას მემკვიდრეობა''*https://www.youtube.com/edit?o=U&video_id=htHN05JmEsQ

10. ილიაუნის ხალხური მუსიკის გუნდის 10 კონცერტი
https://www.youtube.com/edit?o=U&video_id=RV75ZoBA_cM

11. ლევან ბერძენიშვილის საჯარო ლექცია
https://www.youtube.com/edit?o=U&video_id=Dyer4KcVmWw
12. თეატრის შეჯამება 2016
https://www.youtube.com/edit?o=U&video_id=TKoBKXxHrqs
13. ილიაუნის საინჟინრო ლაბორატორია - კლიპი
14. პაატა ცანკაშვილის რომანის პრეზენტაცია
https://www.youtube.com/edit?o=U&video_id=E4J47F4FKHo
15. განათლების საერთაშორისო გამოფენა
https://www.youtube.com/watch?v=kIC0Ih4lRaI&t=2s
16. წიგნის კითხვის საერთშორისო დღე
https://www.youtube.com/edit?o=U&video_id=CpJMGYgOmiU
17. შეხვედრა ადამ დინგლთან
https://www.youtube.com/edit?o=U&video_id=4--DKPeuP6U
18. ჯეიკ დელფიას საჯარო ლექცია
https://www.youtube.com/edit?o=U&video_id=kW5W5EsE1H0
19. თატრის გამოცდა - კლიპი
20. Lad Agenda - შავი მასალა 17.02.27
21. Lad Agenda - შავი მასალა 17.02.28

მარტი

22. Lad Agenda -შავი მასალა 17.03.06
23. ფორბსის კლუბში ნინო კობახიძის საჯარო ლექცია
https://www.youtube.com/edit?o=U&video_id=Ia8Q6G2WEHY
24. Lad Agenda - შავი მასალა 17.03.07
25. გიორგი მშვენიერაძის ლექცია - ღირსებიდან უფლებამდე
https://www.youtube.com/watch?v=XVqHyaPwhJY&t=6s
26. ფოლკლორის საღამო
https://www.youtube.com/edit?o=U&video_id=NvjBF7b6nkA
27. ილიაუნის ფორბსის კლუბში თინათინ რუხაძის საჯარო ლექცია https://www.youtube.com/edit?o=U&video_id=kqJMaVK0pYQ
28. დაუნის სინდრომის მსოფლიო დღე
https://www.youtube.com/edit?o=U&video_id=-zdPhsRJHxM
29. სამხედრო სამოქალაქო ორგანიზაცია - შავი მასალა
30. დაუნის სინდრომის მსოფლიო დღე - მზა მაასალა არ ატვირთულა
31. ილიაუნის და სოლიდარობის ფონდს შორის მემორანდუმის გაფორმება https://www.youtube.com/edit?o=U&video_id=SKGDRNtiD-w

32. ორი წელი , რვა თვე და ოცდარვა ღამე
https://www.youtube.com/edit?o=U&video_id=zmgKhhjdjC4
33. ფრანკოფონიის დღეები ილიაუნიში
https://www.youtube.com/edit?o=U&video_id=uNlAAN-9yXA
34. დისკუსია აუტიზმის თემაზე - მზა მასალა არ ატვირთულა
35. პროფესორ გია ნოდიას საჯარო ლექცია
https://www.youtube.com/edit?o=U&video_id=QH3t7Qk0I5E

36. ფრანკოფონიის დღეები ილიაუნიში
https://www.youtube.com/edit?o=U&video_id=ENVLga1kbHM
37. ვოლტერი ტოლერანტობის პიონერი
https://www.youtube.com/edit?o=U&video_id=Dk6exAZxtDY
38. სამართლის სკოლის დაჯილდოვება
https://www.youtube.com/edit?o=U&video_id=pA_idqBiGVk
39. ილიაუნის ჯაზის შუადღე
https://www.youtube.com/edit?o=U&video_id=qiv9wuF77hg
40. ლატვიის პირველი ლედის ვიზიტი ილიაუნიში - შავი მასალა
41. პროფესორ ჰანს ურლიხ გუბრეხტის საჯარო ლექცია
https://www.youtube.com/edit?o=U&video_id=36pFgxMrgxk
42. ტექნოლოგიების კომერციალიზაცია და ინოვაციები 1 დღე
https://www.youtube.com/edit?o=U&video_id=lXkjQOaiS8w
43. ტექნოლოგიების კომერციალიზაცია და ინოვაციები 2 დღე
https://www.youtube.com/edit?o=U&video_id=7cW8TMgW_Yg
44. ტექნოლოგიების კომერციალიზაცია და ინოვაციები 3 დღე
https://www.youtube.com/edit?o=U&video_id=6kQKt_lYrwU
45. პროფესორ ჰანს ურლიხ გუბრეხტის საჯარო ლექცია
https://www.youtube.com/edit?o=U&video_id=7WyCZDwsj5Q
46. ინტერკულტურული განათლების პრაქტიკა საქართველოში
https://www.youtube.com/edit?o=U&video_id=YOcLBBu-AqA
47. ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის დასკვნითი პრეზენტაცია
მზა მასალა არ ატვირთულა
48. ფორბსის კლუბში კახა კუჭავას საჯარო ლექცია
https://www.youtube.com/edit?o=U&video_id=_Q2_M8s_gRY

**აპრილი**

49. სპექტაკლი სამი გოჭი
https://www.youtube.com/edit?o=U&video_id=vXfBsRN_li0
50. რევოლუციიდან სოციალურ მოძრაობებამდე პროტესტის დინამიკა https://www.youtube.com/edit?o=U&video_id=8RtqF9lrqU8
51. ყველაფერი ყველაფერი ნიკოლას იუნის რომანის პრეზენტაცია - შავი მასალა

52. *ენა და იდეოლოგია*
https://www.youtube.com/edit?o=U&video_id=WgJNEVGr_vw
53. *ადამიანის სოციალური უფლებები და მისი როლი საქართველოს კონსტიტუციაში* https://www.youtube.com/edit?o=U&video_id=Eyf8s4hkAwY
54. *ფორფსის კლუბი მაია მიქაშავიძის საჯარო ლექცია*
https://www.youtube.com/watch?v=cjtxNPhTJ10&t=85s
55. *სოვლაბის საჯარო ლექცია*
https://www.youtube.com/edit?o=U&video_id=RwCJgpQyvMQ
56. *უნიმარკეტი - შავი მასალა*
57. *პრეზიდენტის ვიზიტი ილიაუნიში - შავი მასალა*
*ხუან როლფის პედრო პარამო - მზა მაასალა არ ატვირთულა*
58. *გაერთიანებული სამეფოს ელჩის ჯასთინ მაკენზის ვიზიტი ილიაუნიში* https://www.youtube.com/edit?o=U&video_id=9sIBA0mGd5w
59. *სოვლაბ საჯარო ლექცია*
https://www.youtube.com/edit?o=U&video_id=RwCJgpQyvMQ
60. *მწერალ რეინალდო არენასადმი მიძღვნილი საღამო*
https://www.youtube.com/edit?o=U&video_id=q1NsL6t06O4
61. *სემინარი საქართველოში ენერგეტიკული გაერთიანების მოთხოვნების შესაბამისად* https://www.youtube.com/edit?o=U&video_id=bAJUYx-V2pw
62. *ნინო აბაკელიას წიგნის პრეზენტაცია*
https://www.youtube.com/edit?o=U&video_id=GezUtdfxpAw
63. *ილიაუნის ფორბსის კლუბში გიორგი ბურჭულაძის საჯარო ლექცია* https://www.youtube.com/edit?o=U&video_id=l4FD7YSA8gQ

მაისი

64. *პარლამენტის წევრებისა და საქართველოში ნიდერლანდების ელჩის შეხვედრა სტუდენტებთან* https://www.youtube.com/edit?o=U&video_id=Il9kWtR35XI
65. *დოქტორ ფილო პარკი-აბრეშუმის გზის სიმპოზიუმი-წარსული აწმყო და მომავალი* https://www.youtube.com/watch?v=6rwMhime9a0&t=228s
66. *მეტისმეტად ხმაურიანი მარტოობა ბოჰუმილ ჰრაბალის რომანის პრეზენტაცია* https://www.youtube.com/edit?o=U&video_id=nMfobO9NtJo
67. *დებატკლუბის ღონისძიება ილიაუნიში - შავი მასალა*
68. *სეზონური სკოლა ე 207 1 დღე*
https://www.youtube.com/my_videos?o=U&pi=4
69. *პოლონელი გეიმდიზაინერის, არტურ მაკსარას, საჯარო ლექცია*
https://www.youtube.com/edit?o=U&video_id=3o-7KaPz6mU
70. *სეზონური სკოლა ე 207 2 დღე*
https://www.youtube.com/edit?o=U&video_id=CMQQ9YWLfYc
71. *ილიას წელი პროფესორ ბელა წიფურიას საჯარო ლექცია*

https://www.youtube.com/edit?o=U&video_id=buyAmBMfy5Q

72. ისტორიის რეკონსტრუქციები აკადემიური ჟურნალის მეორე ნომრის პრეზენტაცია https://www.youtube.com/edit?o=U&video_id=ywNUFQ2xv10
73. ილიაუნის ლიტერატურულ კლუბში შეხვედრა ვერენა შპალტთან https://www.youtube.com/edit?o=U&video_id=ZI94iGiu_6o
74. დებატკლუბის საიმიჯო სალომე შელია https://www.youtube.com/edit?o=U&video_id=z5VD9ggt3yE
75. დებატკლუბის საიმიჯო რევაზ აფხაზავა https://www.youtube.com/edit?o=U&video_id=05h2axzZ6lk
76. დებატკლუბის საიმიჯო ნელი აგირბა https://www.youtube.com/edit?o=U&video_id=rSJS-ENdEq0
77. დებატკლუბის საიმიჯო ნატა მეფარიშვილი https://www.youtube.com/edit?o=U&video_id=_ZOvhqtdatQ
78. დებატკლუბის საიმიჯო კახა მაღრაძე https://www.youtube.com/edit?o=U&video_id=E9Q67KtgZ8g
79. დებატკლუბის საიმიჯო თინათინ ცერცვაძე https://www.youtube.com/edit?o=U&video_id=wAtIPUFFetQ
80. დებატკლუბის საიმიჯო თამარ გურჩიანი https://www.youtube.com/edit?o=U&video_id=4Knh6PNOVtI
81. დებატკლუბის საიმიჯო ეკა ჟვანია https://www.youtube.com/edit?o=U&video_id=dJVzLiaOtZ8
82. დებატკლუბის საიმიჯო ანდრეს კრუზი https://www.youtube.com/edit?o=U&video_id=RReiztFXQDg
83. დებატკლუბის საიმიჯო ანა დოლიძე https://www.youtube.com/edit?o=U&video_id=yKMo0iGH3pw
84. გია მაჩაბელის საჯარო ლექცია https://www.youtube.com/edit?o=U&video_id=DOCRV2tgHDw
85. ბიზნესის სკოლის სასტიპენდიო კონკურსი https://www.youtube.com/edit?o=U&video_id=89eilG-qW44
86. Building A Systainable Entrepreneurial Ecosystem დღე 1 https://www.youtube.com/edit?o=U&video_id=dnKvX6PzPVA
87. Building A Systainable Entrepreneurial Ecosystem დღე 2 https://www.youtube.com/edit?o=U&video_id=5uQRxCx_7qU
88. ექსპედიცია ყაზბეგში - შავი მასალა
89. ლევან ცაგარელის საჯარო ლექცია https://www.youtube.com/edit?o=U&video_id=vasZKuq3d5A
90. რეგიონული სასტიპენდიო ფონდი - მზა მაასალა არ ატვირთულა
91. ილიაუნის „ფორბსის“ კლუბში ნონა მამულაშვილის საჯარო ლექცია https://www.youtube.com/edit?o=U&video_id=6F-mZF3jBlg
92. საჯარო დებატები ილიაუნის სოციალური და კულტურის კვლევების ინსტიტუტის ორგანიზებით https://www.youtube.com/edit?o=U&video_id=Kco_LNJCbjE

93. ფულბრაიტის სასტიპენდიო პროგრამის პრეზენტაცია ილიაუნის სტუდენტებისთვის https://www.youtube.com/edit?o=U&video_id=_V9NxHIx4Lc
94. ახალგაზრდა პოლიტოლოგთა კლუბი
https://www.youtube.com/watch?v=DvrQ4SUA-aM&t=4s
95. პროფესორ ერიკ იენსენის საჯარო ლექცია
https://www.youtube.com/edit?o=U&video_id=Sp_awADeAPQ
96. მაიკლ ვარდის საჯარო ლექცია აფრიკული მუსიკა
https://www.youtube.com/edit?o=U&video_id=EfPR_oinf7k
97. ილიაუნის ლიტერატურულ კლუბში ქრისტა ვოლფის „მედეას“ განხილვა https://www.youtube.com/edit?o=U&video_id=yiIq3Ii883A
98. ილიაუნის პროსოპოგრაფიული ბაზის მონაცემთა საფუძველზე შექმნილი ელექტრონული რესურსების პრეზენტაცია https://www.youtube.com/watch?v=gp0LuinV4JY
99. შეხვედრა ლიტველ პოეტთან ტომას ვენცლოვასთან
https://www.youtube.com/edit?o=U&video_id=y130gATyaaY
100. მაია ფანჯიკიძე თემაზე „მე არ გამაჩნია ენა ჩემი სინამდვილისთვის''
https://www.youtube.com/edit?o=U&video_id=-TyG18g5wCo
101. მაისის ვორქშოპი - მზა მასალა არ ატვირთულა
102. საქართველოში აშშ-ის ელჩის, იან კელის, ვიზიტი ილიაუნიში - მზა მასალა არ ატვირთულა

**ივნისი**

103. ილიას წელი - გიორგი კეკელიძის საჯარო ლექცია თერგი და ილია https://www.youtube.com/watch?v=gR5hQaCnWb0
104. პანელური დისკუსია გამჭვირვალეზა თუ სიმულაკრი - მზა მაასალა არ ატვირთულა
105. დასაქმების ფორუმი - შავი მასალა
106. ილიაუნის ჰიმნი სწავლის პროცესი - შავი მასალა
107. საჯარო დებატები ილიაუნის სოციალური და კულტურის კვლევების ინსტიტუტის ორგანიზებით https://www.youtube.com/watch?v=L_VMIxhxprg&t=230s
108. ილიაუნის ლიტერატურული კონკურსის 2016 გამარჯვებული გამოვლინდება https://www.youtube.com/edit?o=U&video_id=L-WflgxTEpM
109. სტარტაპები
https://www.youtube.com/edit?o=U&video_id=0NSKRkjYfa8
110. დავით გაბუნიას „დაშლა“ – რომანის პრეზენტაცია ილიაუნის ლიტერატურულ კლუბში https://www.youtube.com/watch?v=DyhskJgk0aI&feature=youtu.be
111. იმიტირებული პროცესი ნაფიცი მსაჯულების - შავი მასალა
112. კონსტანზა კუროს საჯარო ლექცია
https://www.youtube.com/watch?v=y5ZQksz9Lhw&t=8s
113. ილიაუნი 11 წლის არის - ღონისძიება ლისზე

https://www.youtube.com/watch?v=d6lvt7LCAW8

114.ნასას კოსმოსური ინჟინრის, შონ ფულერის, საჯარო ლექცია https://www.youtube.com/watch?v=snZtNi3mFbw

115.პროექტ LEAGUE-ის დასკვნითი კონფერენცია https://www.youtube.com/edit?o=U&video_id=Vq3D_elJ7Eo

116.სამეცნიერო კონფერენცია ილიაუნის იტალიური კულტურის ცენტრში https://www.youtube.com/watch?v=E6DQ0XShXvk

117. ენა და ტერიტორია 2" – კონფერენციის მასალათა კრებულების პრეზენტაცია https://www.youtube.com/watch?v=1Vb1R-fFink

118.სტარტაპები https://www.youtube.com/edit?o=U&video_id=4vlP3yZZBSY

119.არჩილ ქიქოძის სამხრეთული სპილოს პრეზენტაცია https://www.youtube.com/edit?o=U&video_id=PeMUdqBgnGw

120.ია კარგარეთელის დაბადების 150 წლისთავისადმი მიძღვნილი საღამო https://www.youtube.com/edit?o=U&video_id=IA9p-ihqyuw

121.ფემინიზმის გამოღვიძება https://www.youtube.com/edit?o=U&video_id=iEvZsTOKCz4

122. ყაზბეგში გადაღება 3 დღე -- შავი მასალა

123.აჰიმ დორენბუშის საჯარო ლექცია ილიაუნიში https://www.youtube.com/edit?o=U&video_id=R2r-JoWnWNM

124.საერთაშორისო ვორქშოფი პროექტ LADYCA ის ფარგლებში https://www.youtube.com/edit?o=U&video_id=hi8vcHBnmc8

125.ფლორენციელი მკვლევარი ფრანჩესკო ტრეჩი სტუმრად იტალიურ კულტურის ცენტრში https://www.youtube.com/watch?v=DaMM9fuHpl0&t=733s

126. კონსტანტინე კუბლაშვილის წიგნის პრეზენტაცია https://www.youtube.com/edit?o=U&video_id=WALiX2COQZc

127.საჯარო დებატები-უნდა გავყიდოთ თუ არა სასოფლო სამეურნეო მიწები https://www.youtube.com/edit?o=U&video_id=NpNGRjVwpyg

128.„თეთრი კბილები" – ზეიდი სმითის რომანის პრეზენტაცია ილიაუნის ლიტერატურულ კლუბში https://www.youtube.com/watch?v=giFgbtbFZjo&t=42s

129.ლინგვისტურ კვლევათა ინსტიტუტის სემინარი https://www.youtube.com/edit?o=U&video_id=JpT5wH6-nbo

130.ჯაზის საღამო სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმის ეზოში https://www.youtube.com/watch?v=cvU2glLMUt8&t=319s

**ივლისი**

131.ლევან შატბერაშვილის ლექცია ადამიანის უფლებების ფილოსოფიის აქტუალობა https://www.youtube.com/watch?v=6BBplUSzaao&t=11s

132.მაია ენჯელოუს რომანის პრეზენტაცია https://www.youtube.com/watch?v=GVZikvWhEOo&t=48s

133.სტარტაპები

https://www.youtube.com/edit?o=U&video_id=rfxcRYlmzaA

134.დებატკლუბი - შავი მასალა

135.შუა საუკუნეების კვლევების კონფერენცია
https://www.youtube.com/watch?v=dzJs7uckX0c&t=10s

136.მეც და ხელოვნების ფაკულტეტის განათლების ნაშრომების საჯარო დაცვა https://www.youtube.com/watch?v=ieGe5OgwsxM&t=616s

137.რა სად როდის ფინალი
https://www.youtube.com/watch?v=_JhHbEuVHA0&t=1s

138.კავკასიური ცარცის წრე (სპექტაკლი) სტუდენტური - მზა მაასალა არ ატვირთულა

139.ამერიკა–ფრანც კაფკას რომანის პრეზენტაცია
https://www.youtube.com/watch?v=ygfAHRytMCI&t=98s

140. ხალხური სიმღერის სტუდენტური გუნდი 11 - ტე საანგარიშო კონცერტი https://www.youtube.com/watch?v=BGdPEIv0dl4

141.დიაგნოზის მიწოდების ხელოვნება ჯოან მარტსონის ლექცია
https://www.youtube.com/watch?v=GQVLlgun1nw&t=11s

142.ილიაუნის გარე ხედები - შავი მასალა

143.გაზის ტარიფის განხილვა
https://www.youtube.com/edit?o=U&video_id=yACKgkMRIN8

144.ქალაქი და ძაღლებ–მარიო ვარგას ლიოსას რომანის პრეზენტაცია
https://www.youtube.com/watch?v=EYbRItoFyXo&t=19s

145.სპექტაკლი ხალხის მტერი -

146. გრედუეიშენი ბაკალავრების და მაგისტრების გამოსაშვები საღამო ვაკის პარკში https://www.youtube.com/edit?o=U&video_id=k7NDpUO5hOU

147.სამაგისტრო პროგრამების გაფორმება GiG სთან
https://www.youtube.com/edit?o=U&video_id=vMySU__LmYw
https://www.youtube.com/edit?o=U&video_id=I32XKncqXNo
https://www.youtube.com/edit?o=U&video_id=zYWxu8IZEE4

**სექტემბერი**

148.პროფესორ მიხაელ კვანტეს საჯარო ლექცია
https://www.youtube.com/watch?v=Debt-yNcbjs

149.ენერგეტიკა
https://www.youtube.com/edit?o=U&video_id=WauX3xd0yao

150.პროფესორ გიუნთერ ტოიბნერის საჯარო ლექცია
https://www.youtube.com/watch?v=snK9Gp-5Vgw

151.პროფესორ მიხაელ კვანტეს საჯარო ლექცია
https://www.youtube.com/watch?v=52wWwyY2Bis

152.პროფესორ არნოლდ ჰანსლმაიერის საჯარო ლექცია
https://www.youtube.com/watch?v=-I2HGCa4xe0

153.სტუდენტების აქცია ბიზნესის ფაკულტეტი და რექტორთან შეხვედრა - შავი მასალა

154.კონფერენცია ჩვენი იდუმალი მზე დღე 1

https://www.youtube.com/edit?o=U&video_id=QePJrXYcV0g

155.კონფერენცია ჩვენი იდუმალი მზე დღე 2
https://www.youtube.com/edit?o=U&video_id=iX_QhNSCyRY

156.კონფერენცია ჩვენი იდუმალი მზე დღე 3
https://www.youtube.com/edit?o=U&video_id=rrZTmYUdo1k

157.კონფერენცია ჩვენი იდუმალი მზე დღე 4
https://www.youtube.com/edit?o=U&video_id=7qGag-5Xp-I

158.კონფერენცია ჩვენი იდუმალი მზე დღე 5
https://www.youtube.com/edit?o=U&video_id=_-dI6AUqQ5w

159.პროფესორ ალიონა ლედენიოვას საჯარო ლექცია სამყარო ქვემოდან https://www.youtube.com/edit?o=U&video_id=r5G71dcL9gU

160.მე-8 საერთაშორისო კონფერენცია-ახლო აღმოსავლეთის (დღე1) შავი მასალა

161.მე-8 საერთაშორისო კონფერენცია-ახლო აღმოსავლეთის (დღე2) შავი მასალა

162.სუზანე ფრანკის საჯარო ლექცია HISTORY AND LEGACY OF THE RUSSIAN GEO-IDEOLOGY CALLED EURASIANISM https://www.youtube.com/edit?o=U&video_id=RbC_OWVsXB0

163.ილიაუნის პიკნიკი 2017
https://www.youtube.com/edit?o=U&video_id=di0twwCAkhw

**ოქტომბერი**

164.ფრანკოფონია, 21-ე საუკუნის გამოწვევა, ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებები გახსნა https://www.youtube.com/edit?o=U&video_id=ER_kLIsXPMc

165.ფრანკოფონია, 21-ე საუკუნის გამოწვევა, ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებები ზ 201 https://www.youtube.com/edit?o=U&video_id=iosPpNdjL20

166.ფრანკოფონია, 21-ე საუკუნის გამოწვევა, ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებები დღე მეორე https://www.youtube.com/edit?o=U&video_id=bPAYFyKE8Qs

167.ფრანკოფონია, 21-ე საუკუნის გამოწვევა, ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებები დღე მესამე https://www.youtube.com/edit?o=U&video_id=42WJk22XhN8

168.ფრანკოფონია ალექსი ნუსელოვიჩი
https://www.youtube.com/edit?o=U&video_id=k-hUWFYVmrc

169.ფრანკოფონია ან მარი მოტარი
https://www.youtube.com/edit?o=U&video_id=8FVFooAKJts

170.ფრანკოფონია ანრი ბუაიე
https://www.youtube.com/edit?o=U&video_id=md46hT-XK5g

171.ფრანკოფონია თინათინ ბოლქვაძე
https://www.youtube.com/edit?o=U&video_id=KK8WbfKAR_I

172.ფრანკოფონია ირინა ლობჟანიძე
https://www.youtube.com/edit?o=U&video_id=yD0HbXb4PHU

173.ფრანკოფონია მაია დამენია
https://www.youtube.com/edit?o=U&video_id=mFOjtLnxs5M

174.ფრანკოფონია მაქსიმ დელ ფიოლიო
https://www.youtube.com/edit?o=U&video_id=jLs6M0AE_t0
175.ფრანკოფონია ფრანსუაზ ვუილმარი
https://www.youtube.com/edit?o=U&video_id=Vo3zLu5RxWc
176.საჯარო ლექცია როგორ მუშაობს პროპაგანდა
https://www.youtube.com/edit?o=U&video_id=nXTI3wbTPI4
177.მარსელ პრუსტის სვანის მხარეს
https://www.youtube.com/edit?o=U&video_id=q79lLsGKBnM
178.ლევან ცაგარელის ლექცია ჰაინრიხ ბიოლის დღე
https://www.youtube.com/edit?o=U&video_id=pI3VeypSoRE
179.ცნობილ ქართველოლოგს ვინფრიდ ბიოდერს მიენიჭა საპატიო დოქტორის წოდება https://www.youtube.com/edit?o=U&video_id=ckcubNfDoQM
180.დანტეს ღვთაებრივი კომედია ლექციების წიკლის დასაწყისი
https://www.youtube.com/edit?o=U&video_id=YykX0mOz-z0
181.სერგეი მედვედევის ყირიმის პერიოდის პარკი – წიგნის პრეზენტაცია ლიგამუსში https://www.youtube.com/edit?o=U&video_id=WbJ72tpMFV0
182.დასაქმების ფორუმი თიკა ქერაშვილი ვისოლ ჯგუფი
https://www.youtube.com/edit?o=U&video_id=QrsZZ1YEhgE
183.დასაქმების ფორუმი სალომე ხომერიკი თიბისი დაზღვევა
https://www.youtube.com/edit?o=U&video_id=wnRtQSH0kR0
184.დასაქმების ფორუმი მარიამ კობალაძე CRRC- კვლევები
https://www.youtube.com/edit?o=U&video_id=HbyYTSQkWVQ
185.დასაქმების ფორუმი ნატალია ბერუაშვილი USAD
https://www.youtube.com/edit?o=U&video_id=tPqZ2c6GmlQ
186. თენგის ვერულავას საჯარო ლექცია სამედიცინო ბაზარი
https://www.youtube.com/edit?o=U&video_id=orCV7mw3fU0
187. საჯარო ლექცია ზოგი რამ თავისუფლების შესახებ
https://www.youtube.com/edit?o=U&video_id=jz7zPNZys90
188.ხათუნა თავდგირიძის რომანის პრეზენტაცია თევზი ორი ჩრდილით https://www.youtube.com/edit?o=U&video_id=njKxlVAuKHQ
189.ფენი ფლეგის რომანის პრეზენტაცია
https://www.youtube.com/watch?v=hPIIfLeD-jQ&feature=youtu.be
190.ილია ჭავჭავაძე: კულტურული ფიგურის საკრალიზაცია/სეკულარიზაცია 1 დღე https://www.youtube.com/edit?o=U&video_id=k2sml_iaSkI
191.ილია ჭავჭავაძე: კულტურული ფიგურის საკრალიზაცია/სეკულარიზაცია 2 დღე https://www.youtube.com/edit?o=U&video_id=ryx62r_TeWI
192.იტალიური კულტურის ცენტრში: ფოტოგამოფენა "ჩემი საქართველო" https://www.youtube.com/edit?o=U&video_id=bLjyTegDRTs
193.საჯარო ლექცია შიშსა და აღფრთოვანებას შორის – საბჭოთა კავშირი თანამედროვე ეპოქაში https://www.youtube.com/edit?o=U&video_id=FFJz6ftd5hs

194. LECTURA DANTIS დანტეს წაკითხვა – მორიგი შეხვედრა https://www.youtube.com/edit?o=U&video_id=rrFMVs5V62U
195. საჯარო ლექცია: „სოციალური სამართლებრივი სახელმწიფოს (Rechtsstaat) იდეა" https://www.youtube.com/edit?o=U&video_id=JFeGgndlvdk
196. ნინო ხაჭაპურიძე - "ჯიპიაი ჰოლდინგი" https://www.youtube.com/edit?o=U&video_id=bzgUR055tkM
197. თეა გოგელია - Dunkin' Donuts https://www.youtube.com/edit?o=U&video_id=hH3yZJz2Nss

## ნოემბერი

198. მარი ბურდული- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი https://www.youtube.com/edit?o=U&video_id=hYVIJFqgvhI
199. ლევან ბერძენიშვილის საჯარო ლექცია: ,,ილია – მამა" https://www.youtube.com/edit?o=U&video_id=hYmKSGTyX9c
200. საჯარო ლექცია ფსიქოანალიზსა და ბავშვთა ფსიქოპათოლოგიაში https://www.youtube.com/edit?o=U&video_id=xHbb9qIiEU0
201. LECTURA DANTIS დანტეს წაკითხვა (მეორე ქება) https://www.youtube.com/edit?o=U&video_id=DUNsfPZVBTU
202. სეცესიური მოძრაობა ესპანეთში გაკვეთილები თანამედროვე საქართველოსთვის https://www.youtube.com/edit?o=U&video_id=-cGpSkWZBVg
203. თამარ ბაკაშვილი - ,,ნიკორა" https://www.youtube.com/edit?o=U&video_id=5HuzqKzgO_s
204. ნათია გოცაძის მასტერკლასი: „7 ნაბიჯი სურვილიდან შედეგამდე" https://www.youtube.com/edit?o=U&video_id=K9kmbaoByGw
205. კოკა ბრეგაძის საჯარო ლექცია: „ნიკოლოზ ბარათაშვილი და ქართული რომანტიზმი" https://www.youtube.com/edit?o=U&video_id=3OGytopAOEU
206. ეკატერინე ჟვანია - "ჯეპრა" https://www.youtube.com/edit?o=U&video_id=LgGkBwjRfb0
207. ETHNOBOTANY OF THE CAUCASUS – წიგნის პრეზენტაცია ლიგამუსში https://www.youtube.com/edit?o=U&video_id=0vcXKBXEb6I
208. LECTURA DANTIS დანტეს წაკითხვა (მესამე ქება) https://www.youtube.com/edit?o=U&video_id=dVCteKFCKh0
209. ანა ლიმარენკო - საქართველოს ბანკი https://www.youtube.com/edit?o=U&video_id=5kznjZYscmQ
210. ღამე თეატრში – გლობალური მეწარმეობის კვირეული ილიაუნიში https://www.youtube.com/edit?o=U&video_id=dLMcIAxOYFc
211. შეხვედრა სტარტაპებთან VREX, WIFISHER, CNICK, PAWWWN https://www.youtube.com/edit?o=U&video_id=MRjH9paq6q8

212. ლიტერატურულ კლუბი–შეხვედრა მთარგმნელ მაია ბადრიძესთან https://www.youtube.com/edit?o=U&video_id=0snRwG_CNTs

213. ალექსანდრ ეტკინდის ისტორიის სწორი მხარე https://www.youtube.com/edit?o=U&video_id=kX8oNX0hAbI

214. ლევან ბერძენიშვილის საჯარო ლექცია: „ტოლერანტობა ლიტერატურაში“ https://www.youtube.com/edit?o=U&video_id=O2BVW9yIOmg

215. LECTURA DANTIS დანტეს წაკითხვა (მეოთხე ქება) https://www.youtube.com/edit?o=U&video_id=HTojI278MqQ

216. თვითმფრინავის ბიჭები – თაობათა პოზიცია https://www.youtube.com/edit?o=U&video_id=6v9XPjchKdg

217. „საღვთო ტყე“ – ტომას სტერნზ ელიოტის ესეების კრებულის პრეზენტაცია „ლიგამუსში“ https://www.youtube.com/edit?o=U&video_id=swFnGS7kdX0

218. კნუტ ჰამსუნის "პანის" პრეზენტაცია - ილიაუნის ლიტერატურულ კლუბში https://www.youtube.com/edit?o=U&video_id=qowYYOz4QUA

219. LECTURA DANTIS დანტეს წაკითხვა (მეხუთე ქება) https://www.youtube.com/edit?o=U&video_id=hI-p8A_YV90

220. კავკასიონის მცენარეთა მრავალფეროვნება წიგნის პრეზენტაცია https://www.youtube.com/edit?o=U&video_id=J8VnxXzzM-0

**დეკემბერი**

221. ურსულა ლე გუინის რომანის „ატუანის აკლდამები“ პრეზენტაცია https://www.youtube.com/edit?o=U&video_id=JeqjgzOXuUk

222. ჯორჯ მელის მასტერკლასი ილიაუნიში https://www.youtube.com/edit?o=U&video_id=X33ezg9EQKw

223. LECTURA DANTIS დანტეს წაკითხვა (მეექვსე ქება) https://www.youtube.com/edit?o=U&video_id=Q8svf80HZEE

224. იტალიური კერძების პრეზენტაცია უნიფუდში https://www.youtube.com/edit?o=U&video_id=bWtPkRIr5hI

225. სამართლის კოლის საჯარო ლექცია https://www.youtube.com/edit?o=U&video_id=NlDHYsS0zmU

226. ჯორჯ მელის მასტერკლასი https://www.youtube.com/edit?o=U&video_id=sHSA-Z3JiQA

227. შეხვედრა ეკო დეისაძესა და VINDA FOLIO სთან – ხელოვნების კლუბი ΠΟΊΗΣΙΣ https://www.youtube.com/edit?o=U&video_id=Kw2SUNdVVvM

228. აუტიზმის სპექტრის მქონე ბავშვებისა და მოზარდებისათვის განვითარების ხელშეწყობა https://www.youtube.com/edit?o=U&video_id=2wmcNM8KRkI

229. LECTURA DANTIS მერვე ქება https://www.youtube.com/edit?o=U&video_id=a02IreQfsS8

*230.ილიაუნის იტალიური კულტურის ცენტრში სპექტაკლი ლუიჯი პირანდელოს პიესის მიხედვით*
*https://www.youtube.com/edit?o=U&video_id=4faNQFtkSdA*

## სტუდენტური დეპარტამენტი

1.სტუდენტებისთვის საჭირო ინფორმაციების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა; საუნივერსიტეტო სივრცეში მათი ინტეგრირების ხელშეწყობა

სტუდენტურ საქმეთა დეპარტამენტის ელ.ფოსტა - student.affairs@iliauni.edu.ge

- ✓ სტუდენტურ საქმეთა დეპარტამენტის ელ.ფოსტის მეშვეობით (student.affairs@iliauni.edu.ge), სტუდენტებს ყოველდღე (ორშაბათი-პარასკევი), ერთიანი ვიზუალური სახით, ეგზავნებოდათ ინფორმაცია უნივერსიტეტში დაგეგმილი ღონისძიებების, გაცვლითი პროგრამების, სტაჟირების, ვაკანსიების, კონკურსების, გარეშე ორგანიზაციების პროექტებსა და სხვა სტუდენტებისათვის მნიშნელოვან საკითხებზე;
- ✓ სხვადასხვა ინფორმაციები, რომლებიც განკუთვნილი იყო სტუდენტების კონკრეტულ სეგმენტზე ან/და საჭიროებდა შეხსენებას, იგზავნებოდა ცალკე წერილის სახით;

- ✓ ელ. ფოსტის მეშვეობით სტუდენტები იღებენ ინფორმაციას მათთვის საინტერესო საკითხებზე. გზავნიან კითხვებს და იღებენ პასუხებს.

სტუდენტურ საქმეთა დეპარტამენტის Facebook გვერდი

- ✓ სტუდენტურ საქმეთა დეპარტამენტის ოფიციალური Facebook გვერდიდან ყოველდღიურად ხდებოდა სტუდენტებისათვის სიახლეებისა და სხვადასხვა საჭირო ინფორმაციის განთავსება.
- ✓ 2017 წლის განმავლობაში გვერდის მეშვეობით ინფორმაცია მიეწოდა 269 (უნიკალურ) სხვადასხვა საკითხით დაინტერესებულ სტუდენტს.
- ✓ 2017 წლის განმავლობაში (იანვარი-ნოემბერი) გაიხსნა 17 ღონისძიება:
  - ✓ ილიაუნის ჩემპიონატი მინიფეხბურთში 2017 – 4 აპრილი
  - ✓ უნიმარკეტი #გიორგიკარგადიქნება - 8 აპრილი
  - ✓ ილიაუნის ჩემპიონატი ჭადრაკში 2017 – 27 აპრილი
  - ✓ ილიაუნის ჩემპიონატი ბილიარდში 2017 – 16 მაისი
  - ✓ TourMODE - ტურისტული სააგენტოს მოდელირება - 18 მაისი
  - ✓ ილიაუნის ჩემპიონატი ფრენბურთში - 31 მაისი
  - ✓ წლის შემაჯამებელი დასაქმების ფორუმი ილიაუნიში - 2 ივნისი
  - ✓ ილიაუნის ჩემპიონატი მაგიდის ჩოგბურთში 2017 – 2 ივლისი
  - ✓ ილიაუნის ჩემპიონატი ფრენბურთში - 2017 – 13 ოქტომბერი
  - ✓ ილიაუნის ჩემპიონატი მინიფეხბურთში - 2017 – 31 ოქტომბერი
  - ✓ ილიაუნის ჩემპიონატი კალათბურთში - 2017 – 8 ნოემბერი
  - ✓ ილიაუნის ჩემპიონატი მკლავჭიდში - 2017 – 19 ნოემბერი
  - ✓ დასაქმების კვირეული ილიაუნიში - 17 ნოემბერი
  - ✓ ილიაუნის ჩემპიონატი ჭადრაკში - 2017 – 18 ნოემბერი
  - ✓ სისხლის უანგარო დონაციის დღე ილიაუნიში - 20 ნოემბერი
  - ✓ ანა დოლიძის საჯარო ლექცია - 22 ნოემბერი
  - ✓ ილიაუნის ჩემპიონატი ბილიარდში - 2017 – 1 დეკემბერი
  - ✓ ADS Georgia - კრეატიული სააგენტოები საქართველოში - 27 ნოემბერი
  - ✓ საახალწლო მზადება ილიაუნიში - 15 დეკემბერი
  - ✓ ილიაუნის სტუდენტური ცხოვრების ფორუმი - 15 დეკემბერი
  - ✓ TourMODE კვირეული - 18 დეკმებერი

2017 წლის პირველი იანვრიდან-დეკემბრის ჩათვლით, გვერდის მომწონებელთა რიცხვი გაიზარდა 9873-დან 12456-მდე;




სტუდენტურ საქმეთა დეპარტამენტის Facebook ჯგუფები

## ილიაუნი - Q & A

- ✓ „ილიაუნი - Q & A“ ჯგუფის მიზანია კომუნიკაციის გამარტივება ადმინისტრაციასა და სტუდენტებს შორის; ჩვენ მიერ დათქმული წესების მიხედვით, სტუდენტების კითხვებს პასუხს უბრუნებენ ან სტუდენტურ საქმეთა დეპარტამენტის თანამშრომლები, რომლებიც კომპეტენტურები არიან შესაბამის საკითხთან მიმართებაში, ან პირდაპირ ის ადმინისტრაციის წევრები, რომელთა ფუნქციებშიც შედის შესაბამსი საკითხი;
- ✓ 2017 წლის დეკემბრის მონაცემებით ჯგუფის წევრთა რაოდენობა შეადგენს 6989 ადამიანს;
- ✓ სასწავლო პერიოდის განმავლობაში, დღეში საშუალოდ სტუდენტებისგან იდება 15-20 პოსტი, კითხვა, რომელსაც ჩვენ ვპასუხობთ და სტუდენტებს ვაწვდით დაზუსტებულ, სწორ ინფორმაციას.
- ✓ 2017 წლის 1 სექტემბრიდან - 2017 წლის 1 ნოემბრამდე ჯგუფში დაიდო 1328 პოსტი, რომელთა უმრავლესობა იყო სტუდენტების კითხვები, დანარჩენი კი მოიცავდა ინფორმაციას სხვადასხვა ღონისძიების შესახებ.




### სპორტი - ილიაუნი

- ✓ ჯგუფის მიზანია ილიაუნიში სპორტით დაინტერესებული სტუდენტების ინფორმირება დაგეგმილი და მიმდინარე აქტივობების შესახებ;
- ✓ 2017 წლის ნოემბრის მონაცემებით ჯგუფის წევრთა რაოდენობა შეადგენს 792 ადამიანს;
- ✓ ჯგუფში აქტიურად მიმდინარეობს სტუდენტებისთვის ინფორმაციების მიწოდება უნივერსიტეტში მიმდინარე სპორტული აქტივობების შესახებ. სტუდენტები იღებენ კითვებზე პასუხებს და ამომწურავ ინფორმაციას ღონისძიებების მიმდინარეობების, ჩემპიონატების კენჭისყრის, რეგისტრაციისა და სხვა დეტალებზე.




### სხვა Facebook ჯგუფები

- ✓ სხვადასხვა ღონისძიების (გასვლითი სკოლები, პროექტები და სხვ.) მონაწილე სტუდენტებისათვის ხდებოდა ცალკე Facebook ჯგუფის გაკეთება, რომლის მეშეობითაც მარტივდება მათთან კომუნიკაცია და საჭირო ინფორმაციების მიწოდება:
    - ✓ TourMode2017 - ტურისტული სააგენტოს მოდელირება (391 მონაწილე)
    - ✓ TourMODE- ტურისტული სააგენტოს მოდელირება (მონაწილეები) (47 მონაწილე)
    - ✓ ილიაუნი ფრენბურთი (ბიჭები) (23 მონაწილე)
    - ✓ ილიაუნი ფრენბურთი (გოგოები) (22 მონაწილე)
    - ✓ ფუტსალი - ილიაუნი 2017 (19 მონაწილე)
    - ✓ ილიაუნის სტუდენტური კლუბები (69 მონაწილე)
    - ✓ ილიაუნის დებატების კლუბი (38 მონაწილე)
    - ✓ ილიაუნი + (58 მონაწილე)
    - ✓ გასვლითი სკოლა წარმატებული პირველკურსელებისთვის - პირველი ნაკადი (34 მონაწილე)
    - ✓ გასვლითი სკოლა წარმატებული პირველკურსელებისთვის - მეორე ნაკადი (36 მონაწილე)
    - ✓ ილიაუნის რაგბის გუნდი (102 მონაწილე)
    - ✓ ახალციხე - ილიაუნი (39 მონაწილე)

- ✓ ყაზბეგის გასვლითი სკოლა - (39 მონაწილე)
- ✓ ADS Georgia - კრეატიული სააგენტოები საქართველოში - (352 მონაწილე)
- ✓ TourMODE კვირეული - მონაწილეები - (75 მონაწილე)
- ✓

სხვა საკომუნიკაციო არხები

- ✓ სტუდენტურ საქმეთა დეპარტამენტის თანამშრომლები, ყოვდელდღურ რეჟიმში, კონსულტაციას უწევდნენ სტუდენტებსა და სხვა დაინტერესებულ პირებს ნებისმიერ ილიაუნისთან დაკავშირებულ საკითხზე, მთელი სამუშაო დღის განმავლობაში.
- ✓ სტუდენტურ საქმეთა დეპარტამენტის ორგანიზებულ მნიშვნელოვან ღონისძიებებზე სტუდენტებისთვის ინფორმაციის მიწოდება ხდებოდა არჩევანის უზრუნველყოფის ელექტრონული სისტემის, არგუსის გამოყენებით, რომელთანაც სტუდენტებს ყოველდღიურად უწევთ მუშაობა;
- ✓ უნივერსიტეტში არსებულ საინფორმაციო დაფებზე ხდებოდა პოსტერების გამოქვეყნება;
- ✓ დეპარტამენტის მიერ ინიცირებულ ღონისძიებებზე ინფორმაცია თავსდებოდა ილიაუნის საიტზე (iliauni.edu.ge);
- ✓ კორპუსების დერეფნებში განთავსებულ ეკრანებზე ხდებოდა ინფორმაციების გაშვება.

საინფორმაციო შეხვედრები პირველკურსელებთან

- ✓ 2017 სასწავლო წლის დასაწყისში სტუდენტურ საქმეთა დეპარტამენტი ჩართული იყო ფაკულტეტების მიერ ორგანიზებულ შეხვედრებზე პირველკურსელებთან. შეხვედრებზე სტუდენტები იღებდნენ სრულ ინფორმაციას დეპარტამენტის ფუნქცია-მოვალეობების შესახებ. ჯამში ჩატარდა 39 შეხვედრა. (ფოტოალბომი)

1.სტუდენტების მიერ ინიცირებული პროექტების ხელშეწყობა/კონსულტირება/ადვოკატირება;

- ✓ სტუდენტური პროექტების/მოთხოვნების ინიციატორები არიან: ილიაუნის სტუდენტები, სტუდენტური კლუბები და სტუდენტური თვითმმართველობა.
- ✓ შემუშავდა ბაზის წარმოების სისტემა, რომლის ფარგლებშიც ნებისმიერი სტუდენტური მოთხოვნა აღირიცხება სტუდენტური პროექტების ერთიან ბაზაში. ეს თავის მხრივ მოგვცემს სხვადასხვა სტატისტიკების შედგენის საშუალებას, შემდგომში საჭიროებისამებრ გამოსაყენებლად.

- ✓ სტუდენტურ საქმეთა დეპარტამენტი მთელი წლის განმავლობაში კონსულტაციას უწევდა ნებისმიერ დაინტერესებულ პირს, რომელსაც სურდა ამ მიმართლებით განვითარება.
- ✓ სტუდენტურ საქმეთა დეპარტამენტი უზრუნველყოფდა სტუდენტური პროექტების გამართულად წარდგენას სტუდენტური პროექტების განხილველი კომისიისთვის მთელი წლის განმავლობაში.
- ✓ 2017 წელს გაკეთდა N29-62 ოქმები;
- ✓ სტუდენტური პროექტების განხილველმა კომისიებმა ჯამში, 2017 წელს, იანვარი-დეკემბრის პერიოდში განიხილეს 200-მდე განაცხადი/პროექტი. მათგან დაკმაყოფილდა 85%-ზე მეტი;
- ✓ საბჭოს გადაწყვეტილება, შესაბამისი არგუმენტაციით, ეცნობა ყველა ინიციატორს;
- ✓ დაკმაყოფილებული პროექტი თავის თავში გულისმხობს, სტუდენტურ საქმეთა დეპარტამენტის მხრიდან, შესაბამისი აქტივობის კოორდინირებას;
    - ➢ ფორმალური საკითხების მოგვარება;
    - ➢ პროექტის საჭიროებებით მომარაგება;
    - ➢ შესაბამისი წარდგინებების გაგზავნა;
    - ➢ აუდიტორიების დაჯავშნა;
    - ➢ ილიაუნის სხვადასხვა სამსახურებთან კომუნიკაცია;
    - ➢ პროექტის ბიუჯეტირება;
    - ➢ ინიციატორებთან/ორგანიზატორებთან კომუნიკაცია;
    - ➢ სხვ.
- ✓ სტუდენტურ საქმეთა დეპარტამენტი უზრუნველყოფდა სტუდენტების მიერ ინიცირებული პროექტების ფორმალური მხარის გამართვას. პირველადი განხილვა ხდებოდა დეპარტამენტის ბაზაზე. ფორმალური ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში პროექტი/განაცხადი უკან უბრუნდებოდა ინიციატორს, შემდგომში გამოსწორების მიზნით. ხსენებული რგოლის გავლის შემდეგ პროექტი გადიოდა საბჭოზე.
- ✓ ნებისმიერი პროექტი, რომელიც თავის თავში მოიაზრებდა გარკვეული საკითხის სწავლებას, საბჭოზე გატანამდე მისამართდებოდა შესაბამის ფაკულტეტთან კომპეტენციის დასადგენად, რომლის პოზიციის დაფიქსირების შემდეგაც, პროექტი გადიოდა საბჭოზე.
- ✓ 2017 წელს შეიქმნა 15 ახალი კლუბი;
- ✓ სტუდენტურ საქმეთა დეპარტამენტი უწევდა კონსულტაციას ნებისმიერ პირს, რომელსაც სურდა უნივერსიტეტში კლუბის დაფუძნება; აწვდიდა მათ ინფორმაციას შესაბამისი რეგულაციების შესახებ; აწვდიდა სხვადასხვა დამხმარე დოკუმნეტაციას, როგორიც არის სტუდენტური კლბის წესდების დრაფტი, საპროექტო განაცხადის დრაფტი და ა.შ.
- ✓ მომზადებულია სტუდენტური პროექტების განხორციელებისათვის დამხმარე ჰენდბუქი/გზამკვლევი, რომლის დამტკიცების შემდეგაც იგი გადაეცემა ნებისმიერ

დაინტერესებულ პირს, რომელსაც სურს კლუბის ჩამოყალიბება ან/და სტუდენტური პროექტების განხორციელება.

- ✓ მთელი წლის განმავლობაში სტუდენტურ კლუბებს სამუშაო შეხვედრებისთვის ეჯავშნებოდათ ოთახები, რაც ამარტივებდა მათ სამუშაო პროცესს.

1.გასვლითი სკოლების ორგანიზება/სტუდენტების ინტერესებზე მორგებული პროექტების ინიცირება;

გასვლითი სკოლები/ბანაკები

- ✓ სტუდენტურ საქმეთა დეპარტამენტის ორგანიზებით 2017 წელს ჩატარდა 6 გასვლთი სკოლა/ბანაკი:
    - ✓ 2017, ოქტომბერი - გასვლითი სკოლა ეროვნული გამოცდების შედეგებით მაღალქულიანი სტუდენტებისათვის, 2 ნაკადად (67 მონაწილე სტუდენტი, 8 ლექტორი)
    - ✓ 2017, მაისი - პროექტი TourMODE - ტურისტული სააგენტოს მოდელირება (30 მონაწილე სტუდენტი, 3 ლექტორი)
    - ✓ 2017, სექტემბერი - კინგსის ბანაკი
    - ✓ 2017, აგვისტო - გასვლითი სკოლა წარმატებული აბიტურიენტებისთვის - 2 ნაკადად (აბიტურის გამარჯვებულები)
- ✓ გასვლით სკოლების დაგეგმვა მოიცავდა წინასწარ:
    - ✓ პროგრამის შემუშავებას;
    - ✓ ფაკულტეტებთან კომუნიკაციას შესაბამისი კადრის გამოსაყოფად;
    - ✓ ფაკულტეტთან წინასწარ ტრენინგის თემის შერჩევას;
    - ✓ ბაზების და ტრანსპორტის წინასწარ ჯავშანს;
    - ✓ ბაზაზე კვების განრიგის დეტალურ ჩაშლას, შემდგომში შესაბამის სამსახურთან წარსადგენად;
    - ✓ ტრანსპორტირების დეტალური განრიგის შედგენა/შეთანხმებას შესაბამის სამსახურთან;
    - ✓ ბანაკისათვის საჭირო საბეჭდი მასალების ტექსტების მომზადებას;
- ✓ თითოეულ ბანაკზე წარმოებდა წინასწარ შემუშავებული უკუკავშირის ფორმა, რომელსაც ავსებდნენ სტუდენტები და რომელთა საფუძველზეც ბანაკის მომდევნო პროგრამებში შეგვქონდა სხვადასხვა ცვლილებები, რაც თავის მხრივ მოქმედებდა ხარისხის ზრდაზე.

დეპარტამენტის მიერ ინიცირებული პროექტები

**TourMODE - ტურისტული სააგენტოს მოდელირება**

- ✓ პროექტი გულისხმობს ტურისტული სააგენტოს მოდელის შექმნას;
- ✓ პროექტი განხორციელდა ბიზნესის სკოლისა და ილიაუნის ტურიზმის ცენტრის ხელშეწყობით, ბიზნესის სკოლის სტუდენტებისთვის;
- ✓ აპლიკანტთა რაოდენობა: 143
- ✓ მონაწილეთა რაოდენობა: 30
- ✓ TourMODE განხორციელდა რამოდენიმე ეტაპად:
  - ➢ I ეტაპი - 18-19 მაისი (თბილისი)
  - ➢ II ეტაპი - 20-22 მაისი (დედოფლისწყარო)
  - ➢ ფინალი - 23 მაისი (თბილისი)
- ✓ პროექტში ჩართული იყო 3 ილიაუნის საერთაშორისო სტუდენტი, მონაწილეობა მიიღეს გასვლით სკოლაში და ფინალში პროექტების შეფასების კუთხით.
- ✓ TourMODE-ის ფარგლებში 10 ნოემბერს ჩატარდა მთის კურორტების განვითარების კომპანიის ხელმძღვანელის, სანდრო ონოფრიშვილის საჯარო შეხვედრა.
- ✓ პროექტის პარტნიორი კომპანიების ჩამონათვალი:
  - ➢ ბადაგონი (მონაწილეებისათვის გამოიყო 30 ბოთლი ღინო, 450 ღირებულების)
  - ➢ მთის კურორტების განვითარების კომპანია (გამოიყო 6 სათხილამურო ვაუჩერი (Ski pass) 2520 ღირებულების)
  - ➢ ADSS PRINT (დაგვიბეჭდა 2 შტენდერიანი ბანერი 60*160)
  - ➢ ელ. წიგნების მაღაზია საბა (მონაწილეებისათვის გამოყო ჯამში 1500 ლარის ღირებულების მასალა)
  - ➢ ბექას სკოლა (გამორჩეული მონაწილე დააჯილდოვა ინგლისურის შემსწავლელი კურსით - 500 )

**TourMODE კვირეული**

- ✓ 18-22 დეკემბერს მოეწყო TourMODE კვირეული;
- ✓ აპლიკანტთა რაოდენობა: 270
- ✓ მონაწილეთა რაოდენობა: 70
- ✓ მონაწილეებმა გაიარეს სხვადასხვა ტრენინგები, რომლებიც ეხებოდა ბიზნესმოდელის შექმნას, ბიუჯეტირებას, საჯარო გამოსვლის ხელოვნებას, ეფექტურ კომუნიკაციას, ტურიზმის სხვადასხვა მიმართულებებს და ა.შ.

**დებატების კლუბი**

- ✓ სტუდენტურ საქმეთა დეპარტამენტი დებატების კლუბის ფარგლებში თანამშრომლობს „დებატებისა და განათლების ინსტიტუტთან“
- ✓ კლუბის შეხვედრები მიმდინარეობდა ყოველ ოთხშაბათს და ეთმობოდა 2 საათი;
- ✓ შერჩეულმა 25 სტუდენტმა შეისწავლა დებატების ტექნიკის პროგრამით გათვალისწინებული საკითხები (შეგვიძლია წარმოვადგინოთ დეტალური ანგარიში)
- ✓ გაიმართა რამოდენიმე საჩვენებელი საჯარო დებატი;
- ✓ დებატების კლუბის წევრები აქტიურად იყვნენ ჩართულები „დებატებისა და განათლების ინსტიტუტის“ სხვადასხვა პროექტებში; (საინფორმაციო ვიდეორგოლების გადაღება; სამართლის ზამთრის სკოლა);
- ✓ 16 ოქტომბერს წიგნის სახლში „ლიგამუსი“ გაიმართა წლის შემაჯამებელი შეხვედრა კლუბის წევრებთან და მათი დაჯილდოვების ცერემონია.
- ✓

### საგრანტო კონკურსისათვის მოსამზადებელი უფასო ინტენსიური კურსი ილიაუნის სტუდენტებისთვის

- ✓ სტუდენტურ საქმეთა დეპარტამენტმა ილიაუნის მოსამზადებელ ცენტრთან ერთად დააორგანიზა უფასო ინტენსიური კურსი ილიაუნის სტუდენტებისათვის.
- ✓ კურსი ფარავდა გამოცდით გათვალისწინებულ ყველა კომპონენტს და შედგებოდა 2 სესიისგან.

### სასწავლო პროცესებთან დაკავშირებული ხარვეზების რეგისტრაცია

- ✓ სასწავლო პროცესის მონიტორინგისა და სწავლების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, სტუდენტურ საქმეთა დეპარტამენტის ბაზაზე არსებობს  სასწავლო პროცესთან დაკავშირებული შენიშვნების რეგისტრაციის სერვისი.
- ✓ სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა, ყოველდღე (კვირის გარდა), 10:00 საათიდან 22:00 საათამდე დაგვიკავშრდნენ და მოგვაწოდონ ინფორმაცია სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას გამოვლენილი სხვადასხვა ტიპის ხარვეზის, დარღვევისა თუ პრობლემის შესახებ;
- ✓ შენიშვნის რეგისტრაციის შემდეგ, საკითხს ვაყენებთ შესაბამის სამსახურთან ან/და ფაკულტეტთან.

**ADS Georgia - კრეატიული სააგენტოები საქართველოში**

- ✓ პროექტი დაიწყო 27 ნოემბერს და გრძელდება 14 იანვრამდე;
- ✓ პროექტში ჩართული კრეატიული სააგენტოები:
  - ➢ HOLMES&WATSON; (ფოტომასალა)
  - ➢ Leavingstone; (ფოტომასალა)
  - ➢ JWT Metro;
  - ➢ Redberry • რედბერი; (ფოტომასალა)
  - ➢ Windfor's;
- ✓ სააგენტოებმა ჯამში ჩაატრეს 10 შეხვედრა;
- ✓ პროექტზე დარეგისტრირდა: 350 სტუდენტი;
- ✓ თითოეულ შეხვედრას ესწრებოდა საშუალოდ 60 სტუდენტი;
- ✓ პროექტის სპონსორი იყო კომპანია "Hegemon", რომელმაც დააწესა პრიზი 1500 ლარის ოდენობით, რომლითაც გამარჯვებულ სტუდენტებს შეუძლიათ მათ ტანსაცმლის შეძენა;
- ✓ თითოეულ სააგენტოსთან მოხდა შეთანმხება სტაჟირების პროგრამის გამოცხადებაზე, რომელიც მომავალი წლის დასაწყისში ჩაეშვება;
- ✓ პროექტის ფარგლებში დაანონსდა სტუდენტური კონკურსი - „შენი საინტერესო ცხოვრება იწყება აქ", რომლის ფარგლებშიც სტუდენტებმა უნდა გადმოგზვანონ გადაღებული სურათები, სადაც ილიაუნის წარმოჩინდება ხსენებული სლოგანის შინაარსით;
- ✓ თითოეულ შეხვედრაზე მიმდინარეობდა ვიდეოგადაღება ილიაუნის მედიაცენტრის წარმომადგენლების მიერ;
- ✓ შეხვედრების ვიდეოები მონტაჟდება რის შემდეგაც ეტაპობრივად მოხდება მათი განთავსება დეპარტამენტის Youtube არხზე.

1. სხვადასხვა მნიშვნელოვანი ღონისძიების ორგანიზება/თანაორგანიზება

სისხლის უანგარო დონაციის აქცია ილიაუნიში

- ✓ 20 ნოემბერს - სტუდენტურ საქმეთა დეპარტამენტის ორგანიზებით ილიაუნის A და E კორპუსებში გაიმართა სისხლის უანგარო დონაციის აქცია.
- ✓ სისხლის დონაციის აქციაში ჯამში მიიღო მონაწილეობა 106 ადამიანმა.

პირველკურსელების მიღების ცერემონია/სამეცნიერო პიკნიკი

- ✓ ილიაუნის სტუდენტურ საქმეთა დეპარტამენტი, საზოგადოებასთან ურთიერთბის სამსახურთან ერთად, სრულად ჩართული იყო პირველკურსელების მიღების ცერემონიისა და სამეცნიერო პიკნიკის სხვადასხვა საორგანიზაციო საკითხების დაგეგმვასა და შემდგომ კოორდინირებაში.
- ✓ დეპარტამენტის თანამშრომლებსა და სტაჟიორებზე გადანაწილებული იყო სხვადასხვა ფუნქციები, რომლებსაც ისინი მთელი დღის განმავლობაში ახორციელებდნენ.

სტუდენტური ცხოვრების ფორუმი

- ✓ 15 დეკემბერს მოეწყო სტუდენტური ცხოვრების ფორუმი;
- ✓ მონაწილე სტუენდური კლუბების რაოდნეობა: 23
- ✓ მონაწილე სამსახურების რადენობა: 9
- ✓ კლუბების წარმომადგენლებს შესაძ ებლობა ჰქონდათ სხვა სტუდენტებისთვის გაეცნოთ საკუთარი თავი და საქმიანობა;
- ✓ სტუდენტებს შესაძლებლობა ჰქონდათ ადგილზე გაეარათ რეგისტრაცია და გამხდარიყვნენ კლუბის წევრები;
- ✓ ყველა მონაწილე სამსახურისა და კლუბისთვის დამზადდა ლიფლეტები;
- ✓ მონაწილე სტუდენტების რაონდოება: დაახლოებით 500

ილიაუნის 2017 წლის ბაკალავრებისა და მაგისტრების გამოსაშვები ცერემონია

- ✓ სტუდენტურ საქმეთა დეპარტამენტი ჩართული იყო კურსდამთავრებულთა გამოსაშვები ცერემონიის ორგანიზების საკითხში მანტიების გაცემა-ჩაბარების კუთხით. უნივერსიტეტის ბაზაზე არსებულ საბაკალავრო და სამაგისტრო მანტიებს წელიწადში ერთხელ, სტუდენტურ საქმეთა დეპარტამენტი გასცემს კურსდამთავრებულებზე, შემდეგ კი, განსაზღვრულ ვადებში იბრუნებს უკან და ინახავს მომავალი წლისთვის საწყობში.
- ✓ 2017 წელს გადაწყდა, რომ კურსდამთავრებულებს დაეკისროთ მანტიების უკან დაბრუნების ვალდებულება, რის გარეშეც ვერ გაიტანენ დიპლომს. მანტიის დაბრუნების დადასტურების მიზნით შესაბამისი პუნქტი ჩაემატა შემოვლის ბარათას, რის საფუძველზეც, სექტემბრის თვიდან ყოველდღიურ რეჟიმში სტუდენტურ საქმეთა დეპარტამენტი ემსახურება კურსდამთავრებულებს (ბაზაში გადამოწმება, ხელმოწერა, ბეჭედი)

აბიტურიენტებზე მუშაობა - თბილისისა და რეგიონების სკოლებში გასვლები

- ✓ სტუდენტურ საქმეთა დეპარტამენტი, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურთან ერთად, ჩართული იყო სკოლებთან/აბიტურიენტებთან კომუნიკაციის დაგეგმვასა და შემდგომ განხორციელებაში;
- ✓ ჯამში თბილისის საჯარო/კერძო სკოლებში ვიზიტების რაოდენობა - 25 სკოლა;
- ✓ თბილისის საჯარო/კერძო სკოლებში შეხვედრებზე დამსწრე აბიტურიენტების საერთო რაოდენობა - 731 მოსწავლე;
- ✓

ილიაუნი 11 წლისაა/Open air 2017

- ✓ სტუდენტურ საქმეთა დეპარტამენტის თანამშრომლები და სტაჟიორები სრულად იყვნენ ჩართულნი ილიაუნის დაბადების დღის საორგანიზაციო საკითხების კოორდინირებაში და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის სხვადასხვა მითითებების შესრულებაში, მთელი დღის განმავლობაში;
- ✓ იგივე შეიძლება ითქვას Open air 2017-ის მოსამზადებელ პერიოდზე.

საახალწლო მზადება ილიაუნიში

- ✓ 19 და 20 დეკემბერს მოხდა ილიაუნის A და E კორპუსებში ნაძვის ხის მორთვა, რომელშიც ჩართულები იყვნენ სტუდენტები.
- ✓ სტუდენტებს შესაძლებლობა ჰქონდათ მოეტანათ საკუთარი სათამაშოები და გაემდინდრებინათ ნაძვის ხე.

## 1.კარიერული განვითარების სერვისები

სტუდენტურ საქმეთა დეპარტამენტის ერთ-ერთი ფუნქციაა სტუდენტების და კურსდამთავრებულების დასაქმების და კარიერული განვითარების ხელშეწყობა. ამ მიმართულებით დეპარტამენტი აწყობს დასაქმების ფორუმებს, ყოველდღიურად უგზავნის სტუდენტებს ინფორმაციას აქტიური ვაკანსიების შესახებ.

დასაქმების ხელშეწყობის პროგრამა UNI JOBS [Uni-jobs@iliauni.edu.ge]:

- ✓ სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა დასაქმების ხელშეწყობის მიზნით სტუდენტურ საქმეთა დეპარტამენტი ყოველდღიურ რეჟიმში მუშაობს სტუდენტებისთვის აქტიური

ვაკანსიების, სტაჟირების პროგრამების და კარიერული განვითარების სხვა შესაძლებლობების შესახებ ინფორმაციის მოძიებასა და მიწოდებაზე.

- ✓ ინფორმაციის მიწოდების მიზნით მუდმივად მიმდინარეობს სტუდენტების რეგისტრაცია ელექტონული აპლიკაციის მეშვეობით, რისი საშუალებითაც ვაგროვებთ აპლიკანტების შესახებ ინფორმაციას.
  - ✓ აღნიშნული ინფორმაცია საშუალებას გვაძლევს თითოეული ვაკანსიის შემთხვევაში მოვახდინოთ სამიზნე ჯგუფის შერჩევა და ინფორმაციის სწორ ადრესატამდე მიტანა.
- ✓ 2017 წლის ოქტომბრის თვიდან, დარეგისტრირებულთათვის ვაკანსიების შეთავაზება ხდება ყოველდღიურ რეჟიმში საუნივერსიტეტო ელ-ფოსტის მეშვეობით შესაბამისი მისამართიდან uni-jobs@iliauni.edu.ge
- ✓ 20.11.17-ს მონაცემებით, სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა დასაქმების ხელშეწყობის პროგრამაზე დარეგისტრირებულია 2058 სტუდენტი.
  - ✓ მათი 89% სტუდენტია, 11% კურსდამთავრებული.
  - ✓ 86% ბაკალავრიატის სტუდენტია, 14% მაგისტრატურის.

სტუდენტთა სტაჟირების პროგრამებში ჩართულობის უზრუნველყოფა;

- ✓ სტუდენტურ საქმეთა დეპარტამენტი აქტიურად თანამშრომლობს თბილისის მერიასა და საჯარო სამსახურის ბიუროსთან, რომელიც ყოველწლიურად უზრუნველყოფს მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე სტუდენტების საჯარო სამსახურებში სტაჟირებას.
- ✓ 2017 წლის აგვისტოსა და სექტემბერსში სტუდენტურ საქმეთა დეპარტამენტი ახორციელებდა საჯარო სამსახურის ბიუროს სახელმწიფო სტაჟირების პროგრამის მეშვიდე ნაკადისთვის სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების რეგისტრაციას.
- ✓ აღნიშნულ ნაკადზე დარეგისტრირდა 178 სტუდენტი და კურსდამთავრებული, რომელთაგანაც შერჩევა (აკ. მოსწრების, სასწავლო კურსის და სხვა მოთხოვნების მიხედვით) 149 აპლიკანტმა გაიარა.

წლის შემაჯამებელი დასაქმების ფორუმი (2 ივნისი, 2017);

- ✓ 2017 წლის 2 ივნისს გაიმართა სტუდენტურ საქმეთა დეპარტამენტის მიერ ორგანიზებული პირველი დასაქმების ფორუმი, რომელშიც მონაწილეობას იღებდა 60-მდე ორგანიზაცია და ილიაუნის 11 სამსახური. ჯამში ფორუმზე წარმოდგენილი იყო 400-მდე აქტიური ვაკანსია და სტაჟირების პროგრამა. (ბმული)

- ✓ დასაქმების ფორუმისთვის მიმდინარეობდა სტუდენტების რეგისტრაცია. 700-მდე დარეგისტრირებულ სტუდენტს დასაქმების ფორუმის მოსამზადებელ პერიოდში შევთავაზეთ უფასო მასტერ-კლასები რეზიუმეს შედგენის, სამოტივაციო წერილის, გასაუბრების და სამუშაოს ძებნის გზების შესახებ, რომელსაც ილიაუნის ბიზნესის სკოლის შესაბამისი მიმართულების ლექტორები და ფორუმში მონაწილე დიდი ორგანიზაციების, ჰოლდინგების HR სპეციალისტები უტარებდნენ სტუდენტებს.
- ✓ დასაქმების ფორუმის პარალელურად, B201 აუდიტორიის მეორე სართულზე მიმდინარეობდა კომპანიების პრეზენტაციები - ჩატარდა 13 კომპანიის პრეზენტაცია.

დასაქმების კვირეული 2017;

- ✓ 2017 წლის 1-დან 17 ნოემბრის ჩათვლით დეპარტამენტის ორგანიზებით გაიმართა დასაქმების კვირეული და წლის შემაჯამებელი ორდღიანი დასაქმების ფორუმი.
- ✓ ფორუმში ჩართულ დამსაქმებლებთა რაოდენობა: 90
- ✓ ფორუმში/კვირეულში ჩართულ სტუდენტთა რაოდენობა წინასწარი რეგისტრაციის მიხედვით: 870 + ფორუმზე მოსული არარეგისტრირებული სტუდენტები;
- ✓ დასქმების კვირეულზე წარმოდგენილი სტუდენტური ვაკანსიების რაოდენობა: 500+
- ✓ დასაქმების კვირეულის ფარგლებში ჩატარდა 16 შეხვედრა, მათ შორის 2 მასტერკლასი თემაზე "როგორ მოვამზადოთ გასაუბრებისთვის?" და ერთი საინფორმაციო შეხვედრა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ადამიანური რესურსების მენეჯერთან, რომელმაც სტუდენტებს გააცნო სამსახურის ძიების თანამედროვე გზები, რეზიუმეს შედგენის, გასაუბრების ტექნიკების და ილიაუნიში დასაქმების პერსპექტივების შესახებ ინფორმაცია. შეხვედრების განრიგი:

**ორ დღიანი დასაქმების ფორუმი**

- ✓ 16 და 17 ნოემბერს წლის შემაჯამებელი, ორდღიანი დასაქმების ფორუმი გაიმართა, სადაც კომპანიებმა აქტიური ვაკანსიები და სტაჟირების პროგრამები შესთავაზეს სტუდენტებს.
- ✓ ორივე დღეს მიმდინარეობდა სტუდენტების რეგისტრაცია. 16 ნოემბრის მონაცემებით ფორუმზე იმყოფებოდა 270-მდე სტუდენტი, 17 ნოემბრის მონაცემებით - 300-მდე.
- ✓ ილიაუნის დასაქმების ფორუმში მონაწილე ორგანიზაციების ჩამონათვალი: ბმული
- ✓ სერვისების გაუმჯობესების მიზნით, ჩატარდა დამსაქმებელთა კმაყოფილების კვლევა (ამჟამად მიმდინარეობს) და იგეგმება სტუდენტთა დასაქმების მაჩვენელის კვლევა აღნიშნული დასაქმების კვირეულის ფარგლებში. ასევე, შეხვედრებზე დამსწრე სტუდენტებისგან შევაგროვეთ ინფორფმაცია მათი კმაყოფილების და რეკომენდაციების

შესახებ, რომელთა გათვალისწინებაც მომავალ დასაქმების კვირეულზე აუცილებლად მოხდება.

სტაჟირება სტუდენტურ საქმეთა დეპარტამენტში

- 2017 წელს სტუდენტურ საქმეთა დეპარტამენტში სტაჟირება გაიარა 14 სტუდენტმა
- 2017 წლის ნოემბერში, დასაქმების კვირეულის ფარგლებში, დეპარტამენტმა გამოაცხადა უხელფასო სტაჟირების პროგრამა
    - პირველ ეტაპზე სააპლიკაციო ფორმა შეავსო 204-მა სტუდენტმა;
    - სტუდენტების შერჩევა მოხდება 7 დეკემბრამდე. ამ მხრივ სტუდენტურ საქმეთა დეპარტამენტი თანამშრომლობს ილიაუნის ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენთან, რომელთან ერთადაც მოხდება სტუდენტების გადარჩევა.
- ნოემბრის დასაწყისში გამოცხადდა უხელფასო სტაჟირების პროგრამა
- პირველ ეტაპზე დარეგისტრირებულ სტუდენტთა რაოდენობა: 210;
- მეორე ეტაპზე გადასულ სტუდენტთა რაოდენობა: 75;
- მესამე ეტაპზე გადასულ სტუდენტთა რაოდენობა: 36;
- აყვანილ სტაჟიორთა რაოდენობა: 13;
- პირველ ეტაპზე სტუდენტები ავსებდნენ სააპლიკაციო ფორმას;
- მეორე ეტაპზე ჰქონდათ ტესტირება;
- მესამე ეტაპზე იყო გასაუბრება;
- სტაჟირების საორგანიზაციო საკითხებში ჩართული იყო ილიაუნის ადამიანური რესურსების მართვის სამსახური.

## 1.სპორტი

შიდასაუნივერსიტეტო ჩემპიონატები

სტუდენტურ საქმეთა დეპარტამენტი მთელი სასწავლო წლის მანძილზე ატარებს შიდასაუნივერსიტეტო ჩემპიონატებს სპორტის სხვადასხვა სახეობებში. მათში მონაწილეობის უფლება აქვთ როგორც სტუდენტებს, ასევე ადმინისტრაციულ და აკადემიურ პერსონალს.

2017 წლის შემოდგომის სემესტრის დაწყებამდე, სტუდენტებსთვის წინასწარ იყო ცნობილი შიდაჩემპიონატების ჩატარების სრული გეგმა.

2017 წელს ჩატარებული შიდასაუნივერსიტეტო ჩემპიონატების ჩამონათვალი:

## მინიფეხბურთი

შიდასაუნივერსიტეტო ჩემპიონატი მინიფეხბურთში - (გაზაფხული - 2017)

- ✓ ჩატარების თარიღი და ადგილი: 04 აპრილი - 21 აპრილი, ილიაუნის ხელოვნურსაფარიანი მოედანი
- ✓ გუნდების რაოდენობა: 46 (15%-იანი ზრდა)
- ✓ გუნდში მოთამაშეთა რაოდენობა: 5-8
- ✓ მატჩების რაოდენობა: 50 (56%-იანი ზრდა)
- ✓ ფოტომასალა

შიდასაუნივერსიტეტო ჩემპიონატი მინიფეხბურთში - (შემოდგომა - 2017)

- ✓ ჩატარების თარიღი და ადგილი: 15 ოქტომბერი - 20 ნოემბერი, ილიაუნის ხელოვნურსაფარიანი მოედანი
- ✓ გუნდების რაოდენობა: 77 (37%-იანი ზრდა)
- ✓ გუნდში მოთამაშეთა რაოდენობა: 5-8
- ✓ მატჩების რაოდენობა: 93 (70%-იანი ზრდა)
- ✓ ფოტომასალა

*შენიშვნა: პროცენტული ზრდა მოცემულია 2016 წლის ანალოგიურ სემესტრთან მიმართებით*

## კალათბურთი

კალათბურთის შიდასაუნივერსიტეტო ჩემპიონატი 3x3 (შემოდგომა - 2017)

- ✓ ჩატარების თარიღი და ადგილი: 1-8 ნოემბერი, თბილისის საკალათბურთო აკადემიის დარბაზი
- ✓ გუნდების რაოდენობა: 28
- ✓ გუნდში მოთამაშეთა რაოდენობა: 4
- ✓ მატჩების რაოდენობა: 44
- ✓ ფოტომასალა

## ფრენბურთი

შიდასაუნივერსიტეტო ჩემპიონატი ფრენბურთში - (გაზაფხული - 2017)

- ✓ ჩატარების თარიღი და ადგილი: 25 მაისი - 1 ივნისი, ილიაუნის ხელოვნურსაფარიანი მოედანი
- ✓ გუნდების რაოდენობა: ვაჟები - 6
- ✓ გუნდში მოთამაშეთა რაოდენობა: 4-6
- ✓ მატჩების რაოდენობა: 12
- ✓ ფოტომასალა

**შიდასაუნივერსიტეტო ჩემპიონატი ფრენბურთში - (შემოდგომა - 2017)**

- ✓ ჩატარების თარიღი და ადგილი: 10 ოქტომბერი - 20 ოქტომბერი, ილიაუნის ხელოვნურსაფარიანი მოედანი
- ✓ გუნდების რაოდენობა: ვაჟები - 14; გოგონები - 5
- ✓ გუნდში მოთამაშეთა რაოდენობა: 4-6
- ✓ მატჩების რაოდენობა: 40
- ✓ ფოტომასალა

## ბილიარდი

**შიდასაუნივერსიტეტო ჩემპიონატი ბილიარდში (გაზაფხული - 2017)**

- ✓ ჩატარების თარიღი და ადგილი: 16-17 მაისი, საბილიარდო კლუბი „რიო"
- ✓ მონაწილეთა რაოდენობა: 35
- ✓ ფოტომასალა

**შიდასაუნივერსიტეტო ჩემპიონატი ბილიარდში (შემოდგომა - 2017)**

- ✓ ჩატარების თარიღი და ადგილი: 1 დეკემბერი, საბილიარდო კლუბი „რიო"
- ✓ მონაწილეთა რაოდენობა: 58
- ✓ ფოტომასალა

## ჭადრაკი

**შიდასაუნივერსიტეტო ჩემპიონატი ჭადრაკში (გაზაფხული - 2017)**

- ✓ ჩატარების თარიღი და ადგილი: 27 აპრილი, ილიაუნის B201 აუდიტორია
- ✓ მონაწილეთა რაოდენობა: 41
- ✓ მატჩების რაოდენობა: 140
- ✓ ფოტომასალა

**შიდასაუნივერსიტეტო ჩემპიონატი ჭადრაკში (შემოდგომა - 2017)**

- ✓ ჩატარების თარიღი და ადგილი: 18 ნოემბერი, ილიაუნის E207 აუდიტორია
- ✓ მონაწილეთა რაოდენობა: 43
- ✓ მატჩების რაოდენობა: 147
- ✓ ფოტომასალა

## მაგიდის ჩოგბურთი

**შიდასაუნივერსიტეტო ჩემპიონატი მაგიდის ჩოგბურთში (გაზაფხული - 2017)**

- ✓ ჩატარების თარიღი და ადგილი: 2 ივლისი, ილიას ბაღში მდბარე მაგიდის ჩოგბურთის კლუბი
- ✓ მონაწილეთა რაოდენობა: ვაჟები - 37; გოგონები - 5;
- ✓ მატჩების რაოდენობა: ვაჟები - 52; გოგონები - 10;
- ✓ ფოტომასალა

**შიდასაუნივერსიტეტო ჩემპიონატი მაგიდის ჩოგბურთში (შემოდგომა - 2017)**

- ✓ ჩატარების თარიღი და ადგილი: 8 დეკემბერი, ილიას ბაღში მდებარე მაგიდის ჩოგბურთის კლუბი
- ✓ მონაწილეთა რაოდენობა: 70
- ✓ ფოტომასალა

## მკლავჭიდი

**შიდასაუნივერსიტეტო ჩემპიონატი მკლავჭიდში (შემოდგომა - 2017)**

- ✓ ჩატარების თარიღი და ადგილი: 10 ნოემბერი, A კორპუსის დერეფანი (II სართული)
- ✓ მონაწილეთა რაოდენობა: 43
- ✓ ფოტომასალა

### სპორტული ნაკრებები

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტურ საქმეთა დეპარტამენტის ბაზაზე ფუნქციონირებს სპორტული ნაკრებები კალათბურთში, ფუტსალში, ფრენბურთში და რაგბში. გუნდებში მოთამაშეთა მიღება ცხადდება ყოველი სემესტრის დასაწყისში და ნებისმიერ მსურველს აქვს საკუთარი შესაძლებლობების გამოვლენის საშუალება. აღნიშნული ნაკრებები მთელი სასწავლო წლის მანძილზე ვარჯიშობენ და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სახელით მონაწილეობენ სხვადასხვა სტუდენტურ ჩემპიონატებში. სტუდენტურ საქმეთა დეპარტამენტი უზრუნველყოფს მათ სავარჯიშო ინვენტარით, სპორტული დარბაზითა და სხვა საჭიროებებით.

## კალათბურთი

ილიაუნის კალათბურთის გუნდი 2015 წლის შემოდგომაზე შეიქმნა და გამოცდილებით საგრძნობლად ჩამორჩება სხვა უნივერსიტეტების ნაკრებებს, თუმცა, მოთამაშეთა მონდომებისა და სწორი მენეჯმენტის მეშვეობით საუკეთესო გუნდთა სამეულში მუდმივად ფიგურირებს. ნაკრებს შექმნის დღიდან ავარჯიშებს საქართველოს კალათბურთის ფედერაციის სერტიფიცირებული მწვრთნელი, ილიაუნის ყოფილი სტუდენტი დავით ეძგვერაძე.

2017-2018 სასწავლო წლიდან ილიაუნის კალათბურთის გუნდს შეუერთდა საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების 4 მოთამაშე. ამ ცვლილებით გუნდი მნიშვნელოვნად გაძლიერდა და შემდეგი სეზონის ერთერთ ფავორიტად ითვლება.

**ილიაუნის კალათბურთელთა ნაკრები**

კალათბურთის ნაკრების მიერ 2017 წელს ნაჩვენები შედეგები:

**საქართველოს სტუდენტური ჩემპიონატი კალათბურთში 5x5**

- ✓ პერიოდი: ოქტომბერი, 2016 წელი - ივნისი, 2017 წელი
- ✓ მიღწეული შედეგი: III ადგილი

**საქართველოს სტუდენტური ჩემპიონატი კალათბურთში 3x3**

- ✓ პერიოდი: სექტემბერი, 2017 წელი
- ✓ მიღწეული შედეგი: I ადგილი

## ფრენბურთი

ილიაუნის ქალ და ვაჟ ფრენბურთელთა გუნდები 2015 წლის შემოდგომა დაკომპლექტდნენ. მას შემდეგ ორივე გუნდი აქტიურად ვარჯიშობს და მუდმივად ფიგურირებს სტუდენტური ჩემპიონატების საპრიზო სამეულში. გუნდებს შექმნის დღიდან ავარჯიშებს საქართველოს ქალ ფრენბურთელთა ნაკრების ყოფილი წევრი და ილიაუნის კურსდამთვრებული სტუდენტი ნინო სტურუა.

ფრენბურთელთა ნაკრებების მიერ 2017 წელს ნაჩვენები შედეგები:

ვაჟები:

**საქართველოს სტუდენტური ჩემპიონატი ფრენბურთში**

- ✓ პერიოდი: მაისი-ივნისი, 2017 წელი
- ✓ მიღწეული შედეგი: IV ადგილი

**ქვიშის ფრენბურთის სტუდენტური უნივერსიადა**

- ✓ პერიოდი: ივლისი, 2017 წელი
- ✓ მიღწეული შედეგი: III ადგილი

გოგონები:

**საქართველოს სტუდენტური ჩემპიონატი ფრენბურთში 6x6**

- ✓ პერიოდი: მაისი-ივნისი, 2017 წელი
- ✓ მიღწეული შედეგი: III ადგილი

**ქვიშის ფრენბურთის სტუდენტური უნივერსიადა 3x3**

- ✓ პერიოდი: ივლისი, 2017 წელი
- ✓ მიღწეული შედეგი: II ადგილი

## რაგბი:

2017 წელს საქართველოში გაიმართა მსოფლიოს ახალგაზრდული ჩემპიონატი რაგბში. ბაზების გადატვირთულობის გამო სტუდენტური უნივერსიადის ჩატარება ვერ მოხერხდა შესაბამისი ფედერაციის მიერ. ილიაუნის ნაკრები მხოლოდ ამხანაგური მატჩების ჩატარებით შემოიფარგლა და გასულ წელს მოპოვებული ჩემპიონის ტიტული ავტომატურად შეინარჩუნა.

**ილიაუნის მორაგბეთა ნაკრები - 2016 წელი**

## ფუტსალი:

2015-2016 წლებში წარმატებული ასპარეზობის შემდეგ, ფუტსალის ნაკრებში კრიზისის პერიოდი დადგა. სწავლა დაასრულეს ძველმა მოთამაშეებმა, ახალი და ნიჭიერი ფეხბურთელები არ გამოჩნდნენ და შედეგად, ილიაუნის გუნდმა 2017 წლის გაზაფხულზე გამართული სტუდენტური ჩემპიონატი ჯგუფურ ეტაპზე დაასრულა. უარყოფით რეზულტატს სტუდენტურ საქმეთა დეპარტამენტის მხრიდან მოყვა მყისიერი რეაგირება. შეიცვალა გუნდის მწვრთნელი, გადახალისდა შემადგენლობა, გუნდს დაემატნენ ტექნიკური და მოტივირებული მოთამაშეები. ფუტსალის ნაკრებმა დაიწყო აქტიური მზადება 2017 წლის ნოემბერ-დეკემბერში გასამართი სტუდენტური ჩემპიონატისთვის. გუნდს 2017 წლის ოქტომბრიდან ავარჯიშებს საქართველოს ფუტსალის ისტორიაში ერთერთი გამორჩეული მოთამაშე, საქართველოს ჩემპიონატის ყველა დროის საუკეთესო ბომბარდირი და გამოცდილი მწვრთნელი ალიკ სარქისიანი. 2017 წლის 19 დეკემბრის მდგომარეობით ილიაუნის ფუტსალის გუნდი საქართველოს სტუდენტური ჩემპიონატის მეოთხედფინალშია.

## ილიაუნის ფუტსალის ნაკრები- 2017 წელი

ინდივიდუალური სახეობები

სტუდენტურ საქმეთა დეპარტამენტი მუდმივად ახორციელებს სპორტის სხვადასხვა სახეობაში წარმატებული და ნიჭიერი სტუდენტების მონიტორინგს. შემდგომში კი, წინასწარი შერჩევის პრინციპით, აძლევს მათ უნივერსიტეტის სახელით სტუდენტურ უნივერსიადაზე მონაწილეობის საშუალებას.

2017 წელს ილიაუნელი სპორტსმენების ნაჩვენები შედეგები ინდივიდუალურ სახეობებში:

### სტუდენტური უნივერსიადა 2017

2017 წლის ივნისში ილიაუნის გუნდმა მონაწილეობა მიიღო საქართველოს საუნივერსიტეტო სპორტის ფედერაციის მიერ ორგანიზებულ სტუდენტურ უნივერსიადაში, რომელიც სპორტის 12 სახეობაში გაიმართა. ილიაუნიმ 4 ოქროს, 5 ვერცხლის და 2 ბრინჯაოს მედალი მოიპოვა და გუნდურ ჩათვლაში III ადგილი დაიკავა.

### ოქროს მედლები:

- ✓ ქართული ჭიდაობა (70 კგ.) - ნიკა ვარაზაშვილი
- ✓ მაგიდის ჩოგბურთი (პირადი, ვაჟები) - გრიგოლ ბაბუნაშვილი
- ✓ მაგიდის ჩოგბურთი (წყვილები, ვაჟები) - გრიგოლ ბაბუნაშვილი, ლაშა ხელაძე
- ✓ მკლავჭიდი (70 კგ. მარჯვენა) - გოჩა სიჭინავა

### ვერცხლის მედლები:

- ✓ სამბო (68 კგ.) - ნიკა ვარაზაშვილი
- ✓ ჭადრაკი (ქალები) - ნანი უნაფქოშვილი
- ✓ წოლჭიმი (105 კგ.) - ელგუჯა კობერიძე
- ✓ ქვიშის ფრენბურთი (ქალები) - სოფო პაპიაშვილი, სოფო სებისკვერაძე
- ✓ მკლავჭიდი (70 კგ. მარცხენა) - გოჩა სიჭინავა

### ბრინჯაოს მედლები:

- ✓ სროლა (ქალები) - მარიამ ბლუაშვილი
- ✓ ქვიშის ფრენბურთი (ვაჟები) - გიორგი არჯევანიძე, გიორგი მერაბიშვილი

### სტუდენტური ჩემპიონატი ბილიარდში - 2017

- ✓ თარიღი: თებერვალი, 2017 წელი

- ✓ მიღწეული შედეგი: II ადგილი (ზექა ზეჟაშვილი)

**ძალისმიერ სამჭიდელთა ევროპის ჩემპიონატი - ათენი, 2017**

- ✓ თარიღი: 6 მაისი, 2017 წელი
- ✓ მიღწეული შედეგი: I ადგილი - ელგუჯა კობერიძე

ელგუჯა კობერიძის მგზავრობისა და განთვსების ხარჯები დაიფარა სტუდენტურ საქმეთა დეპარტამენტის ბიუჯეტიდან.

სხვა სპორტული აქტივობები

## Wings For Life: World Run 2017 – 6 მაისი

ილიაუნის სპორტული ნაკრებების წევრებმა და ინდივიდუალურ შეჯიბრებებში საპრიზო ადგილებზე გასულმა სპორტსმენებმა მსოფლიო რბენაში მიიღეს მონაწილეობა. ღონისძიება ლოპოტას ტბის მიმდებარე ტერიტორიაზე გაიმართა და მასში 50-მდე სტუდენტი ჩაერთო. მათგან საუკეთესო შედეგი ფუტსალის ნაკრების წევრმა ლევან მაჭარაშვილმა აჩვენა, რომელმაც 18.6 კილომეტრის დაფარვა შეძლო.

**სპორტსმენთა პიკნიკი - 16 ივლისი**

სტუდენტურ საქმეთა დეპარტამენტმა გამორჩეულ სპორტსმენებს საჩუქრის სახით პიკნიკი მოუწყო მარტყოფის რაიონში. ღონისძიებას დაესწრნენ წარმატებული სპორტული ნაკრებების წევრები და ინდივიდუალურ სახეობებში საპრიზო ადგილებზე გასული სპორტსმენები

## საუნივერსიტეტო ბაზებისა და დამხმარე ობიექტების მართვის სამსახური

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში საუნივერსიტეტო ბაზებისა და დამხმარე ობიექტების მართვის სამსახური უკვე რამდენიმე წელია ფუნქციონირებს. სამსახურის მიზანია სტუდენტებისათვის, აკადემიური, ადმინისტრაციული და მოწვეული სტუმრებისათვის რეგიონულ კვლევით ბაზებში შექმნას სამეცნიერო კვლევებისათვის და დასვენებისათვის მშვიდი და კომფორტული გარემო, ხოლო კვების ობიექტების მიერ შეთავაზებულ იქნას მშვიდი და კომფორტული გარემო, ჯანმრთელი და ხარისხიანი საკვები პროდუქცია, მისაღებ ფასებში. გარდა ამისა, სამსახურის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფუნქციას წარმოადგენს უნივერსიტეტში გამართული ღონისძიებების კვებითი მომსახურება (ფურშეტების ორგანიზება შიდა და გარე შეკვეთებისათვის).

ამ მიზნების მისაღწევად სამსახურის მოვალეობებში შედის ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი ობიექტის მართვა:

- უნივერსიტეტის სასადილო N1 ჩოლოყაშვილის 3/5
- უნივერსიტეტის სასადილო N2 ი.ჭავჭავაძის N32
- უნივერსიტეტის წიგნის სახლ “ლიგამუსის“ კაფე ი. ჭავჭავაძის N32
- უნივერსიტეტის სტეფანწმინდის ალპური ეკოლოგიის ინსტიტუტი
- უნივერსიტეტის ევ. ხარაძის სახ. აბასთუმანის ასტროფიზიკური ობსერვატორიის ტერიტორიაზე მდებარე სასტუმროები
- უნივერსიტეტის გრიგოლეთის შავი ზღვის ეკოლოგიის შემსწავლელი ცენტრი
- უნივერსიტეტის ბაკურიანის ალპური ბოტანიკური ბაღი

სამსახურის თანამშრომლებმა 2017 წელს სხვადასხვა მასშტაბის და ხანგრძლივობის ღონისძიებებს უმასპინძლეს რეგიონულ ბაზებზე. ბაზების გამართული მუშაობისთვის რეგიონებში ჩაატარეს სხვადასხვა სამუშაოები: შესწავლილი იქნა არსებული ვითარება. მოხდა ბაზების აღწერა და შიდა ინვენტარიზაცია. ყოველწლიური შიდა ინვენტარიზაციით ხორციელდება არსებული რესურსების გადანაწილება ბაზებს შორის.

ასევე საკუთარი ძალებით ჩატარდა მინიმალური სარემონტო სამუშაოები სტეფანწმინდასა და აბასთუმნის ობიექტებზე. რის შედეგადაც შარშანდელის მსგავსად, კერძო შეკვეთებით კვლავაც მაქსიმალურად დატვირთული იყო აბასთუმნის სასტუმროები ივლისსა და აგვისტოში (ცხელ სეზონზე). სამწუხაროდ, 2016 წლის სექტემბრისგან განსხვავებით წელს აბასთუმანში აღარ გამართული საერთაშორისო კონფერენციები, რამაც შემოსავლებზეც იქონია გავლენა.

შემოსავლების მატება აღინიშნა ჩვენს მართვაში მყოფ სხვა ბაზებზე. წინა წელთან შედარებით, თითქმის გაორმაგდა შემოსავალი გრიგოლეთის საზღვაო კვლევით ცენტრში (რაც მთავარია ზრდა მოხდა არა შიდა მივლინებების, არამედ გარედან მოზიდული დაფინანსების ხარჯზე).

სასიხარულოა, რომ სტეფანწმინდაში სასტუმრო ბიზნესში რადიკალურად გაზრდილი კონკურენციის მიუხედავად 2016 წელთან შედარებით სტუმართა ნაკადმა მოიმატა ჩვენს მართვაში მყოფ ბაზაზე და იგი კვლავაც ერთ-ერთ ყველაზე შემოსავლიან ობიექტად რჩება.

წელს დატვირთული წელი აღმოჩნდა  დედოფლისწყაროს ბაზისთვისაც, და რაც აღსანიშნავია, სულ უფრო იმატებს გარედან მოზიდული შეკვეთების რაოდენობა დედოფლისწყაროს ბაზაზე.

კვლავაც იზრდება ჩვენი სამსახურის მართვაში მყოფი კვებითი ობიექტების მიერ რეალიზებული პროდუქციის შედეგად მიღებული შემოსავლები. გარდა საცალო გაყიდვებისა, საიდანაც მიღებული თანხები წელსაც, ისევე როგორც გასულ წელს მზარდი დინამიკით ხასიათდებოდა, უნიფუდის სასადილოებმა შარშანდელის მსგავსად უამრავ ღონისძიებას გაუწიეს კვებითი მომსახურება (იგულისხმება ფურშეტი, ყავის შესვენება, ლანჩი, ლანჩ-ბოქსები გასვლითი ღონისძიებებისთვის). გასათვალისწინებელია ისიც, რომ მათგან დაახლოებით მეოთხედი ერთჯერადი კი არ იყო, არამედ 3-5 დღე გრძელდებოდა. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია „ღია საზოგადოება - ინსტიტუტის“ მიერ ორგანიზებული 2 საერთაშორისო საზაფხულო სკოლის მონაწილეთა კვებითი მომსახურება ივლისსა და აგვისტოში (ჩოლოყაშვილის 3-ში მდებარე სასადილო) და განათლების სამინისტროს დაკვეთით ჩვენი უნივერსიტეტის ბავშვთა განვითარების ინსტიტუტის მიერ ორგანიზებული ტრენინგების კვებითი უზრუნველყოფა აპრილიდან ოქტომბრის ჩათვლით (ჭავჭავაძის 32-ში მდებარე სასადილო).

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის უნიფუდის მუშაობა კვლავაც სამაგალითოა, სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში არსებული კვებითი ობიექტებისთვის. მაგალითად, 2017 წლის მანძილზე რჩევებისა და დახმარებისთვის არაერთხელ მოგვმართეს ივ. ჯავახიშვილის სახ. უნივერსიტეტიდან, სადაც მიმდინარე წელს გახსნეს მსგავსი კვების ობიექტები.

2017 წლის მანძილზე, ისევე როგორც წინა წლებში მუდმივად გვიხდებოდა მენიუში ცვლილებების შეტანა. ყოველ ახალი ტენდერის შემდეგ იძულებული ვიყავით ხელახლა მოგვეხდინა კალკულაციებისა და გასაყიდი პროდუქციის თვითღირებულების გადათვლა. მიუხედავად იმისა, რომ განუხრელად იზრდებოდა ფასები შემოტანილ პროდუქტებზე, ჩვენი ამოცანა იყო მენიუს ფასების ოპტიმიზაცია, ისე რომ, სტუდენტებს კვლავაც შეძლებოდათ დაბალ ფასად კვება.  სასადილოებში გასაყიდი პროდუქციის ფართო ასორტიმენტი კვლავაც დიდ მოწონებას იმსახურებს ჩვენს მომხმარებელში.

ყველაფერი ზემოთქმულის დამსახურებაა, რომ ბაზებისა და დამხმარე ობიექტების მართვაში მყოფი ობიექტების ერთობლივმა შემოსავალმა პირველად ჩვენი უნივერსიტეტის ისტორიაში 2017 წლის იანვრიდან ნოემბრის ჩათვლით 1 მილიონს გადააჭარბა (იგულისხმება ყველა სახის შემოსავალი). წლის ბოლომდე იმედი გვაქვს რომ ნაერთი შემოსავლები 1 მილიონ ასი ათასს გაცდება, და რაც მთავარია მათ შორის გარედან შემოსული დაფინანსება 940-950 ათასის ფარგლებში იქნება.

ქვემოთ წარმოგიდგენთ თითოეული ობიექტის უფრო ვრცელ ანგარიშს:

- **უნივერსიტეტის სასადილო N1 ჩოლოყაშვილის 3/5**

უნივერსიტეტის სასადილოს, მდებარე ჩოლოყაშვილი 3/5, მუშაობა დამოკიდებულია უნივერსიტეტის სასწავლო კალენდარზე, თუმცა მეორე, ჭავჭავაძის 32-ში მდებარე სასადილოსგან განსხვავებით იგი უნივერსიტეტის E და F კორპუსებში მომუშავე ადმინისტრაციის თანამშრომლებსაც ემსახურება. შესაბამისად არდადეგების პერიოდში იკლებს შემოსავლები, მაგრამ ადმინისტრაციული პერსონალის დასაკმაყოფილებლად, არდადეგებზეც განაგრძობს მუშაობას. გასული წლებისგან განსხვავებით, აღნიშნული სასადილო არ დაკეტილა აგვისტოს თვეშიც, რადგანაც უზრუნველყოფდა „ღია საზოგადოება- ინსტიტუტის" მიერ ორგანიზებული საერთაშორისო საზაფხულო სკოლის კვებით მომსახურებას, რამაც ივლისი-აგვისტოს მანძილზე 15 ათას ლარზე მეტი დამატებითი შემოსავალი მოუტანა უნივერსიტეტს.

2017 წელს განსაკუთრებით დიდი იყო ჩოლოყაშვილის 3/5-ში მდებარე სასადილოს მომხმარებელთა რაოდენობა. რეკორდული იყო როგორც საცალო გაყიდვებიდან შემოსული თანხები, ასევე ღონისძიებების კვებითი მომსახურებების რაოდენობაც. ფურშეტების, ყავის შესვენებების, ლანჩების და ა.შ. ნახევარზე ოდნავ ნაკლები სწორედ ამ სასადილოს მიერ არის განხორციელებული. ჩვენი სამსახურის პერსონალმა წარმატებით გაართვა თავი ამ გამოწვევას და ყველა შეკვეთა დროულად და ხარისხინად შეასრულა.

აღნიშნულ ობიექტს ჩვენი სამსახურის მართვაში მყოფი ობიექტებიდან ყველაზე დიდი შემოსავლები აქვს. მიმდინარე წლის ერთობლივმა შემოსავლებმა 1 დეკემბრამდე თითქმის 340 ათას ლარს გადააჭარბა. დეკემბერშიც სავარაუდოდ, 30 ათას ლარზე მეტი ღირებულების მომსახურება იქნება გაწეული.

სასადილო მთელი წლის მანძილზე მუდმივად განახლებად მენიუს სთავაზობდა სტუდენტებს, აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალს და თუ გაყიდვების რაოდენობით ვიმსჯელებთ მისი მომსახურება დიდი მოწონებით სარგებლობდა მომხმარებელში.

მომსახურების პირობების გაუმჯობესების მიზნით მიმდინარე წლის დასაწყისში უნიფუდის სასადილოებისთვის შევიძინეთ საჭირო ჭურჭლის გარკვეული რაოდენობა, რამაც შესაძლებლობა მოგვცა ჩაგვენაცვლებინა დიდი ხნის მანძილზე ხმარებისგან გაცვეთილი და დამსხვრეული ჭურჭელი.

დღეს უნიფუდის სასადილო სტუდენტთა თავშეყრის ერთ-ერთი საყვარელი ადგილია. სადაც, კვებითი მომსახურებისგან თავისუფალ დროს (სამუშაო საათების შემდეგ, უქმე დღეებში) ტარდება სხვადასხვა კლუბების („რა, სად. როდის" "ინტელექტუალი ეკონომისტები" და ა.შ.) შემეცნებითი თამაშები.

წარმოგიდგენთ 2017 წლის ფინანსურ ანგარიშს *(არ არის შესული დეკემბრის მონაცემები, რადგანაც თვის ბოლომდე არ გვაქვს შემოსავლებსა და ხარჯებზე სრული ინფორმაცია)*:

| **ხარჯი** | **იანვარი-ნოემბერი 2017წ.** |
|---|---|
| შრომის ანაზღაურება | 133,337 |
| კომუნალური | 6,339 |
| პროდუქტი | 164,037 |
| სამეურნეო | 4,488 |
| **სულ** | **308,201** |
| | |
| **შემოსავალი** | **იანვარი-ნოემბერი 2017წ.** |
| სალარო | 303,100.31 |
| ფურშეტი გარე | 6,069.62 |
| ფურშეტი შიდა | 16,067.95 |
| საზაფხულო სკოლა | 15660 |
| **სულ** | **340897,88** |

- **უნივერსიტეტის სასადილო N2 ი.ჭავჭავაძის N32**

უნივერსიტეტის სასადილოს, მდებარე ჭავჭავაძის 32-ში, მუშაობა სრულად დამოკიდებულია უნივერსიტეტის სასწავლო კალენდარზე. შესაბამისად დასვენების პერიოდში იკლებს შემოსავლები და ამ სასადილოს მუშაობა ნაკლებად რენტაბელური ხდება. სწორედ ეს ფაქტორია განმსაზღვრელი, რომ აღნიშნულ სასადილოს უფრო ნაკლები შემოსავალი ჰქონდა ვიდრე ჩოლოყაშვილის 3/5-ში მდებარე უნიფუდ-1-ს. გარდა ამისა, ყველაზე დიდ პრობლემას წარმოადგენს სივრცის ნაკლებობა. სასადილოს დარბაზი საკმაოდ პატარაა და ვერ იტევს ყველა მსურველს. ფართის ნაკლებობა კვლავაც გადაუჭრელ პრობლემად რჩება.

მომხმარებელთა სერვისის გაუმჯობესების მიზნით, აქაც 2017 წელს განახლებული იყო ჭურჭლის მარაგები და დაზიანებული და დამსხვრეული ჭურწელი ახლით ჩანაცვლდა.

მიუხედავად, ზემოაღნიშნული პრობლემებისა, სასიხარულოა, რომ 2017 წელს, განსაკუთრებით ახალი სასწავლო წლის დაწყებიდან, მკვეთრად მოიმატა სასადილოში საცალო გაყიდვებმა. უნიფუდი-2-ის მიერ დეკემბრამდე მობილიზებული შემოსავალი უკვე 211 ათას ლარს აღემატებოდა (წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 40%-ით აღემატება). დეკემბერშიც, სავარაუდოდ, 20 ათას ლარზე მეტი ღირებულების მომსახურების გაწევაა დაგეგმილი

აღსანიშნავია, რომ 2017 წელს განსაკუთრებით გაზრდილი იყო ამ ობიექტის მიერ განხორციელებული კვებითი მომსახურების რიცხვი, რაც მთავარია, არა შიდა საუნივერსიტეტო

ღონისძიებების, არამედ გარედან შემოსული დაფინანსების ათვისების ხარჯზე. მათ შორის, ლომის წილი მიუძღვის ბავშვთა განვითარების ინსტიტუტის მიერ განათლების სამინისტროს დაკვეთით ორგანიზებული ტრენინგების კვებით მომსახურებას, რომლის საერთო ღირებულებამ აპრილიდან ნოემბრის ჩათვლით თითქმის 33 ათასი ლარი შეადგინა.

ისევე როგორც უნიფუდი-1, ეს სასადილოც მთელი წლის მანძილზე მუდმივად განახლებად მენიუს სთავაზობდა სტუდენტებს, აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალს. ასევე, დაახლოებით 200-მდე ღონისძიების კვებითი მომსახურება იქნა გაწეული 2017 წლის მანძილზე, რასაც სასადილოს პერსონალმა წარმატებით გაართვა თავი და მომხმარებელთა კმაყოფილება დაიმსახურა.

წარმოგიდგენთ 2017 წლის ფინანსურ ანგარიშს *(არ არის შესული დეკემბრის მონაცემები)*:

| **ხარჯი** | **იანვარი-ნოემბერი 2017წ.** |
|---|---|
| შრომის ანაზღაურება | 87,576 |
| პროდუქტი | 91,261 |
| სამეურნეო | 5,337 |
| **სულ** | **184,174** |

| **შემოსავალი** | **იანვარი-ნოემბერი 2017წ.** |
|---|---|
| სალარო | 146,015.51 |
| ფურშეტი გარე | 13,970 |
| ფურშეტი შიდა | 18,152.7 |
| ბავშვთა განვითარების ინსტიტუტი | 32,788.5 |
| **სულ** | **211,633** |

- **უნივერსიტეტის წიგნის სახლის კაფე ი. ჭავჭავაძის N32**

ჩვენი სამსახურის მართვაშია უნივერსიტეტის წიგნის სახლ „ლიგამუსის“ კაფე. აქ დასაქმებული გვყავს მინიმალური პერსონალი, მოლარე-ადმინისტრატორი და 2 სტუდენტი. კაფე განთავსებულია წიგნის სახლ „ლიგამუსის“ სივრცეში და მუშაობს დილის 10 საათიდან საღამოს 9 საათამდე. აქ შესაძლებელია ცხელი და ცივი სასმელების, დესერტის და ტკბილეულის შეძენა. აღსანიშნავია, რომ კაფეში რეალიზებული პროდუქციის აბსოლუტური უმეტესობა კონსიგნაციის საფუძველზე მოგვეწოდება და, შესაბამისად, ანგარიშსწორება მომწოდებლებთან მხოლოდ რეალურად გაყიდული პროდუქციის საფუძველზე თვეში ერთხელ ხდება.

კაფის როგორც მომგებიანი კომერციული ობიექტის ფუნქციონირების ძირითად ხელშემშლელ ფაქტორს წარმოადგენს ის გარემოება, რომ იგი განთავსებულია დარბაზში, რომელსაც სამკითხველოს, სტუდენტთა თავშეყრის ადგილის დანიშნულება აქვს. ხშირ შემთხვევაში სტუდენტთა დიდი რაოდენობით თავშეყრისას, ვერ ხერხდება კაფის მომხმარებელთა დაკმაყოფილება.

გარდა ამისა, კაფის მუშაობა დამოკიდებულია წიგნის მაღაზია „ლიგამუსის“ სამუშაო გრაფიკზე და და შეჩერებული იყო 1 აგვისტოდან 1 სექტემბრამდე შესაბამისად, საცალო გაყიდვები არ გვქონია.
მიუხედავად ყველაფრისა, 2017 წელი კაფე „ლიგამუსისთვისაც“ შემოსავლების რადიკალური ზრდით აღინიშნა. 1 დეკემბრამდე უკვე მიღებულმა შემოსავალმა 40 ათასს გადააჭარბა, რაც თითქმის ორჯერ აღემატება 2016 წლის ანალოგიურ მონაცემებს. წლის ბოლომდე სავარაუდოდ, 5 ათას ლარს გადააჭარბებს რეალიზაციიდანბ მიღებული თანხა და პირველად ამ ობიექტის ისტორიაში დადებითი ბალანსით დავასრულებთ წელიწადს.
წარმოგიდგენთ 2017 წლის ფინანსურ ანგარიშს:

| **ხარჯი** | **იანვარი-ნოემბერი 2017** |
|---|---|
| ხელფასი | 16481 |
| პროდუქტი | 16365 |
| **სულ** | **32846** |

| **შემოსავალი** | **იანვარი-ნოემბერი 2017** |
|---|---|
| **სულ** | **40202** |

- **სტეფანწმინდის ალპური ეკოლოგიის ცენტრი**

აღსანიშნავია, რომ ამ ობიექტის მიმართ გასულ, 2016 წელს ტურისტების ერთგვარ გულგრილობასთან შედარებით, 2017 წელს სტეფანწმიდის კვლევითი ცენტრის სტუმართა რიცხვი შესამჩნევად გაიზარდა. 1 დეკემბრამდე 140 ათას ლარამდე ერთობლივი შემოსავალია მობილიზებული სტეფანწმინდის ცენტრის მიერ და დეკემბრის თვეშიც 8 ათას ლარამდე შემოსავლის მიღებას ველოდებით. რაც კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, ეს 12%-იანი ზრდა (წინა წელთან შედარებით) შეინიშნება არა შიდა საუნივერსიტეტო ღონისძიებების მომსახურეობაში, არამედ გარე შეკვეთებიდან მიღებულ დაფინანსებაში.

მიუხედავად იმისა, რომ ცხელ სეზონზე მომხდარმა უსიამოვნო შემთხვევამ ამ ობიექტზე და მისმა თანმდევმა პერსონალის ცვლილებებმა არ მოგვცა საშუალება კიდევ უფრო მეტი შემოსავლის მობილიზება მოგვეხდინა, უნდა ითქვას, რომ სამსახურმა ამ გამოწვევასაც გაართვა თავი, და როგორც ზემოთ აღვნიშნე, წინა წელთან შედარებით უკეთესი მაჩვენებლებით ვასრულებთ საანგარიშო პერიოდს.

ბუნებრივია, სტეფანწმინდაში არსებული ობიექტის კიდევ უფრო მეტი ინტენსივობით ამუშავებას ხელს უშლიდა ბევრი სხვა ფაქტორიც, კერძოდ:

- სტეფანწმინდაში კონკურენტი სასტუმროების და ე.წ. გესთჰაუზების მატება;

- არ არსებული სარეკლამო და საინფორმაციო კამპანია;
- ადგილობრივი მაცხოვრებლების დამოკიდებულება (ისინი რბილად რომ ვთქვათ არაკეთილგანწყობილნი არიან კონკურენტი ობიექტის მიმართ და ყველა ღონეს ხმარობენ სასტუმროს მომხმარებლის დასაფრთხობად) და სხვა.

ასევე გასათვალისწინებელია რიგი საკითხები, რომლებიც აუცილებელია ობიექტის გამართული მუშაობისათვის, კერძოდ:

- სასტუმროების მატებასთან დაკავშირებით, გაიზარდა სასმელი წყლის მოხმარება, რაც გამოიხატება წყლის მიწოდების სისტემატიური შეფერხებებით. საჭიროა დამატებითი წყლის რეზერვუარის დამონტაჟება.
- სასწრაფოდ გამოსაცვლელია საწოლების მატრასები და ბალიშები. ჩასანაცვლებელია თეთრეული.
- ჩასატარებელია აუცილებელი სამღებრო სამუშაოები.
- შესაცვლელია სამზარეულოს მწყობრიდან გამოსული აღჭურვილობა (გაზქურა), ჩასანაცვლებელია ტაფები.

მიუხედავად ყველაფრისა, 2017 წლის მონაცემებით ბაზებისა და დამხმარე ობიექტების სამსახურში სტეფანწმინდის ობიექტი გვაძლევს საგრძნობ შემოსავალს. წარმოგიდგენთ 2017 წლის ფინანსურ ანგარიშს: *(არ არის შესული დეკემბრის მონაცემები)*

| **ხარჯი** | **იანვარი-ნოემბერი 2017წ.** |
|---|---|
| შრომის ანაზღაურება | 48,929 |
| კომუნალური | 36,374 |
| პროდუქტი | 13,602 |
| სამეურნეო | 2427 |
| **სულ** | **101,332** |
| | |
| **შემოსავალი** | **იანვარი-ნოემბერი 2017წ.** |
| გარე შეკვეთები | 97,192 |
| უნივერსიტეტის შიდა ღონისძიებები (კონფერენციები, მივლინებები) | 42,000 |
| **სულ** | **139,192** |

- **უნივერსიტეტის აბასთუმანის სასტუმროები**

2017 წელს აბასთუმნის ობსერვატორიის ტერიტორიაზე მდებარე პატარა სასტუმრომ სტუმრების მიღება დაიწყო იანვრიდან, ხოლო დიდმა სასტუმრომ აპრილიდან.

მიუხედავად ამისა, ორივე სასტუმროში ჩატარდა სარემონტო სამუშაოები. საკუთარი ძალებით შეკეთდა და შეიღება დაზიანებული კედლები. შეიცვალა, ცხელი წყლის და გათბობის სისტემისათვის საჭირო ქვაბის ტენები, წყლისა და საცირკულაციო ტუმბოები. სისტემატიურად გვიხდება ონკანების შეცვლა, ვინაიდან ამის მიზეზი არის, როგორც ონკანების უხარისხობა, ასევე სტუმრების დაუდევრობა.

ასევე საკუთარი ძალებით, პატარა სასტუმროში მოეწყო დამლაგებელის ოთახი, სადაც დავდგით სარეცხი მანქანა და აქვე ხდება გარეცხილი თეთრეულის გაუთავება; შეკეთდა სასტუმროს აივნები; დიდ სასტუმროში ორი ოთახის გადაკეთების შედეგად გაგვიჩნდა დამატებით 2 ადგილი. (ადმინისტრატორის ოთახი გადაკეთდა ჩვეულებრივ ნომრად).

თუმცა, სასტუმროების მუშაობის გასაუმჯობესებლად, კვლავაც აქტუალურია მთელი რიგი საკითხების გადაწყვეტა:

- ხელახლა დასაკომპლექტებელია ჭურჭელი (განსაკუთრებით, საოჯახო სასტუმროში);
- დასამონტაჟებელია ტელევიზორები (ასევე, საოჯახო სასტუმროს სამზარეულოებში);
- პატარა სასტუმროს მომხმარებლები არიან ოჯახები, რომლებიც ბავშვებისათვის ითხოვენ დამატებით გასართობ საშუალებებს და ეზოში სკამების დამატებას;
- დიდ სასტუმროში დასამატებელია ტანსაცმლის კარადები
- ორივე სასტუმროს სჭირდება დამატებითი თეთრეულის, პლედების, საბნების და ბალიშების შეძენა.

2017 წლის ზაფხულში აბასთუმნის სასტუმროები სრულად იყო კერძო სექტორის მიერ დატვირთული. თუმცა აბასთუმნის სასტუმროებში წელს ძირითადად ინდივიდუალური სტუმრები ჭარბობდნენ. მასშტაბური ღონისძიებებიდან მხოლოდ ორია აღსანიშნავი: DAAD-ის პროგრამის მიერ დაფინანსებული გასვლითი სკოლა და ევ. ხარაძის 110 წლისთავთან დაკავშირებული კონფერენცია, რომელთაც ჩვენმა პერსონალმა უმაღლეს დონეზე უმასპინძლა და მონაწილეთა და შემკვეთთა დიდი მოწონება დაიმსახურა.

წარმოგიდგენთ 2017 წლის ფინანსურ ანგარიშს: *(არ არის შესული დეკემბრის მონაცემები და ნოემბრის კომუნალურის ხარჯი)*

| **ხარჯი** | **იანვარი-ნოემბერი 2017წ.** |
|---|---|
| შრომის ანაზღაურება | 59,219 |
| კომუნალური | 29,907 |
| პროდუქტი | 17,805 |
| სამეურნეო | 5,417 |
| **სულ** | **112,348** |
| | |
| **შემოსავალი** | **იანვარი-ნოემბერი 2017წ.** |
| გარე შეკვეთები | 156,522 |
| უნივერსიტეტის შიდა ღონისძიებები (კონფერენციები, მივლინებები) | 16,858 |
| **სულ** | **173,380** |

- **დედოფლისწყაროს სამეცნიერო ცენტრი**

ტრადიციულად, დედოსფლისწყაროს სამეცნიერო ცენტრი უნივერსიტეტის დაგეგმილი სკოლების ჩატარებით არის დაკავებული. 2017 წელს უნივერსიტეტის მიერ მნიშვნელოვნად იყო დატვირთული დედოფლისწყაროს ბაზა. გასვლითი სემინარები თუ სკოლები თითქმის ყველა თვეს ეწყობოდა და ხშირ შემთხვევაში, თვის მანძილზე რამდენიმეც კი იყო ორგანიზებული. გარდა ამისა, ეს ბაზა ჩვეულებისამებრ მასპინძლობდა კახეთში ჩვენი უნივერსიტეტის მიერ განხორციელებული სამეცნიერო ექსპედიციების მონაწილეებს.

აღსანიშნავია, სულ უფრო იმატებს გარედან მოზიდული შეკვეთების რაოდენობა დედოფლისწყაროს ბაზაზე. გასულ წელს თუ გარე შეკვეთების მხოლოდ ცალკეული შემთხვევები იყო, წელს ჩვენი ინფრატრუქტურის გამოყენების სურვილი გაცილებით მეტმა ორგანიზაციამ თუ კერძო პირმა გამოთქვა. დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში მმართველობის ორგანოებისა და საერთაშორისო დონორების მიერ გამართული თითქმის ღონისძიება ჩვენს ბაზაზე გაიმართა და საგრძნობი შემოსავალიც მოუტანა უნივერსიტეტს. კლიენტთა შორსი იყვნენ ევროკავშირის ENPARD-ის პროექტი, კავკასიის რეგიონული გარემოსდაცვითი ორგანიზაცია; გაეროს წარმომადგენლობა საქართველოში; სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი; შპს „რეგიონული ჯანდაცვის ცენტრი“; შპს „მექანიზატორი“; შპს „ქარავანი“; ააიპ „სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი“; GIZ; NACRES; რამდენიმე ტურისტული კომპანია და ა.შ.

რასაკვირველია, დედოფლისწყაროს ბაზის მთავარი დანიშნულება კვლავაც უცვლელია და შიდა საუნივერსიტეტო აქტივობების მხარდაჭერას გულისხმობს. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ გარედან მოზიდული დაფინანსება, ბაზაზე გაწეული ხარჯების ნახევარს ფარავს.

წარმოგიდგენთ 2017 წლის ფინანსურ ანგარიშს: *(არ არის შესული დეკემბრის მონაცემები)*

| **ხარჯი** | **იანვარი-ნოემბერი 2017წ.** |
|---|---|
| შრომის ანაზღაურება | 50,225 |
| კომუნალური | 17,473 |
| პროდუქტი | 18,162 |
| სამეურნეო | 1,778 |
| **სულ** | **87,638** |
| | |
| **შემოსავალი** | **იანვარი-ნოემბერი 2017წ.** |
| გარე შეკვეთები | 44,065 |
| უნივერსიტეტის შიდა ღონისძიებები (კონფერენციები, მივლინებები) | 70,727 |
| **სულ** | **114,792** |

- **გრიგოლეთის შავი ზღვის კვლევითი ცენტრი**

გრიგოლეთის შავი ზღვის კვლევითი ცენტრის შემოსავლიანი სეზონი არის მხოლოდ ზაფხულის პერიოდი. თუმცა, წელს, წინა წელთან შედარებით, თითქმის გაორმაგდა შემოსავალი გრიგოლეთის საზღვაო კვლევით ცენტრში (რაც მთავარია ზრდა მოხდა არა შიდა მივლინებების, არამედ გარედან მოზიდული დაფინანსების ხარჯზე). თუმცა, ობიექტი ჯერჯერობით კვლავაც უნივერსიტეტის დაფინანსების ხარჯზე ფუნქციონირებს.

ობიექტი მთელი წლის მანძილზე ძირითადად დატვირთულია უნივერსიტეტში დაგეგმილი კვლევების ჩატარების ხარჯზე.  2017 წელს ამ მხრივ საკმაოდ დიდი მოთხოვნილება იყო უნივერსიტეტის მკვლევარების მხრიდან. ამ კვლევების დაფინანსების წყაროს დიდი ნაწილიც გარე ფინანსური რესურსებიდან იყო მოზიდული („შავი ზღვის ძუძუმწოვრების მენეჯმენტის გეგმის იმპლემენტაცია“ - „ანაკლიის პროექტი“).

წელს ივლისი-აგვისტოში ტურისტთა მზარდი აქტივობა შეინიშნებოდა. სწორედ ამიტომ, მიგვაჩნია, რომ დამატებითი საინფორმაციო მუშაობის და მომსახურების ტარიფების ოპტიმიზაციის შემთხვევაში ზაფხულის სეზონზე შესაძლებელი იქნება შემოსავლების გაზრდა.

თუმცა ამისთვის უნდა მოხდეს არსებული ინფრასტრუქტურის შენარჩუნება.

- მოსაწესრიგებელია ზღვისგან დამცავი კედელი (ძლიერი შტორმის შემთხვევაში დატბორვის საფრთხე ემუქრება ტერიტორიაზე განთავსებულ ნაგებობს).
- გასაახლებელია ინტერიერი როგორც ძირითად შენობაში, ასევე ხის კოტეჯში.
- ანტიკოროზიული საღებავით გადასაღებია ნაგებობბების რკინის ელემენტები.
- დიდ პრობლემას წარმოადგენს ინტერნეტის არ ქონა აღნიშნულ ბაზაზე (ფასის სიძვირის გამო დღემდე უარი ვთქვით ოპტიკურ-ბოჭკოვანი ინტერნეტის შეყვანაზე). მოსაძებნია რაიმე ალტერნატიული გზა თუნდაც საშუალო ხარისხის ინტერნეტის შესაყვანად.
- მთლიანად გასაახლებელია, თეთრეული და პირსახოცები.
- აღსადგენი ან/და გამოსაცვლელია განათებები, როგორც ნომრებში ასევე ვესტიუბულსა და ღია ვერანდაზე.

მნიშვნელოვნად შეგვიმცირებს კომუნალურ ხარჯებს გრიგოლეთის ბაზის გაზიფიკაცია. პროცედურები უკვე დაწყებული გვაქვს და  მომავალ წელს საშუალება გვექნება, ცხელი წყლით მომარაგება უფრო იაფი საწვავის გამოყენებით მოხდეს.

მინიმალური დანახარჯებით შესაძლებელია შეიქმნას უკეთესი გარემო უნივერსიტეტის მკვლევარებისათვის და სტუდენტებისათვის, რომლებიც ჩართული არიან კვლევებში.

წარმოგიდგენთ 2017 წლის ფინანსურ სურათს *(არ არის გათვალისწინებული დეკემბრის მონაცემები)*:

| **ხარჯი** | **იანვარი-ნოემბერი 2017წ.** |
|---|---|

| | |
|---|---|
| შრომის ანაზღაურება | 21,835 |
| კომუნალური | 2,559 |
| სამეურნეო | 1,780.35 |
| **სულ** | **26,174** |
| | |
| **შემოსავალი** | **იანვარი-ნოემბერი 2017წ.** |
| გარე შეკვეთები | 9,577 |
| ანაკლიის პროექტი | 8,050 |
| უნივერსიტეტის შიდა ღონისძიებები (კვლევები, მივლინებები) | 4,269 |
| **სულ** | **21,896** |

## უნივერსიტეტის ბაკურიანის ალპური ბოტანიკური ბაღის ინსტიტუტი

აღნიშნული ბაზა განთავსებულია ბაკურიანის ბოტანიკური ბაღის ტერიტორიაზე, რომელიც საკმაოდ დიდია და სერიოზული ინვესტირების შემთხვევაში თითქმის მთელი წლის მანძილზე დატვირთული იქნება.

ძირითადი შენობა საჭიროებს კაპიტალურ გადაკეთებას. მოსახსნელია სახურავი, მთლიანად გადასაგეგმია შენობის ოთახები. ამჟამად მეორე სართულზე არის 10 - 2 ადგილიანი ოთახი, საერთო აბაზანა-ტუალეტებით. აღნიშნული ვერ დააკმაყოფილებს დღევანდელ მოთხოვნებს და ამისგამო დღეს ეს ობიექტი სასტუმრო მომსახურეობას არ ეწევა. მისი მთავარი დანიშნულება დრესითვის მხოლოდ მკვლევარების საველე სამუშაოებისთვის ხელშეწყობაა.

არსებობს რამდენიმე პროექტი, რომელიც საშუალებას მისცემს უნივერსიტეტს თანამდროვე სტანდარტების ბაზა ჰქონდეს ამ ტურისტული თვასაზრისით მეტად მომგებიან კურორტზე.

დღეს სასტუმროს ხარჯი პერსონალის ხელფასები (წლიური 15,235).

# უნივერსიტეტის თეატრი

2017 წელმა ილიაუნის თეატრის ორი თეატრალური სეზონი მოიცვა:

- 2016-2017 წ.წ. სეზონის ექვსი თვე (იანვარი–ივნისი 2017)
- და მიმდინარე 2017-2018 წ.წ. თეატრალური სეზონის სამი თვე (ოქტომბერი–დეკემბერი 2017)

## წარმოდგენები

### ახალი სპექტაკლები

2017 წლის განმავლობაში ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის თეატრმა დადგა 5 ახალი სპეტაკლი:

1. ჰენრიკ იბსენის „ხალხის მტერი“, რეჟისორი: საბა ასლამაზიშვილი, ხელმძღვანელი: იოანე ხუციშვილი. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის თეატრალური ხელოვნების პროგრამის დრამის რეჟისურის კონცენტრაციის სტუდენტის სადიპლომო სპექტაკლი
2. ბერთოლდ ბრეხტი „კავკასიური ცარცის წრე“, რეჟისორი: რუსუდან ბოლქვაძე ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის თეატრალური ხელოვნების პროგრამის სამსახიობო ხელოვნების კონცენტრაციის სტუდენტთა სადიპლომო სპექტაკლი
3. ფლორიან ზელერის „სიმართლე“ რეჟისორი: ნინო ბურდული სპექტაკლი დაიდგა თბილისის მერიის ფინანსური ხელშეწყობით
4. ჟან-ბატისტ მოლიერი „ტარტიუფი“, რეჟისორი მანანა კვირკველია. შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახ. უნივერსიტეტის სადიპლომო სპექტაკლი
5. სამუელ ბეკეტი „პირველი სიყვარული“. რეჟისორი: საბა ასლამაზიშვილი, ხელმძღვანელი: იოანე ხუციშვილი. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის თეატრალური ხელოვნების პროგრამის დრამის რეჟისურის კონცენტრაციის სტუდენტის საკურსო სპექტაკლი (განხორციელდა ილიაუნის D კორპუსის კორიდორში)

გარდა ამისა ილიაუნის თეატრის სცენა რეგულარულად ეთმობოდა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის თეატრალური ხელოვნების პროგრამის სტუდენტთა ღია გამოცდებსა და

მეცადინეობებს

რეპერტუარი

გარდა პრემიერებისა, ილიაუნის თეატრი რეგულარულად თამაშობდა რეპერტუარით გათვალისწინებულ სხვა სპექტაკლებსაც:

- იასმინა რეზა „ჟლეტის ღმერთი“, რეჟისორი: დავით ჭაბაშვილი
- ჟან ანუი „ანტიგონე“, რეჟისორი: გაბრიელ გოშაძე
- იზაბელ დორე „სეზარი და დრანა“, რეჟისორი: რუსუდან კობიაშვილი
- ჟან-ბატისტ მოლიერი „სკაპენის oინები“, რეჟისორი: გოგა ქაჩიბაია
- ბრენდონ თომასი „ჩარლის დეიდა“, რეჟისორი: კახა გოგიძე
- ოვიდიუსის პოემისმიხედვით „მეტამორფოზები“, რეჟისორი: საბა ასლამაზიშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის თეატრალური ხელოვნების პროგრამის საკურსო სპექტაკლი

- გიორგი ერისთავი „მუნწიდა უჩინმაჩინის ქუდი“, რეჟისორი: მაია ჩართოლანი
- უილიამ შექსპირი „რიჩარდ მესამე“ , რეჟისორი: კახაბერ შარტავა
- ანტონ ჩეხოვის მოთხრობების მიხედვით „ჩეხოვი.რეპეტიცია“, რეჟისორი: გაგა გოშაძე

გასტროლები/ფესტივალები

2017 წლის განმავლობაში ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის თეატრმა მონაწილეობა მიიღო ყველა მნიშვნელოვან თეატრალურ ღონისძიებაში საქართველოში და არა მარტო.

ლიეჟის სამეფო უნივერსიტეტის თეატრი:

საუნივერსიტეტო თეატრების საერთაშორისო ასოციაციის ფესტივალი, სადაც ილიაუნის თეატრმა ითამაშა სპექტაკლი „ჩეხოვი.რეპეტიცია“, რეჟისორი: გაგა გოშაძე, 1941 წელს დაარსდა და 1983 წლიდან ყოველწლიურად მრავალი თეატრალური დასის მასპინძელია. ლიეჟის სამეფო უნივერსიტეტის თეატრის სცენაზე 150 - ზე მეტ თეატრს აქვს წარმოდგენილი სპექტაკლი - 30-მდე ქვეყნიდან. წელს კი, 16 მარტს, ამ სიას ილიაუნის თეატრიც შეუერთდა.

თბილისის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი

თბილისის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალზე ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის თეატრმა წამოადგინა სპექტაკლი:

- უილიამ შექსპირის „რიჩარს მესამე“, რეჟისორი: კახაბერ შარტავა

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის თეატრი, აგრეთვე, წარმოდგენილი იყო ფესტივალის მსვლელობის დროს გამართულ ”თეატრალურ ბაზრობაზე”, რომელიც სპეციალურად უცხოური კრიტიკისთვის მოეწყო საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში.

თეტრალური პრემია ”დურუჯი” 2016-2017

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის თეატრმა თეატრალური პრემიის ”დურუჯი 2016-2017“ ჟიურის განსახილველად წარუდგინა უილიამ შექსპირის

„რიჩარდ მესამე“, რეჟისორი: კახაბერ შარტავა.

გორის კომედიის ფესტივალი 2017

გორის კომედიის ფესტივალზე ილიაუნის თეატრმა გიორგი ერისთავის „ძუნწი და უჩინმაჩინის ქუდი“ ითამაშა. წარმოდგენამ სპეციალურ განხილვაზე, რომელსაც თეატრმცოდნეები ესწრებიან, დადებითი შეფასებები მიიღო.

ეროვნული დრამატურგიის ფესტივალი მესხეთის თეატრში 2017

მესხეთის თეატრის აღდგენის 50-ე წლისთავისადმი მიძღვნილ ეროვნული დრამატურგიის მეოთხე თეატრალურ ფესტივალზე ილიაუნის თეატრმა წარმოადგინა გიორგი ერისთავის „ძუნწი და უჩინმაჩინის ქუდი“, რეჟისორი: მაია ჩართოლანი

ღონისძიებები

ქართული თეატრი 2016 - პრეზენტაცია

2017 წლის 8 თებერვალს თეატრში ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის თანამედროვე კვლევის ცენტრმა კვლევის - „ქართული თეატრი 2016 წელს“ პრეზენტაცია გამართა.

- პრეზენტაციაზე თეატრის კრიტიკოსთა საერთაშორისო ასოციაციამ და თანამედროვე ქართული თეატრის კვლევის ცენტრმა ილიაუნის თეატრის მსახიობი ანდრია ვაჭრიძე სპექტაკლებში „ჩარლის დეიდა“ და

„ჩეხოვი.რეპეტიცია“ შესრულებული როლებისათვის 2016 წლის საუკეთესო ახალგაზრდა მსახიობ მამაკაცად დაასახელა.

- თეატრის კრიტიკოსთა საერთაშორისო ასოციაციამ და თანამედროვე ქართული თეატრის კვლევის ცენტრმა ილიაუნის თეატრის მოწვეული რეჟისორი კახაბერ შარტავა სპექტაკლისათვის „რიჩარდ მესამე“ 2016 წლის საუკეთესო ქორეოგრაფიული სპექტაკლის რეჟისორად დაასახელა.
- თეატრის კრიტიკოსთა საერთაშორისო ასოციაციამ და თანამედროვე ქართული თეატრის კვლევის ცენტრმა ილიაუნის თეატრის მოწვეული ქორეოგრაფი თიკო ქოიავა სპექტაკლისათვის „რიჩარდ მესამე“ 2016 წლის საუკეთესო ქორეოგრაფად დაასახელა.

შეხვედრა ადამ ლინგთან

2017 წლის 16 თებერვალს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის თეატრში Startup Grind Tbilisi -

ორგანიზებით გაიმართა შეხვედრა google - ის პროგრამულ ინჟინერთან ადამ ლინგთან.

რატი ამაღლობელის „სიტყვის სახელოსნო“

28 თებერვალს, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის თეატრში შეხვედრების ციკლის

„პოეზია და რეციტაცია“ ფარგლებში გაიმართა შეხვედრა პოეტ სოსო მეშველიანთან და რატი ამაღლობელთან.

მუსიკის ცენტრის ღონისძიებები

2017 წელს თეატრმა უმასპინძლა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მუსიკის ცენტრის არაერთ ღონისძიებას, როგორც სცენაზე, ასევე თეატრის ფოეიში.

აუტიზმის ცნობადობის ამაღლების საერთაშორისო დღე

2 აპრილს, აუტიზმის ცნობადობის ამაღლების საერთაშორისო დღესთან

დაკავშირებით ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის თეატრის სცენაზე

მთავარანგელოზ მიქაელის სახელობის სამკურნალო პედაგოგიურმა სკოლამ და

ილიაუნის ბავშვის განვითარების ისნტიტუტის აუტიზმის ცენტრმა წარმოადგინეს ბავშვთა ორკესტრის კონცერტი და სპექტაკლი „სამი გოჭი“.

საბალეტო სკოლის სპექტაკლი

2016-2017 წ.წ. თეატრალური სეზონის დასარულს, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის თეატრმა უმასპინძლა საბალეტო სკოლას „დივერტისმენტი“, რომელმაც წარმოადგინა სპექტაკლი „სახლი“ ალეხანდრო კოსონას მიხედვით.

„სოკრატე დღეს“

2017 წლის 25 ოქტომბერს, ილიაუნის თეატრში საბერძნეთის საელჩოს მიერ ორგანიზებული ღონისძიება - იანის სიმონიდესის სამეცნიერო-პოპულარული პერფორმანსი „სოკრატე დღეს" გაიმართა. წარმოდგენა საბერძნეთისა და საქართველოს დიპლომატიური ურთიერთობების 25 წლისთავს მიეღვნა. თეატრალურ წარმოდგენა აცოცხლებს პლატონის უკვდავი კლასიკას – მაყურებელი დიდი ფილოსოფოსის სასამართლო პროცესის „თვითმხილველი“ ხდება, ეცნობა სოკრატეს აზრებს სათნოებაზე, სამოქალაქო ვალდებულებაზე, სიცოცხლისა და ქვეყნის სიყვარულზე. მთავარი როლის შემსრულებელი იანის სიმონიდესი „ემის" ჯილდოს მფლობელია. იანის სიმონიდისმა 450 წარმოდგენა 20-ზე მეტ ქვეყანაში გაიმართა.

გაგა ნახუცრიშვილის საჯარო ლექცია

2017 წლის 8 ნოემბერს, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის თეატრში ფოიეში გაგა ნახუცრიშვლმა ანტუან დე სენტ-ეგზიუპერის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ წაიკითხა საჯარო ლექცია. მან ისაუბრა იმის შესახებ, თუ როგორ დაიწერა „პატარა პრინცი“, „ადამიანთა მიწა“ და დაუსრულებელი რომანი „ციტადელი“.

სტარტაპ მარკეტი

15 ნოემბერს გლობალური მეწარმეობის კვირეულის ფარგლებში თეატრში ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის სკოლისა და ილიაუნის სამრეწველო

ინოვაციების ლაბორატორიის ორგანიზებით გაიმართა სტარტაპ მარკეტი, სადაც წარმოდგენილი იყო ფაბლაბ ილიაუნიში შექმნილი სხვადასხვა სტარტაპი.

ილიაუნის ხელოვნების კლუბი

6 დეკემბერს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის თეატრში გაიმართა შეხვედრა ეკო დეისაძესა და Vinda Fiolo - სთან. შეხვედრის თემა იყო პროვოკაცია, როგორც ინსტრუმენტი ხელოვნებაში. შეხვედრას მოდერაცია გაუწია ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორმა თეო ხატიაშვილმა.

უკაცრავად, სად არის თანამედროვე ხელოვნების მუზეუმი?

2017 წლის 20 დეკემბერს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის თეატრში მარიამ ნატროშვილმა და ნატუკა ვაწაძემ თანამედროვე ხელოვნების მუზეუმის მნიშვნელობაზე ისაუბრეს.

**პროექტები თეატრის პოპულარიზაციისათვის**

ილიაუნის თეატრის სპექტაკლები სკოლებისათვის

- 2017 წელს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის თეტრმა ხელშეკრულება გააფორმა ბილეთების გამავრცელებელთან სხვადასხვა სკოლებში. ამ ხელშეკრულების საფუძველზე 2017 წელს ილიაუნის თეატრში სხვადასხვა სკოლებისა და კლასების მოსწავლეებმა სპეციალური სასკოლო ფასდაკლებით ისარგებლეს და ილიაუნის თეატრის არა ერთ სპექტაკლს დაესწრნენ. რამდენიმე შემთხვევაში თეატრმა სპექტაკლი სპეციალურად სკოლის მოსწავლეებისათვის დღის განმავლობაში დანიშნა (12:00/15:00 საათი).
- 2017 წლის 19 ნოემბერს სპექტაკლს „ჩარლის დეიდა“ დაესწრნენ თათია სულუაშვილის თეატრალური სახელოსნოს მოსწავლეები, რომლებიც სპექტაკლის შემდეგ მთავარი როლის შემსრულებლებს პირადად შეხვდნენ ილიაუნის თეატრის სცენაზე.

ფასდაკლებები ილიაუნის თეატრში

2017 წელს ილიაუნის თეატრმა გააგრძელა სხვა და სხვა ტიპის ფასდაკლებები:

- 15 და მეტი ბილეთის შეძენის შემთხვევაში მაყურებლისთვის თითო ბილეთის ღირებულება არის 5 ლარი.
- ილიას სახელმწიფო უნივერისტეტის სტუდენეტებისთვის ყველა სპექტაკლის ბილეთი არის მხოლოდ 3 ლარი.
- ნებისმიერი უნივერსიტეტის სტუდენტებისათვის ბილეთებზე ფასდაკლება - 50%

ილიაუნის თეატრის საინფორმაციო მხარდაჭერა

ილიაუნის თეატრის საინფორმაციო მხარდაჭერას უზრუნველჰყოფენ:

- ჟურნალი „ინდიგო“
- ვიდეო პორტალი „Myvideo.ge”
- ვებ-გვერდი Feelcity.ge
- ვებ-გვერდი Teatri.ge
- ვებ-გვერდი Biletebi.ge

თეატრის აფიშა რეგულარულად ცხადდება და თავსდება:

- ყველა ქართულ რადიო ტალღაზე
- ყველა გაზეთში, რომელიც ბეჭდავს აფიშას
- საინფორმაციო საიტზე www.info-tbilisi.com
- სერვისებზე 09 და 08
- ბილეთების ელექტრონული გაყიდვის გვერდზე www.biletebi.ge

სტუდენტების დასაქმება

ამჟამად, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის თეატრის ტექნიკურ პერსონალს შორის უნივერსიტეტის 7 სტუდენტი და კურსდამთავრებულია (ორი მოლარე, ორი სცენის მემანქანე, სტუდენტური ღონისძიებების კოორდინატორი და ორი განათების რეჟისორი). მათ გაიარეს სპეციალური ტრენინგები და დამოუკიდებლად მუშაობენ. გარდა ამისა, თეატრმა 2017 წელს დეკემბერში აიყვანა 6 სტაჟიორი, რომლებიც ბაკალავრიატის სხვადასხვა პროგრამებზე სწავლობენ.

ილიაუნის თეატრის სპექტაკლებში ყოველთვის დაკავებულნი არიან ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის თეატრალური ხელოვნების პროგრამის სტუდენტები და კურსდამთავრებულები

## დაცვისა და უსაფრთხოების სამსახური

ივნისის თვეში

ილიაუნის დაბადების დღე ლისის ტბის ტერიტორიაზე სადაც უნუვესიტეტის დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურის ტანამშრომლები ორი დრის განმავლობაში (24 საათი) იცავდნენ უნივერსიტეტის ინვენტარს და ღონიცძიების მიმდინარეობისას სტუდენტებისა და სტუმრების უსაფრთხოებას.
ივნისის თვეში ასევე ლისის ტბის ტერიტორიაზე ჩატარდა ილიაუნი TBILISI OPEN AIR და უსაფრთხოების თანამშრომლებმა აქტიური მონაწილება მიიღეს სამი დღის განმავლობაში.

**ივლისის თვეში**

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგისტრანტებისა და ზაკალავრების გამოსაშვები საღამო ვაკის პარკსი. სადაც უნივერსიტეტის დაცვისა და უსაფრთხოების სამსახური აქტიურად მონაწილებდა და უზრუნველყოფდა ღონისძიებაზე წესრიგის და სტუდენტების უსაფრთხოებას.

**სექტემბრის თვეში**

სამეცნიერო პიკნიკი, ვაკის პარკიში სადაც დაცვისა და უსაფრთხოების თანამშრომლები ორი დღე ღამის განმავლობაში იცავდენენ უნივერსიტეტის ინვერტარს და ღონისძიების განმავლობაში თანამშრომელთა და სტუდენტთა უსაფრთოებას.

უნივერშიტეტის მიერ ჩატარებულ ყველა ღონისძიებაში უნივერსიტეტის ტერიტორიაზე დაცვისა და უსაფრთხოების სამსახური აქტიურად მონაწილებდა და უზრუნველყოფდა ღონისძიებაზე წესრიგის და სტუდენტების უსაფრთხოებას და ადგილზე აღმოფხვრავდა პატარ-პატარა ექსცესებს.

ასევე უნივერსიტეტის ტერიტორიაზე იყო ხშირი შემთხვევების სტუდენტების შეუძლოდ გახდომისა და გულისწასვლის ფაქტები, სადაც დაცვის თანამშრომლებმა დროულად მოახდინეს შესაბამისი ზომების მიღება, პირველადი დახმარების გატარება და სასწრაფო სამსახურის ოპერატიულად გამოძახება. ასევე დაცვის თანამშრომლების მიერ მრავალჯერ იყო მობილური ტელეფონების პოვნის და დაბრუნების ფაქტები. ასევე მომხდა ქურდობის ფაქტიც სადაც უსაფრთხოების სამსახურმა სამეთვალყურეო კამერების ჩანაწერების მეშვეობით მოახდინა პიროვნებების იდენთიფიკაცია და დახმარება გაუწია საპატრულო პოლიციას პიროვნებების დადგენაში.

დიდუბის საგამოფენო ტერიტორიაზე ჩატარებულ წიგნების გამოფენა გაყიდვის ღონისძიებაზე სადაც ჩვენი უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა იღებდა მონაწილეობას, დაცვის თანამშრომლები აქტიურედ მონაწილეობდნენ ინვენტარისა და თანამშრომლების უსაფრთხოებაზე.

# კანცელარია

2017 წლის მანძილზე ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის კანცელარიის თანამშრომლების მიერ შესრულდა სხვადასხვა ტიპისა და მოცულობის სამუშაოები. აღნიშნული სამუშაოების სწორად და სრულყოფილად შესრულება უზრუნველყოფს უნივერსიტეტში მიმდინარე სასწავლო და ადმინისტრაციული პროცესების შეუფერხებელ მსვლელობას.

წლის განმავლობაში უნივერსიტეტის კანცელარიის მიერ ხორციელდებოდა შემოსული კორესპონდენციის რეგისტრაცია, რაც მოიცავს შემდეგ სამუშაოებს: განცხადებებისთვის აუცილებელი დანართი დოკუმენტაციის ასლების გაკეთებას, დასკანერებას, რეგისტრაციას და სწორ ადრესატთან/ადრესატებთან გაგზავნას, რეგისტრაციის კონტროლს (შემოწმებას).

საერთო ჯამში, კანცელარიაში 2017 წლის განმავლობაში დარეგისტრირებულია

- შემოსული კორესპონდენცია - 14074 (სააპელაციო განცხადებები - 366)
  Interflow – 1170

- გასული კორესპონდენცია - 4733
  Interflow – 1576

- შიდა კორესპონდენცია - 20850

- სამართლებრივი აქტი (საკადრო - 3477, სტუდენტური - 3341) – 6818

კანცელარიის თანამშრომლების მიერ რეგულარულად ხდება ზეპირი და სატელეფონო მომსახურება და კონსულტაციის გაწევა. კანცელარიის კუთვნილ ცხელი ხაზის ნომერზე (ოპერატორი 222 00 09) წლის განმავლობაში შემოსულია 45183 სატელეფონო ზარი.

უნივერსიტეტის კანცელარიაში წარმოებს შემოსული საფოსტო (საერთაშორისო და შიდა) გზავნილების მიღება-ჩაბარება, ელ. ფოსტის posta@iliauni.edu.ge-ის საშუალებით შეტყობინებების გაგზავნა ადრესატებთან და გზავნილების გადაცემა, საფოსტო რეესტრისა და მიღება-ჩაბარებების აღრიცხვა და კონტროლი. უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულების წარმომადგენელთა მოთხოვნების შესაბამისად, საქართველოს ფოსტისა და საერთაშორისო ექსპრეს ფოსტის /ARAMEX/ საშუალებით სულ განხორციელებულია (2017 წლის 1 დეკემბრის მდგომარეობით)

- 575 გზავნილი -საქართველოს ფარგლებს შიგნით (ჯამური ღირ.- 1478 ლარი)
- 102 გზავნილი -საქართველოს ფარგლებს გარეთ (ჯამური ღირ.- 9036 ლარი)

კანცელარიის თანამშრომლები ადმინისტრირებას უწევენ დოკუმენტბრუნვის პროგრამა eDoc-ს, ახდენენ არსებული 294 მომხმარებლის ყოველდღიური მომსახურებით უზრუნველყოფას (შვებულება/მივლინების მონიშვნა, ფუნქციების ჩართვა, ფაქსიმილეს დამატება/შეცვლა, პაროლის შეცვლა/განახლება და სხვ).

კანცელარიის თანამშრომლები ასევე მართავენ უნივერსიტეტის ცენტრალურ ელ-ფოსტას /info@iliauni.edu.ge/; აღნიშნულ ელ-ფოსტაზე მიღებული, დამუშავებული და შესაბამის ადრესატთან გაგზავნილია ან საქმისწარმოების ელექტრონულ პროგრამაში დარეგისტრირებულია 15812 შეტყობინება.

კანცელარიაში ფაკულტეტების/სკოლების დეკანების სახელზე დაწერილი განცხადებების გაგზავნა ხდება შესაბამისი ფაკულტეტების/სკოლების მეილებზე. 2017 წლის განმავლობაში ასეთი ტიპის განცხადებების რაოდენობა იყო 4410.

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის მოთხოვნით, კანცელარიაში სპეციალურ ბლანკზე მზადდება წერილები (სარეკომენდაციო, მოწვევის, მხარდაჭერის და სხვ.) მათივე ხელმოწერით. აღნიშნული წერილების რაოდენობაა 634.

2017 წლის მანძილზე უნივერსიტეტის მიერ სხვადასხვა ორგანიზაციებთან ხელმოწერილი მემორანდუმები/ხელშეკრულებები მოწმდება და იტვირთება ელექტრონულ პროგრამაში Document Storage 1.3. სულ ატვირთულია 116 მემორანდუმი/ხელშეკრულება.

აღნიშნულ ელექტრონულ პროგრამაში (Document Storage 1.3) ასევე წლის განმავლობაში ატვირთულია 1536 სტუდენტური და 6095 საკადრო ტიპის ბრძანება.

უნივერსიტეტის ფაკულტეტებისგან/სკოლებისგან გადმობარებული, ელექტრონულად აღრიცხული და არქივისთვის მიღება-ჩაბარებით გადაცემულია 3742 პირადი საქმე.

2017 წლის განმავლობაში კანცელარიაში რედაქტირებისა და კორექტირებისათვის შემოსული და შესწორებულია სხვადასხვა სახის დოკუმენტი (წერილები, ოქმები, ვებ. გვერდზე დასადები მასალა). რედაქტირებული დოკუმენტების რაოდენობა იყო 258.

რექტორის მიერ გამოცემული ბრძანებების შესაბამისად, წარმოებაში მიღებულია აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად წარმოდგენილი 94 საკონკურსო განაცხადი.

2017 წლის განმავლობაში უნივერსიტეტის კანცელარიის თანამშრომლები ასევე ასრულებდნენ შემდეგი სახის სამუშაოებს:

- წლის განმავლობაში უზრუნველყოფდნენ შიდასაუნივერსიტეტო მატერიალური სახით შემოსული დოკუმენტაციის (პროგრამა eDoc-ში ფორმატის ან მოცულობის გამო არმოხვედრილი დანართები) აღრიცხვას, განაწილებასა და შესაბამის ადრესატთან მიწოდებას;

- რეგულარულად ამოწმებდნენ საკადრო ხელშეკრულებებსა და საგრანტო პროექტებს/ანგარიშებს ფაქსიმილეთი და ბეჭდით;

- ასრულებდნენ პირადად მათზე პროგრამულად გადაწერილ დავალებებს (რეზოლუციების შეტყობინებების საშუალებით გაგზავნა მეილზე, წერილის მომზადება და სხვ.);

- კანცელარიაში დარეგისტრირებული დოკუმენტაციას ანაწილებდნენ შესაბამის საქაღალდეებში და ახდენდნენ აღნიშნული საქაღალდეების აღრიცხვა- გაფორმებასა და არქივისთვის გადასაცემად გამზადებას;

- აწარმოებდნენ საარქივო დოკუმენტაციის ექსპერტიზასა და თემატურად დახარისხებას.

- ახორციელებდნენ საკურიერო მომსახურებას (წერილების ადრესატებთან წაღება და ფოსტიდან გზავნილების ამოტანა).

## არქივი

- არქივში, eDok-ის მონაცემებით შემოსულია და შესრულებულია - 1040 დავალება. მეილზე გაგზავნილი დავალებების რაოდენობა - 85.
- ფაკულტეტებიდან და სხვადასხვა დეპარტამენტიდან გამოთხოვილი საარქივო, დასკანერებული დოკუმენტაციის მიწოდება.
- ფაკულტეტებიდან და ადამიანური რესურსების მართვის სამსახურიდან სტუდენტთა და თანამშრომელთა პირადი საქმეების, საბჭოს სხდომის მასალების და სხვა საარქივო დოკუმენტაციის გადმობარება და საცავებში განლაგება.
- ეროვნული არქივის ჯგუფის მიერ საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიის და მის სტრუქტურაში შემავალი

ინსტიტუტების (ზუგდიდის ფილიალის, თბილისის მართვის ინსტიტუტის, თბილისის დამოუკიდებელი უცხო ენების ინსტიტუტის) და დავით გურამიშვილის სახელობის სახელმწიფო უმაღლესი პედაგოგიური სასწავლებლის (კოლეჯი) დოკუმენტაციის დამუშავების პროცესის მონიტორინგი.

- 2006 წლიდან ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის არქივში არსებული დოკუმენტაციისექსპერტიზა „დაწესებულებების საქმიანობის პროცესში შექმნილი ტიპობრივი მმართველობითი დოკუმენტების ნუსხის“ მიხედვით, რის საფუძველზეც, შესაბამისი მუხლის მინიჭებით, დოკუმენტაცია ხარისხდება შენახვის ვადების მიხედვით.

## დიპლომების განყოფილება

- “E - Doc”-ით განყოფილებაში საანგარიშო წლის მანძილზე შემოსულია

180 სამსახურებრივი ბარათი;

- წლის მანძილზე, ორჯერ, გაზაფხულსა და შემოდგომაზე, შემოწმებული იქნა ფაკულტეტებიდან წარმოდგენილი კურსდამთავრებულთა დოკუმენტაცია (ოქმები, პირადობის მოწმობები და პირადი ნომრები და ა.შ.), ბრძანების პროექტების საინფორმაციო ფორმები რის შემდეგაც, დაშვებული ბრძანების თანახმად, ქორელის პროგრამაში დამუშავდა და დაიბეჭდა 4 110 დიპლომი : უმაღლესი განათლების - 62ც; მაგისტრის

- 1 029 ც.; დოქტორის - 13 ც.; დიპლომირებული სპეციალისტის - 7ც; პროფესიული განათლების - 69ც; ბაკალავრის - 2 928 ც. ყველა აღნიშნული დიპლომი დასკანერდა და გადაეცა შესაბამის ფაკულტეტს;

- განყოფილებიდან გაიცა 2 610 ც. დიპლომი.

- დიპლომები, სრული ინფორმაციითა კურსდამთავრებულთა პირადობის მოწმობის პირადი ნომრების მითითებით დარეგისტრირდა ელექტრონულ ბაზაში და დიპლომების გაცემის სარეგისტრაციო ჟურნალში, მიენიჭა სარეგისტრაციო ნომრები, თარიღი და დადასტურდა რექტორის, დეკანის ხელმოწერებითა და უნივერსიტეტის ბეჭდით;

- ინდივიდუალური ან განმეორებითი დიპლომების, აგრეთვე, დუბლიკატის გაცემის შემთხვევაში, სარეგისტრაციო ჟურნალსა და ელექტრონულ ბაზაში აღინიშნა კონკრეტული დიპლომის (დუბლიკატის) გამოცვლის მიზეზი. ცვლილებები იქნა შეტანილი სხვა უმაღლესი დაწესებულებების შესატყვისი წლების დიპლომების სარეგისტრაციო წიგნებსა და ზოგიერთ ელექტრონულ ბაზაში;

- დიპლომის დუბლიკატის გაცემის შემთხვევაში მოთხოვნილი ქვითრები დარეგისტრირდა და საჭირო ინფორმაციის მითითებით ინახება, ისევე როგორც მინდობილობები;
- ყველა დიპლომი გაიცა დამტკიცებული ფორმის ე. წ. „შემოვლის ბარათის" საფუძველზე. ეს ბარათები (2 610 ც.) დარეგისტრირდა და, პერიოდულობით, სათანადო სიებითა და მიღება - ჩაბარების ოქმებით გადაეცა სწავლის საფასურის აღრიცხვა - ანგარიშის დეპარტამენტს.

- 2017 წელს ორჯერ იქნა შემოტანილი დიპლომები - სულ: 3230 ც. მკაცრი აღრიცხვის ფორმა, რაც სათანადო დოკუმენტაციითა და მიღება - ჩაბარების აქტებით გაფორმდა.
- უტილიზაცია 2017 წელს არ განხორციელებულა, რადგან გამოცვლილი თუ ტექნიკური წუნის მქონე დიპლომების მცირე რაოდენობა ამის საჭიროებას

## 2017 წლის ბიუჯეტის შესრულების
## ა ნ გ ა რ ი შ ი

---

*„საქართველოს 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონით გამოყოფილი ასიგნებები, საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული ეკონომიკური საქმიანობიდან და სხვა მიღებული სახსრები, გრანტები და მიზნობრივი დაფინანსებები*

თბილისი
2017 წელი

"უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად წარმოგიდგენთ უნივერსიტეტის 2017 წლის დამტკიცებული ბიუჯეტის შესრულების ანგარიშს, ბიუჯეტში განხორციელებული ცვლილებებისა და შესრულებული სამუშაოების გათვალისწინებით.

მოგეხსენებათ, რომ უნივერსიტეტის ფინანსირების ძირითად წყაროს წარმოადგენს აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის საფასურიდან მისაღები შემოსავლები, აგრეთვე უნივერსიტეტში არსებული ცენტრებისა და სასერთიფიკატო პროგრამებიდან მისაღები შემოსავლები და კანონმდებლობით ნებადართული სხვა დამატებითი ეკონომიკური საქმიანობიდან მისაღები შემოსავლები. უნივერსიტეტის კანონმდებლობით ნებადართული დამატებითი ეკონომიკური საქმიანობიდან მისაღები შემოსავლები კი თავის მხრივ შედგება მომსახურების ხელშეკრულებების საფუძველზე ფაქტიურად შემოსასვლელი თანხების, ასევე 2017 წლის განმავლობაში მისაღები კვლევითი ბაზების, სასადილოების, გამომცემლობის, წიგნის მაღზიისა და სხვა შემოსავლებისაგან.

უნივერსიტეტის ფინანსირების ერთ-ერთ ძირითად წყაროს წარმოადგენს ასევე **სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული ასიგნებები.** თქვენთვის ცნობილია, რომ სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული ასიგნებების ფარგლებში ფინანსდება საქართველოს მთავრობის მიერ 2007-2010 წლებში მიღებული დადგენილებების თანახმად ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტისათვის რეორგანიზაციის გზით შემოერთებული საბიუჯეტო დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციები. 2014 წლის დასაწყისში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში გაიგზავნა ზემოხსენებული კვლევითი ინსტიტუტების მიერ განსახორციელებელი მრავალწლიანი სამეცნიერო-კვლევითი პროექტები, რომლებიც განხილულ იქნა სსიპ საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მიერ და მათივე მომზადებული დასკვნის საფუძველზე, განისაზღვრა 2017 წლის დაფინანსების ოდენობა. აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტს შორის 2017 წლის 1 თებერვალს გაფორმდა N-09-1/62/15 ხელშკრულება, რომლის თანახმადაც, "საქართველოს 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 1 თებერვლის „სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობის პროგრამის დამტკიცების შესახებ" N134 ბრძანების ფარგლებში გათვალისწინებული ასიგნებებით დაფინანსდა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის კვლევითი ინსტიტუტების მიერ 2014 წლის დასაწყისში წარდგენილი მრავალწლიანი სამეცნიერო-კვლევითი პროექტების 2017 წელს განსახორციელებელი აქტივობები. ზემოხსენებულის გათვალისწინებით, სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტისათვის განსაზღვრული **საბიუჯეტო ასიგნებების ჯამური ოდენობა 2017 წლისათვის შეადგენდა 3 741 800 (სამი მილიონ შვიდას ორმოცდაერთი ათას რვაასი) ლარს.** აქვე გაცნობებთ, რომ ინსტიტუტის დირექტორების მიმართვის საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში ეტაპობრივად იგზავნება წერილები სახელმწიფო ასიგნებების ფარგლებში განსახორციელებელი სხვადასხვა

მიმდინარე ცვლილებების და დამატებითი დაფინანსების მოთხოვნის შესახებ. სამინისტროს თანხმობის საფუძველზე კი შესაბამისი კორექტირებები აისახებოდა სუბსიდიის დამტკიცებულ ხარჯთაღრიცხვებში. გარდა ჩვენ მიერ მოთხოვნილი ცვლილებებისა, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ რამდენჯერმე განხორციელელდა სუბსიდიის დამტკიცებული ხარჯთაღრიცხვის კორექტირება და გაიზარდა კვლევითი ინსტიტუტებითვის განსაზღვრული დაფინანსების მოცულობა არაფინანსური აქტივების ნაწილში. შესაბამისად, სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების დაფინანსების გაზრდის მიზნით, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტსა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შორის, 2017 წლის 25 მაისს გაფორმდა 09-1/62/154 ხელშეკრულება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 19 მაისის N470 ბრძანების საფუძველზე, ხოლო, 2017 წლის 25 აგვისტოს გაფორმდა 09-1/62/448 ხელშეკრულება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 23 აგვისტოს N743 ბრძანების საფუძველზე. ზემოხსენებული ცვლილებები აისახა ბიუჯეტის პროექტში და უნივერსიტეტისათვის გამოყოფილი საბიუჯეტო ასიგნებების ჯამურმა ოდენობამ **2017 წლისათვის შეადგინა 4157550 (ოთხი მილიონ ას ორმოცდაჩვიდმეტი ათას ხუთას ორმოცდაათი) ლარი.** გარდა ზემოხსენებულისა, სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული ასიგნებების ცვლილება გამოწვეული იყო დაფინანსების ფარგლებში დაგეგმილი შესყიდვების განსახორციელებლად გამოცხადებული ტენდერების შედეგად მიღებული ეკონომიებით. გაცნობებთ, რომ „საქართველოს 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონის 23-ე მუხლის გათვალისწინებით, ტენდერის შედეგად დარჩენილი ეკონომია რჩება სახელმწიფო ბიუჯეტის განკარგვაში. აღნიშნულიდან გამომდინარე, ხაზინის ერთიან ელექტრონულ სისტემაში განხორციელდა საბოლოო ცვლილება „სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობის პროგრამის" დამტკიცებულ ხარჯთაღრიცხვაში და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საბიუჯეტო ასიგნება 2017 წლისთვის შემცირდა I, II და III კვარტალში წარმოქმნილი ტენდერის ეკონომიების ხარჯზე და **დაფინანსების საბოლოო მოცულობა განისაზღვრა 4 149 313 (ოთხი მილიონ ას ორმოცდაცხრა ათას სამას ცამეტი) ლარის ოდენობით.**

აქვე გაცნობებთ, რომ №09-1/62/15 ხელშეკრულების 5.3 და 5.4 პუნქტების შესაბამისად, სსიპ საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიასა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს უკვე წარედგინება საბიუჯეტო ასიგნებებით ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის კვლევითი ინსტიტუტების მიერ 2017 წელს განხორციელებული სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების ანგარიში, ზემოხსენებული ხელშეკრულების დანართში გაწერილი კვლევითი ინსტიტუტების მიხედვით.

ყოველივე ზემოხსენებულის გათვალისწინებით "2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 1 თებერვლის N134 ბრძანებით დამტკიცებული პროგრამის „სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობა" ფარგლებში სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტისათვის

განსაზღვრული **საბიუჯეტო ასიგნებების ჯამურმა ოდენობამ 2017 წლისათვის შეადგინა 4 157 550 (ოთხი მილიონ ას ორმოცდაჩვიდმეტი ათას ხუთას ორმოცდაათი) ლარი, საიდანაც ათვისებული იქნა 4 118 711,37 (ოთხი მილიონ ას თვრამეტი ათას შვიდას თერთმეტი ლარი და 37 თეთრი) ლარი და ნაშთის სახით დარჩა 30 601,63 (ოცდაათი ათას ექვსას ერთი ლარი და 63 თეთრი) ლარი. აუთვისებელი თანხიდან 22 378,00 (ოცდაორი ათას სამას სამოცდათვრამეტი) ლარი არის IV კვარტალში განხორციელებული ტენდერის შედეგად წარმოქმნილი ეკონომია,** რომლის გამოყენების უფლებაც, როგორც ზემოთ მოგახსენეთ უნივერსიტეტს არ ჰქონდა, რადგან რჩება სახელმწიფო ბიუჯეტის განკარგვაში. ***(იხილეთ დანართი 2 [1])***

**პროგრამის „სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობა"** ფარგლებში განსაზღვრული წლიური საბიუჯეტო ასიგნებების გარდა "საქართველოს 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ უნივერსიტეტს გამოეყო სხვა პროგრამული დაფინანსებაც, რომლებიც აისახა 2017 წლის ბიუჯეტში, კერძოდ:

**"სახელმწიფო სტიპენდიები სტუდენტებს"** პროგრამის ფარგლებში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროდან მიღებული დაფინანსების ოდენობამ 2017 წლის განმავლობაში შეადგინა **776 850 (შვიდას სამოცდათექვსმეტი ათას რვაას ორმოცდაათი) ლარი.**

მოგეხსენებათ, რომ 2007 წლის დეკემბრიდან "განსაკუთრებით ნიჭიერი ბავშვებისა და ახალგაზრდებისათვის გრანტებისა და სტიპენდიების მინიჭების პროგრამის" ფარგლებში ხორციელდება წარჩინებული სტუდენტების სახელმწიფო სტიპენდიით დაფინანსება. სტიპენდიით დასაფინანსებელი სტუდენტების შერჩევა ხორციელდება სასწავლო წლის განმავლობაში ორჯერ, სემესტრული შედეგების მიხედვით, უნივერსიტეტის შიდა სამართლებრივი აქტის საფუძველზე დამტკიცებული კრიტერიუმების შესაბამისად. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 13 იანვრის №81 ბრძანებით დამტკიცებული პროგრამის - "სახელმწიფო სტიპენდიები სტუდენტებს" თანახმად 2017 წელს ბაკალავრიატის სტუდენტები სტიპენდიებით უზრუნველყოფილი იყვნენ იანვრის, თებერვლის, მარტის, აპრილის, მაისის, ივნისის, ივლისის, ოქტომბრის, ნოემბრის და დეკემბრის თვეებში. დასაფინანსებელ სტუდენტთა რაოდენობის და შესაბამისად დაფინანსების ოდენობის დადგენა ხორციელდებოდა ყოველი სემესტრის დასაწყისში გასული სემესტრის შედეგების საფუძველზე, სტუდენტთა საერთო რაოდენობის შესაბამისად. ამავე ბრძანების თანახმად, იანვრისა და თებერვლის თვეებში დაფინანსება გამოიყო 2016-2017 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში ბაკალავრიატის სტუდენტთა საერთო რაოდენობის 4%-ის, კერძოდ 527 სტუდენტისათვის, რაც ჯამში შეადგენდა 158 100 (ას ორმოცდათვრამეტი ათას ასი) ლარს. მარტის, აპრილის, მაისის, ივნისის და ივლისის თვეებში დაფინანსების მოცულობა განისაზღვრა საქართველოს განათლებისა და

მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 27 აპრილის №375 ბრძანების თანახმად და სტიპენდიით უზრუნველყოფილი იქნა 2016-2017 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში ბაკალავრიატის სტუდენტთა საერთო რაოდენობის 4%, სულ 498 სტუდენტი, რამაც ჯამში შეადგინა 373 500 (სამას სამოცდაცამეტი ათას ხუთასი) ლარს. ხოლო, ოქტომბრის, ნოემბრისა და დეკემბრის თვეების სტიპენდიით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 29 ნოემბრის №1039 ბრძანების საფუძველზე უზრუნველყოფილი იქნა 2017-2018 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში ბაკალავრიატის სტუდენტთა საერთო რაოდენობის 4%, სულ 545 სტუდენტი, რამაც ჯამში შეადგინა 245 250 (ორას ორმოცდახუთი ათას ორას ორმოცდაათი) ლარი. **აღნიშნულიდან გამომდინარე, 2017 წლის ბიუჯეტში სახელმწიფო სტიპენდიით ჯამში დაფინანსდა 1570 სტუდენტი და სტიპენდიის ოდენობამ ჯამში შეადგინა 776 850 (შვიდას სამოცდათექვსმეტი ათას რვაას ორმოცდაათი) ლარი.**

გარდა ზემოხსენებულისა, მოგეხსენებათ, რომ პროგრამული დაფინანსების ფარგლებში უნივერსიტეტს მიღებული აქვს დაფინანსება **სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოსა და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტს შორის, უნივერსიტეტის კორპუსების რეაბილიტაციის მიზნით გაფორმებული ხელშეკრულებების შესაბამისად.**

მოგეხსენებათ, რომ 2015 წელს სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს დაფინანსებით დაიწყო ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის კორპუსების რეაბილიტაცია ამ მიზნით გაფორმებული 01/162-36 (10.08.2015წ.) და 01/162-145 (17.12.2015წ.) ხელშეკრულებების ფარგლებში. №01/162-36 ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოები დასრულდა 2016 წლის ბოლოს. თუმცა, ბოლო ტრანშის ჩარიცხვა შესრულებული სამუშაოს ასანაზღაურებლად, 26 979,12 (ოცდაექვსი ათას ცხრაას სამოცდაცხრამეტი) ლარის ოდენობით განხორციელდა 2017 წლის დასაწყისში. რაც შეეხება ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტსა და სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს შორის გაფორმებულ №01/162-145 ხელშეკრულებას, რომლის ფარგლებშიც უნდა განხორციელებულიყო დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა ინსტიტუტის და სეისმური მონიტორინგის ეროვნული ცენტრის გვირაბის სარეაბილიტაციო სამუშაოები და რისთვისაც დაფინანსების მიზნით გამოიყო ჯამში 670 148,12 (ექვსას სამოცდაათი ათას ას ორმოცდარვა ლარი და 12 თეთრი) ლარი, მოგახსენებთ, რომ გასულ წელს აღნიშნული ხელშეკრულების ფარგლებში უნივერსიტეტის ანგარიშზე ჩაირიცხა სახელშეკრულებო თანხის 80% (536 119,00 ლარი), რაც ნაშთის სახით გადმოვიდა 2017 წელს, ხოლო დარჩენილი 20%-ის დაფინანსების გამოყოფა უნდა მომხდარიყო ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოების მიხედვით. გაცნობებთ, რომ 2017 წელს დაიწყო და წარმატებით მიმდინარეობს №01/162-145 ხელშეკრულების ფარგლებში გათვალისწინებული სამუშაოების შესრულება და, შესაბამისად, ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოსგან მოვითხოვეთ ხელშკრულების ფარგლებში დარჩენილი 20%-ის დაფინანსების გამოყოფა რაც შეადგენს 134 030 (ას ოცდათოთხმეტი ათას ოცდაათი) ლარს და

შესაბამისი თანხა აისახა 2017 წლის ბიუჯეტის პროექტში. თუმცა, იმის გათვალისწინებით, რომ ხელშეკრულებით აღებული ვალდებულება გადმოვიდა 2018 წელს, სააგენტომ სრული თანხის ჩარიცხვა არ განახორციელა. გარდა ზემოხსენებულისა, 2017 წლის ბიუჯეტში გათვალისწინებული იყო თანხები სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოსა და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტს შორის უნივერსიტეტის დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა ინსტიტუტის სეისმური სადგურის სარეაბილიტაციო სამუშაოების დაფინანსების მიზნით გაფორმებული ხელშეკრულებების საფუძველზე. კერძოდ: N32070203-03 ხელშეკრულებით სეისმური მონაცემების ცენტრის ოთახის სარემონტო სამუშაოების შესასრულებლად - ღირებულებით 56 806,92 (ორმოცდათექვსმეტი ათას რვაას ექვსი ლარი და 92 თეთრი) ლარი და N32070203-04 ხელშეკრულებით სეისმური მონიტორინგის ცენტრისთვის სეისმური და გეოდეზიური ქსელის განახლებისთვის საჭირო აპარატურის შესაძენად - 222 256,60 (ორას ოცდაორი ათას ორას ორმოცდათექვსმეტი ლარი და 60 თეთრი) ლარი, რომელთა ხარჯვაც ასევე განხორციელდა შესრულებული სამუშაოების მიხედვით.

**შესაბამისად, ბიუჯეტის მიხედვით ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ 2017 წელს გამოყოფილი დაფინანსების გეგმამ 2017 წლის ბიუჯეტში შეადგინა 976 193,00 (ცხრაას სამოცდათექვსმეტი ათას ას ოთხმოცდაცამეტი) ლარი.**

აქვე გაცნობებთ, რომ უნივერსიტეტმა 2017 წელს აღნიშნული ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ნაწილი განახორციელა წარმატებით და ანაზღაურება მოხდა ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოების მიხედვით. ხოლო, ხელშეკრულებით აღებული ვალდებულებების ნაწილი გრძელდება 2018 წელს. შესაბამისად, უნივერსიტეტის ანგარიშზე ზემოხსენებული დაფინანსების ფარგლებში სახელშეკრულებო თანხები ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ ჩაირიცხა ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოების მიხედვით, ხოლო იმ პროექტის ფარგლებში დარჩენილი დაფინანსების გამოყოფა, რომელიც 2018 წელს გრძელდება, მოხდება მიმდინარე წელს, ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოების მიხედვით და აისახება 2018 წლის ბიუჯეტში.

**ყოველივე ზემოხსენებულის გათვალისწინებით, 2017 წელს სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამის ფარგლებში შესრულებული სამუშაოს მიხედვით ჩარიცხული და დახარჯული თანხის ოდენობამ ჯამში შეადგინა 563098,12 (ხუთას სამცდასამი ათას ოთხმოცდათვრამეტი ლარი და 12 თეთრი) ლარი.**

**ასევე, 2017 წელს პროგრამული დაფინანსების ფარგლებში განხორციელდა** განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 27 იანვრის N119 ბრძანებით დამტკიცებული "პროფესიული განათლების განვითარების ხელშეწყობის პროგრამის" **"სკოლის მოსწავლეებში შრომის უნარების განვითარების ქვეპროგრამა"**. პროგრამის მიზანი იყო

მოზარდებისთვის დარგის შესახებ ინფორმაციის მიწოდება და საბაზო პროფესიული უნარების განვითარება. სამი თვის მანძილზე მოსწავლეები სწავლობდნენ სატელევიზიო საინფორმაციო სიუჟეტების მომზადებას, რაც გულისხმობდა პროცესს თემის მოძიებიდან საბოლოო ტელეპროდუქტამდე (სიუჟეტის თემის მოფიქრება, შერჩევა, მისი დამუშავება, გადაღება და მონტაჟი). აღნიშნული პროგრამის ფარგლებში ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე არსებულმა სატელევიზიო სასწავლო ცენტრმა მიიღო დაფინანსება 44 538,0 (ორმოცდაოთხი ათას ხუთას ოცდათვრამეტი) ლარის ოდენობით, საიდანაც ათვისებული იქნა 27 299,88 (ოცდაშვიდი ათას ორას ოთხმოცდაცხრამეტი ლარი და 88 თეთრი) ლარი, ხოლო ნაშთის სახით, აუთვისებელი თანხა დაუბრუნდა სახელმწიფო ბიუჯეტს.

პროგრამული დაფინანსების ფარგლებში მიღებული დაფინანსების ანალიზი იხილეთ **დანართი 2 ² -ში.**

მოგეხსენებათ, რომ 2017 წლისათვის უნივერსიტეტის **ეკონომიკური საქმიანობიდან მისაღები შემოსავლები** შედგებოდა 2016-2017 და 2017-2018 სასწავლო წელს უმაღლეს საგანმანათლებლო და პროფესიულ პროგრამებზე სტუდენტთა სწავლის საფასურიდან 2017 წელს მისაღები შემოსავლების (მ.შ. სახელმწიფო სასწავლო გრანტი), აგრეთვე უნივერსიტეტის შემადგენლობაში არსებული ცენტრებისა და სასერთიფიკატო პროგრამებიდან მისაღები შემოსავლებისა და კანონმდებლობით ნებადართული სხვა დამატებითი ეკონომიკური საქმიანობიდან მისაღები შემოსავლებისაგან. 2017 წლის დამტკიცებული ბიუჯეტის პროექტის შემოსავლების ნაწილში ასახული სწავლის საფასურიდან შემოსასვლელი თანხა დაანგარიშებული იყო წლის დასაწყისში უნივერსიტეტის სტუდენტების რაოდენობისა და 2017-2018 სასწავლო წელს მისაღები კონტიგენტის გათვალისწინებით. მოგეხსენებათ, რომ ეს მაჩვენებელი არ არის სტაბილური და ეტაპობრივად ხდება ფინანსური დავალიანების მქონე სტუდენტების სტატუსის შეჩერება, რაც იწვევს მოსალოდნელი შემოსავლების ცვლილებას. მისაღები შემოსავლების კორექტირება ასევე შეიძლება გამოიწვიოს წლის განმავლობაში ამორიცხული, აკადემიურ შვებულებაში გასული და მობილობით გადმოსული თუ გადასული სტუდენტების რაოდენობამაც. ასევე, გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ სწავლის საფასურის ამოღების მაჩვენებელი არასტაბილურია. ხსენებულის გათვალისწინებით, 2017 წლის ბიუჯეტის შემოსავლები სტუდენტების მიერ გადასახდელი სწავლის საფასურის ნაწილში, ისევე როგორც გასულ წლებში, დაიგეგმა სწავლის საფასურის მოსალოდნელი დავალიანების გათვალისწინებით. აღნიშნულიდან გამომდინარე, გაზაფხულის სემესტრის ბოლოს განხორციელდა შემოსავლების გადათვლა და უნივერსიტეტის ბიუჯეტში აისახა შესაბამისი კორექტირება სემესტრის დასაწყისში სტუდენტების რეალური რაოდენობების (სტუდენტთა მოძრაობა: მობილობა, აკადემიური შვებულება, სტატუსის შეჩერება/აღდგენა, სტატუსის შეწყვეტა... და 2017-2018 სასწავლო წლის რეალური ჩარიცხვების გათვალისწინებით) და

გადახდილი თანხების შესაბამისად, რამაც გამოიწვია ბიუჯეტის როგორც შემოსავლების, ასევე ხარჯვითი ნაწილის კორექტირება. შემოდგომის სემესტრის დაწყებამდე ბიუჯეტის გადათვლის საფუძველზე მიღებული შედეგის გათვალისწინებით, მოგახსენებთ, რომ სწავლის საფასურიდან მისაღები შემოსავლები გაიზარდა დაგეგმილთან მიმართებაში. დაკორექტირდა 2016-2017 სასწავლო წელს შემოსული თანხა რეალური გადახდების შესაბამისად, ხოლო 2017-2018 სასწავლო წლის წილი თანხა 2017 წელს მიღებული კონტიგენტის მიერ გადასახდელი სწავლის საფასურის ოდენობის შესაბამისად დაზუსტდა.

საბოლოო ჯამში, 2017 წლის ბიუჯეტში სწავლის საფასურიდან მისაღები შემოსავლების გეგმამ (გადაუხდელობის პროცენტული მაჩვენებლის გათვალისწინებით) გადააჭარბა **33,5 მილიონი ლარი.**

როგორც ზემოთ მოგახსენეთ, 2017 წლის ბიუჯეტის შემოსავლების ნაწილში ასახული სწავლის საფასურიდან შემოსასვლელი თანხის დაანგარიშებისას გათვალისწინებული იყო გადასახადის ამოღების გასული წლების სტატისტიკის შესაბამისი პროცენტული მაჩვენებელი, რომელიც არ არის სტაბილური და იწვევს მოსალოდნელი შემოსავლების ცვლილებას. ამასთან, რიგ შემთხვევებში სტუდენტები სწავლის საფასურს იხდიან წინსწრებით. ასევე აღსანიშნავია, რომ 2017-2018 სასწავლო წლის სახელმწიფო გრანტის თანხები 2017 წლის მე-4 კვარტლის ნაცვლად საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ ჩაირიცხა 2018 წლის დასაწყისში. მიუხედავად ზემოხსენებულისა, არ დაკორექტირებულა 2017 წლის ბიუჯეტის საპროგნოზო შემოსავლების ნაწილი და 2017–2018 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის წილი სწავლის საფასურის როგორც დავალიანების, ასევე წინსწრებით შემოსული სახსრების გათვალისწინება მოხდა 2018 წლის ბიუჯეტის შემოსავლების ნაწილის დაგეგმვისას.

ასევე მოგეხსენებათ, რომ უნივერსიტეტის კანონმდებლობით ნებადართული დამატებითი ეკონომიკური საქმიანობიდან მისაღები შემოსავლები შედგება უნივერსიტეტში არსებული ცენტრებიდან მისაღები შემოსავლების, მომსახურების ხელშეკრულებების საფუძველზე ფაქტიურად შემოსასვლელი თანხების და 2017 წლის განმავლობაში მისაღები სხვა (კვლევითი ბაზები, გამომცემლობა, წიგნის მაღაზია და სხვა) შემოსავლებისაგან. როგორც თქვენთვის ცნობილია, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის პროექტი აგებულია უნივერსიტეტის პრიორიტეტებისა და განვითარების გეგმის შესაბამისად. უნივერსიტეტის განვითარებისთვის ძალზედ მნიშვნელოვანია დამატებითი ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლების ზრდა, უნივერსიტეტის სხვადასხვა საერთაშორისო პროექტების განხორციელებისათვის თანხების მოზიდვა და უწყვეტი განათლების პროგრამების დანერგვა. ამ მიზნით, წლის განმავლობაში ამოქმედდა სხვადასხვა ტრენინგ კურსების. ასევე, წლის განმავლობაში უნივერსიტეტი სხვადასხვა ორგანიზაციებთან აფორმებდა ხელშეკრულებებს საინჟინრო, საპროექტო, გეოლოგიური, გეოფიზიკური, სეისმოლოგიური, ზოოლოგიური მომსახურების, ასევე, სასტამბო და

საგამომცემლო და სხვა ტიპის კვლევითი თუ საგანმანათლებლო მომსახურების გაწევის მიზნით. აღნიშნულიდან გამომდინარე, დამატებითი ეკონომიკური საქმიანობიდან მისაღები შემოსავლების კორექტირებაც ხდებოდა ეტაპობრივად, უნივერსიტეტთან გაფორმებული სხვადასხვა მომსახურების ხელშეკრულებების საფუძველზე და ემატებოდა იმ მომსახურებების ღირებულებები, რომლებიც ბიუჯეტში არ იყო ასახული.

უკვე რამდენიმე წელია უნივერსიტეტი წარმატებით ახორციელებს პროექტებს, რომელიც ითვალისწინებს სხვადასხვა თემატიკის საზაფხულო სკოლების შექმნას. ამ პროექტის ფარგლებში, სხვა სკოლებთან ერთად, უკვე რამდენიმე წელია სისტემატურად იმართება გერმანულენოვანი საზაფხულო სკოლა. სკოლა ფასიანია უცხო ქვეყნის მოქალაქეთათვის და მასში მონაწილეობას იღებს გერმანიის აკადემიური გაცვლების სამსახური აღნიშნულ სკოლაში სწავლის მსურველების დაფინანსების მიზნით. 2017 წლის სექტემბრის თვეში, გასული წლის მსგავსად, შედგა ზემოხსენებული საზაფხულო სკოლა, რომლის სახელწოდებაა - "სამხრეთ კავკასია 2017 - კულტურა, საზოგადოება, პოლიტიკა".

გარდა ზემოხსენებულისა, კანონმდებლობით ნებადართული სხვა დამატებითი ეკონომიკური საქმიანობიდან მისაღები შემოსავლების ნაწილში აისახება კვლევითი ბაზების, გამომცემლობის, ბავშვთა განვითარების ინსტიტუტის, წიგნის მაღაზიისა და სხვა მომსახურებებიდან, ასევე საბანკო დეპოზიტიდან შემოსული თანხებიც. ასევე, სსიპ „ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის" წარმომადგენლობითი საბჭოს 2016 წლის 30 მაისის N2 სხდომის ქონების გასხვისებასთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 2016 წლის 16 აგვისტოს N 965379 და 2017 წლის 23 თებერვლის MES 8 17 00171327 თანხმობის წერილების, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს 2016 წლის 19 სექტემბრის N04/6017 თანხმობის წერილის, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2017 წლის 5 მაისის N983-02 ბრძანების და ელექტრონულ აუქციონში გამარჯვების შედეგად, მოგახსენებთ, რომ 2017 წლის 6 ივნისს უნივერსიტეტსა და შპს „სითისაით"-ს შორის გაფორმებდა უძრავი ქონების ვალდებულებით ნასყიდობის ხელშეკრულება N79, რომლის საფუძველზეც, ასევე გაიზარდა უნივერსიტეტის დამატებითი ეკონომიკური საქმიანობიდან მისაღები შემოსავლები.

ყოველივეს გათვალისწინებით, 2017 წლის ბოლოსათვის კანონმდებლობით ნებადართული დამატებითი ეკონომიკური საქმიანობიდან მისაღები შემოსავლების გეგმამ ბიუჯეტის მიხედვით გადააჭარბა **4,4 მილიონ** ლარს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სწავლის საფასურიდან მისაღები შემოსავლების, ასევე კანონმდებლობით ნებადართული დამატებითი ეკონომიკური საქმიანობიდან მისაღები საპროგნოზო (ცენტრები და სასერთიფიკატო პროგრამები, იჯარა, სხვადასხვა მომსახურების ხელშეკრულებები, წიგნის მაღაზია, ბავშვთა განვითარების ინსტიტუტი, გამომცემლობა და სხვა...) შემოსავლების გათვალისწინებით **ეკონომიკური საქმიანობიდან მისაღები**

**შემოსავლების გეგმამ 2017 წლის ბიუჯეტის მიხედვით გადააჭარბა 38,0 მილიონ ლარს, ხოლო რეალურმა შესრულებამ გადააჭარბა 38,4 მილიონ ლარს.**

2017 წლის ბიუჯეტის ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლების **ხარჯვითი ნაწილი,** უნივერსიტეტის ფუნქციონირებისათვისა და შემდგომი განვითარებისათვის აუცილებელი ხარჯების დაფინანსების მიზნით, ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლების მიხედვით ("საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №672, 25.08.2010) განაწილება მოხდა მოქმედი საშტატო განრიგებისა და ხელშეკრულებით მოწვეული თანამშრომლების შრომის ანაზღაურებისათვის საჭირო ხარჯის, კომუნალური ხარჯებისა და საბიუჯეტო გადასახადების, ადმინისტრაციის მიერ დაგეგმილი ღონისძიებებისა და უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულების მოთხოვნების გათვალისწინებით. უნივერსიტეტის ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი ისეა დაგეგმილი, რომ უზრუნველყოფილია სტრატეგიითა და სამოქმედო გეგმებით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელება და ძირითად საგანმანათლებლო ხარჯთან ერთად გათვალისწინებულია უნივერსიტეტის სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულების განვითარებისათვის საჭირო ხარჯიც. ასევე, ითვალისწინებს შესაბამის სახსრებს საგანამანათლებლო და კვლევითი პროგრამების გაღრმავებისა და განვითარებისათვის, უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარება-განახლებისათვის. სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით ბიუჯეტში გათვალისწინებულია სახსრები კველივითი ინსტიტუტების საქმიანობის, სტუდენტების, აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის კონფერენციების მუშაობაში მონაწილეობის, საერთაშორისო ჟურნალებში სტატიის პუბლიკაციისა და სამეცნიერო საქმიანობისთვის საჭირო სხვა აქტივობებისთვის.

მოგეხსენებათ, რომ უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით, 2017 წლისათვის ყოველი კვლევითი ინსტიტუტის, ცენტრისა და ლაბორატორიისათვის განისაზღვრა 2017 წლის დასახარჯი ფონდის მაქსიმალური ოდენობა, რომლის ფარგლებშიც ინსტიტუტებმა, ცენტრებმა და ლაბორატორიებმა წარმოადგინეს კვლევითი პროექტ(ებ)ი, ისინი განიხილა აკადემიურმა საბჭომ და მიიღო გადაწყვეტილება მათი დაფინანსების შესახებ. შესაბამისად, ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლების ფარგლებშიც სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობისათვის გამოყოფილი თანხის ოდენობამ 2017 წლისთვის გადააჭარბა ერთ მილიონ ლარს. თუმცა, კვლევითი ინსტიტუტების მიერ ზემოხსენებული პროექტების განხორციელების მიზნით გაწეული ხარჯის მოცულობამ 2017 წლისთვის შეადგინა დაახლოებით 975,0 ათასი ლარი.

უნივერსიტეტის 2017 წლის ბიუჯეტში ასახული იყო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის, საზოგადოებასთან ურთიერთობის, განვითარების სამსახურისა და სხვა სტრუქტურული ერთეულების განვითარებისათვის საჭირო ხარჯიც. ასევე, ბიუჯეტში გაწერილი იყო თანამშრომელთა ჯანმრთელობისა და უნივერსიტეტის ქონების დაზღვევისათვის საჭირო

თანხები. როგორც მოგახსენეთ, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის პროექტი აგებულია უნივერსიტეტის პრიორიტეტებისა და განვითარების გეგმის შესაბამისად. ბიუჯეტში გათვალისწინებული იყო შესაბამისი სახსრები საგანამანათლებლო და კვლევითი პროგრამების გაღრმავებისა და განვითარებისათვის, უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარება-განახლებისათვის. კვლევითი საქმიანობის გაღრმავების მიზნით კი, საჭიროა ინფრასტრუქტურის შექმნა და ოპტიმალურად გადანაწილება.

მოგეხსენებათ, რომ უნივერსიტეტის შენობების რეაბილიტაციის პროცესი მიმდინარეობს ყოველწლიურად. 2017 წლის განმავლობაში მოწესრიგდა წყალსანირი და კანალიზაციის სისტემები. ზოგიერთ კორპუსში განხორციელდა სახურავის და ფასადების შეკეთება. ასევე, მოწესრიგდა სასწავლო კორპუსების შიდა ინფრასტრუქტურა, უნივერსიტეტის სასწავლო კორპუსებში (აუდიტორიები და დერეფნები) ჩატარდა მიმდინარე სარეაბილიტაციო სამუშაოები, მოეწყო ლაბორატორიები და შესაბამისი აუდიტორიები პროფესორებისათვის და სტუდენტებისათვის კომფორტული სამუშაო გარემოს შესაქმნელად. გარემონტებული შენობები კი აღიჭურვა შესაბამისი ავეჯითა და ტექნიკით.

მოგეხსენებათ, რომ სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტი (SDSU, კალიფორნია, აშშ) ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და საინჟინრო ფაკულტეტზე, საინჟინრო და ტექნოლოგიურ (STEM) დარგებში ახორციელებს საერთაშორისო აკრედიტაციის მქონე საბაკალავრო პროგრამებს. ამ ერთობლივი პროექტის ფარგლებში ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტსა და საქართველოში სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტს (SDSU) შორის არსებული შეთანხმების საფუძველზე, 2017 წლის პირველი კვარტალიდან ილიაუნის ტერიტორიაზე მიმდინარეობს ახალი, ოთხსართულიანი (4000 კვ.მ.-ზე მეტი) კამპუსის მშენებლობა. უახლესი ტექნოლოგიებით აღჭურვილ შენობაში განთავსდება SDSU-საქართველოს საერთაშორისო სტანდარტების სასწავლო აუდიტორიები, სამუშაო ოთახები და ელექტრული ინჟინერიისა და სამშენებლო ინჟინერიის ლაბორატორიები. აღნიშნული შენობის მშენებლობის დაფინანსებისთვის საჭირო თანხები გათვალისწინებული იყო უნივერსიტეტის 2017 წლის ბიუჯეტში. იმის გათვალისწინებით, რომ პროექტი გრძელვადიანია და გრძელდება 2018 წელსაც, ხოლო ხარჯვა მიმდინარეობს შესრულებული სამუშაოების მიხედვით, პროექტით გათვალისწინებული და 2017 წლის ბოლომდე აუთვისებელი რესურსი აისახება 2018 წლის ბიუჯეტში და ხარჯვა გაგრძელდება წლის განმავლობაში.

ზემოხსენებული და სხვა ინფრასტრუქტურული პროექტების გათვალისწინებით, 2017 წლის ბიუჯეტში, ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლების ფარგლებში, დაახლოებით 2,5 მილიონ ლარამდე მიმართულ იქნა უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება - განვითარებასა და პროგრამულ უზრუნველყოფაზე.

როგორც მოგეხსენებათ, ყოველ წელს უნივერსიტეტის ბიუჯეტში გათვალისწინებულია შესაბამისი სახსრები სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისა და სტუდენტური პროექტების დაფინანსების მიზნით, საიდანაც ფინანსდება, როგორც სტუდენტური თვითმმართველობის მიერ განსახორციელებელი ღონისძიებები და პროექტები, ასევე სხვა სტუდენტური კლუბების მიერ წარმოდგენილი საპროექტო განაცხადები. ასევე, 2017 წლის განმავლობაში დაფინანსდა სხვადასხვა სოციალურ-კულტურული ღონისძიებებიც. 2017 წელს უნივერსიტეტის ბიუჯეტიდან, წინა წლების მსგავსად, გამოიყო სახსრები უნივერსიტეტის სტუდენტთა საზღვარგარეთ გამგზავრების ნაწილობრივ დასაფინანსებლად, სხვადასხვა საგანმანათლებლო ღონისძიებებში, მათ შორის კონფერენციებში მონაწილეობის მიღების მიზნით. ასევე, დაფინანსდა სხვა სოციალური პროექტებიც (თანამშრომელთა ჯანმრთელობის გაუარესების გამო სამედიცინო ხარჯების ნაწილობრივი დაფინანსება და ა.შ.).

ასევე, 2017-2018 სასწავლო წელს, მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე აბიტურიენტების მოზიდვის (კონკურენცია სხვა უნივერსიტეტებთან) მიზნით, გაწული წლების მსგავსად, უნივერიტეტის ადმინისტრაციამ გადაწყვიტა სტიპენდიით და სხვა პრიზებით დაეფინანსებინა საბაკალავრო საფეხურზე ჩარიცხული, სასკოლო ოლიმპიადებში გამარჯვებულ და/ან ერთიან ეროვნულ გამოცდების შედეგების მიხედვით უმაღლესი ქულების მქონდე პირები და მათთვის დაწესდა ერთჯერადი 1000 და 600 ლარიანი სტიპენდიები, რისთვისაც უნივერსიტეტის ბიუჯეტიდან გამოიყო შესაბამისი თანხები. ასევე, სტიპენდიები გათვალისწინებული იყო ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტსა და სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტს (აშშ) შორის გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად, გაცვლითი პროგრამის სტუდენტებისთვის.

როგორც თქვენთვის ცნობილია, 2011 წლის 30 დეკემბრის წარმომადგენლობითი საბჭოს №13 სხდომის ოქმის საფუძველზე, უნივერსიტეტში ყოველწლიურად ტარდება ლიტერატურული კონკურსი წლის საუკეთესო ქართული რომანის გამოსავლენად. აღნიშნულ კონკურსში გამარჯვებულისათვის უნივერსიტეტის მიერ დაწესებულია ფულადი პრემია - 10 000 (ათი ათასი) ლარის ოდენობით, რომელიც 2017 წელსაც გაიცა ჟიურის გადაწყვეტილების საფუძველზე.

ასევე მოგეხსენებათ, რომ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის, გიგა ზედანიას, ინიციატივით შეიქმნა პასკალის პრემია, რომელიც ახალგაზრდა მეცნიერთა კვლევით პროცესში ჩართულობის გაზრდას ისახავს მიზნად. პროექტი 2014 წლის მარტში დაამტკიცეს აკადემიურმა და წარმომადგენლობითმა საბჭოებმა. პირობების თანახმად, პასკალის პრემია, 3000 ლარის ოდენობით, გაიცემა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტთან აფილირებულ ახალგაზრდა მეცნიერებზე მნიშვნელოვანი საერთაშორისო პუბლიკაციისთვის (სტატიისთვის). უნივერსიტეტის 2017 წლის ბიუჯეტიდან პასკალის პრემია გაიცა ხუთი გამარჯვებული პუბლიკაციისთვის.

გარდა ზემოხსენებულისა, ჯილდოები და ფულადი პრემიები დაწესდა სხვადასხვა სტუდენტურ პროექტებში გამარჯვებულთათვისაც.

2017 წლის ბიუჯეტის პროექტში ასევე შესული იყო უნივერსიტეტის ფაკულტეტების განვითარებისათვის საჭირო ხარჯები. 2017 წელს ფაკულტეტების ბიუჯეტებიდან დაიფარა ფაკულტეტზე მოწვეული ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალისა და საათობრივი ანაზღაურების წესით მოწვეული თანამშრომლების, ასევე ფაკულტეტებთან აფილირებული ცენტრების თანამშრომელთა სახელფასო ხარჯი, ასევე სტუდენტთა და ფაკულტეტის თანამშრომელთა სხვადასხვა კონფერენციებში თუ სხვა სახის ღონისძიებებში მონაწილეობის ხარჯები და წლის განმავლობაში საჭირო სხვა საგანმანათლებლო ხარჯები. ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის ანაზღაურებასა და დაზღვევაზე, ასევე ფაკულტეტის ტექნიკურ უზრუნველყოფაზე და წლის განმავლობაში საჭირო სხვა მიმდინარე ხარჯების უზრუნველყოფაზე თანხების გამოყოფა კი ხდებოდა უნივერსიტეტის ადმინისტრაციული ბიუჯეტიდან. ასევე, 2017 წლის უნივერსიტეტის ბიუჯეტის მიხედვით, ეკონომიკური საქმიანობის ფარგლებში გაიწია აკადემიური პერსონალის ჯანმრთელობის დაზღვევის ხარჯი სრულად, საბიუჯეტო გადასახადები, კომუნალური და სხვა მიმდინარე დანახარჯები.

2017 წლის ბიუჯეტის ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლების ნაწილში გათვალისწინებული იყო შესაბამისი სახსრები მივლინებების, ექსპედიციების, საველე პირობებში შესრულებული სამუშაოებისა და კონფერენციებში მონაწილეობის ხარჯისათვის. ასევე ფინანსდებოდა კონფერენციებისა და სხვადასხვა ღონისძიებების მოწყობის, სამუშაო შეხვედრების, პრეზენტაციებისა და უნივერსიტეტის სტუმრების მიღების მიზნით გასაწევი ხარჯი. სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობისა და სასწავლო პროცესისათვის საჭირო წიგნებისა და სახელმძღვანელოების, ასევე, თანამედროვე ლიტერატურის ქართულ ენაზე გამოცემის მიზნით, გაფორმდა შესაბამისი ხელშეკრულებები უცხოელ ავტორებთან თარგმნის უფლების მოპოვების მიზნით. 2017 წლის ბიუჯეტში თანხები გამოყოფილი იყო ასევე უნივერსიტეტის სხვა მნიშვნელოვანი ღონისძიებების დასაფინანსებლად.

მოგეხსენებათ, რომ წლის განმავლობაში შემოსავლების კორექტირებასთან ერთად, მიმდინარე საჭიროებებიდან გამომდინარე, ხდებოდა ბიუჯეტის შიდამუხლობრივი ცვლილებები. შემოსავლების კორექტირებით გამოწვეული ცვლილებები აისახებოდა ხარჯვით ნაწილშიც და წარმოქმნილი საჭიროებების შესაბამისად კორექტირება შედიოდა როგორც უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ, ასევე კვლევითი ინსტიტუტებისა და ფაკულტეტების ბიუჯეტების ხარჯვით ნაწილშიც. წლის ბოლოსთვის ხარჯვითი ნაწილი დაკორექტირდა მიმდინარე საჭიროებებისა და წლის განმავლობაში გაწეული ფაქტიური ხარჯის გათვალისწინებით. ტენდერებისა თუ სხვა სახის ეკონომიების ხარჯზე გამოთავისუფლებული რესურსით მოხდა ხარჯის გარკვეული კატეგორიების შემცირება, რამაც გამოიწვია 2017 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ნაშთის ზრდა.

ყოველივე ზემოხსენებულის გათვალისწინებით, წარმოგიდგენთ 2017 წლის უნივერსიტეტის ბიუჯეტის შესრულების ანალიზს, ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლების ნაწილში და გაწეული ხარჯების თანაფარდობას დაგეგმილ თანხებთან მიმართებაში **დანართი 2 ³-ის** სახით.

როგორც მოგეხსენებათ, 2017 წლის ნაერთ ბიუჯეტში ასახულია უნივერსიტეტის მიერ მიმდინარე და გასულ წლებში მოპოვებული **სამეცნიერო გრანტებისა და მიზნობრივი დაფინანსებების (დანართი 3)** 2017 წლის ხარჯთაღრიცხვები, **სულ 174 პროექტი** (მ.შ. 92 რუსთაველის სამეცნიერო ფონდის **(დანართი 3 ¹)**, 78 საერთაშორისო მიზნობრივი **(დანართი 3 ²)** და 3 საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს და 1 სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ დაფინანსებული პროექტი) და **(დანართი 3 ³).** გასული წლის მანძილზე, უნივერსიტეტის ნაერთ ბიუჯეტში ეტაპობრივად აისახებოდა სამეცნიერო გრანტების ხარჯთაღრიცხვებში შესული ცვლილებები და მიმდინარე პერიოდში გაფორმებული ხელშეკრულებების საფუძველზე ემატებოდა ახალი გრანტების ბიუჯეტები. გაცნობებთ, რომ სულ გრანტებისა და მიზნობრივი დაფინანსებების წილი 2017 წლის დაგეგმილ ბიუჯეტში შეადგენს დახლოებით 10,5 მილიონ ლარს, მათ შორის დაგეგმილი შემოსავალი (ნაშთის გარეშე) დაახლოებით – 8,7 მილიონ ლარს. აღნიშნული თანხები ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლების შესაბამისად გადანაწილებული იყო დონორებთან გაფორმებული ხელშეკრულებების საფუძველზე.

მოგახსენებთ, რომ საერთაშორისო პროექტების შემთხვევაში, დონორი ყოველი მომდევნო ტრანშის ჩარიცხვას ახორციელებს წინა საანგარიშო პერიოდის შესრულების გათვალისწინებით, აქედან გამომდინარე, რიგ შემთხვევებში იცვლება წლების მიხედვით გაწერილი დაფინანსების ოდენობა. ასევე, ზოგიერთ პროექტში დონორი ცვლის გადაწყვეტილებას და თავად ახორციელებს დაგეგმილ აქტივობებს. შესაბამისად, დაგეგმილი თანხის ნაწილის ჩარიცხვა აღარ ხდება უნივერსიტეტის ანგარიშზე. რუსთაველის სამეცნიერო ფონდის გრანტებში დაგეგმილი თანხის ჩარიცხვა თითქმის სრულად ხდება. 2017 წელს გამონაკლისი იყო დაფინანსებები სეზონური სკოლის ჩატარების მიზნით, ახალგაზრდა მეცნიერთა და დოქტორანტურის საგრანტო კონკურსის პროექტები (ჯამში დაგეგმილთან შედარებით 2017 წლის მე-2 ტრანშის ჩარიცხვის შედეგი არ დამდგარა რუსთაველის ფონდის 4 საგრანტო პროექტში, თანხობრივად სულ 90 256 ლარი).

სულ 2017 წელს გრანტების ფარგლებში შემოსულმა თანხამ შეადგინა 7 834 954 (შვიდი მილიონ რვაას ოცდათოთხმეტი ათას ცხრაას ორმოცდათოთხმეტი) ლარი, ხოლო მთლიანმა შემოსავლებმა 2017 წლის დასაწყისისთვის არსებული ნაშთის ჩათვლით 9 577 848 (ცხრა მილიონ ხუთას სამოცდაჩვიდმეტი ათას რვაას ორმოცდარვა) ლარი. მათ შორის, საერთაშორისო პროექტების ფარგლებში 2017 წლის განმავლობაში შემოსულმა თანხამ შეადგინა 4 934 984 (ოთხი მილიონ ცხრაას ოთდათოთხმეტი ათას ცხრაას ოთხმოცდაოთხი) ლარი, (ნაშთის ჩათვლით - 5 448 004 ლარი), ხოლო რუსთაველის ფონდიდან შემოსულმა

თანხამ - 2 899 970 (ორი მილიონ რვაას ოთხმოცდაცხრამეტი ათას სამოცდაათი) ლარი (ნაშთის ჩათვლით - 4 129 843 ლარი);

2017 წელს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში დაიწყო 50 ახალი (მ.შ. უმრავლესობა მრავალწლიანი) საგრანტო პროექტი. ამ ხელშეკრულებების მიხედვით ილიას უნივერსიტეტის წილი დაფინანსების საერთო მოცულობა (შესაბამისი ვალუტის სავარაუდო კურსით) აჭარბებს 12,0 მილიონ ლარს, საიდანაც რუსთაველის ფონდის დაფინანსების წილი 4 083 445 (ოთხი მილიონ ოთხმოცდასამი ათას ოთხას ორმოცდახუთი) ლარია. 2017 წელს დაწყებული ხელშეკრულებების ფარგლებში ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 4 732 493 (ოთხი მილიონ შვიდას ოცდათორმეტი ათას ოთხას ოთხმოცდაცამეტი) ლარი. მათ შორის საერთაშორისო პროექტებიდან 3 620 960 (სამი მილიონ ექვსას ოცი ათას ცხრაას სამოცი ლარი) ლარის ოდენობით, ხოლო რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდისგან - 1 111 532 (ერთი მილიონ ას თერთმეტი ათას ხუთას ოცდათორმეტი) ლარის ოდენობით. დარჩენილი თანხის ჩარიცხვა დონორებთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე მომდევნო წლებში იგეგმება;

როგორც ზემოთ მოგახსენეთ, 2017 წელს, დაგეგმილ ბიუჯეტთან მიმართებაში შევიდა გარკვეული ცვლილებები, როგორც ჩასარიცხი თანხის მოცულობის შემცირების კუთხით, ასევე ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლების შეცვლის მხრივაც. დონორის გადაწყვეტილებით 2017 წელს ჩაურიცხავი თანხები ზოგ საგრანტო პროექტებში მომდევნო წელს ჩაირიცხება, ზოგიერთ შემთვევაში კი 2017 წლის წილი ჩაურიცხავი თანხა აღარ ჩაირიცხება, რადგან პროექტის ამოცანები სრულად შესრულდა თანხის ნაწილობრივ ჩარიცხვის პირობებშიც. რამდენიმე საერთაშორისო პროექტის ფარგლებში ჩასარიცხი თანხის მოცულობა დაგეგმილთან შედარებით გაიზარდა, გაზრდილი ბიუჯეტით, კი მსგავსი საგრანტო პროექტები აისახება 2018 წლის ბიუჯეტში.

ყოველივე ზემოხსენებულის გათვალისწინებით, წარმოგიდგენთ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის 2017 წლის ნაერთი ბიუჯეტის ანგარიშს

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის **ნაერთი ბიუჯეტის მიხედვით 2017 წლის შემოსულობების გეგმამ (ყველა დაფინანსების გათვალისწინებით) გადააჭარბა 66 მილიონ ლარს.**

წარმოგიდგენთ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის 2017 წლის ნაერთი ბიუჯეტის (ყველა დაფინანსების, მ.შ. გრანტების და მიზნობრივი დაფინანსებების ჩათვლით) შესრულების ანალიზს და გაწეული ხარჯების პროცენტულ თანაფარდობას 2017 წლის შემოსავლებთან მიმართებაში **(იხილეთ დანართი 4).**

გთხოვთ, მიიღოთ მხედველობაში სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის **2017 წლის ბიუჯეტის ანგარიში.**

[illegible]

[illegible] 2017 [illegible]

[illegible]

| [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] |
|---|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 |
| | [illegible] | [illegible] | [illegible] | |
| | [illegible] | [illegible] | [illegible] | 100% |
| | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] |
| 227 | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] |
| [illegible] | [illegible] | | [illegible] | [illegible] |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] |
| [illegible] | [illegible] | 0 | 0 | [illegible] |
| [illegible] | [illegible] | 0 | 0 | [illegible] |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] |
| | [illegible] | [illegible] | [illegible] | |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] |
| | [illegible] | [illegible] | [illegible] | 17% |
| | [illegible] | [illegible] | [illegible] | |
| [illegible] | [illegible] | 0 | 0 | |
| [illegible] | [illegible] | 0 | 0 | [illegible] |
| [illegible] | [illegible] | 0 | 0 | [illegible] |
| | [illegible] | 0 | 0 | [illegible] |
| | [illegible] | 0 | 0 | [illegible] |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | |
| | [illegible] | 0 | 0 | [illegible] |
| | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] |
| | [illegible] | [illegible] | [illegible] | |

[illegible]

# [illegible]

## [illegible]

| [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] |
|---|---|---|---|---|
| | | | | |
| | [illegible] | [illegible] | [illegible] | |
| | [illegible] | [illegible] | [illegible] | 100% |
| | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] |
| 2 | [illegible] | [illegible] | [illegible] | |
| [illegible] | [illegible] | 0 | 0 | |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | 70% |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | 0 | [illegible] |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | 0 | [illegible] |
| 227 | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] |
| [illegible] | [illegible] | 0 | [illegible] | [illegible] |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] |
| [illegible] | [illegible] | 0 | 0 | 0% |
| [illegible] | [illegible] | 0 | 0 | 0% |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] |
| [illegible] | [illegible] | 0 | 0 | 0% |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] |
| | [illegible] | [illegible] | [illegible] | |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | |
| | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | 23% |
| [illegible] | [illegible] | 0 | 0 | [illegible] |
| [illegible] | [illegible] | 0 | 0 | [illegible] |
| | [illegible] | 0 | 0 | 0% |
| | [illegible] | [illegible] | [illegible] | |
| [illegible] | [illegible] | 0 | 0 | |
| | [illegible] | 0 | 0 | 0% |
| | [illegible] | 0 | 0 | 0% |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | |
| | [illegible] | 0 | 0 | 0% |
| | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] |
| | [illegible] | 0 | [illegible] | |

[illegible]

[illegible]

[illegible]

| [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] |
|---|---|---|---|---|
| | [illegible] | [illegible] | [illegible] | |
| | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] |
| | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | |
| [illegible] | [illegible] | | | |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] |
| 224 | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] |
| [illegible] | [illegible] | 100 | | [illegible] |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | | [illegible] |
| [illegible] | 3.8. რბილი ინვენტარისა და უნიფორმის შეძენის და პირად ჰიგიენასთან დაკავშირებული ხარჯები | [illegible] | | [illegible] |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | 10,547 | [illegible] |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | | [illegible] |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] |
| [illegible] | [illegible] | 0 | | 0% |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | | [illegible] |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | | [illegible] |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] |
| | [illegible] | [illegible] | [illegible] | |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | |
| | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | | [illegible] |
| | [illegible] | 0 | [illegible] | [illegible] |
| | [illegible] | [illegible] | [illegible] | |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | |
| | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] |
| | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | |
| | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] |
| | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] |
| | [illegible] | [illegible] | [illegible] | |

[illegible]

[illegible]

[illegible]

| [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] |
|---|---|---|---|---|
| [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] |
| | [illegible] | [illegible] | [illegible] | |
| | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] |
| | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | |
| 11 | [illegible] | 0 | 0 | 0% |
| 12 | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | | [illegible] |
| [illegible] | [illegible] | | | [illegible] |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | 47.659 | [illegible] |
| [illegible] | [illegible] | 0 | 0 | 0% |
| [illegible] | [illegible] | 0 | 0 | 0% |
| [illegible] | [illegible] | 0 | 0 | 0% |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] |
| [illegible] | [illegible] | 0 | 0 | 0% |
| [illegible] | [illegible] | 1.691.700 | [illegible] | [illegible] |
| | [illegible] | [illegible] | [illegible] | |
| 31 | [illegible] | [illegible] | [illegible] | |
| | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] |
| [illegible] | [illegible] | 0 | [illegible] | [illegible] |
| [illegible] | [illegible] | 0 | | [illegible] |
| | [illegible] | 0 | 0 | 0% |
| | [illegible] | [illegible] | [illegible] | |
| 33 | [illegible] | 0 | 0 | |
| | [illegible] | 0 | 0 | 0% |
| | [illegible] | 0 | 0 | 0% |
| 35 | [illegible] | [illegible] | [illegible] | |
| | [illegible] | 0 | 0 | 0% |
| | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] |
| | [illegible] | 0 | [illegible] | |

[illegible]

[illegible]

[illegible]

| [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] |
|---|---|---|---|---|
| [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] |
| | [illegible] | [illegible] | [illegible] | |
| | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] |
| | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | |
| [illegible] | [illegible] | | | |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | 161,690 | [illegible] |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] |
| 224 | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] |
| [illegible] | [illegible]მ. რბილი ინვენტარისა და უნიფორმის შეძენის და პირ[illegible] [illegible]ჰიგიენასთან დაკავშირებული ხარჯები | [illegible] | | [illegible] |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] |
| [illegible] | [illegible] | | [illegible] | [illegible] |
| [illegible] | [illegible] | 2,214 | [illegible] | [illegible] |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] |
| | [illegible] | [illegible] | [illegible] | |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | |
| | [illegible] | [illegible] | [illegible] | |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | | [illegible] |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | | [illegible] |
| | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] |
| | [illegible] | [illegible] | [illegible] | |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | |
| | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] |
| | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | |
| | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] |
| | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] |
| | [illegible] | [illegible] | [illegible] | |

[illegible]

[illegible]

| [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] |
|---|---|---|---|---|
| | [illegible] | [illegible] | [illegible] | |
| | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] |
| | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] |
| | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] |
| | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] |
| | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] |
| | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] |
| 2 | [illegible] | [illegible] | [illegible] | |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | 1,164,751 | [illegible] |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | 0 | [illegible] |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | 0.0% |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] |
| | [illegible] | [illegible] | [illegible] | |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | |
| | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] |
| | [illegible] | 0 | [illegible] | [illegible] |
| | [illegible] | [illegible] | [illegible] | |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | |
| | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] |
| | [illegible] | [illegible] | 0 | [illegible] |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | |
| | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] |
| | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] |
| | [illegible] | [illegible] | [illegible] | |